ლალი კაპანაძე

პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში

თბილისი
2011 წელი

ლალი კაპანაძე: პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი. 2011 წელი.
გვ. 220.

სამეცნიერო
რედაქტორი: **ვაჟა შუბითიძე**
პოლიტოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი: **ქეთევან ჯიჯეიშვილი**
პოლიტოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

© ლალი კაპანაძე
© საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.

ISBN - 978-9941-9243-0-9

წინათქმა

წიგნი განხილულია პოპულიზმის ძირითადი ასპექტები და მეთოდები. იგი აქტუალურია იმდენად რამდენადაც თანამედროვე მსოფლიო რეალობაში მწვავედ დგას პოპულიზმის საკითხი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება არჩევნების დროს და სახელმწიფოს გარდამავალ პერიოდში.

პოპულიზმის პრობლემატიკა ქართულ პოლიტიკაშიც დგას, მით უმეტეს, თუ გაეითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყანა გარდამავალი დემოკრატიის პირობებში იმყოფება, რაც პოპულიზმის გამოყენებისთვის თავისთავად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. თავად ტერმინს **„პოპულისტი“**, კი ხშირად პოლიტიკოსები ერთმანეთის სალანძღავად იყენებენ, თუმცა, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება გახდე პოპულარული, თუ არ გიცნობს ხალხი, არ გაქვს მასთან პირდაპირი კონტაქტი.

თავად ტერმინი **„პოპულიზმი“** ლათინური სიტყვისგან წარმოსდგება და ნიშნავს **ხალხს**. ერთი სიტყვით, პოპულიზმი ეტიმოლოგიურად შეიძლება აეხსნათ როგორც, **სახალხო პოპულარობა**. **პოპულარობა კი თავის მხრივ სრულებითაც არ შეიცავს ნეგატიურ დატვირთვას, მთავარია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან რეალპოპულიზმი და ცრუ პოპულიზმი**.

პოპულიზმი ითვლება დემოკრატიის ატრიბუტად, რომელსაც იყენებს ყველა პოლიტიკური ლიდერი ხელისუფლების მოსაპოვებლად და შემდგომში მის შესანარჩუნებლად.

იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა პოლიტიკური მეთოდების ერთგვარი კომპლექსური სისტემა, რომელშიც შედის **განდის** მიერ შემუშავებული (სატიაგრახა) არაძალადობრივი რევოლუციის მეთოდები, კერძოდ, ეს არის: **სამოქალაქო დაუმორჩილებლობა; შიმშილობა; ბოიკოტი სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ; სასწავლო პროცესების ჩაშლა; უარის თქმა სახელმწიფოს მიერ მინიჭე-**

ბულ ტიტულებზე, გადასახადის გადაუხდელობა; პოლიტიკური გაფიცვები, დემონსტრაციები, ბოიკოტის გამოცხადება, კანონების დარღვევა შეგნებულად და განგებ. ყველაფერი ეს კი ხორციელდება მშვიდობიანი (ხაევრდოვანი) მეთოდებით და ხშირად სასურველი შედეგები მიიღწევა.

პოპულიზმი შეიძლება განეიხილოთ როგორც პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის სტილი, რომლის ძირითადი მეთოდებია: „თამაში“ ხალხის გრძნობებზე, სოციალიზირებული ენით საუბარი მათთან; ხალხში გასვლა (აპელირება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ხალხის ფართო მასებთან); სახალხო დიპლომატია; მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაბედული, მტკიცე, შეუპოვარი და თვითდაჯერებული პოლიტიკოსის იმიჯის შექმნა; საკუთარი პროგრამის მოკლედ და გასაგებად გადმოცემის უნარი; მოჩვენებითი წარმოდგენის შექმნა – „მეც თქვენნაირი ვარ“; ხალხის ნაციონალური გრძნობების გამოყენება; თანადგომის დემონსტრირება ცნობილი პიროვნებების მხრიდან (ესტრადის, კინოს ვარსკვლავები, სხვა ცნობილი ელიტური სახეები) მრავალფეროვანი დაპირებები; მესიჯები და ლოზუნგები.

პოპულისტები უარყოფენ სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტას, მისი ძირითადი საკითხია რიგითი მოქალაქის მაქსიმალური მონაწილეობა საკუთარი ბედის გადაწყვეტაში, თანასწორობა ყველაფერში, მათ შორის – რასობრივ საკითხებშიც.

ეკონომიკური პოპულიზმისთვის დამახასიათებელია: ნაციონალური მრეწველობის განვითარება, ეროვნული შემოსავლების ზრდა და მისი გონივრულად განაწილება, სამუშაო ადგილების შექმნა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.R ეკონომიკური პოპულიზმის დროს ნაციონალური ბუნებრივი რესურსები და სტრატეგიული ობიექტები არ იყიდება უცხოელ ინვესტორებზე და რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

წიგნში განხილულია ნაციონალური, პოლიტიური და

სოციალური პოპულიზმის მაგალითები ქართულ პოლიტიკაში. შესაბამისად ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა დროს ჩატარებულ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე. ვინაიდან, როგორც ვთქვით პოპულიზმის გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება არჩევნების დროს.

შეძლებისდაგვარად ვაქცეთ დავამკვიდროთ საზოგადოებაში მისი არსის სწორად გაგება, გავაქარწყლოთ ქართულ პოლიტიკაში. დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოპულიზმი არ არის მხოლოდ სალანძღავი სიტყვა, დემაგოგიური და სპეკულაციური პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელი. პოპულიზმი შეიძლება იყოს პოზიტიურიც, რეალურიც და შესაბამისად ქვეყნისთვის სარგებლობის მომტანიც, რაც დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყენებს მას პოლიტიკური ლიდერი.

პოპულიზმის არსის განმარტება საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას გაარკვიოს ერთმანეთისგან: **როდის ხდება მათი გრძნობებით მანიპულირება, თამაში მათ მოლოდინზე, მოსყიდვა, ცრუ და რეალური დაპირებების ერთმანეთისგან გარჩევა და ა. შ.** რადგან თავიდან ავიცილოთ ხელისუფლების სათავეში უპასუხისმგებლო და დემაგოგი ლიდერის მოსვლა.

პოპულიზმი ნელ-ნელა შემოდის და მკვიდრდება ქართულ პოლიტიკაში, მაგალითად: **1988-91 წწ. საქართველოს ისტორიაში ადგილი ჰქონდა ნაციონალურ პოპულიზმს.**

2003 წლის **„ვარდების რევოლუციის"** დროს გამოყენებულ იქნა სოციალური და პოლიტიკური პოპულიზმი, თავად არაძალადობრივი რევოლუციებიც პოპულიზმის შესწავლის საკითხია, 2008 წლის არჩევნებში, გამოყენებული იყო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პოპულიზმი, შესაბამისად დაპირებებიც და ლოზუნგებიც აგებული იყო სოციალურ საკითხებზე.

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში, უხვად იყო როგორც

რეალური, ისე დემაგოგიური დაპირებები. თუმცა ის ფაქტი, რომ საქართველოში ყველს იკიდებს პოპულისტური მეთოდების გამოყენება პოლიტიკური მოღვაწეობის დროს, უკვე დემოკრატიის განვითარების ნიშანია, ვინაიდან, პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, ჩნდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს გარკვეული დემოკრატიული ინტიტუტები – **საყოველთაო არჩევნების უფლება, მოქალაქეთა თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, სადაც ხალხის მასებს გააჩნიათ უფლება იყონ ამომრჩევლები და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პროცესების მართვაში.**

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოპულიზმის დემაგოგიურ ასპექტში გამოყენება დასაგმობია თუმცა, სამწუხაროდ, ამის მაგალითებიც მრავლად გვაქვს.Tგამოსავალი კი მდგომარეობის საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებაში და დემოკრატიული ინსტიტუტების მუდმივ მზადყოფნაში – არ დაუშვან ხელისუფლების სათავეში დემაგოგი პოლიტიკოსების მოსვლა.

პოპულიზმის თეორია და მეთოდოლოგიური საკითხები

პოპულიზმის არსი

პოპულიზმი - როგორც ტერმინი, პირველად აშშ-ში გაჩნდა XIX ს-ის ბოლოს, რის შემდეგაც მკვეთრად დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექსიკონში. თუმცა, ჯერ კიდევ ძველი წელთ აღრიცხვის II-I საუკუნეებში, ძველი რომის იმპერიაში პოპულიზმი იყო როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა პოპულისტური პარტიის სახით, რომელიც უბრალო ხალხის – პლებსის ინტერესებს გამოხატავდა.

პოპულისტები დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩეოდნენ, რის გამოც თავისუფლად ზემოქმედებდნენ მასებზე. რომის იმპერიაში საუკუნეთა მანძილზე არისტოკრატიასა და დემოკრატებს შორის წარმოებულმა ბრძოლამ წარმოაჩინა ოპტიმატები (optimates – „საუკეთესონი“) და პოპულარები (populares – „სახალხონი“). პოპულარების პარტიის ცნობილი წარმომადგენელი იყო **თიბერიუს სემპრინიუს გრაკხუსი,** რომელიც დღის წესრიგში აყენებდა აგრარულ საკითხს, წვრილი და საშუალო მეურნეობის აღდგენას. მათი ლოზუნგი იყო: **„მთელი ძალაუფლება ხალხს“**, რაც ბუნებრივია, სენატისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ამიტომ, მათ ტიბერიუსი და მისი მომხრეები სასტიკად გაანადგურეს.

ტიბერიუსის სიკვდილიდან 10 წლის შემდეგ იგივე აგრარული საკითხით გამოვიდა მისი ძმა **გაიუს გრაკხუსიც,** თუმცა, მანაც ძმის საბედისწერო ბედი გაიზიარა. გრაკხუსების იდეების გამგრძელებლად ითვლებიან **აპულეუს სატურნინუსი, გაიუს გლავიცია** და **იულიუს კეისარი.** მათგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა **სატურნინუსი,** იგი მისმა მომხრეებმა მეფედაც კი გამოაცხადეს, მაგრამ

ოპტიმატებმა და არისტოკრატიამ ერთობლივი ძალით, საბოლოოდ აღკვეთეს პოპულისტების პოლიტიკური მოძრაობა.

სიტყვა „პოპულიზმი“ ლათინურად ნიშნავს ხალხს (Populus - ხალხი). იგი არის **„იდეოლოგიურ-სპეკულაციური ორიენტაცია სუბიექტის პოლიტიკისა ხალხის ფართო მასების პოლიტიკურ იდეებზე, რომელნიც უკმაყოფილებას განიცდიან საკუთარი ცხოვრებით** [1.325].

მეცნიერთა უმრავლესობა პოპულიზმის ფესვებს XIX-XX სს-ის აშშ-ს უკავშირებს, კერძოდ, 1861-1865 წ.წ. სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკელმა ფერმერებმა თავიანთ საქონელზე გამუდმებული ფასდაკლების გამო დიდი ზარალი განიცადეს. ფერმერების მხარდაჭერით გამოვიდნენ შუა დასავლეთის პროდუქტების და სამხრეთელი ბამბისა და თამბაქოს მწარმოებლებიც. სწორედ ამ საფუძველზე შეიქმნა პირველი სახალხო-პოპულისტური მოძრაობა, რომელიც მოგვიანებით შეივსო სასოფლო-სამეურნეო მუშაკებით და მუშებით, 1890 წლიდან კი მათ ცნობილი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეებიც შეუერთდნენ და შეიქმნა **ერთიანი სახალხო-პოპულისტური** პარტია. მათ ერთგვარ ოპოზიციას წარმოადგენდნენ **„პლატოკრატები“**, რომლებიც ფინანსებსა და მრეწველობას აკონტროლებდნენ.

1892 წლის **ომაჰის** და 1894 წლის **სპრინგფილდის** დეკლარაციებში, პოპულისტებმა მრავალი ახალი იდეა წამოაყენეს. მათი იდეები შემდეგ საკითხებს მოიცავდა: **სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრება, დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება წარმომადგენლობითი და პირდაპირი დემოკრატიის სახით, ხალხის აუცილებელი მონაწილეობა მართვაში და მათი კონტროლი ხელისუფლების საქმიანობაზე**. პოპულისტების მიზანი იყო შეექმნათ ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს დაიცავდა, ჩადგებოდა მათ სამსახურში, ხოლო, ხალხი თავის მხრივ გააკონტროლებდა სახელმწიფოს საქმიანობას. პოპულისტების აზრით, ჭეშმარიტი იყო ხალხის ის ფენა, რო-

მელიც მუშაობდა და იღწვოდა სოფლად, ან ქალაქში.

ცნობილი მეცნიერი **ჯონ ჰიქსი** აღნიშნავდა, რომ – **პოპულისტები მიზნად ისახავდნენ მშრომელთა პირობების გაუმჯობესებას, რაც ეკონომიკური სფეროს ზრდის შედეგად მიიღწეოდა, ხოლო ამ პროცესის წარმართვისთვის კი სახელმწიფოს უნდა შეეწყო ხელი. „პოპულიზმი აშშ-ში იყო პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც აიძულებდა სახელმწიფოს პასუხისმგებელი ყოფილიყო ხალხის კეთილდღეობაზე“** [2.21]

ამერიკელი მკვლევარის **ე. გოლდმენის** აზრით, **„პოპულიზმმა შეიმუშავა პირდაპირი დემოკრატიის ძირითადი მეთოდები. ეს იყო: პირდაპირი არჩევნები სენატში, რეფერენდუმი და ვეტოს უფლება საკანონმდებლო ორგანოებზე** [3.46]“.

პოპულიზმის დემოკრატიზმი იმ კუთხითაც გამოიხატებოდა, რომ მისი საშუალებით შეიქმნა თეთრკანიანთა და შავკანიანთა ე.წ. კოალიცია, რომელიც მიმართული იყო სამრეწველო-ფინანსური მაგნატების წინააღმდეგ. თუკი ამ კუთხით განვიხილავთ პოპულიზმს, მან ფაქტიურად გააგრძელა აბოლიციონისტური ტრადიცია, ვინაიდან, რასიზმის თემა პოპულისტებმა შესანიშნავად გამოიყენეს თავიანთ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. განსაკუთრებული ანტირასისტული განწყობა ჯორჯიის შტატის პოპულისტებმა გამოავლინეს, კერძოდ, აქ ორი ათასამდე თეთრკანიანი პოპულისტი ფერმერი, თუ სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი გამოვიდა თავიანთი პროტესტის გამოსახატავად, რათა დაეცვათ შავკანიანი ლიდერი, რომელსაც ლინჩის წესით უპირებდნენ გასამართლებას. ასეთი სახის გამოსვლები საკმაოდ ხშირი იყო აშშ-ის სამხრეთ შტატებში. აღსანიშნავია, რომ პოპულიზმმა, როგორც პოლიტიკურმა მოძრაობამ დიდხანს ვერ იარსებია. 1898 წელს პოპულისტები დემოკრატიულ პარტიას შეუერთდნენ და ერთიანად დაუჭირეს მხარი პრეზიდენტობის კანდიდატს **უ. ბრაიანს**. სწორედ ამ უკანასკნელის სახ-

ელს უკავშირდება ტერმინის – **„პოპულიზმი“** საბოლოოდ დამკვიდრება პოლიტიკაში – როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის, პოლიტიკური ბრძოლის და მასების ცნობიერებაზე ზემოქმედების მეთოდს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულისტურმა მოძრაობამ აშშ-ს სხვადასხვა შტატებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაინც ვერ მოახერხა ადგილის დამკვიდრება აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1900წ.-ს პარტია ორად გაიყო, ნაწილი დემოკრატების ბანაკში გადავიდა, მეორე - აშშ-ის „შეურიგებლობის ფრაქციის“ ნაწილი კი პრეზიდენტობის კანდიდატის ბარტონ ბარკერის მხარდამჭერებს შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ **თ. რუზველტისა** და **ვ. ვილსონის** დროს, პოპულისტთა ძალზე ბევრი მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული.

პოპულიზმის შესახებ ინგლისელი მწერალი **დ. მარკე** აღნიშნავდა, რომ – **პოპულისტური იდეოლოგიის ცენტრში დგას არა მარტო პოლიტიკა, ეკონომიკა, ან საზოგადოება, არამედ პიროვნება და მისი მორალური ასპექტი.** ასეთი ფორმულირება სავსებით მისაღებია, ვინაიდან პოპულისტური მსოფლმხედველობა აღიარებს თითოეული ადამიანის ბედნიერებას, მის მატერიალურ კეთილდღეობას (როგორც ადამიანის უფლებას) და იდეალური საზოგადოების პრიორიტეტს.

პოპულისტები უარყოფენ სოციალური, თუ პოლიტიკური პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტას, მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ასევე ეკოლოგიურ პრობლემასაც.

პოპულიზმის ძირითადი საკითხია: რიგითი მოქალაქეების მაქსიმალური მონაწილეობა საკუთარი ბედის გადაწყვეტაში, თანასწორობა ყველაფერში, მათ შორის რასობრივ საკითხებშიც.

ასე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოპულიზმი დემოკრატიული ორიენტაციისაა. ამის დასტურად გამოდგება პოპულისტთა

მოძრაობა აშშ-ში (XIX ს-ის I ნახევარი), რომელიც ძირითად პრინციპად ისახავდა დემოკრატიის განვითარებას, ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევას მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის საშუალებით, დემოკრატულ მონაწილეობას და კონტროლს სახელმწიფო სტრუქტურებზე. საერთო ჯამში პოპულიზმის პრინციპები ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- პოლიტიკური ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდი;
- დემოკრატიის განვითარება;
- ბრძოლა მონოპოლიური კაპიტალის გაბატონების წინააღმდეგ;
- კონტროლი სახელმწოფო სტრუქტურებზე;
- გაერთიანება რასათაშორის საფუძველზე;
- თითოეული პიროვნების თვითრეალიზაცია საზოგადოებრივ საქმიანობაში;
- ეკოლოგიური პრობლემების წამოყენება;
- სახელმწიფოს მზრუნველი როლი ხალხის ინტერესების დასაცავად.

1930 წლიდან ამერიკაში პოპულიზმის ახალმა ტალღამ იფეთქა, ეს იყო ე.წ. „დიდი დეპრესიის" პერიოდი. ამ დროს მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის უპრეცედენტო ვარდნა, რამაც საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია. ასეთმა პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ ერთხელ მისცა ბიძგი პოპულიზმის გააქტიურებას, რასაც ფ. რუზველტის მთავრობის მიერ მოჰყვა როგი სოციალური, თუ ეკონომიკური რეფორმები, რაც ისტორიაში „ახალი კურსის" სახელით არის ცნობილი. ამ პერიოდში პოპულიზმი პარალელურად ფეხს იკიდებს ლათინურ ამერიკაში, სადაც პირველი პოპულისტთა პარტია 1924 წელს შეიქმნა ამერიკული სახალხო რევოლუციის ალიანსის სახელით, რომელთა წარმომადგენლებიც ითხოვდნენ დემოკრატიას, მშრომელთა ეკონომიკურ თავისუფლებას, ქალთა თანასწორუფლებიანობას კოოპერაციების გაერთიანებას, სახელმწიფო ფინანსური კორპორაციის შექმნას. ლათიუნურ ამერიკაში პოპულიზმმა საკმაოდ მყარი

დასაყრდენი ჰპოვა, კერძოდ, 1930 წ. პოპულისტ-ლიბერალურ ალიანსზე დაყრდნობით ბრაზილიის მთავრობაში მოვიდა ჟ. ვარგასი.

მკვეთრ პოპულისტურ პოლიტიკას ატარებდნენ – **ლასარო კარდენასი** მექსიკაში (1934-1940წ.წ.), **ხუან დომინგო პერონი** – არგენტინაში (1946-1950წ.წ. და 1973-1976წ.წ.), **ალან გარსია** – პერუში (1985-1990წ.წ.)" [4.80] ხუან დომინგო პერონის სახელს უკავშირდება მოძრაობა „პერონიზმი" არგენტინაში, რომელიც თავისი არსით იყო პოპულისტური. ამ მოძრაობის შედეგად (რომლის აქტიური წევრი იყო თავად პერონის მეუღლე – მარია ევედიარტე (ევიტა) ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. პერონიზმის ოფიციალურ დოქტრინად იქცა იუსტიცია - სამართლიანობა, რაც ძირითადად გამოხატულებას სოციალურ სფეროში პოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ პერონის მმართველობა იყო ავტორიტარული, რაც ხშირია პოპულისტ პოლიტიკოსთა მოღვაწეობისას, მაინც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა მასების როლს პოლიტიკაში.

პოპულიზმი დღის წესრიგში ყოველთვის აყენებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. ამ კუთხით აღსანიშნავია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის **მ. ტეტჩერის** მოღვაწეობა (1979-90წ.წ.). მის სახელს უკავშირდება როგორც ნეოკონსერვატიზმის, ისე ავტორიტარული-პოპულიზმის თემაც, რაც ცნობილია „ტეტჩერიზმის" სახელწოდებით. იგი ასახავდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც კონსერვატორებმა დააყენეს დღის წესრიგში 1979-1990 წ.წ-ში და რომელიც ტეტჩერის უდიდეს ზეგავლენას განიცდიდა. „პირველ რიგში საჭირო გახდა ინფლაციის დაძლევა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო იმიჯის ამაღლება, ინგლისელთა გულისა და გონების ახლებურად გარდაქმნა და ბრიტანული სოციალიზმის – მათ შორის ლეიბორისტული პარტიის პოზიციების შესუსტება. 1987 წლისათვის ეს პრო-

გრამა შესრულებულ იქნა, რომლის მთავარი იდეოლოგი და აქტიური მონაწილე იყო მ. ტეტჩერი“ [5.641] მ. ტეტჩერის ძირითად დამსახურებად ითვლება საკუთარი ქვეყნის აღორძინება, მან მოახერხა დაეძლია: ინფლაცია, ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობა და ა.შ. ნებისმიერმა ლიდერმა უნდა იცოდეს, თუ როგორ აღაფრთოვანოს ხალხი, წარმოაჩინოს მათი ეროვნული ღირსებები საუკეთესო კუთხით – ამ მხრივ ტეტჩერი მუდამ აპელირებდა ინგლისელების ნაციონალურ გრძნობებზე და აღფრთოვანებას გამოხატავდა საკუთარი ერის ღირსებების გამო, ასეთად კი იგი მათ სიამაყესა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას მიიჩნევდა.

„აჩრდილი დადის ქვეყანაზე, აჩრდილი პოპულიზმისა“ – ასეთ კომენტარს აკეთებდნენ 1969 წ. ლონდონში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც პოპულიზმის პრობლემებს ეძღვნებოდა. აქ დამსწრე მეცნიერთა აზრით, (ლ. შაპირო, დ. მარკე, რ. ჰოფსტედტერი, ჯ. მანჩინი და სხვ.), პოპულიზმი მეტად არაორდინარული მოვლენაა, ამიტომ ძნელია მისი კონკრეტული განსაზღვრების მიცემა. მისი არსი კონკრეტულ ერთ განსაზღვრებას არ ემორჩილება და დიდი ლავირების უნარით გამოირჩევა. ამ კონფერენციაზე წამოიჭრა რამდენიმე საკითხი, რომლის მიხედვითაც პოპულიზმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც იდეოლოგია, მოძრაობა ან პოლიტიკური ფსიქოლოგიის ტიპი, რომელიც მუდმივად ვითარდება სხვადასხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში.

პოპულიზმის მკვლევარი დ. მარკე მიიჩნევს, რომ პოპულიზმი პროგრესირებადი აზროვნების ტიპია და თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმთან ერთად გამოიყენება. ამის ნათელი მაგალითია სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მის რესპუბლიკებში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებები, სადაც თითქმის ყველა რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში ლიდერები სწორედ ნაციონალური პოპულიზმის გამოყენებით მოვიდნენ (მაგ.: საქართველოში – ზ. გამსახურ-

დია; აზერბაიჯანში – ელჩიბეი; ლიტვაში – ვ. ლანდსბერგისი და სხვ.). ნაციონალური პოპულიზმი შეიძლება გამოვხატოთ ლოზუნგით: „დაე ვიყოთ მშივრები, მაგრამ დამოუკიდებლები“ – ეს მოწოდება ფართოდ გავრცელდა პოსტსაბჭოური სივრცის რეპუბლიკებში.

მსოფლიო ისტორიას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ პოპულიზმი ფიგურირებს, როგორც ერთგვარი დამცველი და კორექტირების შემტანი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე დამანგრეველი და რევოლუციური მოძრაობა. იგი არის მკურნალობის ერთგვარი მორალური კურსი დემოკრატიის განსავითარებლად და არა მის გასანადგურებლად.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსთა მიერ აპელირება ხალხის ფართო მასებზე ან ხალხის სახელით სპეკულირება კიდევ არ არის პოპულიზმი. ამ ტერმინის გამოყენების ამპლიტუდა იმდენად მრავალფეროვანია, რომ დასავლეთის მეცნიერთა შორის ძნელია მისი კონკრეტული სამეცნიერო დიფერენცია. პოპულიზმის პრობლემატიკაში გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მისი ცალკეული მოვლენების სპეციფიკის შესწავლის შედეგად.

1846წ. აშშ-ის მიერ ადგილი ჰქონდა მექსიკის რიგი ტერიტორიების დაპყრობას, სადაც მონათმფლობელობამ მოიკიდა ფეხი. ამ მოვლენების წინააღმდეგ გამოვიდა ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი – **ჰენრი დევის ტორო** (1817-1862), რომელმაც შექმნა **„სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“** მოძრაობა. მისი აზრით, ყველა მოქალაქეს აქვს სოციალური სამართლიანობის უფლება, ხოლო მისი სრულყოფის შემთხვევაში ხალხი უფლებამოსილია პასუხი მოსთხოვოს ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება არასამართლიან კანონებს იღებს, მოქალაქეებს შეუძლიათ ამ კანონებს იგნორირება გაუკეთონ, რაც უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სახით. ასეთი დაუმორჩილებლობის ძირითად მეთოდად **ტორო** მიიჩნევდა უარის თქმას

გადასახადების გადახდაზე, სამხედრო საეალდებულო სამსახურზე, დემონსტრაციების მოწყობას, სახელმწიფო დაწესებულების საბოტაჟს და ა.შ. ამ მეთოდებს ტორო სავსებით მისაღებად და გამართლებულად აღიარებდა, რომლის გამოყენების შედეგადაც შესაძლებელია ქვეყნის გარდაქმნა რაც არაძალადობრივ რევოლუციაში გამოიხატება.

ტოროს ფილოსოფიამ და დემოკრატიზმმა ასახვა ჰპოვა მოჰანდას კარამჩანდ განდის (1869-1948წ.წ.) პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც, მის შესახებ ცნობილი მეცნიერი ა. აინშტაინი აღნიშნავდა: – მომავალი თაობები არ დაიჯერებენ, რომ ქვეყნად ცხოვრობდა ასეთი უბრალო ადამიანი. მართლაც, მ. განდი თავისი უბრალოებით, ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით მთელი კაცობრიობის სინდისი გახდა. მან შეიმუშავა მშვიდობიანი და მორალური მეთოდების მთელი რიგი სისტემა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება უახლოვდება ღვთაებრივ იდეალს. „სატიაგრახა“ (წინააღმდეგობა და ჭეშმარიტება) და „ხარტალა“ არის განდისეული პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, რაც ნიშნავს უარის თქმას ყველა სახის საზოგადოებრივ მონაწილეობაზე: სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ ბოიკოტს, სასწავლო პროცესების ჩაშლას, მშვიდობიანი დემონსტრაციების მოწყობას, უარის თქმას კოლონიზატორებისგან მინიჭებულ ტიტულებზე, პოლიტიკური გაფიცვების მოწყობას, გადასახადების გადაუხდელობას და ა.შ.

განდის აზრით, მიუხედავად ადამიანების რელიგიური, ნაციონალური, კლასობრივი და კასტური მრავალფეროვნებისა, სატიაგრახას მეთოდების გამოყენებით მიიღწევა ის, რასაც შეიძლება დასჭირდეს სისხლიანი რევოლუცია. შეიარაღებულ ბრძოლას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებდა, თუკი სახელმწიფოს წინაშე დამოუკიდებლობის ხელყოფის – ანექსიის საკითხი დადგებოდა.

1893-1914 წლებში განდი მოღვაწეობდა აფრიკაში. 1915 წლიდან კი ინდოეთში დაბრუნდა და გადაწყვიტა აქტიურ

პოლიტიკაში ჩაბმა. იგი ეროვნულ, სამოსში გამოეწყო და თავისი ხალხის მსგავსად უბრალო ცხოვრება დაიწყო. დაუმორჩილებლობის მეთოდის პირველი ნაბიჯი იყო დროებითი პირადობის მოწმობის განადგურება, ეს ინგლისის მთავრობის მიერ შემოღებული წესი, მხოლოდ ფერადკანიანებისთვის იყო სავალდებულო. მ. განდიმ აკრიფა ეს პასპორტები და პროტესტის ნიშნად დაწვა, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა.. **„ინდოელებისთვის პოლიტიკა პური და მარილია“** – განაცხადა **განდიმ,** რასაც მოჰყვა ცნობილი „მარილის ლაშქრობა“. თუ გსურთ, რომ გამოხატოთ თქვენი სიძულვილი ინგლისელების მიმართ და შეინარჩუნეთ ღირსება, მოდით და მათი ქსოვილით შეკერილი ტანსაცმელი დავწვათ – ასე მოუწოდა მან ხალხს, რომელთაც მყისვე აიტაცეს ეს სიტყვები და უშეელებელი კოცონი გააჩაღეს. მ. განდი მუდამ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა ინდუსებს და მუსლიმანებს, რაც ერთ-ერთი დიდი პრობლემა იყო ინდოეთში: ინდუსები და მუსლიმანები, ორივე ღმერთის შვილები ვართ – აღნიშნავდა იგი და საერთო მიზნის მისაღწევად რაზმავდა მათ. საზოგადოებრივი აგრესიის შესაჩერებლად მან შიმშილობაც კი გამოაცხადა (სხვათა შორის, ეს მეთოდიც განდის მიერ იქნა შემოღებული და დამკვიდრებული პოლიტიკაში), რაც საკმაოდ მძიმედ აისახა მის ჯანმრთელობაზე, მაგრამ იმდენად დიდი იყო ხალხის სიყვარული განდის მიმართ, რომ მან მოახერხა ამ შეტაკების შეჩერება. 1948 წელს განდი ინდუსი ექსტრემისტული დაჯგუფების ტერორისტის ტყვიამ იმსხვერპლა.

ასე, რომ პოპულიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა პოლიტიკური მეთოდების ერთგვარი კომპლექსური სისტემა. ძირითადად ეს არის ის მეთოდები, რომელიც შეიმუშავა მ. განდიმ და თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით განდიზმამდე აიყვანა. „არაძალადობრივი ბრძოლის“ მეთოდებში შედის:

- **სამოქალაქო დაუმორჩილებლობა;**
- **შიმშილობა;**

• **ბოიკოტი სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ (სასწავლო პროცესების ჩაშლა; უარის თქმა სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ ტიტულებზე, გადასახადის გადაუხდელობა);**

• **პოლიტიკური გაფიცვები, დემონსტრაციები, ბოიკოტის გამოცხადება, კანონების დარღვევა შეგნებულად და განგებ.**

ყველაფერი ეს კი ხორციელდება მშვიდობიანი მეთოდებით და ხშირად სასურველი შედეგები მიიღწევა.

განდის თანამოაზრეებად განიხილებიან ინგლისელი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე – **ბერტრან რასელი** (1872-1968წ.წ.) და **მარტინ ლუთერ კინგი** უმცროსი (1929-1968წ.წ.) რასელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აქტიურად დააყენა ქალთათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების საკითხი, ამასთან, ერთად იგი იცავდა შავკანიანთა უფლებებს.

1957 წელს **მარტინ ლუთერ კინგის** მიერ დააარსდა **„სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენცია“**, რომელიც კოორდინირებას უწევდა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას. მისი თაოსნობით მოხდა მონტგომერის (ალაბამის შტატი, სადაც იგი მოღვაწეობდა როგორც ბაპტისტი პასტორი), შავკანიანთა საზოგადოების მიერ ბოიკოტის გამოცხადება ქალაქის ავტობუსების მიმართ, სადაც მიუხედავად თეთრკანიანთათვის გამიზნული ცარიელი ადგილებისა ზანგები მხოლოდ შავკანიანთათვის გამოყოფილ შესაბამის ადგილებზე უნდა დამსხდარიყვნენ ან ფეხზე მდგომთ ემგზავრათ. მარტინ ლუთერ კინგმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა შავკანიანთა ულებების დასაცავად. იგი ატარებდა მშვიდობიან აქციას და ხალხს მოუწოდებდა უსამართლო კანონების მიმართ დაუმორჩილებლობისაკენ, არაძალისმიერი დარღვევისაკენ. მარტინ ლუთერ კინგი განდის არაძალადობრივი პროტესტის პრინციპების მიმდევარი იყო, მან მოახერხა მსოფლიო აღიარების მოპოვება და იქცა ქარიზმატულ ლიდერად, რომელსაც უდიდესი იმედით შეჰყურებდა ხალხი. 1968წ. კინგმა მოახერხა გრანდიოზული მარ-

შის ორგანიზება ვაშინგტონისკენ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 250 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის ბევრი იყო თეთრკანიანიც. იგი იზიარებდა განდის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ არ არსებობს ადამიანთა შორის რელიგიური, კასტური, კლასობრივი თუ რასობრივი საზღვრები: — მე ვოცნებობ ჩემმა პატარებმა იცხოვრონ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მათ განსჯიან არა კანის ფერის, არამედ მათი პიროვნული თვისებების მიხედვით, წერდა ის. 1968 წელს მარტინ ლუთერ კინგი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა.

დღევანდელ პირობებში, კინგის და განდის მიმდევრები გამოდიან საომარი მოქმედებების წინააღმდეგ, იბრძვიან მშრომელთა ცალკეული უფლებების დამკვიდრებისთვის, ეკოლოგიური საშიშროების აღსაკვეთად, მაფიისა და კორუფციის წინააღმდეგ.

1960-იან წლებში, განვითარებულ ქვეყნებში აღმოცენდა პოლიტიკური ფენომენი სახელწოდებით: „ახალი პოპულიზმი“, რომელიც იშვა მასების წიაღში. ახალი პოპულიზმი ძირითად აქცენტს აკეთებს საზოგადოებრივი ცხოვრების რამდენიმე სფეროზე, მაგ.: ერთ-ერთი ასეთია კონსუმერიზმი, რომლის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებლის ინტერესები, ბოიკოტი გამოუცხადოს მომსახურების დაბალ დონეს, უხარისხო პროდუქციას, უპასუხისმგებლობას, სახალხოდ დაადანაშაულოს და ამხილოს ის მონოპოლიები, რომლებიც თავიანთი უხარისხო პროდუქციის ფასად საშიშროებას უქმნიან მომხმარებელთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

„ახალი პოპულისტები“ მიიჩნევენ, რომ ასეთი მიდგომა პრობლემისადმი, იძულებულს გახდის მწარმოებელს გაითვალისწინოს და შეღავათი გაუწიოს მომხმარებელთა ინტერესებს. „ახალი პოპულისტების“ მიერ წამოჭრილ იქნა კიდევ ერთი პრობლემა — საარჩევნო სისტემა. მათი აზრით, აშშ-ში ხელისუფლება დამოკიდებულია ბიზნესზე, რის გამოც მთავრობაში მოხვედრა უბრალო ხალხისათვის შეუ-

ძლებელია, მათ წინ ჩინეთის დიდი კედლის მსგავსი ფულის კედელი ეღობებათ.

ახალი პოპულიზმის მეთოდები გამოიყენა მ. ტეტჩერმაც, კერძოდ მან მიზნად დაისახა დაეპყრო და მიემხრო საზოგადოებრივი აზრი. „ტეტჩერიზმის“ კონცეფციის ავტორები: მ. ჯეიკსი და ს. ჰოლლი, აღიშნავენ ტეტჩერის პოპულიზმის არაერთგვაროვნებას, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ინგლისელი ერისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ფასეულობები: ნაცია, ოჯახი, მოვალეობის შეგრძნება, ავტორიტეტი, სტანდარტები და ნეოლიბერალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი პრინციპები: ადამიანთა პირადი იტერესების რეალიზება, ინდივიდუალიზმის დამკვიდრება და კონკურენციის ხელისშეწყობა. მ. ჯეიკსი და ს. ჰოლი, **მ. ტეტჩერის** მოღვაწეობას აფასებენ, როგორც ავტორიტარულ პოპულიზმს.

„ახალი პოპულისტები“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დარწმუნების მეთოდს, მათი აგიტაცია ყოველთვის მიმართულია ხალხის გრძნობებზე, ასევე ფართოდ იყენებენ „ხალხში გასვლას“ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

XX-ის 70-იან წლებში, აშშ-ში ახალი ძალით იფეთქა პოპულისტურმა მოძრაობამ, კერძოდ, უოლტერგეისტის კრიზისის შემდეგ, (რასაც მოჰყვა რესპუბლიკელებისა და მათი პრეზიდენტის – რ. ნიქსონის მარცხი ამერიკაში) აღმოცენდა ახალი ულტრაკონსერვატორული პოლიტიკური ორგანიზაციები, მაგ.: ნაციონალ-კონსერვატორული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი, მემარჯვენე რელიგიური ორგანიზაციები, თავისუფალი კონგრესის მხარდამჭერი კომიტეტი, ახალგაზრდობის საქმეთა პოლიტიკური კომიტეტი და ა.შ. ეს ორგანიზაციები „ახალი მემარჯვენეების“ სახელით გახდნენ ცნობილი. „ახლებმა“ პოპულისტური მეთოდების გამოყენების შედეგად ფართო მასების მხარდაჭერა მოიპოვეს, მათ ლიდერებად ამერიკელი პოლიტოლოგები მიიჩნევენ რ. რეიგანს და **ჯ. ბუშს** (უმცროსს). „მემარჯვენე პოპულისტთა“ ტაქტიკა

ეყრდნობოდა ძალისმიერ კონფრონტაციას და მასების ცნობიერებით მანიპულირებას.

XX-ს 80-იან წწ-ში დემოკრატებმა დაასრულეს ახალ რეფორმისტულ პროგრამაზე მუშაობა, ამის შემდეგ პოლიტიკურ ლექსიკონში ჩნდება ახალი ტერმინი – ნეოლიბერალები, მათ ძირითად მიზნად დაისახეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა და მისი ტექნოლოგიების ახლებურად აღჭურვა, ბრძოლა გამოუცხადეს ბიუროკრატიას. ასე წარმოიშვა „მემარცხენე პოპულიზმი“, რომელთაც გამარჯვებას მიაღწიეს 1992 წელს, ბილ კლინტონის გაპრეზიდენტებით.

სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური პროცესების დროს, (იქნება ეს გარდამავალი პერიოდი, თუ სოციალურ-ეკონომიკური ძვრები) საზოგადოების წინაშე დგება ლიდერის მოთხოვნილების საკითხი. ასეთი პოლიტიკური ლიდერი ხალხის მიერ ხშირად აღიქმება როგორც ქარიზმა, მესია, რომელსაც შეუძლია დასძლიოს ქვეყანაში არსებული სიძნელეები და უზრუნველყოს საზოგადოება ნათელი მომავლით. ასეთი ლიდერი ვერ გაექცევა პოპულიზმის მეთოდების გამოყენებას, რაც ხდება როგორც მიზანმიმართულად, ისე – გაუცნობიერებლადაც. მაგ.: ამერიკული პრესა იუწყებოდა, რომ ბუში უმცროსისათვის დამახასიათებელია პოპულიზმი, ვინაიდან იგი ლაპარაკობს ხალხისათვის გასაგებ ენაზე, არის ხალხის მსგავსი, უბრალო, მან ზუსტად გათვალა თავისი წარმატებების შესაძლებლობა, როდესაც აქცენტი გააკეთა გადასახადების შემცირების თაობაზე: ჩემი პროგრამის მიხედვით, ის ოჯახი, რომელსაც საერთო შემოსავალი აქვს 50 ათასი დოლარი, 50%-ით ნაკლებ გადასახადს გადაიხდის – აღნიშნა მან წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი ოვაციები და კეთილგანწყობა მოჰყვა, მსგავსი განცხადება გააკეთა **მ. სააკაშვილმაც,** რომელიც მცირე მეწარმეებს შეჰპირდა ორი წლისგანმავლობაში გადასახადებისაგან განთავისუფლებას.

ხშირად პოპულისტური განცხადებები გათვლილია მო-

ქალაქეთა იმ ნაწილზე, რომელთაც შედარებით დაბალი პოლიტიკური კულტურა და უსამართლობის გამძაფრებული გრძნობა გააჩნიათ, ამ შემთხვევაში ისინი იჯერებენ იმას, რისი გაგებაც და დაჯერებაც სურთ, თუმცა აქ იმალება საშიშროებაც: თუ პოპულიზმი სპეკულაციურია და ადგილი აქვს დემაგოგიას, სწორედ საზოგადოების ეს ნაწილი შეიძლება გახდეს დიდი სოციალური აფეთქების ინიციატორი.

პოპულიზმი აქტიურად გამოიყენება რუსი პოლიტიკოსების მიერ, მაგ.: **ვ. ჟირინოვსკი** მუდამ აპელირებს რუსების ნაციონალ-პატრიოტული თემებით, მისი პოპულიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც მემარჯვენე პოპულიზმის მეთოდი და შესაბამისად — დემაგოგია. მისთვის დამახასიათებელია ეროვნული შუღლის გაღვივება, შოვინიზმი (კერძოდ, რუსების წაქეზება ქართველების წინააღმდეგ) და ქსენოფობია. იგი ხშირად მიმართავს „ხალხში გასვლის" მეთოდს, საკმაოდ კარგად ეხერხება პოლიტიკური შოუების მოწყობა და ხალხზე მზრუნველი პოლიტიკოსის იმიჯის შექმნა, იგი საკმაოდ გულუხვია დაპირებებშიც, მაგ: 1993 წ-ს საარჩევნო კამპანიის დროს, ამომრჩევლებს შეჰპირდა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში, ისინი მეორე დღიდანვე იგრძნობდნენ ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლას, მართალია ეს დაპირება სპეკულაციურია, მაგრამ იგი სწორედ ასეთი დემაგოგიით ინარჩუნებდა პოლიტიკურ რეიტინგს.

კარგად ფლობდა ხალხში გასვლის მეთოდს **ბ. ელცინიც,** — მე ამოცანად დავისახე უბრალოდ კი არ მემგზავრა მეტროთი ან ავტობუსით პიკის საათებში, არამედ საკუთარ თავზე გამომეცადა ის, თუ როგორ აღწევდნენ მოსკოველები სამუშაომდე, — იხსენებს იგი. ელცინს შეიძლება შეხვედროდით ყველგან: ბაზრობებზე, მაღაზიებში, ხალხმრავალ ადგილებზე, საცხოვრებელ სახლებთან და ა. შ. მან თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას იმდენად კარგად შეუთავსა პოპულიზმის მეთოდები, რომ ერთადერთ, უალტერნატივო ლიდერად იქცა რუსეთში.

პოპულისტები მსოფლიოში არსებულ მრავალ გლობალურ პრობლემებს ეხმაურებიან, ეს არის: ეკოლოგიური საფრთხე, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, მოსალოდნელი თერმობირთვული კატასტროფა, შიმშილი „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, თვითმკვლელობის ზრდა რიგ ქვეყნებში, ნარკომანია, შიდსი, სულიერი დეგრადაცია, ინდივიდუალიზმი და სხვ.

ამ პრობლემათა გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა „ახალი ეპოქის მოძრაობა“, რომელიც თავისი არსით პოპულისტურია და მიზნად ისახავს ახალ საუკუნეში დიდი ცვლილებების განხორციელებას ადამიანების შემეცნების და მომავლის შეცვლით.

პოპულისტური ხასიათის სოციალური მოძრაობა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, არის მოძრაობა „ქრისტიანული სოციალიზმისათვის“, იგი ეყრდნობა იესოს ქადაგებებს და მისი წევრები ქრისტიან სოციალისტებად იწოდებიან. „ქრისტიანული სოციალიზმი“: ეს არის მთელი კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა ძველ და ახალ აღთქმას, იგი დაამუშავა ფრანგმა აბატმა და ფილოსოფოსმა – ფელისტე რობერ დე ლამენემ და პიერ ლერუმ XIXს-ს I ნახევარში. ეს მოძრაობა დროთა განმავლობაში განვითარდა დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში, XXს-ს 70–იან წლებში იგი ახალი ძალით გააქტიურდა, რასაც ხელი შეუწყო დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ პუბლიცისტის მოღვაწეობამ. „ქრისტიანული სოციალიზმი“ ორიენტირებულია ხალხის ფართო მასებზე. გარდა ქრისტიანული მორალის დამკვიდრებისა ამ მოძრაობის მიზანია: დემოკრატიის განვითარება, ეკონომიკის დეცენტრალიზაცია, საგანმანათლებო სისტემის დემოკრატიზაცია, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, მშვიდობის დაცვა და შენარჩუნება. **„პოპულიზმი შინაგანად აპოლიტიკურია და არ გააჩნია საფუძველი მდგრადი პარტიული სისტემის შესაქმნელად... იგი მარტო დემოკრატიით არ შემოიფარგლება. იგი სახელმ-**

წიფოსაგან ითხოვს რესტავრაციას, თუმცა არ ენდობა სახელმწიფოს და ბიუროკრატიას“ [6.162].

პოპულიზმი საზოგადოების უკმაყოფილებას ხელისუფლებისაკენ მიმართავს, თუმცა მისთვის მიუღებელია რევოლუციური გამოსვლები. მიუხედავად მისი დემოკრატიული ხასიათისა, პოპულიზმი სულაც არ არის უნივერსალური.

პოპულიზმს მსოფლიოს სხვადასხვა ენციკლოპედიები სხვადასხვანაირად ხსნიან, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

• ამერიკული ენციკლოპედია მეტად მშრალი განმარტებით შემოიფარგლება: „პოპულიზმი არის სახალხო პარტია, რომელმაც არსებობა დაიწყო აშშ-ში იმ წლებში, როდესაც ქვეყანაში ქაოსური მდგომარეობა იყო შექმნილი და პირველ პლანზე უყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო პრობლემებს“. [7.21]

• პოპულიზმი არის პოლიტიკოსის დამახასიათებელი თვისება, რომელიც ცდილობს გამოხატოს ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების აზრები და სურვილები. [8. 8.59]

• „პოპულიზმი არის ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანია მასების ინტერესებისა და უფლებების წინ წამოწევა“. [9.167]

• „პოპულიზმი – ფერმერების პარტია აშშ-ში, რომელიც შეიქმნა 1892წ. და მოითხოვდნენ: დაბალპროცენტიან კრედიტებს; პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღებას; ტრანსპორტის, ტელეფონის, ტელეგრაფის ნაციონალიზაციას; მუშათათვის 8 სთ-იანი სამუშაო დღის შემოღებას. [10.325]

• „პოპულიზმი არის პოლიტიკოსის სტილი, რომელიც ეყრდნობა:1. პრიმიტიულ ლოზუნგებს და ჩააგონებს მას ხალხს; 2. პოლიტიკური ლიდერის თვისება, რომელიც დემაგოგიისკენ იხრება. სიტყვა „პოპულიზმი“ ზუსტად შეესაბამება მათ, ვინც მხარს უჭერს ხელისუფლების ქმედებას, როგორც უთანასწორების შესამცირებლად, ისე სოციალური წესრიგის განსამტკიცებლად. [11.20]

• „პოპულიზმი არის პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც ეყრდნობა აშშ-ს სახალხო პარტია. პოპულისტები კი მიეკუთნებიან ასეთი პარტიისა და შეხედულებების მომხრეებს. მათ შორის შეიძლება განვიხილოთ: იტალიელი ფაშისტები და რუსი კომუნისტები“. [12.390] აღნიშნავს ესპანური ენციკლოპედია „სოპენა“, თუმცა პოპულიზმი ერთიანად ახასიათებთ როგორც ტოტალიტარული, ისე ავტორიტარული და დემოკრატიული რეჟიმის ლიდერებს და ეს მარტო ფაშისტებისა და კომუნისტების დამახასიათებელი ნიშანი არ არის.

პოპულისტურ მოძრაობას შეიძლება მივაკუთნოთ „ნაროდნიკული“ მოძრაობაც, მაგალითად, ფრანგული ენციკლოპედია (Larousse) აღნიშნავს, რომ პოპულიზმი არის: 1. იდეოლოგია და პოლიტიკური მოძრაობა, (народничество), რომელიც განვითარდა რუსეთში 1870-იან წლებში და ცდილობდა სოციალიზმის დაცვას და მის წინ წამოწევას. [13.340]

სავსებით სამართლიანია „ნაროდნიკების“ მოძრაობის განხილვა პოპულისტურ ჭრილში. ეს მოძრაობა თავისი პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლად ხშირად იყენებდა „ხალხში სიარულის, გასვლის“ მეთოდს, აქედან მოდის მათი სახელწოდებაც “ხალხოსნები“. ისინი ითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას, თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურთა ლიკვიდაციას, მთელი ხალხის თავისუფლებასა და თანასწორობას. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა იდეა სავსებით აკმაყოფილებს პოპულისტურ მეთოდებს. მაგ.: აგრარული საკითხი, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებულმა პოპულისტურმა (პოპულარები) პარტიამ წამოაყენა, იგივე მოთხოვნა ჰქონდათ XIX-ში აშშ-ში პოპულისტებს, აგრარული საკითხის გადაწყვეტის გარდა ისინი ითხოვდნენ საზოგადოების თავისუფლებასა და თანასწორობას. ასე, რომ სავსებით შესაძლებელია ნაროდნიკებს პოპულისტები ვუწოდოთ. (ძირითადი იდეოლოგები იყვნენ: მ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, პ. ტკაჩოვი).

1874 წელს ნაროდნიკებმა დაიწყეს ცნობილი პოპულისტური მეთოდის განხორციელება, ეს იყო „ხალხში გასვლის“ აქცია. მოხალისეები წავიდნენ სოფლებსა თუ გუბერნიებში, განაწილდნენ სხვადასხვა სამუშაოებზე და ხელი მიჰყვეს ფართო აგიტაცია-პროპაგანდას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასეთი მცდელობისა, მათ ვერ მოახერხეს გლეხთა აჯანყება, ვინაიდან მათი საუბარი არ იყო სოციალიზირებულ ენაზე წარმართული, რის გამოც გაუნათლებელი გლეხობა ვერ გადმოიბირეს, რასაც ვერ ვიტყვით ბოლშევიკებზე, რომლებიც ხალხის ენაზე საუბრობდნენ, ჩააგონებდნენ მათ სხვადასხვა ლოზუნგებს და ადვილად მანიპულირებდნენ მათი გრძნობებით. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა „ხალხში გასვლისა“, ნაროდნიკები ლოზუნგების თემასაც იყენებდნენ – „მიწა და თავისუფლება“, „რევოლუცია ხალხთა მასების საქმეა“ [14.137]. თუმცა, იყო მათ მოღვაწეობაში არაპოპულისტური მეთოდები – ამბოხება და შეთქმულება, ხოლო პოპულიზმი, როგორც ცნობილია ხელისუფლების მოპოვების არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდს იყენებს.

მსოფლიო პოლიტიკური გამოცდილება მოწმობს, რომ პოპულიზმი აქტუალური ხდება, როდესაც ქვეყნები თავიანთ ისტორიაში რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს განიცდიან, გარდამავალ პერიოდში და არჩევნების წინ. პოპულიზმი საარჩევნო ტექნოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად ითვლება. მას გააჩნია არსებული რთული საკითხების მარტივად გადაჭრის პრიორიტეტი.

პოპულიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკური ლიდერის დამახასიათებელი თვისება, რომლის ძირითადი მეთოდებია:

- **„თამაში“ ხალხის გრძნობებზე, სოციალიზირებული ენით საუბარი მათთან;**
- **ხალხში გასვლა (აპელირება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ხალხის ფართო მასებთან);**
- **სახალხო დიპლომატია;**

• მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაბედული, მტკიცე, შეუპოვარი და თვითდაჯერებული პოლიტიკოსის იმიჯის შექმნა;

• საკუთარი პროგრამის მოკლედ და გასაგებად გადმოცემის შესაძლებლობა;

• მოჩვენებითი წარმოდგენის შექმნა – „მეც თქვენნაირი ვარ“;

• ხალხის ნაციონალური გრძნობებით მანიპულირება: თანადგომის დემონსტრირება ცნობილი პიროვნებების მხრიდან (ესტრადის, კინოს ვარსკვლავები, სხვა ცნობილი ელიტური სახეები);

• მრავალფეროვანი დაპირებები;

• მესიჯები და ლოზუნგები.

პოპულიზმი განსაკუთრებით ძლიერდება არჩევნების წინ. ამ დროს ყველა პოლიტიკური ლიდერი, თუ პარტია ყველა საშუალებით ცდილობს დაარწმუნოს ხალხი თავისი პიროვნების აუცილებლობაში, თუმცა გასათვალისწინებელია ერთი ჭეშმარიტება: ადამიანები არასოდეს არ ცრუობენ ისე, როგორც ნადირობის შემდეგ, ომის დროს ან არჩევნების წინ. /ოტო ფონ ბისმარკი/

წინასაარჩევნო პოპულიზმის მაგალითები მრავლადაა როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში. ამ კუთხით შეიძლება რამდენიმე ფაქტი გამოვყოთ: 1994წ. იტალიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა მოძრაობამ „წინ, იტალია“, რომლის პოლიტიკური ლიდერი იყო ს. ბერლუსკონი. ეს უკანასკნელი თავადვე აღნიშნავდა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ვერც კი წარმოიდგენდა თუკი ამხელა წარმატებებს მიაღწევდა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მან ფართოდ გამოიყენა ცნობილი პოპულარული მეთოდები: ხშირი სატელევიზიო გამოსვლები, რეკლამები, სოციოლოგიური გამოკითხვები (რომელიც ბერლუსკონის რეიტინგის აწევას და რეკლამირებას ეწეოდა), ცნობილი ელიტური სახეების მხრიდან თანადგომის დემონსტრირება,

მესიჯების და ლოზუნგების გამოყენება: „წინ იტალია“; „მე შევქმნი მილიონ სამუშაო ადგილს (იგივე ლოზუნგით: „მილიონი სამუშაო ადგილი“, გამოდიოდა „მოქალაქეთა კავშირი“ 1999 წლის არჩევნების დროს, რითიც საკმაოდ ადვილად მოახერხეს ხალხის დარწმუნება – ეს შეიძლება მივაკუთნოთ სპეკულაციურ პოპულიზმს). „მე მივაღწიე წარმატებას ჩემს წარმოებაში და ასევე წარმატება ელის იტალიას ჩემი არჩევის შემთხვევაში“ [15.89] და სხვ. პოლიტიკოსებმა იტალიელი პოპულისტების ეს გამარჯვება “ბერლუსკონიზმად“ მონათლეს, რომლის ძირითადი პოპულისტური მეთოდები იყო სატელევიზიო რეკლამა, რეიტინგები და მასების განწყობაზე ლოზუნგებით ზემოქმედება. ევროპელი პოლიტოლოგები პოპულისტი პოლიტიკოსების სიაში ს. ბერლუსკონის გვერდით განიხილავენ იტალიური მმართველი პარტიის კოალიციის – „ჩრდ.ლიგა“ ლიდერს: **უმბერტო ბოსისს,** ფრანგ ულტრანაციონალისტ **ჟან-მარი ლე პენს,** ავსტრიელ **იორგ ჰაიდერს,** რუს ვლ. **ჟირინოვსკის** და ა.შ.

ჟან-მარი ლე პენის ნაციონალისტური პოპულიზმი გამოიხატება იმაში, რომ იგი ითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ემიგრაცია საფრანგეთში და ყველა უცხოელი, რომელთაც არ გააჩნიათ აქ ცხოვრების იურიდიული უფლება, დააბრუნონ თავიანთ სამშობლოში; შეიქმნას სამედიცინო დაზღვევის ორი განცალკევებული სისტემა – ერთი ფრანგებისათვის, მეორე უცხოელთათვის; გამოვიდეს საფრანგეთი ყველა საერთაშორისო ფორუმიდან (მაგ.: მაასტრიხტის, ამსტერდამის ხელშეკრულებების დენონსირება), რომელიც ეხება ეკონომიკის გლობალიზაციას; ჩატარდეს რეფერენდუმი შემდეგ საკითხებზე: 1.სიკვდილით დასჯის აღდგენა. 2.აბორტების აკრძალვა; 3.საფრანგეთის გამოსვლა საერთოევროპული სავალუტო ევროს სივრციდან; 4.საფრანგეთის სახელისუფლებო ინსტიტუტების ძირეული რეფორმა; 5.მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. ასეთი შეხედულებების გამო მისი პოლიტიკა შეფასებულია, როგორც მემარჯვენე პოპულიზმი. ზლე

პენმა საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგი: **„თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“** – რომელიც ასევე პოპულიზმის ლოზუნგადაც ითვლება, შეცვალა შემდეგით: “სამუშაო, ოჯახი, სამშობლო“. მისი აზრით, თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა ვერ განვითარდება იქ, სადაც არ არის სამშობლოს სიყვარული, სადაც არ არის სამუშაო პირობები – რაც უზრუნველყოფს ქვეყნის აყვავებას და სადაც ოჯახი არ არის მყარი სოციალური უჯრედი, რომელიც უზრუნველყოფს ერის ცხოვრება-განვითარებას.Zლე პენის პოლიტიკას ნაწილობრივ იმეორებს „ჩრდ. Zლიგის“ ლიდერი უმბერტო ბოსიც: იგი ითხოვდა უცხოელების სტატუსის განსაზღვრას, იმიგრაციის პრობლემების გადაჭრას და ა.შ. ამ შეხედულებათა გამო, „ევროკავშირმა“ „ჩრდილოეთის Zლიგა“ ულტრანაციონალიზმში დაადანაშაულა და გარკვეული შეშფოთება გამოთქვა. თავის მხრივ იმიგრაციის პრობლემას ბრიტანეთის მთავრობაც განიხილავს, მათ გადაწყვიტეს გაამკაცრონ კონტროლი ვიზების გაცემაზე, ლტოლვილებზე და შესაბამისი ქულათა სისტემის საფუძველზე შეარჩიონ ბრიტანეთის ეკონომიკისათვის უფრო სასურველი ადამიანები. შეზღუდვები შეეხო ასევე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უფლების მოპოვების პირობებსაც, მოქალაქეობას მიიღებს ის, ვინც იქნება კვალიფიციური თანამშრომელი და შესძლებს საკუთარი თავის მატერიალურად უზრუნველყოფას. ასე, რომ სიმპატიები ძველი ღირებულებების მიმართ, ანტიგლობალისტური და ვიწრონაციონალისტური შეხედულებები საკმაოდ ძლიერია ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგ.: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთში, ასეთი სახის ნაციონალ-პოპულისტებს ყველა ქვეყანაში გააჩნია თავისი მრავალრიცხოვანი ელექტორატი.

ნაციონალურ პოპულიზმს არც საქართველოს პოლიტიკური ისტორიაა მოკლებული, კერძოდ, XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს მთავრობაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. ამ პე-

რიოდში მეტად აქტუალური იყო ნაციონალური პოპულიზმი. მისი ძირითადი საკითხები იყო: დემოკრატიის განვითარება, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის აღდგენა. თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სათავეში მოვიდა, ეყრდნობოდა ნაციონალურ პოპულიზმს, მაგალითად, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეს საკითხი თითქმის ყველა რესპუბლიკის წინაშე დადგა: 1990 წ. 11 მარტს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო ლიტვის რესპუბლიკამ, რომლის სათავეში ნაციონალური იდეოლოგიის მატარებელი ვ. ლანდსბერგისი მოვიდა. ეროვნული ძალები მოვიდნენ საქართველოს მთავრობაშიც და 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ აღადგინა 1918 წელს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. ნაციონალური პოპულიზმის ძირითადი მიზნები იყო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სუვერენიტეტი - ამ მიზნების ირგვლივ დაირაზმა მთელი საქართველო.

ნაციონალური პოპულიზმი მისაღებია მაშინ, როდესაც იგი ემსახურება ჭეშმარიტ ეროვნულ გრძნობებს და არა შოვინიზმსა და ეთნოკონფლიქტებს. მაგალითად: ჰიტლერის პოპულიზმი უფრო ნაციონალისტური იყო, ვიდრე – ნაციონალური. მის ნაციონალურ–სოციალურ თეორიასა და პრაქტიკაში საკმაოდ ეფექტურად იმოქმედა ისეთმა პოპულისტურმა მეთოდმა, როგორიცაა ნაციონალისტური და ნაცისტური მებრძოლი სულის გაღვივება: „არიული რასა კაცობრიობის პრომეთეა, წერდა იგი, ყველა ძირითადი გენიმა კაცობრიობის პროგრესისა, ყველა უდიდესი ქვა, აუცილებელი მშენებლობისთვის – არიელმა მოგვცა“. [16.26] მისი ძირითადი ნაციონალურ-პოპულისტური ლოზუნგი იყო „Deutshland uberalles˜, რომლის საშუალებითაც მოახერხა მასებზე ზემოქმედება და მოვიდა ქვეყნის სათავეში, თუმცა, ეს იყო სახელმწიფო, რომელიც შექმნა თვით ჰიტლერმა და რომელიც ქადაგებდა რასიზმს, შოვინიზმს, ნაციონალიზმს და

ტოტალიტარიზმს. იგივე მეთოდებს იყენებდა ბ. მუსოლინიც, მან ძველი რომის იმპერიის აღდგენის იდეა წამოაყენა, რითაც რომაელთა უპირატესობას ქადაგებდა სხვა ერებთან შედარებით.

ასე რომ, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი არის ის ნეგატიური და მიუღებელი ფორმა პოპულისტური მეთოდებისა, როგორიცაა ნაციონალისტური პოპულიზმი; ხოლო როგორც პოლიტიკური ლიდერის დამახასიათებელი ნიშანი, იგი ნაცისტური და დემაგოგიური პოპულიზმის სახეა.

ნაციონალურ პოპულიზმს ადგილი ჰქონდა ასევე აფრიკის რიგ ქვეყნებში, სადაც უპირველესი პრობლემა იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი საკითხი. აზიის ქვეყნებში და ინდოეთში ამ მოძრაობის წამყვანი ლიდერები იყვნენ: მ. განდი, სუკარნო, სუნ იატ-სენი, თუმცა, ინდოეთში გარდა ნაციონალური პოპულიზმისა ადგილი ჰქონდა სასოფლო (აგრარულ) პოპულიზმს, რომელიც მიმართული იყო უფრო მეტად ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ – ვიდრე თვით კაპიტალიზმისაკენ.

პოპულიზმის მეთოდებს კარგად იყენებენ ამერიკელი პრეზიდენტებიც, მაგალითად, რეიგანმა თავისი საპრეზიდენტო სიტყვით გამოსვლისას ასე მიმართა ხალხს – მე არ ვარ საკმარისად საზრიანი იმისთვის, რომ თქვენ მოგატყუოთ!, ამ ფრაზით მან უამრავი ამერიკელის კეთილგანწყობას მიაღწია, თუმცა, სანამ ეს ფრაზა ასე ეფექტურად გაჟღერდებოდა, მასზე ათობით ინტელექტუალი მუშაობდა.

1916 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა განაცხადა: – ჩვენ დიდი როლი უნდა შევასრულოთ მსოფლიოში, ბოლო ერთი თუ ორი წლის განმავლობაში ჩვენ მოვალეთა ქვეყანა აღარ ვართ და კრედიტორთა ქვეყანად ვიქეცით. ამიერიდან ჩვენი საქმეა გავცეთ სესხები, დავეხმაროთ დიდ საერთაშორისო საწარმოებს და ხელი შევუწყოთ მათ წინსვლას. ჩვენ ვაფინანსებთ მსოფლიოს და უნდა შევძლოთ

ჩვენს ჭკუაზე ვატაროთ იგი, და მართლაც, ეს ნაციონალურ-პოპულისტური მოწოდება დროთა განმავლობაში რეალობად იქცა.

პოპულიზმის უკეთ გასარკვევად აუცილებელია განისაზღვროს მისი არსი – რეალურია ის, თუ სპეკულაციური:

რეალურია პოპულიზმი, როდესაც ამა თუ იმ პარტიისა თუ ლიდერის დაპირება შესაძლებელია შესრულდეს (თუნდაც რაღაც გარკვეული ნაწილი);

სპეკულაციური – როდესაც დაპირება ცრუა, არარეალურია და მხოლოდ ხელისუფლების სათავეში მოსვლის მიზნით გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველა პოლიტიკური ლიდერი თუ პოლიტიკური პარტია იყენებს პოპულიზმის მეთოდებს და ამიტომ, რომ არ მოტყუვდეს საზოგადოება, საჭიროა ერთმანეთისაგან გაარჩიოს პოლიტიკოსის რეალური (შესრულებადი) და ცრუ (დემაგოგიური) პოპულიზმი.

პოპულიზმი შეიძლება იყოს: იდეოლოგია; სოც. პოლიტიკური მოძრაობა; სპეციფიკური პოლიტიკური ფსიქოლოგია; ეკონომიკური, აგრარული, ნაციონალური ან ნაციონალისტური.

ეკონომიკური პოპულიზმისათვის დამახასიათებელია: ნაციონალური მრეწველობის განვითარება, ეროვნული შემოსავლების ზრდა და მისი გონივრულად განაწილება, სამუშაო ადგილების შექმნა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ. ეკონომიკური პოპულიზმის ორი ტიპი არსებობს:

კლასიკური (ანუ ტრადიციული), რომელიც დამახასიათებელია ავტორიტარული და ნაციონალისტური რეჟიმებისათვის. ამ შემთხვევაში ხელისუფლების მიზანია „ეკონომიკური სასწაულის“ მოხდენა. ხელისუფლების ლეგიტიმიზაცია ემყარება სამხედრო ან ნახევრადსამხედრო დიქტატორულ რეჟიმს. ამის მაგალითია 60-80-იანი წლების ბრაზილია, და 50-80-იანი წლების არგენტინა, ორივე ქვეყანას საკმაოდ დიდი

ხნის განმავლობაში მართავდა სამხედრო ხელისუფლება.

ეკონომიკური პოპულიზმის მეორე ვარიანტია მემარცხენე პოპულიზმი. ამის მაგალითია: ს. ალიენდეს პოლიტიკა ჩილეში, (1971-73წწ.), რომლის მიზანი იყო სოციალიზმის აშენება რეფორმების გზით და სანდინისტების ნაციონალური ფრონტი პერუში. ორივე მთავრობა დღის წესრიგში აყენებდა სოციალურ საკითხს, დასაქმების უზრუნველყოფას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შერეული ეკონომიკის განვითარებას, პოლიტიკურ პლურალიზმს და ა.შ. პოპულიზმი ადვილად ვრცელდება და იკიდებს ფეხს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მოკლებულია პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას. ასეთ საზოგადოებას არ ძალუძს განასხვავოს დემაგოგია რეალური წინადადებებისაგან, ამიტომ ასეთ გარემოცვაში ადვილია მასების მართვა პოპულისტის მიერ: ხალხი ეძებს და ქმნის ლიდერს, ხოლო ოპოზიციის მიმართ აგრესიულადაა განწყობილი.

პოპულისტთა ზეგავლენის ქვეშ ადვილად ექცევა ლუმპელური ფენა, სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობის ნაწილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების გზაზე, შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც პოპულიზმს ექვემდებარება კეთილმოსურნე, განათლებული ფენაც, რომელიც სოციალური, თუ ეკონომიკური (ან სხვა) პრობლემების გამო ცდილობს ვინმესთან (ამ შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერისგან) გაიგოს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზები, ანუ სურს გაიგოს ის, რისი გაგებაც სურს.

2003 წელს, საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო, ხალხის უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია. მ. სააკაშვილმა და მისმა მოკავშირე ბურჯანაძე-დემოკრატებმა გამოიყენეს სამართლიანობის აღდგენის განდისეული მეთოდი, რაც გამოიხატა უსისხლო, ე.წ. „ხავერდოვან“ „ვარდების რევოლუციაში“. ასე, რომ ის ლოზუნგი, რომელიც **მ. სააკაშვილის** წინასაარჩევნო გამოსვლებს ლაიტმოტივად გასდევდა

– „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ 2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტ – ე. შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. „ვარდების რევოლუცია“ ერთგვარი დასასრული გახდა იმ სოციალური თუ ეკონომიკური პოპულიზმის, რომელიც ჩაისახა და მომწიფდა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა ამით არ დამთავრებულა ქართული პოლიტიკური პოპულიზმი.

„ჩვენ ავაშენებთ ძალიან ღირსეულ, ძალიან კარგ საქართველოს, ისეთს, როგორშიც მე და თქვენ გვინდა რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ“ - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ (ტელეკომპანია „მზე“, 2002წ. 22 ნოემბერი) ჩვენ შევდივართ ახალ ეპოქაში, ჩვენ გავიმარჯვებთ, მსოფლიო ჩვენთან არის... გიორგობის დღე უნდა იყოს ჩვენი გადარჩენის, გამარჯვების დღე, გამოდით სახლებიდან, შემოგვიერთდით... ახლა წყდება თქვენი ბედი – მიმართავდა სააკაშვილი რუსთავი 2-ის ეთერით ხალხს 23 ნოემბერს. სააკაშვილისა და ბურჯანაძის პოპულისტურ მიმართვებს არც ჟვანია ჩამორჩებოდა, „გულანთებულო, ლამაზო, გაბრაზებულო ქალებო და კაცებო, გაუმარჯოს ჩვენს ერთიანობას და ერთად ყოფნას!.. თქვენი აქ დგომით მსოფლიოს ვუმტკიცებთ, რომ ქართველ კაცს შეიძლება შიოდეს, სწყუროდეს, მაგრამ საკუთარ ღირსებას და თავისუფლებას არავის დაუთმობს“ [17].

პოზიციას სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი „დემოკრატიული აღორძინების კავშირიც“ გამოეხმაურა, რომელთა მხარდასაჭერად ხალხი აჭარიდან ჩამოიყვენეს პარლამენტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე. Zლიდერი ამ მიტინგზეც გამოიკვეთა: „ჩვენ გავათავისუფლებთ ქვეყანას ფაშიზმისგან, არ დავანებებთ ხელი იშვირონ აჭარისკენ და თქვან, იქ აყალბებენო. გინდათ ხალხო ისე იცხოვროთ, როგორც იქ ცხოვრობენ?“ [18] – იკითხა ჯემალ გოგიტიძემ და პასუხმაც არ დააყოვნა - „გვინდა!“, თუმცა, აჭარა არაფრით არ განსხვავდებოდა მთელს საქართველოში არ-

სებული სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვებისაგან, მაგრამ ა. აბაშიძე და აღორძინების ლიდერები ხალხს აჯერებდნენ, რომ აჭარაში ყველაფერი კარგადაა – ესეც საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების პოპულისტური მეთოდია.

პოპულიზმი ახასიათებს ძლიერ, ქარიზმულ ლიდერს, ბელადს, წინამძღოლს, რომლისთვისაც უმთავრესია „ხალხის ხმა“, მათი განწყობა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა. პოპულიზმი შეიძლება იყოს სოციალური დემაგოგიის სახეც, რომელიც ხორციელდება პოლიტიკაში.

პოპულიზმი: თეორია და პრაქტიკა

პოპულისტი ლიდერი დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩევა (ეს უნარი ძველი რომის პოპულისტების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო), იგი პირდაპირ კონტაქტზე გადის ხალხთან, ყოველთვის აქცენტირებს, რომ „მეც უბრალო, თქვენნაირი ადამიანი ვარ“, „მე ვიბრძვი ჩემი და თქვენი შვილების მომავლისთვის“ – განსაკუთრებით ამ ბოლო ფრაზას ხშირად იყენებდნენ ქართველი პოლიტიკოსებიც, მაგ: „მომიტინგეები ჩემი შვილები და შვილიშვილები არიან“ – თქვა **ე. შევარდნაძემ** 2003 წლის 10 ნოემბერს კრწანისის რეზიდენციაში ოპოზიციის ლიდერებთან (ბურჯანაძე, ჟვანია, სააკაშვილი) შეხვედრისას. თავის მხრივ „შვილების“ თემას ეს უკანასკნელნიც იყენებდნენ. პოპულისტი პოლიტიკოსი ყოველთვის აფიქსირებს, რომ ხალხის სურვილი – უმაღლესი კანონია.

პოპულიზმისთვის დამახასიათებელია დღის წესრიგში დემოკრატიული და პროგრესული მოთხოვნების დაყენება. იგი შეიძლება იყოს რადიკალური იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს მას ლიდერი. რაც უფრო რადიკალია ლიდერი, მით უფრო მეტად იყენებს იგი პოპულისტურ მეთოდებს - ისახავს მიზანს, ეძიებს გზებს მიზნის მისაღწევად და შემდეგ

ახდენს საშუალებების რეალიზებას მოცემული მიზნის მისაღწევად.

პოპულისტი ლიდერი ნაკლებად ფიქრობს შედეგებზე. მას აინტერესებს აწმყო, რაც შეიძლება მეტი ხმები და ხალხთა სიმპატიები „დღეს“, მომავალში კი სხვა ლოზუნგები დადგება დღის წესრიგში. მისი ძირითადი მიზანია ყოველთვის იყოს ხალხის ფავორიტი, თუმცა როდესაც ლიდერი ნეგატიური თვისებების მატარებელია, იგი ტოტალიტარულ დიქტატურას ამყარებს. ასევე საშიშია ასეთი პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმული ლოზუნგებიც, რომელიც ხალხის ცნობიერებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ხოლო ნებისმიერი ვინც შეეცდება ასეთი ლიდერის პოლიტიკურ კურსს შეეწინააღმდეგოს - არსებული ლიდერისგან დიქტატორად ცხადდება.

საერთო ჯამში პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური ცნება, შეუძლებელია მივიღოთ ან ხელაღებით უარვყოთ. საჭიროა განისაზღვროს მისი მიზანი, ბრძოლის გზა, მეთოდები, რომელსაც იყენებს პოპულიზმი მიზნის მისაღწევად და ბოლოს, შედეგები – რას მოუტანს იგი საზოგადოებას.

პოპულისტური თემის გამოყენება აქტუალური ხდება არჩევნების დროს ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც პოლიტიკური (საარჩევნო) მარკეტინგის დარგი, რომელიც ფართოდ იყენებს დარწმუნების მეთოდს. მასებზე ზემოქმედების მიზნით კეთდება ელექტორატის სოციოლოგიური კვლევები, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, იქმნება სატელევიზიო-სარეკლამო რგოლები, იმართება დებატები პირდაპირ ეთერში, ტარდება კანდიდატთა მხარდასაჭერი ღონისძიებები, იბეჭდება უამრავი წინასაარჩევნო ბუკლეტები, პროგრამები თუ ლოზუნგები.

ზემოქმედება საზოგადოებაზე (ან ელექტორატზე) პოპულიზმის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. იგი ხორციელდება საპროგრამო, იდეოლოგიური და სხვა დოკუმენტების საშუალებით, გამოიყენება საინფორმაციო რეკლამა, ე.წ. PR, რაც საბოლოოდ ხელისუფლების მიღების მიზნით ხორციელდება.

ნებისმიერი პოლიტიკოსი საარჩევნო კამპანიის განხორციელებისას აქტიურად იყენებს პოპულიზმის რეალურ თუ სპეკულაციურ მეთოდებს. აგიტაციის დროს, კანდიდატი ყველანაირი ხერხებით და საშუალებებით ზემოქმედებს ხალხზე – განურჩევლად სოციალური ჯგუფებისა და ინტერესებისა. ამ დროს ხაზგასმით აღინიშნება პრეტენდენტის ღირსებები, სურვილები და ის გეგმები, რომელთა განხორციელებასაც იგი ჰპირდება ხალხს მისი არჩევის შემთხვევაში. თუმცა, ეს დაპირებები შეიძლება იყოს როგორც რეალური, ისე – არარეალური, ამიტომ აუცილებელია საზოგადოება ერკვეოდეს პოპულიზმის იმ მეთოდებში, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ამომრჩეველის ინდივიდუალური და ჯგუფური ცნობიერების მანიპულირება.

მართალია პოპულიზმი, როგორც თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი მიმართულება შედარებით ახალი მოვლენაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი შეგონება – „ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“. მას შემდეგ, რაც წერილობითი და დოკუმენტური წყაროები გაჩდნენ, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დანამდვილებით მსჯელობა პოლიტიკასა და პოლიტიკურ განვითარებაზე, ცნება –“პოპულიზმი“ თან ახლავს სახელმწიფოთა განვითარებას. Rეს ეხება უკვე მსოფლიოს პირველ სახელმწიფოებს და პირველ წიგნს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე არისტოტელეს „პოლიტიკას“, თუმცა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ობიექტი და უმთავრესი მიზანი რა თქმა უნდა ასეთი ისტორიული მიმოხილვა არაა. ჩვენ მიზნად ვისახავთ პოპულიზმის, როგორც თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გამოყენებითი პოლიტოლოგიურ კვლევას და ამით მისთვის შემეცნებასთან ერთად, პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათის მიცემას.

პოლიტიკური მარკეტინგი, მასში შემავალი მეთოდების გამოყენებით, ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი საშუ-

ალებაა. ამ მხრივ გამოიყენება იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების მეთოდები – დარწმუნება, მანიპულირება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება და სიცრუის მეთოდები; ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს კი იყენებს პოპულიზმიც. დარწმუნების დროს ხდება ზემოქმედება საზოგადოების შეგნებასა და აზროვნებაზე, მანიპულირების დროს – იმართება ამომრჩევლის პოლიტიკური ცნობიერება და ქცევა.

სპეკულაციური პოპულიზმის გამოყენების დროს ხდება ინფორმაციის განგებ შემცირება, ან ჭარბი რაოდენობით მიწოდება. ამ ინფორმაციული ნაკადიდან ხალხი ითვისებს იმას, რაც ადასტურებს მათ უკვე ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, იჯერებენ იმას, რისი დაჯერება და გაგებაც სურთ.

პოპულისტი ლიდერი, თუ პოლიტიკური მოღვაწე, მიზნის მისაღწევად იძლევა სხვადასხვა დაპირებებს, ხაზს უსვამს თავის უპირატესობას სხვა კანდიდატურებთან მიმართებაში, ხშირად მოწინააღმდეგეების მიმართ იწყებს კომპრომატების გამომზეურებას, რათა ამით აიმაღლოს საკუთარი ავტორიტეტი.

ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის თვისობრივია პოლიტიკოსთა ერთი პარტიიდან მეორე პარტიაში ერთგვარი „სპრინტი“, ხშირია მათ მიერ პოლიტიკური მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის თუ პოლიტიკური პროგრამის ცვლა, ვინაიდან, ის ამომრჩეველი, რომელმაც უკვე ერთხელ განიცადა იმედგაცრუება და გახდა სპეკულაციური პოპულიზმის მსხვერპლი, მეორედ უკვე აღარ იჯერებს მოქმედი პოლიტიკოსების განსაკუთრებულ სიკარგეს. ამიტომ, პოპულისტი პოლიტიკოსი ცდილობს რაიმე ახალი შესთავაზოს ელექტორატს.

საკუთარი არჩევანის გაკეთების დროს, საკმაოდ რთულ ვითარებაში ვარდება ამომრჩეველი, ვინაიდან მან უნდა გააკეთოს არჩევანი რამდენიმედან ერთ კანდიდატზე ან პარტიის სასარგებლოდ. თავის მხრივ, კანდიდატები ელექტორატს მთელ პოლიტიკურ პლატფორმას სთავაზობენ, აძლევენ

ათასგვარ დაპირებებს, თუმცა იმისი გარანტიაც არსებობს, რომ ეს დაპირებები (ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა) შემდგომში არ შესრულდება.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები წარმოადგენს რამდენიმე კანდიდატის კონკურენციას, რომლებიც იბრძვიან ამომრჩეველთა სიმპატიების მოსაპოვებლად.

თავისუფალ საზოგადოებაში ძირითადი პასუხისმგებლობა მოქალაქეებს ენიჭებათ, რომელთაც უნდა აირჩიონ ისეთი კანდიდატი, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს ხალხის ინტერესებს, შესძლებს ამომრჩეველთა ინტერესების დაცვას და მოახდენს წინასაარჩევნო პროგრამის რეალიზებას. არჩევნები საშუალებას გვაძლევს ხელისუფლების სათავეში მოვიდეს ღირსეული მთავრობა.

ნებისმიერ ქვეყანაში, არჩევნების წინ იქმნება წინასაარჩევნო სიტუაცია, რაც აისახება როგორც პოლიტიკური ძალების, ისე საზოგადოებრივი, თუ სოციალური ჯგუფების მოღვაწეობაზე, წამყვანი როლი ენიჭება ასევე ამ პროცესებში მასმედიასა და სარეკლამო საქმიანობასაც.

საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად გამოიყენება სოციოლოგიური გამოკვლევები, ეგზიტპოლები, თუმცა ზოგი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს ასეთი მეთოდებით ამომრჩეველთა ქცევისა და განწყობის განსაზღვრას, რომელთა ერთი ნაწილი აქტიური ამომრჩეველია, მეორე – ეჭვქვეშ აყენებს თავის მონაწილეობას ამ საქმეში, მესამე კი საერთოდ არ ერევა ამ პროცესებში.

ამომრჩეველთა განწყობაზე ზეგავლენას ახდენს როგორც პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებები, ისე ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური (თუმცა ეს პრობლემა საქართველოში თითქმის არავის აღელვებს), საკანონმდებლო და ა.შ. ზოგადი პოლიტიკური ვითარება.

თუ გავითვალისწინებთ მარკეტინგის პრინციპებს, რომლის თანახმადაც „უნდა აწარმოო ის, რაც იყიდება“, კანდი-

დატმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ საკითხებს, რომელიც აქტუალურად დგას საზოგადოების პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში, თუმცა კანდიდატის პროგრამა ნაკლებად მოქმედებს ამომრჩევლის ცნობიერებაზე, ვიდრე ლოზუნგები და მესიჯები.

იდეოლოგები მუშაობენ იმ კუთხით, რომ უფრო ლაკონური და სოციალიზირებული გახადონ პარტიისა თუ კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა. ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რეალური, ისე სპეკულაციური პოპულისტური დაპირებებიც, გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებისათვის (პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის შესახებ) გამოიყენება პოლიტიკური კომუნიკაციების მთელი კომპლექსი – რეკლამა, წინასაარჩევნო ფურცლები, მოწოდებები, ბუკლეტები, პროგრამები, გაზეთების სპეციალური გამოშვებები, კონფერენციები, შეხვედრები ამომრჩევლებთან („ხალხში გასვლა"), მიტინგები, ლობიზმი, სოციოლოგიური გამოკითხვები და პროგნოზები, რომელიც ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ. საერთოდ, პოლიტიკური მარკეტინგი საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაციას და მისი მართვის საკითხებს შეისწავლის და მოიცავს სისტემათა იმ ჯგუფს, რომელიც ზემოქმედებს ადამიანთა ცნობიერებაზე, ქცევაზე და სხვადასხვა გაერთიანებასა თუ ორგანიზაციებზე.

პოლიტიკური მარკეტინგი ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა. აღსანიშნავია იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების ორი ძირითადი ეტაპი:

დარწმუნება – გულისხმობს ადამიანების პატიოსან, პირდაპირ მართვას, მათ შეგნებასა და კრიტიკულ აზროვნებასთან აპელირებას.

მანიპულირება – ადამიანთა ცნობიერებისა და ქცევის ფარული მართვა, მათი იძულება იმოქმედონ (ან არ იმოქმედონ) თავიანთი ინტერესების საზიანოდ.

მასობრივი ცნობიერება ხშირად ყოველგვარი გააზრებისა

და კრიტიკის გარეშე აღიქვამს და იჯერებს იმას, რისი დაჯერებაც და გაგონებაც სურს. ამას კი პოპულისტი კანდიდატი თავის სასარგებლოდ იყენებს.

„ამერიკელი მეცნიერი რ. გუდვინი მანიპულირების ფსიქოლოგიურ და რაციონალურ მეთოდებს გამოყოფს", ფსიქოლოგიური მეთოდის საშუალებით ხდება მანიპულატორისგან სასურველი რეაქციის გამოწვევა და მიღება, „რაციონალური მოდელი კი გულისხმობს სიცრუის, ადამიანთა მოტყუების გამოყენებას" [19.58]. ამ მეთოდში შეიძლება განხილულ იქნას პოპულიზმიც: მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, ამომრჩეველი ყოველთვის ხდება ინდივიდუალური თუ ჯგუფური ცნობიერების მანიპულირების „მსხვერპლი", ამიტომ აუცილებელია ფართო საზოგადოებისთვის იმ მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა, რომლის გამოყენებითაც ხდება მათზე იდეურ–პოლიტიკური ზემოქმედება. საერთო ჯამში, საარჩევნო მარკეტინგი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია პოპულისტური მეთოდების გამოყენება, გულისხმობს მთლიანად საზოგადოების ან კონკრეტული ჯგუფების შესწავლას და კანდიდატის იმ თვისებებს გამოავლენს, რომელთა მიმართაც განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს საზოგადოება. საარჩევნო მარკეტინგის მეთოდების გამოყენებისას ირკვევა თუ რა სახის ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პრეტენდენტს ამომრჩეველთან, რომელი საკითხია აქტუალური და როგორ შეიძლება მისი გადაჭრა მარტივი საშუალებების გამოყენებით.

პოპულისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ვინაიდან მსოფლიოს ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მართვას უარყოფით შედეგებამდე მიეყავართ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება კი შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით, პოლიტიკური თუ სო-

ციალ-პოლიტიკური მეთოდების მანიპულირებით და მანევრებით.

ხოსე ორტეგა ი გასეტი აღნიშნავს, რომ: ადამიანთა უმრავლესობას არ გააჩნია საკუთარი აზრი, ამიტომ, ის მათ მზა სახით უნდა მიეწოდოთ. ამ საკითხის შესახებ საინტერესოა ჰიტლერის მოსაზრებაც, რომელიც მასებზე ზემოქმედების არა მარტო პოპულისტურ, არამედ ოკულტურ ძალასაც ფლობდა: – მასებს ქალის ხასიათი აქვთ, მათ საქციელს უმეტეს შემთხვევაში გრძნობები განსაზღვრავს და არა გონება, ამასთან ერთად ეს გრძნობები მეტად მარტივია.

პოლიტიკური მანიპულირება მდგომარეობს საზოგადოების აზროვნებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოქმედებაში, რომელშიც შედის: ბეჭდითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი, მათი მეშვეობით ხდება ნეგატიური, ან პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მმართველი ელიტის შესახებ, არჩევნების დროს, კი ჭარბი ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ პარტიისა და კანდიდატის შესახებ. სოციალ-პოლიტიკურ მანევრირებას საკმაოდ ფართო პოლიტიკური არეალი აქვს, ეს შეიძლება იყოს სეპარატისტული გარიგებები, დროებითი პოლიტიკური ბლოკების შექმნა, პოპულისტური განცხადებებისა და ლოზუნგების გაკეთება და სხვ.

მასებს უნდა მისცე ის, რაც სჭირდება, უნდა გააგონო ის, რისი გაგებაც სურს, ოღონდ ამისთვის ჯერ უნდა შთააგონო, რომ რასაც სთავაზობენ, საუკეთესოა მათთვის, შემდეგ კი ეს ყოველივე უნდა განახორციელო ეტაპობროვად და არა ერთბაშად - აღნიშნავს ნიცშე. პოლიტიკური ლიდერი იმდენად ჭარბი საზოგადოებრივი აზრის გამტარია, რომ ხშირად სწორედ საზოგადოება თავად უბიძგებს მას პოპულიზმისკენ.

საერთო ჯამში, პოპულიზმის ძირითად მეთოდებში შეიძლება განვიხილოთ: საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, „თამაში“ მათ გრძნობებზე, ხალხის სახელით საუბარი, მათი უკმაყოფილების მიმართვა არსებული რეჟიმის წინააღ-

მდეგ, „ხალხში გასვლა“, პირდაპირი კონტაქტი ხალხსა და ლიდერს შორის, მრავალრიცხოვანი დაპირებები პრობლემათა სწრაფად და იოლად გადაწყვეტის შესახებ.

პოპულისტური მეთოდების გამოყენებისას აუცილებელია სიფრთხილე, ვინაიდან პოპულისტურ მოღვაწეობას ხშირად მიეყავართ უარყოფით შედეგებამდე: ეს შეიძლება იყოს: ხალხის უკმაყოფილება სახელისუფლებო ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკური ანგარიშსწორება, ხალხის სამოქალაქო მონაწილეობის შესუსტება, ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები, ხალხის ჩამოშორება ხელისუფლებისაგან, სოციალური არეულობა და თვით რევოლუცია, ან სახელისუფლებო გადატრიალება.

პოპულიზმი ხშირად ემსახურება არაკეთილსინდისიერ რეკლამას, ვინაიდან იგი გადაჭარბებული სახით წარმოადგენს კანდიდატის შესაძლებლობებს. არჩევნების დროს პოლიტიკოსის ერთგვარი „გაყიდვა“ ხდება, ამიტომ დაპირებებიც ყველა პოლიტიკოსის, პარტიისა თუ კანდიდატის დამახასიათებელი ნიშანია, არჩევნების დროს კი განმსაზღვრელი ფაქტორი, მეორე საკითხია, თუ რამდენად შესრულდება მოცემული დაპირება, რამდენად გულახდილია პოლიტიკური ლიდერი თავის სამომავლო გეგმების განხორციელებაში, შეცვლის იგი თუ არა არსებულ სიტუაციას უკეთესობისაკენ, ერთი სიტყვით, აუცილებელია დაპირება სპეკულაციურ პოპულიზმად არ დარჩეს, თუმცა ყველა როდია ცრუ და სპეკულაციური.

მსოფლიოში არ არსებობს არცერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია გაუყალბებელი, ნამდვილი, პატიოსანი თუ გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება. ეს შეეხება დემოკრატიულ სისტემასაც, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ დემოკრატიის პირობებში ხდება პოლიტიკური კონკურენცია და ათასგვარი საარჩევნო მარკეტინგის ტექნოლოგიის გამოყენება.

პოპულისტური მეთოდების რანგში შეგვიძლია განვიხ-

ილოთ თეთრი და შავი ტექნოლოგიებიც როგორც პიარის გარკვეული სახე. PR ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „საზოგადოებასთან ურთიერთობას“, მას მიმართავს ყველა პოლიტიკოსი, რომელიც პოპულისტურ მეთოდებს იყენებს. განსხვავება შავ და თეთრ პიარს შორის მდგომარეობს იმაში, რომ თეთრი პიარის გამოყენების დროს კანდიდატის მოღვაწეობა ჯდება ზნეობრივ და ეთიკურ ჩარჩოებში, თუმცა იყენებს სპეკულაციური პოპულიზმის მეთოდებს, არწმუნებს უბრალო ხალხს მოცემული კანდიდატის უპირატესობაში „აბრუებს“ სხვადასხვა სახის დაპირებებით, მიმართავს ტყუილს, მანიპულირებს ამომრჩევლის გრძნობებით განურჩევლად სოციალური წრისა და ჯგუფებისა, უმუშევრებს პირდება სამუშაო ადგილების შექმნას, კორუფციის აღმოფხვრას, ანაბრების დაბრუნებას, ხელფასების თუ პენსიების მომატებას, უფასო განათლებას და სამედიცინო მომსახურეობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და სხვ.

საარჩევნო კამპანიის დროს დიდ როლს ასრულებს ტელევიზიაც, რომელიც ხშირად მაგნატების, ან ოლოგარქების ხელშია და ემსახურება იმ კანდიდატის ინტერესებს, რომელსაც ცენტრალური პრესისა ან ტელევიზიის მფლობელები უჭერენ მხარს. მაგალითად: იტალიის პრემიერ-მინისტრი ს. ბერლუსკონი ერთ-ერთი ტელემაგნატია, ამის გამო, მას საკუთარი მასმედია ყოველთვის უდიდეს პოლიტიკოსად წარმოაჩენდა. სატელევიზიო კომერციულმა ბიზნესმა მას ისეთი პოპულარობა მოუტანა, რომ პრეზიდენტმა 1999წ. არჩევნებში მთავრობის ჩამოყალიბება ბერლუსკონის დაავალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი 1999-2000 წლებში ეკონომიკური ბრალდებებით სასამართლოს წინაშეც წარადგინეს, საბოლოოდ (გადასახადების თავიდან არიდება და ქრთამის მიღება) მაინც გაამართლეს და 2001 წლიდან ისევ პრემიერის სავარძელში აღმოჩნდა. **ს. ბერლუსკონი** ევროპაში უბრალოდ მოდაშია, მოდაშია მისი ჩაცმის სტილი და ყველაფერი, რა-

საც ის აკეთებს. ამაში შედის მისი მედიამაგნატობაც. მოდაშია ასევე მისი დიპლომატია და მიდგომის სტილი. ბერლუსკონი, საერთო ენას ყველასთან პოულობს: - ხელოსანს უმტკიცებს, რომ თავის პირველ ოფისში პარკეტი საკუთარი ხელით დააგო, ფერმერებს უყვება, თუ როგორ ეხმარებოდა მშობლებს ფერმაში, ბიზნესმენებს კი თავისი რამდენიმე „ფერარით“ აგრძნობინებს – მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარო“.

ამომრჩეველზე ზემოქმედების ერთ-ერთი ხერხია სოციოლოგიური გამოკითხვებიც, რაც თეთრი PR-ს ტექნოლოგიას განეკუთვნება. ხშირად ხდება, რომ პრესით თუ ტელევიზიით გადის შეკვეთილი (შესაბამისი თანხის გადახდის შედეგად) სოციოლოგიური გამოკითხვები, რომელიც ხალხს არწმუნებს ამა თუ იმ პარტიისა და კანდიდატის მზარდ რეიტინგში. საერთოდ, რაც უფრო დამაჯერებელი და თავხედურია ტყუილი კანდიდატისა მისი დაპირებების შესახებ, მით უფრო იჯერებს ხალხი მას. თეთრ ტექნოლოგიებს განეკუთვნება სააგიტაციო ბუკლეტები, პლაკატები, ფურცლები, ბილბორდები, რომელიც ამომრჩევლებს უნდა მიეწოდოს დიდი რაოდენობით და უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას. კანდიდატის წარდგენის დროს კი მის მხარდასაჭერად ხდება ცნობილი ადამიანების მხარდაჭერის დემონსტრირება.

რაც შეეხება „შავ პიარს“, იგი არის პოლიტიკური ბრძოლა „წესების გარეშე“, რომელიც იყენებს დემაგოგიას, ავანტიურას, კომპრომატების შეგროვებასა და გავრცელებას, შანტაჟს, ამომრჩევლის მოსყიდვას პროდუქტებით ან ფულით, კონკურენტების პლაკატების დამახინჯებას, (საღებავების გადასხმა, ჩამოხევა) და სასამართლოს გამოყენებით მიზნის მიღწევას. შავი PR–ის ერთ-ერთი მეთოდია არჩევნების გაყალბება, ე.წ. „კარუსელების“ მოწყობა, საარჩევნო ყუთების გატაცება, ფარული აგიტაცია ხმის მიცემის დროს, ოქმების ფალსიფიკაცია, სიებში „მკვდარი სულების“ შეტანა, საარჩევნო ბარათების განგებ არდარიგება, დესტაბილიზაციის შეტანა საარჩევნო ოლქებში. ასევე ამ მეთოდის ერთ-ერთი

ტაქტიკაა ნიჰილიზმის დამკვიდრება მოსახლეობაში არჩევნების მიმართ. უიმედობის ჩანერგვა ხალხში იმ მოტივით, რომ – ისედაც ყველაფერი ცნობილია „ის“ მაინც აირჩევა და არჩევნებზე მისვლას აზრი არა აქვს.

პოპულიზმი და დემაგოგია

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, დემაგოგებს უწოდებდნენ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩეოდნენ, პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში და მათი ერთგვარი ბელადის – წინამძღოლის როლს ასრულებდნენ. დროთა განმავლობაში დემაგოგიამ ნეგატიური შინაარსი შეიძინა. იგი არის „ცრუ დაპირებით და ფარისევლობით გაელენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ მასებზე – მათი ნდობის მოპოვების მიზნით“. [20.120] დემაგოგი განგებ ამახინჯებს ფაქტებს, არამართებულად აშუქებს მათ და პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მანიპულირებს ხალხის გრძნობებით. პოლიტოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „პოლიტიკოსი ხალხზე ზემოქმედების მიზნით იძულებულია მიმართოს დემაგოგიას“, [21.10-11] თუმცა, ეს საკამათო მოსაზრებაა. იმ შემთხვევაში, თუ დემაგოგია გამოყენებულ იქნება თავისი პირვანდელი სახით (როგორც ძვ. საბერძნეთში) – მაშინ მისაღებია, ხოლო თუ იგი იყენებს სპეკულაციური პოპულიზმისა და თანამედროვე დემაგოგიის მეთოდებს (სიცრუე, მლიქვნელობა, ფარისევლობა, ყალბი დაპირებები და ა.შ.) – მაშინ მიუღებელია.

ფრანგი მწერალი ანდრე მორუა დემაგოგიის შესახებ აღნიშნავს: „დემაგოგი ხალხის გაჭირვებაზე სპეკულირებს და იმისათვის, რომ გაიმარჯვოს, პირდება ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა, მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ ამ დაპირებების შესრულება მის ძალებს აღემატება. ამგვარმა ტყუილმა შეიძლება მოიტანოს დროებითი წარმატება, მა-

გრამ მას ყოველთვის თან სდევს საშინელი გამოღვიძება, რომელსაც მოჰყვება ან რეაქცია, ან თუ დემაგოგი ყველაფრის მიუხედავად ცდილობს დარჩეს ხელისუფლების სათავეში – დიქტატურა“ [22.9]. შესაძლებელია დემაგოგიურმა პოლიტიკამ წარმატება მოუტანოს პოლიტიკოსს, მაგრამ ეს წარმატებაც ეფემერულია: „სახელმწიფო წისქვილი ფქვავს ნელა, მაგრამ სწორედ“. ასე რომ, ადრე თუ გვიან ცრუ პოპულიზმის და დემაგოგიის გამოყენება კრახით მთავრდება.

დემოკრატიის პოლიტიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკოსი ხალხს მიმართავს, რათა მოიპოვოს მისი თანადგომა და მხარდაჭერა, რაც არ უნდა გასცდეს პოპულიზმის ეთიკურ საზღვრებს. „დემოკრატია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდი, რომლის გამოყენების შედეგად ლიდერი სამართლიანია, „სუფთა“ პოლიტიკური ბრძოლისა და კონკურენციის დროს, იღებს ხელისუფლებას ამომრჩეველთა მხარდაჭერის ხარჯზე“ [23.698] – აღნიშნავს ავსტრიელი პოლიტიკოსი **ი. შუმპეტერი**. რაც შეეხება დემაგოგს, საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად იგი იყენებს თაღლითობას, სიცრუეს და ტყუილ დაპირებებს, ყველა „ბინძური“ ხერხების გამოყენებით ახდენს მასების პროვოცირებას, ცდილობს მოიპოვოს სიმპატიები მათი მოტყუების ხარჯზე. სწორედ ამის გამო დემაგოგია თანამედროვე პოლიტიკაში ნეგატიურ მოვლენად არის შეფასებული.

პოპულიზმი გარკვეულწილად სოციალური და პოლიტიკური დემაგოგიის სფეროა, მაგრამ მარტო იმ შემთხვევაში, თუ იგი სპეკულაციურია და ეყრდნობა სიცრუეს და არარეალურ დაპირებებს, დანარჩენ სხვა შემთხვევაში (კერძოდ, რეალური პოპულიზმის დროს) დემაგოგია არ გამოიყენება.

განვითარებული დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, დემაგოგია იბლოკება სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების თუ სამოქალაქო საზოგადოების მიერ, რომლებიც უმცირესობის უფლებებს იცავენ, მაგრამ რაც შეეხება

„ახალბედა“ დემოკრატიას, დემაგოგია მისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

ცხადია, ცრუ დაპირებებს პოლიტიკაში უარყოფით შედეგებამდე მივყავართ, დემაგოგიას კი როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდს, გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება მოჰყვეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ან უარეს შემთხვევაში დიქტატურის დამყარება.

ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების სივრცეში, იმ რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონე დაბალია, ხშირია პოლიტიკოსების მიერ ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობის ცნობიერებაზე აპელირება, რის გამოც ისახება არასტაბილური დამოკიდებულება და ზიზღი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის (კერძოდ, ღარიბების ან საშუალო კლასის აგრესია კერძო თუ მსხვილი ბიზნესმენების მიმართ).

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, მასების ცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით, თითქმის ყველა პოლიტიკოსი იყენებს მლიქვნელობის მეთოდს, თუმცა პოლიტიკოსი შესაძლებელია არ იყოს დემაგოგი და უბრალოდ ზედმეტი ემოციურობის გამო ჭეშმარიტ აღფრთოვანებას გამოხატავდეს ამომრჩევლის, ან ზოგადად თავისი ერის მიმართ.

საკმაოდ რთულია განვასხვავოთ თუ როდის მლიქვნელობს პოლიტიკოსი და როდის გამოხატავს ჭეშმარიტ აღფრთოვანებას (თუმცა რამდენად უხდება პოლიტიკას ემოცია ეს სხვა საკითხია), ამიტომ, დემაგოგიის თითოეული მეთოდის გამოყენებისას პოლიტიკოსს ვერ დავადანაშაულებთ დემაგოგიაში, ამისათვის საჭიროა იგი დემაგოგიის მთელ კომპლექსურ (ან უმრავლესობას მაინც) მეთოდებს იყენებდეს პოლიტიკური ბრძოლის დროს.

მაგალითად, შეუძლებელია ეჭვის შეტანა ი. ჭავჭავაძის გულწრფელობაში, რომელიც მთელი თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე თანაბარი ობი-

ექტურობით აშუქებდა ქართველი ერის მანკიერებასა თუ ღირსებას და სასტიკად ებრძოდა მლიქვნელობას – **„ჩვენ, საწყალ ქართველებს, ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი, ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რასაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთი შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა“** [24.84], წერდა იგი. სწორედ მისი სამართლიანობის, გულწრფელობისა და მუდამ ერზე ზრუნვის გამო შერაცხა იგი ხალხმა „ერის მამად“, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჭეშმარიტ აღფრთოვანებას გამოხატავდა **ზ. გამსახურდია** ქართველი ერის მიმართ, იგი მუდამ აქცენტირებდა **„საქართველოს სულიერ მისიაზე“** და მის მდიდარ **ისტორიულ წარსულზე. მ. სააკაშვილი,** რომელმაც თავის საპრეზიდენტო სიტყვაში განაცხადა: **„ჩვენი ერი არის უნიკალური ერი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში... ჩვენი ერი იმსახურებს ბევრად უკეთეს მომავალს... მე ვხდები ამაყი ხალხის პრეზიდენტი“**. [25.] აღსანიშნავია, რომ მ. ტეტჩერიც მუდამ გამოხტავდა აღფრთოვანებას ინგლისური ერის ღირსების გამო. მისი აზრით, ინგლისელთა ნაციონალური ხასიათის საუკეთესო თვისება იყო მათი სიამაყე და სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ზემოთ აღნიშნულისგან განსხვავებით, მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში არსებობდნენ (და კვლავაც არსებობენ) პოლიტიკოსები, რომლებიც დემაგოგიის – კერძოდ, მლიქვნელობის საშუალებით ცდილობდნენ ხალხის სიმპატიების მოპოვებას, მაგ.: ს. ჰუსეინმა თავისის 30 წლიანი ბატონობის დროს, ოფიციალურ პოლიტიკურ კონცეფციად აქცია „ბაბილონის იმპერიის“ აღდგენა, ისევე, როგორც ბ. მუსოლინმა ძვ. რომის იმპერიის დიდების დაბრუნება, ხოლო ა. ჰიტლერმა – არიული რასის, როგორც გერმანელების წინაპრების, უპირატესობა და გაბატონება მთელს მსოფლიოზე. რა იყო ეს, პირადი ამბიციების

დაკმაყოფილება თუ უბრალოდ დემაგოგია, რაც მოქმედი პოლიტიკოსების ხელისუფლების სათავეში მოსვლას შეუწყობს ხელს?! ერთი რამ ცხადია: ამ მიზანთა განხორციელება ხდებოდა, როგორც საკუთარი ხალხის, ისე სხვა ერების ტერორის ხარჯზე და სულაც არ ემსახურებოდა ხალხის კეთილდღეობას. "გერმანელი ერი არის რჩეული, საუკეთესო რასის წარმომადგენელი," – ამბობდა ჰიტლერი და მიზნად ისახავდა შედარებით სუსტი და უკულტურო რასების დამონება-დამორჩილებას. ამ მიზნის განსახორციელებლად კი საჭირო იყო ნაკლებ განვითარებული ერების – ებრაელების, პოლონელების, რუსების და სხვა „ბინძური" სისხლის მქონე ხალის მუშახელად, მოსამსახურეებად გადაქცევა. ჰიტლერი თავისი მოღვაწეობით კლასიკური დიქტატორის მაგალითია, იგი შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდა, მისი სიტყვა კანონზე მაღლა იდგა, ანუ თვითონ იყო კანონი, იგი ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, მეტიც – იგი თავს მესიად მიიჩნევდა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისევე როგორც ყველა დიქტატორს სჩვევია, ჰიტლერმა გაანადგურა ოპოზიცია, აკრძალა პოლიტიკური პარტიები, უამრავი ხალხი გადაასახლა და ამოჟლიტა საკონცენტრაციო ბანაკებში. მან თავისი პოლიტიკური დემაგოგიის ძირითად მეთოდად აქცია: ტყუილი, ძალადობა, აგრესია, უპასუხისმგებლობა, ქსენოფობია, იგი ატყუებდა თავის ხალხს, რომ მეტად იოლი იყო გამარჯვების მოპოვება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოებზე, სადაც გერმანელი ხალხი მშვიდობიანად და უზრუნველად იცხოვრებდა. იგი ატყუებდა არა მარტო თავის ხალხს, არამედ სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებსაც, როდესაც მეგობრობასა და მშვიდობას ჰპირდებოდა, შემდეგ კი მათ მოულოდნელად დარტყმას აყენებდა (მაგალითად: 1939 წლის 23 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირის შორის დადებული პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს,

გერმანიის მხრიდან თავდასხმით დაგვირგვინდა; დაირღვა ასევე 1919 წლის 28 ივნისს დადებული ვერსალის საზავო ხელშეკრულება, რასაც რაინის ოკუპაცია მოჰყვა და ა.შ.).

ჰიტლერმა თავისი დემაგოგიით თითქმის მთელი ერი კრიმინალებად აქცია. უდაოა, რომ იგი იყო ქარიზმატული პიროვნება, შეეძლო მაგნიტივით მიეზიდა ადამიანები და ემართა თავისი სურვილისამებრ, თუმცა, ეს მან კაცობრიობის საზიანოდ გამოიყენა, ამიტომ იყო, რომ გერმანიაში დაისადგურა აგრესიამ და სიცრუემ, თითქმის მთელი ერი კაცობრიობის მტრად გადაიქცა, ხოლო ვინც მის შეგონებებს არ დაემორჩილა, განადგურებულ იქნა.

შოვინისტური და ნაცისტური დემაგოგიისგან განსხვავებით, არიან პოლიტიკოსები, რომლებიც „ნაკლებ ბოროტებას“ სჩადიან და გამოირჩევიან დემაგოგიური ლოზუნგების სიუხვით, მაგ.: ვ. ჰაველი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა თავისი ერის მიმართ იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ანტიკომუნისტური რევოლუცია „ხავერდოვანი“ სახით მოხდა. ს. მილოშევიჩი თავის გამოსვლებში ხალხს არწმუნებდა, რომ 1995 წლისათვის სერბიაში ცხოვრების შვედური დონე იქნებოდა (რაც არარეალური დაპირება იყო). მ. გორბაჩოვი 1990 წელს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის დამკვიდრებას უწინასწარმეტყველებდა სსრკ-ს ქვეყნებს, თუმცა ამ დაპირებებში თვითონაც ვერ ხვდებოდა როგორ „შემოენგრა ქვეყანა“. ე. შევარდნაძემ 2003 წელს განაცხადა, რომ საქართველოში მომავალში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები – საინტერესოა რის ხარჯზე იძლეოდა იგი ამ გარანტიებს?! დემაგოგიური ლოზუნგები დამახასიათებელი იყო სსრკ-ს თითქმის ყველაზე უდარდელი და წარმატებული ცხოვრების პირობები მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეს ჰქონდა, ხოლო „საზიზღარი კაპიტალისტური ქვეყნების“ მოქალაქეებს შიმშილისაგან სული სძვრებოდათ.

საერთო ჯამში, დემაგოგიურ მიმართვებს მოსახლეობის მიმართ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსები

ხშირად იყენებენ, რაც მხოლოდ ხალხის მოტყუებას და მოქმედი პოლიტიკოსის პოზიციების გამყარებას ემსახურება ისევ და ისევ საზოგადოების მოლოდინით მანიპულირების ხარჯზე.

დემაგოგიის მეთოდები: დროთა განმავლობაში პოპულიზმი ყველა პოლიტიკოსის პოლიტიკური მოღვაწეობის აუცილებელი ატრიბუტი ხდება, თუმცა მისი გამოყენება ნეგატიურ ასპექტში კლებულობს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში არსებობს მაღალი პოლიტიკური კულტურა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება მთელი თავისი ტოლერანტული და პლურალისტული შეხედულებებით. დემაგოგია ინარჩუნების თავის ნეგატიურ სტატუსს როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში. შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ ზოგიერთი მკვლევარის აზრს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოპულიზმი დემაგოგიის შემადგენელი ნაწილია, ანუ ყოველგვარი პოპულიზმი დემაგოგიაა, მაგარამ ყოველგვარი დემაგოგია როდია პოპულიზმი.

დემაგოგია პირველადია, პოპულიზმი კი იმდენად, რამდენადაც დემაგოგიისგან წარმოიშვა — მეორადი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მან გამოიყენოს დემაგოგიის მეთოდები, მაინც სხვა ასპექტში განიხილება.

დემაგოგი პოლიტიკოსების ბრძოლის სტილია:

1. არარეალური დაპირებები;

2. ფარისევლობა, პირფერობა და მლიქვნელობა ხალხის მასების მიმართ — მათი ნდობის მოპოვების მიზნით;

3. საზოგადოების ყურადღების გადატანა იმ საკითხებზე, რომელსაც დემაგოგი პოლიტიკოსი თავად თვლის მომგებიანად;

4. აპელირება სოც-ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობის ცნობიერებაზე;

5. ფაქტების განგებ გაყალბება ან დამახინჯება (თავის სასარგებლოდ);

6. საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების

(კლასების) წაქეზება ერთმანეთის წინააღმდეგ პირადი ანგარების მიზნით;

7. „განტევების ვაცად“ და „დაჩაგრულ“ ადამიანად თავის წარმოჩენა (ხალხის თანაგრძნობის მოპოვების მიზნით).

– დემაგოგი ხშირად მიმართავს ფაქტების დამახინჯებას, არ ამბობს ბოლომდე სათქმელს, ღიად და კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს ბევრ რამეს, რის გამოც მსმენელმა შეიძლება არასწორი დასკვნა გამოიტანოს, თუმცა ესეც დემაგოგის სასიკეთოდ მოქმედებს, ვინაიდან იგი ცდილობს არ დატოვოს მტკიცებულება და ლავირება მოახდიონოს ნებისმიერ შემთხვევაში თავისდა სასარგებლოდ.

– დემაგოგი პირადაპირ დასმულ შეკითხვას ყოველთვის თავს არიდებს, საუბარი გადააქვს მისთვის უკვე დამუშავებულ და შესწავლილ საკითხებზე, ლაპარაკობს ყველაფერზე, მაგრამ არაფერზე – ძნელია დასკვნის გამოტანა.

– სიტუაციისდა მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ხშირად უხვევს თემიდან, ან პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვას, ყურადღება გადააქვს სხვა საკითხზე.

– დემაგოგი პოლემიკის დროს მიმართავს ოპონენტის არგუმენტაციის უარყოფა–გაბათილებას, იგნორირებას და დისკრედიტაციას. იგი დიალოგის დროს ტყუილების მთელ არსენალს იყენებს. ხშირად ოპონენტს აბრალებს იმას, რაც ამ უკანასკნელს არ გაუკეთებია, არ უთქვამს, თუმცა ამის მერე ძნელია თავის მართლება და გამარჯვებული მაინც დემაგოგი გამოდის. იგი გადადის პირად შეურაცხყოფაზე და ოპონენტის მხილებაზე, არასწორ კლასიფიკაციას აძლევს პოლიტიკურ მოვლენებს.

– დემაგოგიისთვის დამახასიათებელი დაუსაბუთებელი ლოზუნგების საშუალებით ხალხის დარწმუნება, მაგ: “ხმა მოგვეცით ჩვენ და ჩვენ მოგიტანთ ბედნიერ მომავალს“, თუმცა თუ როგორ აპირებს ამის განხორციელებას შესაბამის პროგრამაზე არაფერს ამბობს და მარტო ხალხის ემოციას იყენებს.

– დემაგოგი საჭიროებისმებრ იცვლის სტერეოტიპებს, იდეოლოგიურ დოგმებს, მაგ.: შეიძლება დემოკრატი პოლიტიკოსი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დიქტატორად გადაიქცეს, ან ავტორიტატული რეჟიმი დაამკვიდროს.

ერთი სიტყვით, დემაგოგია დემოკრატიის მტერია.

უნდა აღინიშნოს, რომ პოპულიზმი და დემაგოგია არ არის ერთგვაროვანი მოვლენა. მათ შორის არსებობს სხვაობა იმ კუთხით, რომ პოპულიზმს იყენებს ყველა პოლიტიკოსი (და არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები). პოლიტიკურ ცხოვრებაში აუცილებელია გიცნობდეს, მოსწონდე ხალხს, რაც პოპულისტური მეთოდების გამოყენების შედეგად მიიღწევა: ეს არის პირდაპირი კონტაქტი და სოციალიზირებული ენით საუბარი ხალხთან; საკუთარი შეხედულებებისა და პროგრამების მოკლედ, მარტივად გადმოცემა; აქტუალური პრობლემების დაყენება და მისი გადაჭრის გზების დასახვა; არსებული ხელისუფლების ობიექტური კრიტიკა; რეალური დაპირებები და სხვა. რაც შეეხება დემაგოგიას, იგი აგრესიული, სპეკულაციური პოპულიზმის მონათესავეა და არაფერი აქვს საერთო რეალურ პოპულიზმთან.

რუსი მეცნიერი **ბ. ჩიჩერინი წერდა: „აშშ-ში წარმატებას აღწევენ პოლიტიკოსები, რომელთაც დაკარგული აქვთ მორალური თვისებები და მიზნის მისაღწევად იყენებენ დემაგოგიას, პირფერობას ხალხის მიმართ. დემაგოგი ანგარების მიზნით ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებს ხალხს... დარიბებს – მდიდრების საწინააღმდეგოდ განაწყობს“** [26.182] დემაგოგიისთვის ასევე დამახასიათებელია „განტევების ვაცის“ ხატის შექმნა, საკუთარი თავის „მსხვერპლად“ და „დაჩაგრულ“ ადამიანად წარმოჩენა. ამის შესახებ ამერიკელი მეცნიერი, პოპულიზმის მკვლევარი **მ. კანოვანი** აღნიშნავს: **„განტევების ვაცის ხატის შექმნა, აშშ-ის პოლიტიკური საარჩევნო რგოლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა, რასაც**

გააჩნია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ფესვები: აშშ-ის პოლიტიკოსები ამ ხერხს იყენებენ იმისათვის, რომ მოაგროვონ რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის ხმა". [27.51] „ქართველები დიდი ნაციონალები არიან... ამიტომ თუ პოლიტიკოსს საქართველოს არჩევნებში გამარჯვება სურს, იძულებულია დემაგოგიას მიმართოს... მიშა (სააკაშვილი) იძულებულია დემაგოგი იყოს." [28]– აღნიშნავს მ. სააკაშვილის ყოფილი ლექტორი, აშშ-ის ერთ-ერთი საადვოკატო ფირმის პარტნიორი სკოტ ჰორტინი. თუმცა „ნიუ იორკ თაიმსი" თავის სარედაქციო სტატიაში საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ მ. სააკაშვილს ურჩევს, რომ **„ქვეყანაში არსებული რთული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია დემაგოგიისგან თავის შეკავება"**. [29] ისეთ საზოგადოებაში, სადაც მაღალია პოლიტიკური კულტურა არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და აზრთა პლურალიზმი, აგრესიული, დემაგოგიური, ცრუ და სპეკულაციური პოპულიზმის გავრცელება შეზღუდულია. ერთიან სისტემაში დემაგოგიური პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები ასეთია:

- **რეაქციული პოლიტიკა (უკიდურეს შემთხვევაში ნაციზმი ან ფაშიზმი);**
- **ცრუ, არარეალური დაპირებები;**
- **დემაგოგი პოლიტიკოსის მიერ საკუთარი თავის „მსხვერპლად" წარმოჩენა;**
- **დაძაბულობის შეტანა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის;**
- **ხალხის გრძნობებით მანიპულირება პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად;**
- **დაბნეულობის შეტანა საზოგადოებაში და მათი მოტყუება;**
- **პოლიტიკური ფაქტების გაყალბება და დამახინჯება;**
- **ხალხის მოთმინების გამოყენება.**

„როდესაც პოპულიზმი მიეკუთვნება მარჯვენა ფრთას, მისთვის დამახასიათებელია დემაგოგიისა და ფაშიზმის

სიმპტომები... მარჯვენა ფრთის პოპულიზმმა შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, რადგან იგი ხშირად პოპულარიზაციას უწევს ქსენოფობიას, ავტორიტარიზმს, „განტევების ვაცის ხატის“ შექმნას და კონსპირაციას, მან შეიძლება დააკანონოს დისკრიმინაცია და ძალადობა“ [30.128] – აღნიშნავს მ. კანოვანი.

პოლიტიკოსები ერთმანეთს ხშირად ადანაშაულებენ დემაგოგიაში, რაც ისეთ ცუდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რომ დემაგოგიაში ბრალდებული პოლიტიკოსების რეიტინგი მყისვე ეცემა. ეს კი ემსახურება ერთი კანდიდატის ღირსების წარმოჩენას (ამ შემთხვევაში ბრალდებული პოლიტიკოსის რეიტინგის აწევას, რომელიც შეიძლება თავად იყოს დემაგოგიის მომხმარებელი) და მეორე კანდიდატის დისკრედიტაციას (ბრალდებული პოლიტიკოსის ავტორიტეტის შელახვას).

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოპულიზმის – როგორც ტერმინის, ასევე პოლიტიკური ბრძოლის მეთოდის მიმართ მეტად ნეგატიური და ფრთხილი დამოკიდებულება არსებობს, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მას შეურაცხოფის კონტექსტშიც კი იყენებს, თუმცა, როგორც ბრალდებული, ასევე ბრალმდებელი პოლიტიკოსი თავად იყენებს ამ მეთოდებს. ამიტომ, აუცილებელია მეტი ინფორმაცია პოპულიზმის თეორიის, მეთოდებისა თუ ხერხების შესახებ, რათა ნათელი გახდეს როგორც პოლიტიკოსისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის როდის არის პოპულიზმი ნეგატიური (დემაგოგიური, ცრუ) და როდის პოზიტიური (რეალური) შინაარსის მატარებელი. ეს კი საშუალებას მოგვცემს, რომ აღარც პოლიტიკოსები ჩავარდნენ უხერხულ მდგომარეობაში პოპულიზმის არსის უცოდინრობის გამო და აღარც საზოგადოება შეცდეს თავის არჩევანში ცრუ და პატიოსან კანდიდატებს შორის.

დემაგოგიის გამოყენება მთავრდება მაშინ, როდესაც საზოგადოება ხვდება რომ მოატყუეს, გაუცრუეს მოლოდინი

და იმედები და შესაბამისად კარგავს ყველანაირ ნდობას დემაგოგი პოლიტიკოსის მიმართ. ასეთ სიტუაციაში საზოგადოების ნიჰილიზმიდან გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ მათი ნდობის აღდგენის ხარჯზე, რაც უნდა ეყრდნობოდეს სიმართლეს, გულწრფელობას, პოლიტიკური მოვლენების რეალური სურათის ასახვას, გამოსავალი გზების ძიებას და მოცემული დაპირებების რეალურ საფუძვლებს. ამის ნათელი მაგალითი გახდა 2003 წლის „ხავერდოვანი რევოლუცია" საქართველოში, როდესაც ნიჰილიზმში ჩავარდნილი, მოლოდინით გადაღლილი მოსახლეობა ნდობით განეწყო ახალი ძალების მიმართ, რასაც ძველი მთავრობის გადაყენება მოჰყვა. თუ რამდენად გამართლდება ეს იმედები – ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო რაც შეეხება დემაგოგი პოლიტიკოსის პოპულარობის დაკარგვას, საეჭვოა მან კვლავ შეძლოს ხალხის სიმპატიებისა და ნდობის დაბრუნება.

დემაგოგიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი პირობაა ხელისუფლების გამჭვირვალე პოლიტიკა ხალხთან მიმართებაში. საზოგადოებამ უნდა მიიღოს მართალი, უტყუარი ინფორმაცია, რათა შესაბამისი გადაწყვეტილების შედეგად სწორი არჩევანი გააკეთოს. დემაგოგიის წინააღმდეგ ასევე საჭიროა სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების სიფხიზლე, აქტივობა და კრიტიკული დამოკიდებულება დემაგოგი პოლიტიკოსების მიმართ.

პოპულიზმის დამკვიდრება ქართულ პოლიტიკაში

საქართველოს პოლიტიკური სისტემა, დემოკრატიაზე გარდამავალი პოლიტიკური სისტემის ტიპს მიეკუთნება. პოსტსაბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის ხშირად გაუგებარია ახლადდამკვიდრებული პოლიტიკური ტერმინები; ამ კუთხით არც პოპულიზმია გამონაკლისი. სახელმწიფო, როგორც მოცემული ერის პოლიტიკური ორგანიზაცია, თავისთავად შეიცავს პოპულიზმის გარკვეულ ელემენტებს. ყველა დიდი სახელმწიფო მოღვაწე პოპულიზმის პოლიტიკაზე აფუძნებდა თავის მართვა-გამგეობას. ასე იყო ისტორიულად წარსულ ეპოქებში და ასე არის დღესაც, მაგრამ პოპულიზმიცაა და პოპულიზმიც: თუ პოპულიზმი მხოლოდ თვითმიზანი და საშუალებაა პირადი ამბიციებისა და მერკანტილური მიზნების განსახორციელებლად, მაშინ ასეთი პოპულიზმი არც ერს არგებს რამეს და არც ქვეყანას, იგი მხოლოდ ცალკეული პიროვნებების განდიდებას და გამდიდრებას ემსახურება.

საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა, ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ის პოლიტიკური მეთოდები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია არჩევნების დროს – შესაბამისად არც პოპულიზმის შესახებ იყო რაიმე ცნობილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღევანდელი გადასახედიდან ეს პერიოდი შეიძლება შევაფასოთ, როგორც ნაციონალური პოპულიზმის აღორძინების დასაწყისი. აღნიშნული არჩევნების ძირითადი მოწოდებები იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, კომუნისტური რეჟიმის ლიკვიდაცია, საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა და ა.შ. ამ არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს (ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“)

და მაშინვე დაიწყო ნაციონალური აღორძინება, მაგ: სიტყვა „საქართველოს სსრ“ შეიცვალა „საქართველოს რესპუბლიკით“, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: კომუნისტური პარტია, საბჭოთა მოქალაქე, სსრ კავშირი და ა.შ. დროთა განმავლობაში საქართველოში ფეხს იკიდებს დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია და მკვიდრდება ახალი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, თუმცა საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი იყო ბევრი რამ, მაგ.: საბჭოთა სისტემის დროს ხალხი მიდიოდა არჩევნებზე და ირჩევდა იმას, რაც ისედაც არჩეული იყო, ვინაიდან კომუნისტურ პარტიას ალტერნატივა არ ჰქონდა და ხალხის უმრავლესობას ეგონა, რომ კომუნისტური პარტიის გარდა არ შეიძლებოდა არსებულიყო სხვა პარტია. ასეთი რეჟიმიდან გამოსული საზოგადოებისათვის კი მეტად რთული იყო ახალ, დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა.

1990 წლიდან ახალმა ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა გადამავალი პერიოდი, როდესაც უნდა მომხდარიყო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კონვერგენცია.Tგარდამავალი პერიოდი კი, როგორც აღვნიშნეთ, ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს პოპულიზმის ასაღორძინებლად. ეს პერიოდი უკავშირდება ნაციონალური პოპულიზმის აღმავლობას, რაც არა მხოლოდ ქართული პოლიტიკისათვის გახდა პრიორიტეტი, არამედ მთელი ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების პოლიტიკის წარმმართველი ძალაც. თუმცა, მალე საქართველოში, ისევე როგორც პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების ნაწილში, ხელისუფლების სათავეში კვლავ ყოფილი პარტიული ელიტა დაბრუნდა. ქართული ნაციონალური პოპულიზმი როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან აგებული იყო მძლავრ ემოციებზე და ეყრდნობოდა ქარიზმატული ლიდერის ბატონობას, თუმცა რეალური პოლიტიკა მკვეთრად განსხვავდებოდა არსებული ილუზიებისაგან. საქართველოს გარდა ნაციონალური პოპულიზმის აღორძინება დაიწყო მის ავტონომიურ ოლქებშიც, რამაც საბოლოოდ

სეპარატიზმის სახე მიიღო და ახლად შექმნილი ეროვნული სახელმწიფო ახალი პრობლემების წინაშე დააყენა, გარდა ამისა, მკვეთრად აირია საშინაო პოლიტიკა და ხელისუფლების სათაეში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა.

1992 წლის 11 ოქტომბერს, საქართველოში მეორედ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, დღის წესრიგში კი, შესაბამისად, დადგა ახალი დაპირებების სერია: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შესახებ, თუმცა მიუხედავად მრავალმხრივი მოლაპარაკებებისა თუ ხელშეკრულებისა, ეს პრობლემა დღემდე მოსაგვარებელია. იმისათვის, რომ ხალხი დაეჯერებინა სოხუმის უსაფრთხოებაში, ე. შევარდნაძე თავად ჩავიდა საომარი მოქმედების ეპიცენტრში, ამ ფაქტმა დიდი ზეგავლენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ უკან დაბრუნება დაიწყეს, მაგრამ სამწუხაროდ პრეზიდენტიც და ხალხიც შეცდა. ამის შემდეგ იწყება მითი ე. შევარდნაძის შეუცვლელლობის შესახებ, რაც უფრო გაამძაფრა რამდენიმე ტერაქტის შემდეგ მისმა გადარჩენამ. იგი გამუდმებით აპელირებდა დაკარგული ტერიტორიებით და ხალხს არწმუნებდა რომ სულ მალე ლტოლვილები საკუთარ მიწას დაუბრუნდებოდნენ, ასევე კარგად იყენებდა თავის საერთაშორისო პოლიტიკურ ავტორიტეტს, აქცენტირებდა, რომ ჩაიბარა საომარი მდგომარებაში მყოფი დანგრეული ქვეყანა და დაამკვიდრა მასში დემოკრატია, სტაბილურობა, კეთილდღეობა და ა.შ. ასე რომ, დროთა განმავლობაში ე. შევარდნაძე იქცა შეუცვლელ ლიდერად – ვინ, თუ არა მე?.

1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში გაიმართა მორიგი საპარლამენტო არჩევნები. თანდათანობით დაიხვეწა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაც, რაც პოპულისტიური მეთოდების გარეშე არ ხდება, ვინაიდან **პოპულიზმი გარკვეულწილად პოლიტიკური რეკლამის სახეობაა.** თითქმის ყველა ბლოკი და პარტია დღის წესრიგში აყენებდა როგორც ნაციონალური პოპულიზმის საკითხებს (ტერიტორიული

მთლიანობის აღდგენა), ისე სოციალურ პოპულიზმსაც (სამუშაო ადგილების შექმნა, პენსიების, მოპარული ანაბრების საკითხი, ჯანდაცვის პრობლემები, ენერგოკრიზისის დაძლევა და ა.შ.). 1995 წელს ე. შევარდნაძე ხალხს ჰპირდებოდა, რომ 2000 წლისათვის მათი ხელფასი მინიმუმ 200 აშშ დოლარს გაუტოლდებოდა, თუმცა ამ წლისათვის დღის წესრიგში ახალი დაპირებები დადგა. საარჩევნო კამპანიის დროს საკმაო თანხა იქნა მობილიზირებული – მოხდა ელექტროენერგიის შეძენა სომხეთში, დარიგდა პენსიების ნაწილი, რამდენიმე ადგილზე დაიგო ასფალტი და ა.შ. თუმცა, მსგავსი პოპულისტური აქციები ყოელთვის ხდება არჩევნების წინ, რათა ხალხმა დაინახოს მათზე მზრუნველი ხელისუფლების როლი. R

ე. შევარდნაძის მმართველობისას ადგილი ჰქონდა სოციალური თემებით აპელირებას: (სოციალური პოპულიზმი), – დასაქმებულია 2 მილიონ 400 ათასი კაცი; საქრთველოს მრეწველობის აღმავლობა დაიწყო, ქაოსი დამთავრდა, აღმშენებლობა დაიწყო – აღნიშნავდა იგი. 1995 წელს მოქალაქეთა კავშირმა ახალი პროგრამა წამოაყენა, დღის წესრიგში დადგა სიღატაკის დაძლევა, 24 საათიანი ელექტროენერგია, ქალაქების გაზიფიკაცია, პენსიების გაზრდა, კორუფციის აღმოფხვრა და ა.შ.

დაპირებათა ახალი სერია განახლდა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, „აღმშენებლობა, განვითარება, კეთილდღეობა“ – ამ ლოზუნგით დაიწყო ე. შევარდნაძემ საარჩევნო კამპანია, მან კიდევ ერთხელ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ფართო საერთშორისო მხარდაჭერა ჰქონდა და ის ინვესტიციები, რაც ხორციელდებოდა, მისდამი ნდობითა და დიდი სიმპატიებით იყო გამოწვეული (მაგ: ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, აბრეშუმის გზა, გაზსადენებისა თუ კომუნიკაციების განვითარება). **„ასარჩევი მხოლოდ ერთია“**, – ხელისუფლების მხრიდან წამოსული ეს მესიჯი ხალხმაც პირდაპირ აღიქვა, რითაც კიდევ ერთხელ გაუგრძელა

ნდობის მანდატი შეეარდნაძეს, რომელსაც ალტერნატივა არ ჰქონდა, **„ჩემი მისია ბოლომდე უნდა შევასრულო“** – ეს იყო პრეზიდენტის ახალი დაპირებების და იმედების დასაწყისი, თუმცა ჩვენთვის უკვე ცნობილია თუ რა ნეგატიურ შედეგებამდე მიეყავართ ხლხის გრძნობებით მანიპულერებას, მათ მოლოდინსა და გრძნობებზე თამაშს. როდესაც დაპირებები უკვე ნეგატიური, სპეკულაციური პოპულიზმის სახეს იღებს, შედეგად ვიღებთ დიდ სოციალურ ძერებს, საზოგადოების მასობრივ უკმაყოფილებას ან რევოლუციას.

ასე ეტაპობრივად მწიფდებოდა საქართველოში არსებული ნაციონალური (ზ. გამსახურდიას მმართველობის პერიოდი) და სოციალური პოპულიზმი (ე. შევარდნაძის მმართველობა) არაძალადობრივ რევოლუციაში.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნები

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველი პოლიტიკოსების მიერ ფართოდ იქნა გამოყენებული პოპულიზმის ყველა მეთოდი, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური პოპულიზმი: თითქმის ყველა პარტია, თუ ბლოკი დღის წესრიგში აყენებდა პენსიების და ხელფასების გაზრდას, ანაბრების დაბრუნებას, კორუფციის აღმოფხვრას, ენერგეტიკული კრიზისის გადაჭრას, უფასო ჯანდაცვასა და განათლებას, ღარიბი და დაუცველი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებას, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ხვედრითი წილის მკვეთრ შემცირებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და სხვ.

აღსანიშნავია რომ, ხელისუფლების დაპირება იმის თაობაზე, რომ არჩევნები ჩატარდებოდა გამჭვირვალედ და ყოველგვარი დარღვევების გარეშე – მხოლოდ დაპირებად დარჩა. მაშინ, როდესაც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები განსხვავებულ რეიტინგებსა თუ ეგზითპოლებს ავრცელებდნენ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ, (სადაც ძირითადად ოპოზიციური პარტიები ლიდერობდნენ), საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ პირველობას ისევ სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“ ინარჩუნებდა, რომელსაც შემდგომ „დემოკრატიული აღორძინების“ კავშირი მოჰყვებოდა. მიუხედავად ასეთი შედეგებისა, მოსახლეობაში საყოველთაოდ ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სპეკულაციური პოპულიზმის გამოყენების შედეგად სახელისუფლებო ბლოკი ძველი პოპულარობით აღარ სარგებლობდა და სწორედ ეს აღმოჩნდა ის ბოლო „წვეთი“, რომელმაც ააცსო საზოგადოების მოთმინების ფიალა. ეს ფაქტი წარმატებით გამოიყენა ოპოზიციამ - კერძოდ, „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მოუწოდა საზოგადოებას დაეცვა თავისი საარჩევნო ხმა.

არჩევნები საშუალებას გვაძლევს ხელისუფლების სათავეში მოვიდეს ღირსეული მთავრობა. ნებისმიერი არჩევნების

წინ ქვეყანაში იქმნება წინასაარჩევნო სიტუაცია, რაც აისახება როგორც პოლიტიკური ძალების, ისე საზოგადოებრივი, თუ სოციალური ჯგუფების მოღვაწეობაზე, ამ პროცესებში ძირითადი წამყვანი როლი ენიჭება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და რეკლამას. 2003 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინ, პოლიტიკური პარტიების თუ ლიდერების გარდა, პოპულისტური მოღვაწეობით გამოირჩეოდა სტუდენტური ორგანიზაცია „კმარა“ (სერბულ-იუგოსლავური ორგანიზაციის Otpor–ის ქართული ვარიანტი), ეს ორგანიზაცია ოპოზიციურად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ და თავის საქმიანობაში საარჩევნო ტექნოლოგიების ყოველგვარ მეთოდს იყენებდა, ეს იყო: სარეკლამო რგოლები, სატელევიზიო სიუჟეტები, შეკვეთილი სტატიები, აქციები, ლოზუნგები და ა.შ. სატელევიზიო-სარეკლამო რგოლების საშუალებით მოკლედ და მძაფრად გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციასა და სათქმელს. ეს ყველაფერი გამუდმებით მეორდებოდა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით, რის შედეგადაც საზოგადოების ნაწილი მიზანმიმართულად და მეთოდურად გადაიქცა ადვილად მანიპულირებად და ადვილად პროგნოზირებად ამომრჩეველთა ფენად. „კმარას“ ორგანიზაციამ მოახდინა რევოლუციური სიტუაციის შექმნა და სოციალური უკმაყოფილების გადმოტანა ტოტალურ და სპონტანურ მოძრაობაში.

„კმარა“–ს საინფორმაციო რეკლამები ყველაზე მეტად დამოუკიდებელ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში ტრიალებდა. საშინაო პოლიტიკის, უფრო სწორედ არსებული რეჟიმისადმი დაუნდობელი კრიტიკა მისი საინფორმაციო გამოშვების საერთო ფორმატის დიდ ნაწილს მოიცავდა, რომელიც გაჯერებული იყო ინტენსიური და ხანგრძლივი საინფორმაციო რეკლამებით. იმ პირობებში, როდესაც დიქტორის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა კატეგორიული იმპერატივის ძალას იძენდა, ტელემაყურებლების ირაციონალური განწყობა რევოლუციური ცნობიერებით ინთებოდა. ხოლო

დანარჩენი, რომელიც ე.წ. „მდუმარე“ ნაწილს წარმოადგენდა ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა იმ მოტივით, რომ „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“.

საზოგადოების ცნობიერებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ასევე „რუსთავი-2“-ს ეთერით დოკუმენტური ფილმების ჩვენებამ, რომელიც ეხებოდა რუმინეთის მოვლენებს, ჩაუშესკუს დიქტატორულ მოღვაწეობას, და განდის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის ორგანიზებას, რაც მთლიანად აგებული იყო პოპულისტური მეთოდების გამოყენებაზე, მაგ: Отпор, ქართულად „კმარას“-ს პოპულიზმში შედიოდა: ლოზუნგები, რეკლამები, PR, „ხალხში გასვლა“, იუმორის გამოყენებით საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გავრცელება და სხვ. რაც შეეხება ჩაუშესკუს მოღვაწეობას, იგი ფართოდ იყენებდა მემარჯვენე პოპულისტურ მეთოდებს – ავტორიტარიზმს, ძალადობას, ცრუ დაპირებებს, დემაგოგიას და სხვ.

ქართულ პოლიტიკაში, პოპულიზმის გამოყენებას რატომდაც ერთგვარი ნეგატიური შეფასება აქვს, თუმცა მას იყენებს ყველა პოლიტიკოსი, პარტია და საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი.

„რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ე. კიწმარიშვილმა მოგვიანებით განაცხადა, რომ არხმა შეგნებულად დაიკავა ანტისამთავრობო პოზიცია, რათა მოეშორებინა სისტემა, რომელსაც სურდა „რუსთავი-2“–ის განადგურება: **„ჩვენ ვაშუქებდით მოვლენებს საქართველოში ცალმხრივად, ერთი თვალთახედვით. ახლა ვეცდებით სატელევიზიო აუდიტორიის ნდობის აღდგენას ამჟამინდელი მთავრობის კრიტიკით. ხელისუფლების უსისხლოდ ცვლისთვის 100 ათასი ადამიანის გამოყვანა იყო საჭირო და ჩვენ ეს გავაკეთეთ“** [31]. სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვახტანგ რჩეულიშვილმა კი ასე გამოხატა თავისი მოსაზრება: **„რუსთავი-2 ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ქვეყანაში რაც ცუდი ხდებოდა, მხოლოდ შევარდნაძეს დაბრალებოდა და არა მის გარემოცვას... დღეს ჩანან სააკაშ-**

ვილი, ბურჯანაძე და ჟვანია, სინამდვილეში ამ პროტესტში მნიშვნელოვანი ფიგურაა ე. კიწმარიშვილი“ [32]. ფაქტია, რომ ამ ტელეკომპანიამ რევოლუციური სიტუაციის მომწიფებასა და მის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულა.

საპარლამენტო არჩევნების წინ ქართული საზოგადოება რამდენიმე ნაწილად გაიყო: ზოგი სკეპტიკურად უყურებდა არჩევნებს, ზოგს არც მთავრობის, არც ოპოზიციის და „არც სინათლისა გეირაბის ბოლოს„ სჯეროდა, ზოგი ოპოზიციაზე ამყარებდა იმედებს, ზოგიც მოქმედ ხელისუფლებაზე, თუმცა საერთო განწყობის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, ამომრჩეველი ყოველთვის გრძნობს (გარკვეული ნაწილი მაინც), რომ პოლიტიკოსებს მისი გამოყენება მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად სურთ. წინასაარჩევნო სიტუაციის ანალიზისას **„ნეზავისიმაია გაზეტა“** წერდა: **„მხოლოდ არჩევნების წინ გვიხსენებთ... არჩევნები ყოველთვე უნდა ჩატარდეს, მაშინ სინათლე მუდამ გვექნება.** - ასე პასუხობდა ხალხი პოლიტიკოსთა იმ ხრიკებზე, რომელსაც ისინი ამომრჩეველთა გულის მოსაგებად იყენებდნენ, ხრიკი კი უხვად იყო და პარლამენტში „გაძრომის“ მსურველიც - უფრო მეტი... „პარტიები და ბლოკები ერთმანეთს ასწრებდნენ ცნობილი ადამიანების გადაბირებას. აღარ დარჩა ასე თუ ისე პოპულარული მომღერალი, მუსიკოსი, მსახიობი, მწერალი, სპორტსმენი – ყველა საპარლამენტოდ არის გამზადებული.“ [33]

ცნობილი პოპულარული სახეების მხარდაჭერის დემონსტრირება, პოპულიზმის ერთ-ერთი მეთოდია, ამ მხრივ არც ქართული პოლიტიკაა გამონაკლისი. ალბათ, არც ერთ ქვეყანაში არ უმღერიან არჩევნების წინ ასე მასშტაბურად ბლოკებსა თუ პარტიებს, როგორც ეს ხდება საქართველოში, თანაც ყველა მუსიკალურ კლიპში ისინი საქართველოს გამთლიანებას, აღორძინებას, გამარჯვებას, ქვეყნის აშენებასა თუ გაბრწყინებას გვპირდებიან. შესაბამისად ყველაზე ახალგაზრდა საარჩევნო ხმის უფლების მქონე „ფანების“

ნაწილი, ხმას თავისი საყვარელი მომღერლისა თუ მსახიობის სასარგებლოდ იმეტებს და ნაკლებად ფიქრობს მის უკან მდგომი ბლოკისა თუ პარტიის პროგრამის რეალობაზე. მაგალითად: 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ სახე გახდა მომღერალი დათო ხუჯაძე; „ახალი მემარჯვენეების“ – გ. გაჩეჩილაძე; „ლეიბორისტული“ (შრომის) პარტიის – რეჟისორი, მწერალი – გ. ჩოხელი; სახელისუფლებო ბლოკის სახე წარმოაჩინეს ახალგაზრდა მომღერლებმა (ისევე, როგორც 1999 წლის არჩევნებში კლიპით „გიხაროდენ“), გარდა ამისა ბლოკებმა და პარტიებმა წინასაარჩევნოდ ქველმოქმედებაც გაიხსენეს, მაგ: ზაფხულის ცხელ დღეებში მრეწველები ლუდს უფასოდ არიგებდნენ, რუსთავის მერმა მ. ტყეშელაშვილმა საკუთარი ხელით გააკრა „კმარას“ პლაკატები, ოზურგეთში კი დეპუტატობის კანდიდატმა ვ. ჩხარტიშვილმა „ეარსკვლავთცვენა“ მოაწყო, მათ არც ბადრი პატარკაციშვილი ჩამორჩა და ურეკში „იმედის ქალაქის“ პრეზენტაციაზე სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი გრანდიოზული შოუ ჩაატარა. „რაც მტრობას დაუნგრევია-სიყვარულს უშენებია“ – ეს ცნობილი სიმღერა კი ნ. ბრეგვაძისა და მისი ოჯახის შესრულებით „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წინასაარჩევნო კამპანიას გასდევდა ლაიტმოტივად.

სამწუხაროდ, საქართველოში ვინმეს პოზიციის მიღება-მიუღებლობა გახდა მთავარი და არა ლოგიკური აზროვნება. წინასაარჩევნო პერიოდში სატელევიზიო დებატებისას პოლიტიკოსთა ნაწილი ძირითადად ერთმანეთის კრიტიკით იყო დაკავებული. გარდა იმისა, რომ ეს წინასაარჩევნო პოპულიზმია, ფსიქოლოგიაში ცნობილია ისეთი კანონზომიერებაც, როდესაც პიროვნება ცდილობს მესამე პირს ანუ საზოგადოებას შეუქმნას დადებითი განწყობა საკუთარი პოზიციისადმი, ხოლო მოწინააღმდეგის პოზიცია კი მიუღებლად წარმოაჩინოს. როდესაც პოლიტიკოსები ერთმანეთზე აუგს ამბობენ, ამით ცდილობენ იმოქმედონ ამომრჩეველის

გრძნობებზე: თუ ვიღაც უარყოფითია, ე.ი. მისი მოსაზრებებიც მიუღებელია.

პოპულისტური მეთოდების სიაში განვიხილეთ პიარიც. მისი დახმარებით ხდება ერთი კანდიდატის იმიჯის ამაღლება, ხოლო მისი მოწინააღმდეგის უარყოფითად წარმოჩენა, ასევე მრავალფეროვანი დაპირებების მიცემა ხალხისთვის, ტყუილი, რომელიც გამიზნულია ყველა სოციალური წრისა და ჯგუფისთვის, კომპრომატების შეგროვება და გამომზეურება ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, დემაგოგიური განცხადებების გაკეთება, კონკურენტების პლაკატების განადგურება, საღებავების გადასხმა, ამომრჩეველთა დაშინება, რომ „იმ ძალის გამარჯვების შედეგად ქვეყანაში არეულობა დაიწყება“, არჩევნების დროს კი საარჩევნო ყუთების გატაცება, „კარუსელების“ მოწყობა, ყალბი ბიულეტენების დაბეჭდა, სიებში „მკვდარი სულების“ შეტანა, ოქმების ფალსიფიკაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სხვ. სწორედ შავი PR-ის მეთოდები (სიების გაყალბება, „მკვდარი სულების“ შეტანა, ოქმების ფალსიფიკაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ა.შ.) გამოიყენა ხელისუფლებამ საკუთარი ბლოკის გასამარჯვებლად, თუმცა უშედეგოდ, საზოგადოება აღარ წამოეგო ამ პროვოკაციაზე და ხალისუფლებას მკაცრად მოსთხოვა საკუთარი საარჩევნო ხმის დაცვა.

ამრიგად, პოლიტიკურ ბრძოლაში მთავარი არის „მომენტის დაჭერა“, როცა პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა შეძლოს მასების განწყობის დაუფლება და მათი პროტესტისა ენერგიის წარმართვა მიზნის მისაღწევად. იმ პარტიას და იმ პოლიტიკურ ლიდერს აქვს მხოლოდ წარმატება, რომელიც შესძლებს მასების ამ ენერგიის დაუფლებას და ეფექტურად გამოყენებას. აქ უკვე ყველა საშუალება შეიძლება დასაშვები იყოს, ამის მაგალითად გამოდგება 90-ან წლებში წარმოშობილი პოლიტიკური პარტიების ისტორიაც.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა მრა-

ვალი პარტია, ჯგუფი თუ მოძრაობა, რომელთაც მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ. მათი უმრავლესობა მოკლებული იყო პოლიტიკურ ცნობიერებას, – ეგრეთ წოდებულ საბაზისო პლატფორმას, თუმცა, ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, ვინაიდან პოსტსაბჭოურ სივრცეში მხოლოდ ერთპარტიული სისტემა არსებობდა და ყოველგვარი პოლიტიკური თუ პარტიული პლურალიზმი წარმოუდგენელი იყო, ამის გამო ნაკლებად არსებობდა პრაქტიკა იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური პარტია, თუმცა საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური პარტიები შეიქმნა, რომელთაც სამწუხაროდ საკმაოდ მცირე ხანს იარსებეს, (რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიის გამო). ეერც ზ. გამსახურდიას (1991-1992) და ვერც ე. შევარდნაძის (1992-2003) მთავრობებმა ვერ მოახერხეს თავისუფალი სახელმწიფოს ისეთი პირობების შექმნა, რომლის შედეგადაც ერის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნებოდა. მატერიალური და სულიერი ღირებულებების დეფიციტმა ხალხი ნიჰილიზმში ჩააგდო და დარჩა მხოლოდ ერთი გამოსავალი, არჩევნების საშუალებით ისეთი ხელისუფლების მოყვანა, რომელიც ამ ამოცანას შეასრულებდა. 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 87%-ით გაიმარჯვა ზ. გამსახურდიამ, რომელიც საზოგადოების ნაწილმა ე.წ. ქარიზმატულ ლიდერად შერაცხა.

ნაციონალური პოპულიზმი, არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილისაბჭოთა ქვეყნების რესპუბლიკებშიც ერთერთი ძირითადი პრობლემა გახდა. თუმცა ასეთი ადვილი არ არის ტრანსფორმაცია ტოტალიტარიზმიდან და ავტორიტარიზმიდან – დემოკრატიისაკენ (მით უმეტეს, ასე მოკლე პერიოდში), ამის დასტურად, იმ რესპუბლიკებში, სადაც გაიმარჯვა ეროვნულმა, ნაციონალურმა პოპულიზმმა, რამდენიმე ხანში მთავრობის სათავეში ისევ ყოფილი კომუნისტური ელიტის წარმომადგენლები მოვიდნენ. ასე მოხდა საქართველოშიც

1991 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად, ქვეყნის სათავეში მოვიდა საქართველოს ყოფილი ცკ-ს პირველი მდივანი, სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე, ოღონდ ახლა უკვე როგორც თავად აცხადებდა ის და მისი გარემოცვა თავისუფალი იყვნენ კომუნისტური და მარქსისტული დოქტრინებისაგან და თავიანთი მსოფლმხედველობით ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ. 1995 წელს ე. შევარდნაძე (79%-ით) გახდა პრეზიდენტი. მისი მმართველობის პერიოდში ადგილი ჰქონდა ეროვნული სიმდიდრისა და სახალხო ქონების დატაცება-განიავებას, დანაშაულებრივი კლანების შექმნას, ქვეყანაში გაველენათა სფეროების გადანაწილებას, ტერიტორიათა დაკარგვას (სამაჩაბლო, აფხაზეთი), კორუფციას, თუმცა თავად იგი ხშირად აქცენტირებდა იმ ფაქტზე, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობისას განხორციელდა უდიდესი პროექტები: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა და „აბრეშუმის გზის“ პროექტი, რაც მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოსთვის.

საყურადღებოა 2002 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემები საქართველოს შესახებ, სადაც ნათქვამია: „ამ პერიოდში შიდა პროდუქციის მოცულობა 3,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საშუალო ხელფასი 50 დოლარი, ხოლო პენსია 7 დოლარია (ამასაც დროულად არ უხდიან ხალხს), ელექტროენერგიის გამორთვა ჩვეულებრივი ამბავია, ვაჭრობის მონაცემები ეკონომიკის უიმედო მდგომარეობაზე მეტყველებს. ემიგრანტთა რიცხვმა 1 მლნ-ს გადააჭარბა, სახელმწიფოს დაკარგული აქვს ორი რეგიონი, უწინ საქართველოს აყვავებულ „საბჭოთა შვეიცარიას“ უწოდებდნენ. მოულოდნელი დამოუკიდებლობა ამ ქვეყნისთვის მძიმე გამოცდა აღმოჩნდა, იგი ეკონომიკურად დაეცა, თუმცა ყველაფერი მომავალი არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული“ [34] – წერდა გაზეთი „ნოე ცოერ ცაიტუნგი“, ასეთ პირობებში კი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროექტებით თავმოწონება, ან რესტორნებისა თუ კაზინოების გახსნა ვერაფერი ნუგეშია ხალხისთვის.

ქართული პოლიტიკური პარტიების პოპულიზმი

2003 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს მთელი მსოფლიო ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 9 ბლოკი და 13 პოლიტიკური პარტია. ყოველი მათგანი აქტიურად იყენებდა პოპულისტურ მეთოდებს, მათ შორის გამოირჩეოდა მეტ-ნაკლებად ძლიერი, პოპულარული და წამყვანი პარტიები თუ ბლოკები და შესაბამისად ნაკლებად ცნობილი და სუსტი, თუმცა პოლიტიკური ამბიციები ორივე შემთხვევაში თანაბარი იყო.

საარჩევნო სიის სათავეში სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის" მოექცა. მასში გაერთიანდა 9 პოლიტიკური პარტია. ეს ბლოკი იყო ერთგვარი რეანიმაცია ძველი „მოქალაქეთა კავშირის", რომელიც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საზოგადოებას „მილიონ სამუშაო ადგილს", "სტაბილურობასა და კეთილდღეობას" და აფხაზეთის დაბრუნებას შეპირდა. 1999 წელს მოქალაქეთა კავშირი გვარწმუნებდა, რომ სტაბილურობიდან გადავდგით ერთი ნაბიჯი ერთიანობისა და კეთილდღეობისკენ (ასე გვარწმუნებდნენ საბჭოთა იდეოლოგებიც, რომ ცალი ფეხი უკვე კომუნიზმში გვედგა). მიუხედავად მრავალფეროვანი დაპირებებისა, 2003 წლისთვის ჯანდაცვაც და განათლებაც მხოლოდ ფორმალურად დარჩა უფასო და არც „ღირსეული სიბერის პირობები" შექმნილა ხელისუფლების მხრიდან ხალხისთვის.

1998 წელს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრისას მორიგი დაპირებების სია წარმოადგინა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამუშაო ადგილების შექმნას. უახლოეს მომავალში ამუშავდება „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა", „ჭიათურ-მანგანუმი" 3 ათასი სამუშაო ადგილით, სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოთ ჩაის კულტურის სუფსიდიებს. ჩვენი განვითარების შემდგომი პერიოდი უნდა იყოს აღორძინების პერიოდი, პერიოდი სტაბილურობიდან-კეთილდღეობისაკენ". [35].

ხელისუფლებამ ვერც შეპირებული სამაჩაბლოსა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება შეძლო. 1991 წელს საპრეზიდენტო არჩევნების წინ **ე. შევარდნაძე** მკაფიოდ აქცენტირებდა აფხაზეთის თემაზე და პირობას დებდა – სანამ აფხაზეთს არ დაიბრუნებთ, არ გადაივდგებიო - ხალხიც იმედის თვალით უყურებდა მას, თუმცა, ეს იყო „თამაში ხალხის მოთმინებაზე“, ვინაიდან პრეზიდენტმა კარგად იცოდა, რომ აფხაზეთის პრობლემა ასე ადვილად არ მოგვარდებოდა, ამის დასტურად მისივე სიტყვები გამოდგება, კერძოდ, 2003 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ მან განაცხადა: **„დღეს მე აშკარად უნდა ვთქვა, რომ რუსეთი აფხაზეთიდან არ წავა, თუ ის მთელმა მსოფლიომ არ აიძულა. გრაჩოვს აქვს ნათქვამი, რომ მათ შავი ზღვა სჭირდებათ... მას აფხაზეთი სჭირდება ისე, როგორც წყალი და ჰაერი... თუ რუსეთი არ აიძულეს, ის აფხაზეთიდან არ წავა. ახლა ამას იმიტომ ვამბობ, რომ არც თანამდებობის დაკარგვის მეშინია და არც ურთიერთობის გაფუჭების“.** [36] გამოდის, რომ თანამდებობების დაკარგვის შიშით, იგი მუდამ აპელირებდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ცნობიერებაზე, რომ ისინი აუცილებლად დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ კერას, თორემ დასაწყისშივე იცოდა, რომ რუსეთი აფხაზეთს ასე იოლად არ დათმობდა. ასე, რომ პრეზიდენტის მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნა მემარჯვენე პოპულიზმის ის მეთოდები, როგორიცაა: ცრუ დაპირებები, პოლიტიკური ფაქტების გაყალბება და დამახინჯება, ხალხის მოთმინების გამოყენება, „თამაში“ მასების განწყობაზე და მათი გრძნობებით მანიპულირება, ხოლო ეს ყველაფერი კი ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის პოლიტიკური პოზიციების გამყარებას და შენარჩუნებას.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, სახელისუფლებო ბლოკმა ე. შევარდნაძის მეთაურობით ამოწურა დაპირებების ყველა რესურსი, ამიტომ მათ გადაწყვიტეს პოლიტიკური სტილის შეცვლა, კერძოდ, უარი თქვეს ხალხთან

შეხვედრებზე, აქციებზე, სადაც პრეზიდენტს ძალაუნებურად პირისპირ კონტაქტი მოუწევდა ამომრჩევლებთან, (სხვა დროს ე. შევარდნაძე „ხალხში გასვლის მეთოდს“ მუდამ იყენებდა), ამ შეხვედრებს კი უთუოდ მოჰყვებოდა ხალხის საყვედური, რაც შექმნიდა კონფლიქტურ ვითარებას და რეიტინგშერყეული სახელისუფლებო ბლოკის ავტორიტეტს უფრო დაბლა დასწევდა, ამტომ მათ განაცხადეს, რომ წინასაარჩევნო კამპანიას, უფულობის გამო ვერ მართავდნენ. ამას აცხადებდა ის ბლოკი, რომელშიც შედიოდა 9 პარტია და სხვათა შორის, არც თუ ისე ღარიბი ფინანსებით, კერძოდ, ეს იყო: 1. „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“; 2. „სოციალისტური პარტია“; 3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ); 4. „საქართველოს მწვანეთა პარტია“ – ამ პარტიიდან აიღო სტარტი ერთ-ერთმა აქტიურმა პოლიტიკოსმა, ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომელიც 2003 წლის არჩევნებში უკვე დამოუკიდებელ ოპოზიციურ ლიდერად მოგვეელინა ბლოკში „ბურჯანაძე-დემოკრატები“. სახელისუფლებო ბლოკის შემდეგი წევრები იყვნენ: 5. „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“; 6. „აფხაზეთის გათავისუფლების პარტია“ 7. პ/გ „ძლიერი რეგიონები-ძლიერი საქართველო“; 8. პ/გ „ტრანსპორტელთა დარბაზი; 9. გურამ შარაძის მხარდამჭერთა პ/გ „საქართველო უპირველეს ყოვლისა – ენა, მამული, სარწმუნოება. თუმცა მიუხედავად უფულობისა, სახელისუფლებო ბლოკს უარი არ უთქვამს სპორტსმენებთან თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრებზე (თუმცა ამ შემთხვევაში მოერიდნენ მეცნიერებათა აკადემიაში სტუმრობას), სადაც საკუთარი წარმატებების დემონსტრირებას ახდენდნენ. ხელისუფლება მაშინაც გონიერულად მოიქცა, როდესაც თავის სახედ ბავშვი აირჩია.. – „ამ ხერხით ხელისუფლება ფარულად დაგვიხატეს ჩვენს მომავალზე მზრუნველ ხალხად, თან ეს ისე აშკარად არ გაუკეთებიათ, რომ გვეთქვა – რად ტყუითო. ხელისუფლებამ ამ ხერხით ნამდვილად მიაღწია მიზანს“ [37] – აღნიშნავს აკადემიკოსი შ. ნადირაშვილი.

„საქართველოში ჩამოსვლისას მე ვთქვი, რომ ქვეყანაში იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, ახლა შემიძლია ვთქვა, რომ მომავალში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები“ – განაცხადა ე. შევარდნაძემ 2003 წელს "იმედის ქალაქის“ დაფუძნების ცერემონიალზე. ასეთი მდიდრების სახელმწიფო მსოფლიო ისტორიაში ჯერ არ ყოფილა და არც იქნება, ეს უბრალოდ უტოპიაა, ხოლო ასეთი განაცხადი – დემაგოგია.

ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, 2003 წლისთვის პოპულისტური დაპირებების და ლოზუნგების მარაგი ამოწურა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების, სამუშაო ადგილების შექმნის, სტაბილურობის, კორუფციასთან ბრძოლის და ა.შ. სხვადასხვა პრობლემების მოგვარების თაობაზე, მათ სიტყვის დაძვრა ველარ გაბედეს, ვინაიდან საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მოატყუეს, გაუცრუეს იმედები და მოლოდინი, რის გამოც ამომრჩეველთა დიდი ნაწილი უნდობლობით განეწყო სახელისუფლებო ბლოკის მიმართ. იგრძნო რა მოსალოდნელი მარცხის საშიშროება სახელისუფლებო ბლოკმა, გამოიყენა ბოლო რეზერვი – კერძოდ, შავი PR-ის ტექნოლოგია და გააყალბა არჩევნები. 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ კი ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ მოღვაწეობას გამოეთიშა. ასე, რომ სახელისუფლებო ბლოკი თავისი ცრუ პოპულიზმის მსხვერპლი გახდა.

საარჩევნო სიაში მეორე ნომრად წარმოდგენილმა „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“, წინასაარჩევნო კამპანია მრავალფეროვანი პოპულისტური დაპირებებითა და ლოზუნგებით დაიწყო. მათი ძირითადი მესიჯები იყო: „ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის“; „სხვები ანგრევენ-ჩვენ ვაშენებთ“; „ჩვენ ვაღორძინებთ ეკონომიკას და სოფლის მეურნეობას“; „ჩვენ ყველასთვის სიკეთე მოგვაქვს“; „ჩვენ ახალ სიმაღლეზე ავიყვანეთ ჩვენი, ისედაც მაღალი კულ-

ტურა... დავამკვიდროთ საყოველთაო სიმშვიდე, აღვადგინოთ ქვეყნის ერთიანობა და ავაღორძინოთ საქართველო... მწამს, რომ კვლავინდებურად გაბრწყინდება საქართველო, ამერიც და იმერიც“ [38.12]– ასე მოუწოდებდა პარტიის უცვლელი ლიდერი ა. აბაშიძე ელექტორატს. რაც შეეხება პარტიის პროგრამას, გამარჯვების შემთხვევაში ისინი პირდებოდნენ ხალხს: ფართომასშტაბიანი სოციალური პირობების შემუშავება-განხორციელებას, ხელფასების, პენსიების 10-ჯერ გაზრდას, სტიპენდიების გადიდებას, მეანაბრეთათვის კუთვნილი, გაუფასურებული ანაბრების დაბრუნებას და სახელმწიფო გარანტიების შექმნას, უფასო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემოღებას, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის დასაქმებას და ა.შ. ანაბრების დაბრუნების და პენსიების 10-ჯერ გაზრდის შესახებ დაპირება ცრუ პოპულიზმია, ვინაიდან ამის რეალური ეკონომიკური რესურსები ქვეყანაში არ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, ის შექმნილი იყო მხოლოდ ასლან აბაშიძის ოჯახური კლანის წარმომადგენლებისთვის, სწორედ მისი ახლო ნათესავების ხელში იყო ყველა სტრატეგიული ობიექტებისა თუ თანამდებობების მართვა. ასეთი სიტუაციის ფონზე კი ნებისმიერი დაპირება, მხოლოდ ამომრჩეველთა გაბრუებას და არსებული მმართველობის რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება.

„დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ წინასაარჩევნო ბუკლეტში ვკითხულობთ, რომ „არსად არ არის ადამიანის უფლებები და თავისუფლება ისე დაცული, როგორც აჭარაში. 1991 წლიდან დღემდე არცერთხელ არ დარღვეულა სიტყვის, სინდისის თავისუფლება და საარჩევნო უფლება“ [39.5] - ეს დემაგოგიაა, ვინაიდან მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მეტ-ნაკლებად ყოველთვის აქვს ადგილი ცალკეულ დარღვევებს, არ არსებობს ისეთი ზე-სახელმწიფო, სადაც ყველაფერი კარგადაა და შეცდომები

არ ხდება, მით უმეტეს აჭარაში, სადაც საკმაოდ ბევრი დარღვევები იყო დაფიქსირებული – მათ შორის ეს კონსტიტუციასაც ეხება, მაგრამ პოპულისტი პოლიტიკოსის, ამ შემთხვევაში დემაგოგის პრინციპია დააჯეროს, დაარწმუნოს ხალხი, რომ ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ აქ არის ცხოვრებისთვის საუკეთესო პირობები, „სხვაგან“ კი ადამიანის უფლებებს ფეხ-ქვეშ თელავენ. სხვათა შორის დარწმუნების მეთოდს და აჭარის რეგიონის უკეთ წარმოჩენას მისი უპირატესობის მიზნით – ცენტრთან შედარებით, აჭარის რეგიონალური ტელევიზიაც ემსახურებოდა, რომლის ფორმატი საბჭოთა კავშირის დროს არსებული საინფორმაციო გამოშვების „Время“–ს სტილს უფრო წააგავდა, ვიდრე დემოკრატიული ტელევიზიის მოღვაწეობას. ამ არხის მეშვეობით გამუდმებით მიმდინარეობდა აპელირება იმის შესახებ, რომ აჭარა არის ერთადერთი რეგიონი, სადაც მოსახლეობის არსებობისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. ხოლო, ცენტრისგან იქმნებოდა „მტრის ხატი“, რომელსაც სტაბილურ აჭარაში დესტაბილიზაციის პროვოცირება სურდა. „საქართველომ კი არ უნდა მოაქციოს აჭარა, არამედ აჭარამ უნდა მოაქციოს საქართველო“ [40.6]– აღნიშნავს აჭარის ლიდერი ა. აბაშიძე. საინტერესოა, რას გულისხმობდა აჭარის ლიდერი მაშინ, როდესაც აჭარას და საქართველოს იგი ცალ-ცალკე სახელმწიფოდ მოიხსენიებს!? ა. აბაშიძის აზრით „1991 წლიდან დღემდე აჭარაში გაკეთდა ის, რასაც მანამდე მრავალი საუკუნე დასჭირდა სრულიად საქართველოში, [41.17] ასეთი ბუნდოვანი და დემაგოგიური ლოზუნგები საკმაოდ ხშირი იყო აჭარის ლიდერის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიის დროს. „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ და აჭარის რეგიონალური ტელევიზია „აჭარა“ მუდამ ხაზს უსვამდა აჭარის ლიდერის ღირსებებს, მისგან ჰქმნიდა ლიდერს, „ქარიზმას“, რომელიც თავდაუზოგავად ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე და შეუცვლელი იყო. ასეთი აზრი პარტიის წინასაარჩევნო ბუკლეტებშიაც არის დაფიქსირებული, სადაც ა.

აბაშიძის შესახებ ვკითხულობთ: „ჩვენი კეთილდღეობისთვის მებრძოლი ლიდერი“; „ხალხი ირჩევს ლიდერს... ლიდერი ქმნის ისტორიას“... „დღეისათვის ა. აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება... ხალხი ენდობა, ხალხს სჯერა მისი... მისი პიროვნული ხიბლი, გულწრფელობა და უშუალობა მის მიმართ საოცარი სითბოთი განაწყობს ყველას, განსაკუთრებით პატარებს...“ [42.21]. ბუნებრივია, წინასაარჩევნოდ ყველა პარტია ცდილობს ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი კანდიდატურისა თუ ლიდერის სახე, მაგრამ კარგი იქნება თუ ეს მლიქვნელობისა და პირფერობის გარეშე მოხდება.

საპარლამენტო არჩევნების სიაში მესამე ნომრით წარმოდგენილი იყო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (ლიდერები: გ. თოფაძე, ზ. ტყემალაძე, რ. რურუა). ბლოკში გაერთიანდა ორი პარტია: 1. პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 2. პ/გ „სპორტული საქართველო“. მრეწველები 1999 წლის მოწვევის პარლამენტში საკმაოდ დიდი რაოდენობით იყვნენ წარდგენილნი, თუმცა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისას სანუკვარ „შვიდიანს“ დაშორდნენ. ქართულ პოლიტიკაში მრეწველები ნაკლებად ქმნიან პოლიტიკურ ამინდს და ძირითადად ბიზნესმენთა ინტერესების დაცვას ემსახურებიან. რაც შეეხება წინასაარჩევნო პროგრამას, აქ ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე: საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია-გამარტივება, ეკონომიკის აღორძინება – რაც შესაძლებელს ხდის ბიუჯეტის გაზრდას, რომელიც თავის მხრივ დააფინანსებს სოციალურ და სამედიცინო პროგრამებს, პარტიის ძირითადი მოწოდება კი იყო: „ერთად ავაშენოთ ქართული სახელმწიფო, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

ეკონომიკური აღორძინების საკითხი მუდამ მწვავედ იდგა საქართველოს უახლეს ისტორიაში, მასზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ყურადღება გაამახვილეს ცნო-

ბილმა საზოგადო მოღვაწეებმა: **ნ. ნიკოლაძემ, ა. ჯორჯაძემ, ი. ჭავჭავაძემ** და სხვ. ასე, რომ პარტიის პროგრამა, თავის მხრივ აქტუალურია, თუმცა მათ ვერ მოახერხეს საზოგადოებასთან პირისპირ კონტაქტი და სოციალიზირებული ენით საუბარი მასთან.

როგორც აღვნიშნეთ, პოპულისტური მეთოდების დემაგოგიური კუთხით წარმართვას ხშირად ნეგატიურ მოვლენებამდე მიეყავართ, ხოლო მის საერთოდ უარყოფას, ან არასწორად წარმართულ საარჩევნო კამპანიას, რომლის მამოძრაებელი ძალა პოპულისტური მეთოდების გამოყენებაა – პოლიტიკურ დამარცხებამდე, ამიტომ, საჭიროა ერთგვარი ლავირება ამ მეთოდების გამოყენებისას, რათა შესაძლებელი გახდეს ხალხის სიმპატიის მოპოვება და შესაბამისად თავიდან იქნას აცილებული სპეკულაციური ან დემაგოგიის მეთოდების გამოყენება, რათა არ მოხდეს იმედგაცრუება და უნდობლობის დამკვიდრება მოსახლეობაში. ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოიყენება საზოგადოებასთან ურთიერთობაში, დიდი პასუხისმგებლობით უნდა იქნას განხორციელებული.

პოპულისტური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა შალვა ნათელაშვილი – „ლეიბორისტული (შრომის) პარტიის“ თავმჯდომარე. აი, როგორ ახასიათებს მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს **შალვა ნადირაშვილი: „ნათელაშვილი ცალკე გამოყოფილი ვარსკვლავის როლს თამაშობს. მან ასეთი პოზა აირჩია – დამჩაგრეს და გამომაგდეს პარლამენტიდან, თორემ მე ყველაზე მეტი ვარო, ამიტომ ყველას გამოეყო. ის მრავალკუთხედის წვერში დგას და ყველას უპირისპირდება, ამით ცდილობს გამორჩეულ პიროვნებად, მომავალ პრეზიდენტად წარმოგვიდგეს... ნათელაშვილი მოკავშირეს არ ეძებს, ყველა დანარჩენი კი ერთმანეთთან დააკავშირა“** [43.]. განწყობის თეორიის მიხედვით კი დაჩაგრული ყოველთვის თანაგრძნობას იწვევს. ამ მეთოდს პოპულიზმიც იყენებს.

გარდა ამისა, შ. ნათელაშვილი სოციალური პოპულიზმის მეთოდებს მიმართავს, ეს არის: აპელირება სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის პრობლემებზე, სოციალიზირებული ენით საუბარი მათთან, დაპირებები იმის შესახებ, რომ „მე თქვენ მატერიალურად უზრუნველგყოფთ", ლოზუნგებისა და მესიჯების ეფექტურად გამოყენება: „ჩვენ ვიბრძვით, ჩვენ ვიბრძოლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ"... „გეყოფა ნგრევა – დროა შენების" [44]. პარტიას გააჩნია მკვეთრად გამოხატული იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ-ქართულ ტრადიციებზე, საერთო-სახალხო ინტერესებზე და სოციალური თანასწორობის იდეებზე, ისინი კარგად იცნობენ მასების ინტერესებს და სწორედ ამ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

შ. ნათელაშვილი მუდამ აქცენტირებს, რომ მისი ძლიერება არის ის, რომ პოლიტიკაში მარტოა. მას ეხერხება შექმნას სამართლიანი, თვითდარწმუნებული პოლიტიკოსის იმიჯი, რომელიც უბრალო ხალხიდან არის გამოსული „მეც თქვენნაირი ვარ"- ეს არის მისი პოლიტიკური მოღვაწეობის სტილი: „2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ფაქტობრივად საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ეტაპია. თქვენ პრეზიდენტად ხმას აძლევთ ან შევარდნაძეს და მის დაფრთიანებულ, თქვენი ქონებით გამაძღარ, უფრო სწორად გაუმაძღარ ფიგურებს, ან მე, შალვა ნათელაშვილს, თქვენს მსახურსა და სისხლხორცეულ ნაწილს" [45]– აღნიშნავდა წინასაარჩევნო მიმართვაში, თუმცა 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის დროს, მან უარი თქვა ოპოზიციასთან გაერთიანებაზე იმ მოტივით, რომ - ჩვენ რადიკალური ოპოზიცია ვართ, მაგრამ რიყის ქვების სროლას არ ვაპირებთ, ჩვენი მიტინგზე მისვლით უფრო დაიძაბება ვითარება, ვინაიდან უამრავი მომხრე გვყავს. „შევარდნაძე, ჟვანია სააკაშვილს შორის შედგა უბინძურესი გარიგება, რომლის მიზანია „ლეიბორისტული პარტიის" მიერ მოპოვებული მანდატების ხარჯზე საქართველოს პარლამენტში „ბურჯანაძე-დემოკრატების„ ბანდიტური ჯგუფის

შეეცვანა“ [46.] – განაცხადა პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გ. დანელიამ. ასე, რომ „ლეიბორისტები“ კვლავ დაჩაგრეს, ხოლო მათი ლიდერი, შ. ნათელაშვილი, რომელიც პრეზიდენტად მოიაზრებოდა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სულაც არ ჰქონია ამის სურვილი: „ვიქნები, აბა არ ვიქნები დაბოღმილი?! შევარდნაძემ მოასწრო და ძალაუფლება გადასცა თავის გაზრდილებს... ამიტომ ვარ დაბოღმილი, თორემ იმიტომ კი არა, მე რატომ არ ამირჩიეს-მეთქი. არც მჭირდება საქართველოს პრეზიდენტობა“ [47.] – ასეთი განცხადება მარცხის ერთგვარი გამართლებაა, თორემ „ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობს“.

როგორც პოპულიზმის მკვლევარი მ. კანოვანი აღნიშნავს, – პოპულისტი ლიდერისათვის ხშირად დამახასიათებელია „განტევების ვაცის“ ხატის შექმნა, რაც ადვილად მოქმედებს საზოგადოების ცნობიერებაზე და თანაგრძნობით განაწყობს მოცემული ლიდერის მიმართ. თუმცა პოლიტიკას არ უყვარს არც ზედმეტი მიამიტობა და მით უმეტეს, არც ზღვარგადასული ეჭვი, გარდა ამისა, ასეთი მეთოდების გამოყენებამ შესაძლოა არასწორად ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ პიროვნების მიმართ.

წინასაარჩევნოდ ყოველი პარტია აქვეყნებს, მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ნუსხას და მომავლის გეგმებსაც სახავს. ამ კუთხით, „ლეიბორისტული პარტიის“ წინასაარჩევნო მიმართთაავში აღნიშნულია: **„ჩვენ გადავარჩინეთ საბავშვო ბაღები და სკოლები დახურვას, გაყიდვა-განადგურებას, ათასობით პედაგოგი-შემცირებას, მომავალი თაობა-ქუჩაში გაყრას. შევაჩერეთ სამედიცინო ობიექტების ნგრევა, პრივატიზაცია, ათასობით მედპერსონალისა და ავადმყოფის სოციალური გენოციდის პროცესი. ხელისუფლება ვაიძულეთ 2003 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში დაკანონებულიყო უფასო სრული საშუალო განათლება, ომისა და შრომის ვეტერანებს აღვუდგინეთ შეღავათი ელექტროენერგიის საფასურზე. მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტები მუდამ**

აქტიურად აყენებდნენ დღის წესრიგში ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების საკითხს, მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ამ მხრივ, სწავლა-განათლება და ჯანდაცვაც მხოლოდ ფორმალურად რჩება უფასო. თუმცა ამ პრობლემებით წინასაარჩევნოდ თითქმის ყველა პარტია აპელირებდა, რაც ძირითადად მათი რეიტინგის აწევას ემსახურებოდა.

ეკონომიკის გაჯანსაღება, კორუფციისა და „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ მკვეთრი შემცირება, თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა. გაიხადეს ძირითად სამუშაო პროგრამად ბლოკმა „ბურჯანაძე-დემოკრატები“, მათში გაერთიანდნენ:

1. გაერთიანებული დემოკრატები;
2. ქრისტიან-კონსერვატორები;
3. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ბლოკის სახელწოდებაში „ბურჯანაძე-დემოკრატები“ უკვე ჩადებულია პოპულიზმის მეთოდი, რაც ბურჯანაძეს და მის თანამოაზრეებს დემოკრატიასთან აიგივებს, ამასთან ერთად ბურჯანაძის გვარის გაჟღერებით მათ ორი საქმე გააკეთეს: ერთის მხრივ უფრო ამაღლდა მათი (ისედაც დიდი) პოლიტიკური რეიტინგი, ხოლო მეორეს მხრივ ჟვანიასთვის მომზადდა პოლიტიკური ტრამპლინი. „ჟვანიამ სწორად გათვალა, როდესაც ნინო ბურჯანაძე აქცია ბლოკის ლიდერად, ჯერ ერთი, ნინო ქალია, მერე - ჭკვიანი, იგი მისაღები პიროვნებაა ხალხისთვის. მას შემდეგ, რაც ჟვანიამ ნინოს რეიტინგი ასწია, თვითონ მოაკლდა პოპულარობა, ეს კანონზომიერიც იყო, მაგრამ ჟვანია ამას შეეგუა [48]. მთავარი მიზნის მისაღწევად ამბიციები უნდა უარვყოთ – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. საერთო ჯამში „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ბლოკის შექმნა პოლიტიკური და პოპულისტური თვალსაზრისით ორიენტირისთვის მომგებიანი აღმოჩნდა, ბურჯანაძეს არ ჰყავდა გუნდი, მაგრამ საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობდა, ჟვანიას კი ჰყავდა პარტია, ამიტომ დროებით მოექცა ნ. ბურჯანაძის ჩრდილში და აღნიშნა, რომ – „ჩვენს პარტიაში ის-

ეთი ლიდერები ჩამოყალიბდნენ, რომ, თითო-თითო პარტიას თავისუფლად ეყოფა“ [49.8]

სხვა პარტიათა თუ ბლოკების მხგავსად, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წინასაარჩევნო დაპირებათა სიაც მრავალფეროვანი იყო, კერძოდ: წარმოების ამუშავება, ძლიერი ბიზნესი, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, ქართული სოფლის აღორძინება, სახელფასო და საპენსიო დავალიანებების მთლიანად დაფარვა ბიუჯეტის ზრდის ხარჯზე, კორუფციის აღმოფხვრა, პენსიებისა და ხელფასების გაზრდა, ხარისხიანი განათლება და სამედიცინო მომსახურეობა, ტერიტორიული მთლიანობიას აღდგენა, ინტეგრაცია ევროკავშირთან და ნატოსთან და სხვ. **„ჩვენ ძალზედ ახლოს ვართ გამარჯვებასთან და თქვენთან ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ. 2 ნოემბერს ერთად უნდა მოვიპოვოთ ეს გამარჯვება, რადგან ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არის“ [50.3]** – მიმართავდა ნ. ბურჯანაძე წინასაარჩევნოდ ელექტორატს.

ჯერ კიდევ ბურჯანაძესთან გაერთიანებამდე, 2003 წ. თებერვალში, „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ დღის წესრიგში მინიმალური ხელფასის 20-დან 115 ლარამდე გაზრდის საკითხი დააყენეს, რაც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით იყო ნაკარნახევი, თუმცა რა იყო ეს, სპეკულაციური, თუ რეალური პოპულიზმი, ამგვარ შეკითხვაზე პასუხი პოლიტიკაში შავით თეთრზე არ სწერია, თუმცა, ფაქტია „დემოკრატებმა“ კარგად იცოდნენ, რომ ამ ინიციატივის ამოქმედება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან როდესაც გარკვეული მიზნით აპირებ თანხის ხარჯვას, ჯერ უნდა გადაამოწმო არის თუ არა ამისათვის საკმარისი შემოსავალი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც 2003 წლის ბიუჯეტი 200 მლნ. ლარით იყო გარღვეული, რაც შეუძლებელია არ სცოდნოდათ ეკონომისტებს. უბრალოდ, „დემოკრატებმა“ მოახდინეს ხალხზე მზრუნველი პარტიის შთაბეჭდილება, რომელთაც სურდათ მათთვის ხელფასების მომატება, რასაც მოჰყვებოდა სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმ-

ჯობესება, ხოლო პრეზიდენტმა ამ პროექტს ვეტო დაადო, რითაც წაართვა ხალხს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საშუალება. თავის მხრივ, ეს ფაქტი ე. შევარდნაძემ მომავალი რეზერვისათვის გამოიყენა იმ მოტივით, რომ ხელფასების მომატება მოხდებოდა ეტაპობრივად და 2005 წლისათვის 115 ლარს მიაღწევდა, შესაბამისად, თვითონაც გაიხანგრძლივებდა ქვეყნის სათავეში ყოფნის ვადას დანაპირების ასრულების მოტივით. ასე რომ, ამ პროექტით ორივე მხარემ ისარგებლა, ჟვანიამ მოიპოვა კეთილგანწყობა ხალხში, ხოლო პრეზიდენტმა – იგივე საზოგადოების მოლოდინი. პოპულიზმის თეორიის თანახმად, კი ხალხის მოლოდინით „თამაში“ და მანიპულირება სპეკულაციური პოპულიზმის ერთ-ერთი საკითხია.

„ნებისმიერი პარტიის მოქმედება ყოველთვის არჩევნებთანაა დაკავშირებული. დემოკრატიულ არჩევნებში პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან თუ ვინ წამოაყენებს ხალხისათვის მისაღებ წინადადებებს“ [51] – ასე დაახასიათა წინასაარჩევნო კამპანია „დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გ. ბარამიძემ, თუმცა სამწუხაროა, რომ პარტიები ერთმანეთს მხოლოდ წინადადებების წამოყენებაში ეჯიბრებიან – რაც მათი პოლიტიკური რეიტინგის აწევას ემსახურება და არა რეალური საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტას. საერთოდ სიტყვისა და საქმის შეთავსება-შეუთავსებლობა ურთულესი და მარადიული პრობლემაა. იშვიათად მოიძებნება პოლიტიკოსი, რომელიც იმას აკეთებს, რასაც ამბობს და ეს თვისება მარტო პოლიტიკოსებს არ ახასიათებთ. ასეთი რამ იმიტომ კი არ ხდება, რომ ადამიანები თვალთმაქცობენ (თუმცა, ასეც ხშირად ხდება), არამედ იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ გააერთიანონ სიტყვა და საქმე ერთად. თუმცა თქმა ადვილია, შესრულება – უძნელესი. ქართული საზოგადოება კი რატომღაც ყოველთვის ეძებს პიროვნებას, ლიდერს – რომელსაც გადააბრალებს ყველა წარუმატებლობას. ამიტომ, პირველ რიგში, აუცილებელია ამაღლდეს

საზოგადოების პოლიტიკური კულტურა და ცნობიერება, რომ თითოეული მათგანი პასუხისმგებელია, ვინაიდან ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკოსის აღზევებას, რომელმაც სიტყვა საქმედ არ აქცია, სამოქალაქო საზოგადოებამ კი თავისი გულგრილობის გამო პასუხისმგებლობას თავი აარიდა და შედეგად მიიღო მხოლოდ სპეკულაციური მეთოდებით მებრძოლი პოპულისტი ლიდერი.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ბურჯანაძე-დემოკრატები" მრავალფეროვანი ლოზუნგებით შემოიფარგლებოდნენ: „ერთად, ცოდნით, პატიოსნად"; „პროფესიონალთა გუნდი ქვეყნის გადასარჩენად"; „ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არის" და სხვა. ბლოკი აცხადებდა, რომ: „უპენსიობა და უხელფასობა წარსულს ჩაბარდება" [52].. „ჩვენ შევძლებთ, არათუ დავფაროთ ძველი დავალიანებები, არამედ გავზარდოთ ხელფასები და პენსიები, საესებით რეალურია სახელფასო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებაც. სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იძლევა ამის საშუალებას. ჩვენი პროგრამის განხორციელება შესაძლებლია ერთად, ცოდნით, პატიოსნად" [53.4] ამომრჩეველს კი ერთი გზა დარჩენია მხოლოდ, ხშირად გაიხსენოს პლატონის სიტყვები იმის თაობაზე, რომ – შესაძლებელ დაუჯერებელს, შეუძლებელი დასაჯერებელი სჯობია.

იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის ყველაზე მეტად გამოხატული პოპულისტი ფიგურა ქართულ პოლიტიკაში, საყურადღებოა „სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის ლაბორატორიის" სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები: პოპულისტ პოლიტიკოსებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა: **1. მ. სააკაშვილი; 2. თ. შაშიაშვილი; 3. შ. ნათელაშვილი; 4. კ. დავითაშვილი; 5. ჯ. მერაბიშვილი; 6. ზ. ჟვანია; 7. მ. მაჭავარიანი; 8. ჯ. რჩეულიშვილი; 9. კ. ასათიანი, 10.დ. გამყრელიძე. [54.]** გამოკვლევა ჩატარებულია 2002 წლის იანვარ-თებერვალში და ამ დროისათვის პოპულისტ პოლიტიკოსთა სათაეში უკვე მიხეილ სააკაშვილი იდგა. მან 2003 წლის ბოლომდე შეინ-

არჩუნა ეს პოზიცია და სწორედ დახვეწილი პოპულისტური მეთოდების გამოყენების შედეგად მოახერხა ფართო მასების გაერთიანება და მათი თანაგრძნობისა თუ მხარდაჭერის მოპოვება, რაც მისი პრეზიდენტად არჩევით (97%) დამთავრდა. ასეთი დიდი პროცენტული მაჩვენებელი საპრეზიდენტო არჩევნებში მანამდე არც ერთ პრეზიდენტს არ ჰქონია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებული ზ. გამსახურდიათი, ე. შევარდნაძით და დამთავრებული მ. სააკაშვილით, ყველა საპრეზიდენტო არჩევნები უალტერნატივო იყო და მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პრეზიდენტები წარმოადგენდნენ ერთადერთ რეალურ კანდიდატურას. აღსანიშნავია, რომ უცხოეთის პრესა სააკაშვილის შესახებ ხშირად იყენებს სიტყვას – პოპულისტი, მაგ.: რადიოსადგური „დოიჩე ველე“ აღნიშნავს, რომ ზომაზე მეტად ტემპერამენტის მქონე სააკაშვილი თავის მომხრეებს პოპულისტური ლოზუნგებით აღვიებს; ნაციონალიზმით შეზავებული პოპულიზმის მეშვეობით, სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა მეოთხედის მოზიდვა მოახერხა, – წერს „ ტაიმსი“ და ა.შ.

ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციაში დგომა უფრო მომგებიანია იმ თვალსაზრისით, რომ ადვილია შორიდან კრიტიკა და შეცდომების ძიება მმართველ ხელისუფლებაში, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ქართული ფსიქოლოგიაც. როგორც კ. კაპანელი აღნიშნავდა – ქართველს თავისი ტემპერამენტით უფრო ემარჯვება ოპოზიციაში ჩადგომა, ვიდრე პოზიციაზე დგომა... იგი პირადი თვალსაზრისით უყურებს ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობას.

„პოპულიზმი და პოლიტიკა ყოველთვის თანმხვედრია“ – აღნიშნავს ნ. ბურჯანაძე. სავსებით მისაღებია ასეთი განმარტება, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელიც ამ მეთოდებს არ იყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ხდება მისი გაცნობა, შემდგომში აღიარება და პოპულარობის მოხვეჭა მოსახლობაში, რაც ესოდენ საჭიროა პოლიტიკოსისათვის. თავად ნ. ბურჯანაძე

საკმაოდ თაეშეკაებულია პოპულისტური მეთოდების გამოყენებისას, მას შეუძლია მოსმენა და ზოგადი დაპირებების მოცემა: **„ჩვენ ავაშენებთ ძალიან ღირსეულ, ძალიან კარგ საქართველოს, ისეთს, რომელშიც გვინდა მე და თქვენ, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ“** [55.3]

საკმაოდ რიხიანად დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია ბლოკმა „ახალი მემარჯვენეები“, (მასში გაერთიანდა „ახალი მემარჯვენეები“ („ახლები“) და „საქართველიოს ლიბერალური პარტია“ (ლიბერალები), თუმცა მაღალი რეიტინგი მათ წლის ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის თავმჯდომარე დ. გამყრელიძე აცხადებდა, რომ – ჩვენ არ ვართ პოპულისტები და არ გვინდა გავაკეთოთ პოპულისტური განცხადებებიო, თავისდაუნებურად მაინც იყენებდნენ ამ მეთოდებს; (კიდევ ერთი მაგალითი იმის დასტურად, რომ ქართულ პოლიტიკაში პოპულიზმს არასწორად აღიქვამენ). თითოეული მაჟორიტარი დეპუტატისა თუ პარტიის მხარდასაჭერად „ახლები“ მრავალფეროვან სარეკლამო რგოლებს სთავაზობდნენ ელექტორატს, მათი ძირითადი ლოზუნგებიც გარკვეულწილად პოპულისტური იყო: „დასაქმების, აღმშენებლობის, განახლების 900 დღე“, „ახლები – თქვენი შვილების არჩევანი“, „ახალი მემარჯვენეები“ არის ერთადერთი ძალა, ვისაც შეუძლია ასეულათასობით ადამიანის დასაქმება“ და სხვა.

პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი საკითხები იყო: კორუფციის დამარცხება, გადასახადების შემცირება, კრედიტის აღების გაიოლება, ბუნებრივი საექსპორტო პროდუქციის – ჩაის, ღვინის, ციტრუსის და ხილის გადამუშავების ხელშეწყობა, კრიმინალური და სახელმწიფო რეკეტის მოსპობა და სხვა. „ჩვენ ავაღორძინებთ ეკონომიკას, გავზრდით ხელფასებსა და პენსიებს, დავამყარებთ წესრიგს“... [56.2] „900 დღე არის ერთადერთი საარჩევნო პლატფორმა, რომლის განხორციელება მოიტანს ახალ, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, ტერიტორიული მთლიანობის

აღდგენას და თითოეული ოჯახის კეთილდღეობას“ [57.3]. ეს განცხადება მოქალაქეთა კავშირის „მილიონი სამუშაო ადგილის“ ლიზუნგს წააგავს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველო იმყოფება რთულ გარდამავალ პერიოდში და შესაბამისად ძნელია წინასწარი პროგნოზირება იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს 900 დღეში. სხვათაშორის, „ახლებს“ რამდენიმე პარტია საყვედურობდა იმის გამო, რომ 900 დღე ბევრია ქვეყანაში რეალური პროცესების განსახორციელებლად. მათ შორის იყო „ნაციონალური მოძრაობაც“, რომლის წარმომადგენლებიც თელიდნენ, რომ უფრო მოკლე ვადებშიც შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მოვიდნენ, რა ხელისუფლებაში, წააწყდნენ იმ რეალობას, რომ ასე უცებ არ ხდება „ქვეყნის აშენება“ და საქართველოში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მინიმუმ 5 წელი დაასახელეს. თუმცა, არსებობს ეკონომისტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, რომელიც გარდამავალ პერიოდში იმყოფება, იმ ეტაპების გასაველელად, რაც საჭიროა სტაბილურობისა და ეკონომიკური აღორძინების მისაღწევად მოიცავს 3 ეტაპს, რომელშიც თითოეული ეტაპი 5-დან 15 წელიწადს გრძელდება. ამიტომ ნებისმიერი პარტიისა თუ პოლიტიკოსის დაპირება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს წინაშე არსებული პრობლემები (კორუფცია, გადასახადების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის განვითარება, სოციალური პრობლემები, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების აღორძინება და სხვა) მოკლე ვადაში, 100 ან 900 დღეში მოგვარდება – ცრუ პოპულიზმია. „ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლ. გაჩეჩილეძემ ამის შესახებ აღნიშნა, რომ – არჩევნების წინ მოსახლეობა დაპირებებს ისმენს, არჩევნების მეორე დღესვე კი ეს დაპირებები საპნის ბუშტივით სკდება: - ჩვენ შეგვიძლია ყოფითი და სოციალური პრობლემები შეგიმსუბუქოთ, მაგრამ ეს არ მოხდება ერთ დღეში, ეს მოხდება 900 დღეში. ამის შესრულება ჩვენ შეგვიძლია. არ გამოვრიცხავთ, რომ ეს შეიძლება იყოს

მართლაც ჭეშმარიტი სურვილი, მაგრამ ხშირად სურვილსა და შესაძლებლობას შორის დიდი ზღვარი არსებობს.

„იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ „პოლიტიკა“ ჩვეულებისამებრ დაკავშირებულია ხელისუფლებასთან, არ უნდა გავაკეთოთ ის დასკვნა, თითქოს ყველა პოლიტიკოსისათვის მოღვაწეობის უმაღლეს მიზანს ხელისუფლებაში მოსვლა წარმოადგენს. ეს მხოლოდ ზოგჯერ ხდება ხოლმე. პიროვნებები, რომლებიც მხოლოდ ამ მიზნისაკენ ისწრაფიან, იმითაც შეიძლება გამოვიცნოთ, თუ რა სწრაფად ცვლიან ისინი თავიანთ პროგრამებს ანდა ამომრჩეველთა გულის მოსაგებად ისვრიან შეუსრულებელ, ილუზიურ ლოზუნგებს, ისეთებს, როგორიცაა: ამ რამდენიმე წლის წინათ წამოსროლილი „სამასი მილიონი თითოეული მოქალაქისათვის“ [58.165] – აღნიშნავს ეკონომიკის პროფესორი **ლეშეკ ბალცეროვიჩი**. ასე, რომ პოლიტიკაში ხშირია ასეთი ილუზიური ლოზუნგების გამოყენება, რაც პოპულიზმის ერთ-ერთი მეთოდია.

„ახალი მემარჯვენეების“ დაპირებათა სიაში შედიოდა შემდეგი საკითხები: უმუშევრობის მოსპობის გეგმა, ახალგაზრდების დასაქმება, გაჩერებული საწარმოების ამუშავება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, გადასახადების შემცირება, გაყინული ხელფასებისა და პენსიების დაბრუნება, საშუალო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა და კრიმინალური რეკეტის მოსპობა და სხვა.

„ახლების“ წინასაარჩევნო კამპანია გემოვნებიანი კლიპებით იყო წარმართული, სადაც დომინირებდა მოწოდებები თანადგომის, გაერთიანების და აფხაზეთის დაბრუნების შესახებ. თავდაპირველი სარეკლამო რგოლები მოკლებული იყო უბრალოებას და ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო თბილისის და მისი სხვადასხვა უბნების ელექტორატზე: „ყველაზე ძლიერი გუნდი თბილისში“, „ეს ჩემი უბანია“, რის გამოც პარტიამ ვერ მოახერხა პოპულარობის მოპოვება რეგიონებში და ხალხთან დაახლოება. ისინი ხშირად აქცენტირებდნენ, რომ იყვნენ წარმატებული ბიზნესმენები და

ათასობით ხალხი ჰყავდათ დასაქმებული, მაგრამ აქცენტის გაკეთება წარმატებული ბიზნესის შესახებ პოპულისტური თვალსაზრისით წამგებიანი აღმოჩნდა, ვინაიდან საქართველოში სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის უმეტესობის ფონზე, უარყოფითად მოქმედებდა სოციალურად უზრუნველყოფილი პოლიტიკოსების განცხადება. სხვათა შორის, ბერლოსკონიმ (იტალიაში) კარგად გამოიყენა ეს თემა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სადაც აღნიშნავდა, რომ – მე წარმატებას მივაღწიე ჩემი ბიზნესის სფეროში და ასეთივე წარმატება ელის იტალიას ჩემი არჩევის შემთხვევაში. მაგრამ ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების სოცილურ-ეკონომიკური დონე დაბალია, ქვეცნობიერად ყალიბდება გაჭირვებული ფენის ერთგვარი უნდობლობა და ხშირად აგრესია „მდიდრების“ მიმართ. ალბათ, ამიტომ ვერ მოახერხეს ახლებმა „ხალხში გასვლა“, მათთან პირდაპირი კონტაქტი და მხოლოდ ლოზუნგებითა და დაპირებებით შემოიფარგლნენ, რაც კარგად გაითვალისწინა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მათმა ლიდერმა მ. სააკაშვილმა, ამიტომ თავიანთი წინასაარჩევნო კამპანია გახადეს უფრო გლობალური – მთელი საქართველოს – როგორც ცენტრის, ისე რეგიონების მასშტაბით და დაიმკვიდრეს იმიჯი „მეც თქვენნაირი, უბრალო ადამიანი ვარ“. მათ ძირითადი აქცენტი გადაიტანეს არა იმაზე თუ მომავალში რას გაკეთებენ (თუმცა, ეს საკითხი არ ყოფილა გამორიცხული), არამედ იმაზე, თუ რა გააკეთეს წარსულში და აქედან გამომდინარე, მომავალშიც შესძლებენ ბევრის გაკეთებას.

იმისათვის, რომ გახდე პოპულარული, საჭიროა გიცნობდეს, გენდობოდეს ხალხი და „თავის მსგავსად“ მიაჩნდე.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სახელისუფლებო ბლოკის შემდეგ, ყველაზე მეტი ხმა შედარებით „ახალბედა“ პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო. ბლოკში „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანდა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს ეროვნულ ძალთა

გაერთიანება – კონსერვატორები“ და „რესპუბლიკური პარტია“. ეს არის ერთგვარი რადიკალური მიმართულების გაერთიანება, რომლის ლიდერი მ. სააკაშვილი მკვეთრად გამოხატული პოპულისტი პოლიტიკოსია. მისი განცხადებები არის მწვავე და გათელილია სოციალურად დაუცველ ფენაზე. ჯერ კიდევ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მან განაცხადა, რომ: „შეუძლებელია დარჩე იმ მთავრობაში და იყო მოწმე იმისა, თუ როგორ ხდება საქართველოს ხელისუფლების საბოლოო ჩაძირვა კორუფციის ჭაობში, თუ როგორ ხდება სახელმწიფო აპარატის შერწყმა საერთაშორისო კრიმინალურ სტრუქტურებთან, ჩვენი ინტელიგენციის ყოველდღიური დამცირება და ერის საუკეთესო ნაწილის იძულება მიატოვოს ქვეყანა და ლუკმაპურის საშოვნელად მიაშუროს სხვა ქვეყნებს“ [59]. **მ. სააკაშვილმა** დღის წესრიგში დააყენა ყველა ის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით დადგა XXI-ის დასაწყისში ქართულ პოლიტიკაში. მან საოცარი სიზუსტით შეაფასა არსებული პოლიტიკური ვითარება და დასახა სიტუაციიდან გამოსვლის გზები, რაც გაერთიანდა ნაციონალების ერთიან ლოზუნგში – „საქართველო შევარდნაძის გარეშე“.

2003 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სააკაშვილმა კარგად გამოიყენა სატელევიზიო დებატები როგორც ქართველ, ისე რუს პოლიტიკოსებთანაც. ამ მხრივ აღსანიშნავია სატელევიზიო პოლიტიკური პაექრობა რუს რადიკალთან, რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერთან **ვ. ჟირინოვსკისთან**, რომელმაც განაცხადა, რომ თუ საქართველო რუსეთთან ვერ მოაგვარებს ურთიერთობებს, აფხაზეთი არასოდეს დაბრუნდება და ის ან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება ან კრასნოდარის მხარის სოხუმის ოლქი, მარნეული და გარდაბანი – აზერბაიჯანს შეუერთდება, თბილისი და ქუთაისი კი თურქეთის, სომხეთის და აღმოსავლეთ ქვეყნების საჯიჯგნი გახდება. სამწუხაროდ, ვ. ჟირინოვსკის დემაგოგიურ გამოსვლებს არავინ დაპირისპირებია ისე, როგორც **მ. სააკაშვილი**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ: **„რუსეთის იმპერიის მზე**

ჩაესვენა, საქართველოს პოლიტიკოსთა ახალი თაობა არ დაუშვებს, რომ საქართველოს ბედი რუსეთში წყდებოდეს. საქართველომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მტკიცედ ადგას ევროპული ინტეგრაციის გზას და თავის ტერიტორიებს შეინარჩუნებს“ [60] და აფხაზეთში სეპარატიზმის გაღვივებისათვის ჟირინოვსკის საერთაშორისო და საქართველოს სასამართლოების წინაშე პასუხისგებით დაემუქრა. ამ დებატებიდან მეორე დღესვე „რუსთაველი 2“-ს ტელევიზიით დაიწყო ამ კადრების ტრიალი სარეკლამო რგოლის სახით, რაც ხშირ-ხშირად ახსენებდა ხალხს სააკაშვილის მძაფრ გამოსვლას და დადებითად განაწყობდა მის მიმართ.

წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მიზნით, აჭარაში შესულ „ნაციონალურ მოძრაობას“ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელიც მათი ლიდერის ა. აბაშიძის შიშის გამო, თანახმა იყო ნებისმიერი ფორმით გამოეხატა წინააღმდეგობა ყველაფერი იმის მიმართ, რაც არ მოსწონდა თავად ა. აბაშიძეს, ვინაიდან აბაშიძე დარწმუნების ხერხების გამოყენებით, საზოგადოებას აჯერებდა, რომ არის სამართლიანი, უალტერნატივო და აღმშენებელი მმართველი თავისი რეგიონის. როგორც მ. სააკაშვილი აღნიშნავდა – ბათუმში მეტისმეტად შეშინდნენ, როცა დაინახეს, რომ ჩვენ აქ სერიოზული კამპანია გავაჩაღეთ. 12 წლის განმავლობაში აბაშიძის რეჟიმს დემოკრატია და ოპოზიცია თვალითაც არ უნახავს და ვერ წარმოუდგენიათ, რომ იქ აღმოჩნდებოდნენ გამბედავი ადამიანები: „ჩვენ იქ საარჩევნო კამპანია გვაქვს თუ პლაკატის გაკვრა წარწერით: „ბათუმი აბაშიძის გარეშე“ მათთვის გამოწვევაა, დაე ასე იფიქრონ. აჭარა არავის უჩუქებია აბაშიძის შვილებისა და შვილიშვილებისათვის. ეს ჩემი პატრიოტული ვალია საქართველოს წინაშე და ვიღაც ფეოდალს თუ გამომწვევად მიაჩნია, ეს უკვე მისი პრობლემაა“ [61.]. მ. სააკაშვილი ხშირად აქცენტირებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთადერთი ძალაა, რომელსაც ქვეყანაში რეალ-

ური ცვლილებების განხორციელება სურს, იმისათვის რათა ჩვენს შვილებს ნორმალური ცხოვრება ჰქონდეთ მშვიდობიან და სტაბილურ ქვეყანაში, **„მე მიმაჩნია, რომ ჩემი შვილების მომავალი ჩემი ბრძოლის ფასად ღირს“** [62.]

„ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაპირებებში შედიოდა შემდეგი პუნქტები: მცირე ბიზნესის ორი წლით გათავისუფლება ყველანაირი გადასახადისგან, პენსიების გაორმაგება, დაჟალიანებების დაფარვა, დანამატები სტაჟის და დამსახურების მიხედვით, მიწის გადასახადის გაუქმება, იქნება კანონის მიღება დაუსაბუთებელი, უკანონო ქონების ჩამორთმევისა და ხალხისთვის დაბრუნების შესახებ (მოპარული ანაბრები). კანონის დიქტატურა – რაც თითოეულ ქართულ ოჯახს მისცემს ხელშეუხებლობისა და უსაფრთხო მომავლის გარანტიას, სოციალური უსამართლობა აღმოფხვრა, პრიორიტეტი განათლების სისტემის განვითარება, ლიბერალური საგადასახადო სისტემის შემოღება და ა.შ.

დედაქალაქში პენსიების 3 ლარით გაზრდის შემდეგ, თითქმის ყველა თბილისელმა პენსიონერმა მიიღო მ. სააკაშვილის წერილობითი მიმართვა, რითაც კიდევ ერთხელ შეახსენა მათ „ნაციონალური მოძრაობის “ მიერ გაწეული მუშაობა: „ძვირფასო – (გვარი, სახელი) გვინდა მადლობა გადაგიხადოთ, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ თქვენს მიერ გაწეული მრავალწლიანი შრომისა და გარჯისათვის. ნაციონალური მოძრაობის ზეწოლამ მთავრობა აიძულა უკან დაეხია და გაესტუმრებინა საპენსიო დავალიანებების დიდი ნაწილი საქართველოს რეგიონებშიც. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი ათქმევინა მთავრობას იმ გეგმებზე, რომელიც პენსიის ნაცელად ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების დარიგებას ითვალისწინებდა. ჩვენ მივაღწიეთ, რომ 2004წ. 1 იანვრიდან ამოქმედდება დანამატები პენსიებზე, დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით... გვინდა პირადად გთხოვოთ აქტიური მხარდაჭერა მოახლოებულ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში, რათა ერთობლივი ძალით შეეძლოთ

დასახული გეგმების განხორციელება“ [63]. მაშინ, როდესაც არსებულმა ხელისუფლებამ დაიწყო თავისი მოსახლეობა, ასეთი პირადი წერილობითი მიმართვა 400 000 ამომრჩევლისადმი სააკაშვილის მხრიდან ერთგვარი შეება იყო იმ ხალხისათვის, რომელიც მიტოვებული და იგნორირებული იყო მთავრობისგან და რომელთაც მხოლოდ მ. სააკაშვილმა გაახსენა, რომ არის საქართველოში ისეთი ძალა, რომელიც ზრუნავს ხალხზე და იბრძვის მათი პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო საფასურად კი მხოლოდ არჩევნებში მხარდაჭერას სთხოვს, რათა მომავალში ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე. „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი ლოზუნგი იყო: „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ – ამ დაპირებების შესრულება მ. სააკაშვილმა ხალხთა მასების დიდი მხარდაჭერის შედეგად შესძლო.

პარადოქსია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობას, მის ფონზე, საპარლამენტო არჩევნებში 22 პარტიისა და ბლოკის მონაწილეობა ნამდვილად აღემატება ისეთი ქვეყნის მასშტაბებს, როგორიც საქართველოა. ელექტორატის გულის მოსაგებად ისინი არ იშურებდნენ მრავალფეროვან დაპირებებს, ნათელი მომავლის შესახებ და „კავკასიური ცარცის წრეში“ ჩამდგარი მიხეილივით აქეთ-იქით ექაჩებოდნენ ელექტორატს სანუკვარი ხმების მისაღებად. ცხადია, დემოკრატიის არსებობისათვის აუცილებელია პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლე, რათა შესაბამისი პოლიტიკური კონკურენციის ფონზე ხალხმა შესძლოს არჩევანის გაკეთება. არჩევანის გაკეთება კი მეტად რთულია პოსტსაბჭოურ სივრცეში გაზრდილი ხალხისათვის, ვინაიდან სსრკ-ში ერთადერთი მმართველი პარტია – კომუნისტური პარტია იყო, რომელსაც ალტერნატივა არ ჰქონდა და ხალხი მექანიკურად, გაუაზრებლად დადიოდა არჩევნებზე და ხმას აძლევდა იმას, რაც ისედაც უკვე არჩეული იყო. აქედან გამომდინარე, ძნელია ასეთი უცაბედი ტრანსფორმაცია ერთი სისტემიდან მეორეზე და შესაბამისად

არც შეცდომის დაშვებაა გამორიცხული, ამიტომ საზოგადოება არ უნდა ვაქციოთ პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების საგნად, არ უნდა დავუშვათ მათი გრძნობებით მანიპულირება, პირიქით, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ გავხადოთ გამჭვირვალე ის მეთოდები და საშუალებები, რომლის გამოყენებითაც ხდება ხალხის სიმპატიების მოპოვება. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გ. ბოლოთაშვილის მოსაზრება: „საქართველოში, კლასიკური გაგებით პარტია არ არსებობს, – ეს უმეტეს შემთხვევაში ამბიციურ ადამიანთა საკრებულოა. ჩვენში, ერთი ლიდერის გარშემო იკრიბება მისი სამეგობრო და სანათესაო, რომელთაც პარტიული მანდატი გამორჩენისთვის აინტერესებთ, ამიტომაა, რომ ეს პარტიები ადვილად იშლებიან და ერთდებიან“ [64].

გამარჯვების შემთხვევაში ნებისმიერმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს ის რთული პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოუწევთ შემდგომ ქვეყნის მართვისას. მათ უნდა მოახერხონ სახელმწიფოს საგარეო ინტერესების დაცვა, ეკონომიკის ამოქმედება, დაკარგული ტერიტორიების აღდგენა, სოციალური პრობლემების გადაჭრა და ა.შ. ყველაფერს ამას, კი სახსრები სჭირდება, აქვს კი ქვეყანას ამის საშუალება გარღვეული ბიუჯეტისა და ცარიელი ხაზინის ფონზე? ამ პრობლემათა შორის ბევრია ისეთი, რომლის განხორციელებასაც ერთიორი წელიც კი არ ეყოფა, თუმცა რამდენად შესძლებს ხალხი კვლავ მოთმინების გამოჩენას – საეჭვოა, „ასეთ შემთხვევაში კი პოპულისტური განცხადებების გაკეთება მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს მოგვიტანს, ასეთ სიტუაციებს დემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობათა ხშირი ცვლა მოჰყვა [65]“.

საქართველოს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ნაკლებ პოპულარული პოლიტიკური პარტიები და ბლოკები, თუმცა, მათი ამბიციები მაღალრეიტინგულ პარტიებს არ ჩამოუვარდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი იყო პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომელთაც ძირითად მიზნად დასახეს: სოფლის მეურნეობის

აღორძინება, ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა, უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება, პენსიების, სტიპენდიების და ხელფასების ორჯერ გაზრდა და სხვა. საზოგადოების ყურადღების მოპყრობის მიზნით ჯ. პატიაშვილმა სენსაციური განცხადება გააკეთა. კერძოდ, მან ე. შევარდნაძე პირადად დაადანაშაულა 1989 წლის 9 აპრილს მოწყობილ სისხლისღვრაში, მაგრამ განცხადებამ სასურველი ეფექტი ვერ მოახდინა. საქმე ისაა, რომ ქვეყნის ყოფილი პირველი პირი დიდი დაგვიანებით, თხუთმეტი წლის მერე იუწყებოდა იმას, რაც ხალხმა თითქმის პირველი დღიდანვე იცოდა. თან ამ აღიარებას ახლაც აკლდა ვაჟკაცური პირდაპირობა და ძველებურად მიკიბულ-მოკიბული იყო. ამიტომ, ამ განცხადებამ პატიაშვილის ლაჩრობა უფრო წარმოაჩინა, ვიდრე – შევარდნაძის ბრალეულობა. საბოლოოდ, მაინც ვერ მოახერხა პატიაშვილმა ელექტორატის ყურადღების მიპყრობა და ბლოკი პარლამენტის მიღმა დარჩა.

სუსტ, არაპოპულარულ პარტიათა და ბლოკთა რიცხვს მიეკუთვნება: „დედა სამშობლო“; ბლოკი „ეროვნული თანხმობა – იბერია გაბრწყინდება“; „მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია“; ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია“; „საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია“; „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“; პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი“; „საქართველოს ადვოკატები“; საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“. თითქმის ყველა მათგანი ჰპირდებოდა ელექტორატს: ელექტროენერგიის გაიაფებას, (თუმცა, „დედა სამშობლო“-ს ლიდერი თ. გუგუშვილი ელ. ენერგიის სიმბოლურ ან უფასოდ მოწოდებასაც კი დაპირდა ამომრჩეველს. საკმაოდ გულუხვი იყო თავის დაპირებებში პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“, ისინი გამარჯვების შემთხვევაში დღის წესრიგში დააყენებდნენ: სტიპენდიების 40-დან 47 ლარამდე, პენსიების 70-დან 110 ლარამდე და პედაგოგებისა და ლექტორებისათვის ხელფასის 120-დან 200 ლარამდე გაზრ-

დას, მთლიანი მოსახლეობის უზრუნველყოფას სამუშაო ადგილებით და ა.შ. „მძლეველი“ ეხება ყველანაირ პრობლემებს, დაწყებულს „პროსტიტუციით, ნარკომანიით თუ ათასი ჯურის სექსუალურობით... კულტურული, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემებით დამთავრებულს, რაც გაჯერებულია მრავალფეროვანი პოპულისტური ლოზუნგებით: „ჩვენი ნაკლი იმაშია, რომ ნაკლი არ გვაქვს;“ „და გამოვიდა მძლეველი, რათა სძლიოს“; „ჩვენ ის ღღეის კვერცხი ვართ, ხვალის ჯიშიან ქართულ „დედალს“ რომ გამოგვიჩეკს“ [66.] – ასე, რომ გამოდის „მძლეველის“ არჩევით არა მარტო ქვეყანას ეშველება, არამედ მეფრინველეობის პრობლებაც გადაიჭრება – თუმცა ეს რაღა თქმა უნდა ხუმრობით, თორემ პარტიას, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები აქვს უფრო მეტი სერიოზული და კონკრეტული წინადადებები უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია მათ ჭეშმარიტად სურთ „ქვეყნის გადარჩენა“, თუმცა სურვილსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია გაჯერებული იყო რეალური თუ არარეალური დაპირებებით, ლოზუნგებით, ერთის მხრივ პოპულიზმით გატაცებამ ზოგიერთი ბლოკისა თუ პარტიის (მათ შორის, სახელისუფლებო ბლოკის) ანტირეკლამა გამოიწვია, ხოლო ოპოზიციის („ნაციონალური მოძრაობა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“) რეიტინგი აამაღლა.

ცრუ პოპულიზმის გამოყენებას აქვს ის კრიტიკული ზღვარი, რის შემდეგაც სახეზე ვიღებთ ნეგატიურ მოვლენებს: კერძოდ, როდესაც პოპულისტი პოლიტიკოსი აღწევს სასურველ მიზანს მოტყუებული ხალხის ხარჯზე, აუსრულებელი დაპირებები გროვდება საზოგადოებაში წლითი-წლობით და დგება მომენტი, როდესაც ამომრჩეველი გამოხატავს შესაბამის უარყოფით რეაქციას და აღარ უცხადებს ნდობას პოპულისტ ლიდერს მომავალ არჩევნებზე. გარდა ამისა, შესაძლებელია სახეზე მივიღოთ საზოგადოების მხრიდან

სოციალური აფეთქება, ნიჰილიზმი, რადიკალური ქმედებები, დაუმორჩილებლობა და რევოლუცია. ასეთ სიტუაციაში მასა ყოველთვის იწყებს ახალი ლიდერის ძიებას, რომელიც თავის თავზე აიღებს მოცემული სიტუაციის კონტროლს და ჩიხიდან გამოიყვანს საზოგადოებას, შესაბამისად, ხალხიც თავისი ნებით ჩადგება ასეთი ლიდერის სამსახურში.

ასეთი სიტუაცია მივიღეთ საქართველოში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სადაც არჩევნების გაყალბება აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი, რამაც აავსო ხალხის მოთმინება, თუმცა რომ არა ოპოზიციის ლიდერების – მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე, ზ. ჟვანიას მოწოდებები, შეხვედრები ხალხთან და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა, ცალკეულ მოქალაქეებში დაგროვილი პროტესტის გრძნობა ვერ გახდებოდა საერთო-სახალხო და მასობრივი.

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ის სიტუაცია, რაც შეიქმნა რევოლუციის წინ, ხოლო შემდეგ თავად „ვარდების რევოლუცია“ სწორედ პოპულისტური მეთოდების გამოყენებით განხორციელდა. კერძოდ, ეს იყო განდის მიერ შემუშავებული არაძალადობრივი, უსისხლო ბრძოლის მეთოდი. მოვლენების ეპიცენტრში იმთავითვე მოექცა ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მ. სააკაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ის ბუნებრივი რესურსები, რაც საჭირო და აუცილებელია მასების ასაყოლიებლად, ხოლო ამ თვისების სინთეზმა პოპულიზმის მეთოდებთან მოგვცა მ. სააკაშვილი როგორც პოლიტიკური Zლიდერი, რომელიც მოსახლეობის ნაწილის მიერ აღქმული იქნა როგორც მათი გადამრჩენელი და მშველელი. – **„ჩვენ მშვიდობიანი მეთოდით მივაღწევთ ძალიან სერიოზულ შედეგებს“** [67] აცხადებდა მ. სააკაშვილი. **„ყველა სახელმწიფო დაწესებულებას გაფიცვისკენ მოვუწოდებთ... მოვუწოდებთ ბიზნესმენებს უარი თქვან გადასახადების გადახდაზე... წინააღმდეგობების კომიტეტები უნდა შეიქმნას ყველგან... ჩვენ მშვიდობიან ბრძოლას გავაგრძელებთ და დარწმუნებული ვართ გამარჯვებამდე მივალთ“** [68].

2003 წლის საპარლამენტო არჩევნები გაჯერებული იყო პოპულისტური ლოზუნგებით. თუმცა, პოპულიზმი (მხედველობაში გვაქვს რეალური პოპულიზმი) ყოველთვის ეხმაურება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და დღის წესრიგში მისი გადაჭრის საკითხებსაც აყენებს, ხოლო იმისათვის, რომ არსებული პრობლემა უფრო გასაგები გახდეს ხალხისათვის, გამოიყენება მესიჯები და ლოზუნგები, მათი საშუალებით პარტიები და ბლოკები მარტივად და ლაკონურად უხსნიან ელექტორატს, თუ:

1. რა არის მოცემული პოლიტიკური პარტიისა თუ ბლოკის ძირითადი მიზანი, მაგ.: „საქართველო – შევარდნაძის გარეშე" (ნაც. მოძრაობა, 2003წ. საპარლამენტო არჩევნები);
2. რას გააკეთებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში;
3. რა უპირატესობით სარგებლობს მოცემული კანდიდატი სხვა კონკურენტებთან შედარებით.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ლოზუნგი პოპულისტურია, ვინაიდან იგი არის ემოციის ენაზე დაყვანილი იდეა, რომელიც ეხმაურება აქტუალურ საკითხებს, აღიქმება ცალსახად, არის ლაკონური, კეთილხმოვანი, იზიდავს ხალხის ყურადღებას, ადვილად დასამახსოვრებელია, მოქმედებს ამომრჩევლის ქვეცნობიერებასა და ქცევით დონეებზე.

მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს საკმაოდ პოპულარული იყო ლოზუნგები სამამულო ომის თემაზე, „Родина мать зовет", „За родину за Сталина", „Ты записался доброволцем?" და სხვა. რამაც პირველყოელისა ჯერ იდეოლოგურად მოაგებინა ომი ქვეყანას, შემდეგ ფიზიკურადაც, ა. ჰიტლერმა ლოზუნგის „Deutschland Uberalles" მეშვეობით მოახერხა ფართო მასების გაერთიანება დაპყრობითი ომების საწარმოებლად.

თითქმის მთელი კომუნისტური იდეოლოგია ლოზუნგებზე იყო აგებული, რომელიც ხალხს შთააგონებდა ამ რეჟიმის უალტერნატივობას და განსაკუთრებულობას, მასებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ. ცნობილი კომუნისტური ლოზუნგები იყო **„გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას –**

ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს"; „მაღლა ვატაროთ საბჭოთა მუშის კარგი სახელი"; „ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური დონე და კეთილდღეობა" და ა.შ.

საქართველოში ლოზუნგების შექმნა წინასაარჩევნო კამპანიებს უკავშირდება. მაგ: 1995 წელს **„მოქალაქეთა კავშირი"** პარლამენტში მოდის დეევიზით: **„მილიონი სამუშაო ადგილი"** – რამაც დიდი იმედებით განაწყო ხალხი. 1999 წელს იგივე პარტია ახალ საპარლამენტო არჩევნებშილოზუნგით – **„სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე"** – მოგვევლინა. თუმცა ამ ლოზუნგმა ვერც დაკარგული ტერიტორიები დაგვიბრუნა და ვერც კორუფცია თუ კრიმინალთა თარეში ალაგმა. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას კი **„მოქალაქეთა კავშირმა"** წამოაყენა ლოზუნგი: **„არჩევანი ბევრია, ღირსეული ერთი"**.Rეს იყო ქრისტეს სიტყვების მკრეხელური პერიფრაზირება. სახარება ერთ რჩეულში ქრისტეს გულისხმობდა, მოქკავშირი – შევარდნაძეს.

ლოზუნგების ნამდვილი ბუმი კი 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ იწყება. ამ მხრივ საყურადღებოა სტუდენტური მოძრაობის **„კმარას"** მოღვაწეობა. მათი ოპოზიციური მოძრაობის ძირითად ატრიბუტიკად სწორედ პლაკატები, ბუკლეტები და ლოზუნგები იქცა. მაგ: **„წამება კმარა! განუკითხაობა კმარა! ფორმიანი ყაჩაღები კმარა!"; „კმარა თვითნებობა"; „ფაშისტები კმარა"** და ა.შ.

ასე, რომ პოპულიზმი აქტუალური ხდება არჩევნების დროს და მას იყენებს ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური პარტია.

პოპულიზმი არის დროის ერთგვარი ბარომეტრი, რომელიც ეხმაურება იმ პრობლემებს, რომელიც აქტუალურად დგას საზოგადოების წინაშე და გვისახავს მისი გადაჭრის გზებს, თუმცა არჩევნების შემდეგ დაპირებათა ნაწილი არ სრულდება ან ხელოვნურად ჭიანურდება.

ნაციონალური პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში

ნაციონალური პოპულიზმის ცნების განსაზღვრისათვის, ჯერ ნაციონალიზმის ცნება უნდა განვსაზღვროთ. „ნაციონალიზმი“ ლათინური ტერმინია, მაგრამ პოლიტიკაში ინგლისელებმა დაამკვიდრეს. წარსულში იგი ასახავდა ირლანდიის ბრძოლას ავტონომიისათვის. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში კი ეს ტერმინი საბჭოთა პოლიტიკურ სივრცეს იპყრობს და ასახავს სსრკ რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნული თვითგამორკვევის პროცესებს, რამაც განაპირობა ახალი სახელმწიფოების შექმნა.

ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპია საკუთარი ერის პრიორიტეტი. ეს ერთგვარი განყენებული პოლიტიკური აზროვნებაა და ამტკიცებს საკუთარი ერის უნივერსალურობას, წინა პლანზე აყენებს საკუთარი ერის პრობლემებს.

ნაციონალიზმი უნდა გავმიჯნოთ შოვინიზმისგან.Rეს უკანასკნელი არის საკუთარი ერის დაპირისპირება სხვა ერებთან. შოვინისტი, როგორც წესი იწყებს ამ დაპირისპირებით, სცნობს მხოლოდ საკუთარი ერის ღირსებას, უპირატესობას ანიჭებს მას სხვა ერების წინაშე; ასეთი დაპირისპირება მიდის იმის მტკიცებამდე, რომ სავსებით კანონზომიერი და მიზანშეწონილია საკუთარი ერისთვის ზრუნვა სხვათა ხარჯზე; რომ სხვა ერები არასასურველნი არიან, მოკლებულნი არიან ღირსებას. აქედან გასაგებია, რომ შოვინისტს სძულს სხვა ერები და მზადაა მათ გასანადგურებლად.

საინტერესოა, რომ პოლიტოლოგიაში ნაციონალიზმისა და შოვინიზმის განსხვავება არაა აქტუალური თემა.Sფიქრობენ, რომ მათ შორის განსხვავება მოჩვენებითია; თუ ნაციონალისტი დიდი ძალით აღივსება, ის მაშინვე შოვინისტი გახდება. ასევე, თუ შოვინისტი ძალას დაკარგავს და დასუსტდება, ჩვეულებრივ ნაციონალისტად იქცევა. ნაციონა-

ლისტ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს იმ პროგრამით, რომელიც ძირითადად გათვლილია საკუთარ ერზე, ამიტომ შესაძლებელია ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს სხვა ერების ან მცირე ეთნიკური ჯგუფების ნაციონალური ინტერესები.

ნაციონალისტები, პოლიტიკური თვალსაზრისით, დღის წესრიგში აყენებენ თვითგამორკვევას, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. ეკონომიკური კუთხით კი, ითხოვენ ქვეყნის ძირითადი რესურსების მხოლოდ ნაციონალურ სტრუქტურებში დატოვებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმი მუდმივად დგას მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე: კერძოდ, მსოფლიოს ხალხები არ არიან განაწილებულნი მკვეთრად განსაზღვრულ, ისტორიულად მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე. ამიტომ, ყველა სახელმწიფოში არსებობს ეთნიკური ან ეროვნული უმცირესობა, რაც ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის ნაციონალური პოლიტიკის გატარებისას.

ნაციონალური პოპულიზმისათვის დამახასიათებელია: ლტოლვა თავისუფალი და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისკენ; არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების შეცვლა ეროვნულ ტრადიციებზე და ინტერესებზე აღმოცენებული ხელისუფლებით; პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და პირადი კონტაქტების დამყარება-გაღრმავება მოწინავე ქვეყნებთან; საზღვარგარეთ გასვლის უფლებების გამარტივება; ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროსთან.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით მეტად დაძაბული და მრავალფეროვანი იყო მთელს მსოფლიოში, მაგ: ევროპის სოციალისტური ქვეყნები ანტიკომუნისტურმა მოძრაობამ მოიცვა, რომლის ძირითად მიზანს კომუნისტური რეჟიმის დამხობა წარმოადგენდა, 1989 წელს ჩეხოსლოვაკიაში განხორციელდა „ხავერდოვანი რევოლუცია"; 1989 წელს სამხედრო ტრიბუ-

ნალმა სიკვდილით დასაჯა რუმინეთის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ; კომუნისტურ-დიქტატორული რეჟიმები დაემხო ასევე პოლონეთსა და ბულგარეთში; გაერთიანდა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია. ამ პროცესებმა გამოხმაურება ჰპოვა სსრკ-ს ქვეყნებშიც, სადაც ფართოდ გაიშალა ნაციონალ-პოპულისტური მოძრაობა.

ნაციონალური-პოპულიზმის ჩასახვა და შემდგომში მისი განვითარება განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ: ტოტალიტარული სახელმწიფოს ფონზე, სადაც სუსტად იყო განვითარებული ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციები, აღმოცენდა სრული სოციალური და იდეოლოგიური ვაკუუმი. ამ ვაკუუმის შევსება კი დაიწყო ეროვნული იდეოლოგიით, რომლის არსი სუვერენიტეტი და ეროვნული აღორძინება იყო.

საერთო ჯამში სსრკ-ს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ნაციონალური პოპულიზმის წინაპირობები იყო:

- **ეკონომიკური:** ეკონომიკის განვითარების ტემპების ვარდნა; ცხოვრების განვითარების დაბალი დონე; დეფიციტი სხვადასხვა პირველადი მოხმარების საქონელზე;
- **ისტორიული:** ერის ღირსების და დამოუკიდებლობის უგულებელყოფა;
- **სამართლებრივი:** არათანაბარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური ურთიერთობები ცენტრსა და მის რეგიონებს შორის;
- **დემოგრაფიული:** ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, შობადობის დაბალი დონე;
- **ეკოლოგიური:** მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების

პრობლემა: უკმაყოფილება ატომური თუ ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის გამო მოსალოდნელი ეკოლოგიურისაფრთხის მიზნით;

- **ეროვნული კულტურა:** ეროვნული თვითმყოფადობის,

ტრადიციების, სიმდიდრეების განადგურების საფრთხე; კულტურისა და ისტორიული ძეგლების მდგომარეობა;

• **ეროვნული ენა:** ენის სოციალური ფუნქციების დაკარგვის საფრთხე მეორე – ამ შემთხვევაში თავსმოხვეულ რუსულ ენასთან მიმართებაში;

• **ეროვნული სიმბოლიკა:** დროშის, გერბის, ჰიმნის, მატერიალურითუ სულიერი კულტურის აღორძინება;

• **თვითგამორკვევის უფლება:** სსრკ რესპუბლიკების თავისუფალი გასვლის უფლება სსრკ შემადგენლობიდან.

საბჭოთა სისტემა მისი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ, ახორციელებდა შეუპოვარ და თანამიმდევრულ უნიტარიზმის კურსს. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ეროვნული ტენდენციების აღმოსაფხვრელად ხალხის „ინტერნაციონალისტური“ აღზრდის მიზნით, მაგრამ „მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმმა თავის ძირითად დოქტრინად ინტერნაციონალიზმი გამოაცხადა, სინამდვილეში ხალხში გაამძაფრა ნაციონალური გრძნობები“ [69.2] – აღნიშნავს ამერიკელი მეცნიერი ბზ. ბზეჟინსკი.

როგორც პოსტსაბჭოური პრაქტიკა გვიჩვენებს, მის ყოფილ რესპუბლიკებში, ხელისუფლების სათავეში ყველა პოლიტიკური ლიდერი ნაციონალური პოპულიზმის გამოყენებით მოვიდა. ასეთი პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური მანიპულირება და სოციალ-პოლიტიკური მანევრების გამოყენება.

მანიპულირებაში იგულისხმება ზემოქმედება საზოგადოების ცნობიერებაზე მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით, ეს არის: ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია, რაც ემსახურება არსებული იდეოლოგიის განმტკიცებას, და ამასთან ერთად დადებითად განაწყობს მოცემული პოლიტიკური Zლიდერის მიმართ.

სოციალ-პოლიტიკურ მანევრირებაში კი გამოიყენება პოპულისტური ლოზუნგები, დროებითი პოლიტიკური ბლოკებისა თუ ალიანსების შექმნა, საზოგადოების ყურადღების გა-

დატანა იმ პრობლემებზე, რომელსაც თავად პოლიტიკოსი მიიჩნევს საჭიროდ, ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება და მისი დანერგვა ხალხში.

სიტყვა „ნაციონალიზმი“ ინგლისური წარმოშობისაა, წარსულში იგი ასახავდა ირლანდიის ბრძოლას ავტონომიისათვის. XX ს-ის 80-იან წწ-ში კი ეს ტერმინი საბჭოთა პოლიტიკურ სივრცეს იპყრობს და ასახავს სსრკ რესპუბლიკებში მიმდინარე თვითგამორკვევის პროცესებს, რამაც განაპირობა ახალი სახელმწიფოების შექმნა.

ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპებია საკუთარი ერის კლასობრივი ან რელიგიური პრიორიტეტი. Rეს ერთგვარი განყენებული პოლიტიკური აზროვნებაა, რომელიც ამტკიცებს საკუთარი ერის უნივერსალურობას და წინა პლანზე აყენებს საკუთარი ერის პოლიტიკურ პრინციპებს. ცნობილი ქართველი მეცნიერი მ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ნაციონალიზმი არის მთელი სისტემა იმ მისწრაფებათა მოძღვრებისა, რომელიც ერს შეეხება. იგი იცავს ერის ინტერესებს სხვა ეროვნულ ორგანიზმთა შემოსევისაგან, ქადაგებს შინაური სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებას, მუდამ იბრძვის ერის ინდივიდუალურობის შენახვისათვის და იცავს მას სიკვდილისაგან. თუმცა აქვე უნდა გაემიჯნოთ ერთმანეთისაგან ჰიტლერის და მუსოლინის შოვინიზმი, განდის ან ილიას ნაციონალიზმისაგან.

ნაციონალ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს იმ პროგრამით, რომელიც ძირითადად გათვლილია საკუთარ ერზე, რის გამოც შესაძლებელია ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს სხვა ერთა (ან მცირე ეთნიკური ჯგუფების) ნაციონალური ინტერესები.

ნაციონალისტები პოლიტიკური თვალსაზრისით დღის წესრიგში აყენებენ — თვითგამორკვევას, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. ეკონომიკური კუთხით კი ითხოვენ ქვეყნის ძირითადი რესურსების მხოლოდ ნაციონალურ სტრუქტურებში დარჩენას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ტერმინების: „ნაციონალური“ და „ნაციონალისტური“ ერთმანეთში არევა, თუმცა მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა, შესაბამისად განსხვავდება ერთმანეთისაგან ნაციონალური და ნაციონალისტური პოპულიზმიც. ნაციონალური-პოპულიზმის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

რაც შეეხება ნაციონალისტურ პოპულიზმს, იგი ნაციონალური პოპულიზმის რადიკალური მიმართულებაა რომლის ძირითადი ნიშნებია:

• ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება საზოგადოებაში სხვა ერების ზეწოლისა და მათი შევიწროების ხარჯზე;

• მანიპულირება ეროვნული გრძნობებით;

საკუთარი ეროვნული გრძნობების აღმატებული შეგრძნება;

• საკუთარი ერის რასობრივი, ეთნიკური და ისტორიული წარსულის უპირატესობა;

• სხვა ერთა ისტორიული წარსულის შეურაცხყოფა;

• ეთნოკონფლიქტების გაღვივება;

• რასიზმი, შოვინიზმი და ქსენოფობია.

XXს-ს 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ თითქმის ყველა რესპუბლიკაში ამოძრავდნენ ეროვნული თვითგამორკვევის ძალები, გახშირდა ეთნოკონფლიქტებიც. ამ პერიოდს უკავშირდება ნაციონალ-პოპულიზმის გააქტიურება სსრკ-ს რესპუბლიკებშიც, სადაც ძირითადი მოთხოვნები იყო: პლურალიზმი, დემოკრატია, ალტერნატიული არჩევნები, მრავალპარტიულობა, თვითგამორკვევის უფლება, ეთნიკური ტრადიციების, კულტურის, ენის ისტორიის და ა.შ. აღორძინება.

1966 წლის 16 დეკემბერს, გაერომ მიიღო დადგენილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის, საკუთარი პოლიტიკური სტატუსის დადგენის, სოც.-ეკონომიკური და კოლტურული განვითარების უფლება. 1975 წლის 1 აგვისტოს კი ჰელსინკის კონფერენციაზე მიღებულ იქნა ხელშეკრულება – 10 პუნქტი, რომელიც მოიცავდა:

სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში ჩაურეველობას, საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაურღვეველობას, ერთა თვითგამორკვევას, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას განურჩევლად რასის, სქესის, ენის თუ რელიგიური აღმსარებლობისა და ა.შ. ამ ხელშეკრულებას ხელს აწერდა სსრკ-ც, თუმცა საბჭოთა იდეოლოგები ერთა თვითგამორკვევის ნაცვლად, მუდამ მიიღტვოდნენ შეექმნათ "საბჭოთა ადამიანი", რაც თავისთავად უკვე აშკარა დარღვევა იყო ზემოთხსენებული ხელშეკრულებისა.

1975 წელს საქართველოში შეიქმნა „ჰელსინკის ჯგუფი" **ზ. გამსახურდიას** თაოსნობით. ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა და მისი შესრულების მოთხოვნა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება. „ჩვენ ვიბრძვით პოლიტიკური ბრძოლის გზით, ვამხელთ უსამართლობას, უკანონობას... ჩვენი ჯგუფი იბრძვის ყოველი ადამიანის კონკრეტული უფლებისათვის, საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის," [70] – აღნიშნავდა ზ. გამსახურდია.

საქართველოში ნაციონალ-პოპულიზმის ათვლის წერტილი შეიძლება დავიწყოთ 1956 წლის 9 მარტიდან. როგორც ცნობილია კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, მოხსენებით გამოვიდა **ნ. ხრუშჩოვი** პიროვნების კულტის შესახებ, მან ქართველებს ბრალი დასდო ნაციონალიზმში, (კომუნისტებს ეს სიტყვა ჭირის დღესავით სძულდათ) ეროვნულ კუთვნილებათა ავადმყოფურ სიყვარულსა და ქედმაღლობაში. სტალინისა და ბერიას რეპრესიულ პოლიტიკაში კი ქართული ფენომენი დაადანაშაულა, რის გამოც რუსი და არა მარტო რუსი, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებში ქართული წარმომავლობა ასოცირდა შოვინიზმთან და ტირანიასთან. ხრუშჩოვის დემაგოგია განგებ ემსახურებოდა ქართველთა წინააღმდეგ ეროვნული შუღლის გაღვივებას

და ქსენოფობიას, ამ ფაქტის გამო ეროვნება დათრგუნული ქართველი ახალგაზრდობა ფსიქოლოგიურმა სინდრომმა მოიცვა, რომელმაც სტალინის კრიტიკა, საკუთარი ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფად მიიღო. „ერმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ კრემლის ამ ნაბიჯს ანტიქართული სული ედო და სტალინი რუსი რომ ყოფილიყო, ან რომელიმე სხვა სლავი ერის შვილი, მაშინ მას გვირგვინს არ მოხდიდნენ და მაუზოლეუმიდანაც არ გამოიყვანდნენ... სამშობლოს სიყვარულმა ისე მძლავრად ამოხეთქა, რომ მისი შეკავება ვერაფერმა შესძლო. 9 მარტის ამბოხებამ მალე ჰპოვა ბუნებრივი გზა და გადაიქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად და ბრძოლად, ეს მაშინვე იგრძნო კრემლმა და გადადგა ჯალათური ნაბიჯი, სისხლში ჩაახშო ქართველი ხალხის ბუნებრივი გამოვლინება“ [71.106] – აი, როგორ კომენტარს უკეთებდა ამ მოვლენებს 1991 წლის მარტში რადიო „ამერიკის ხმა“. Rეს იყო ქართველი ახალგაზრდების ერთგვარი პროტესტი უნიტარიზმის კურსის წინააღმდეგ, ამ მიტინგებზე გაისმა პირველად ხმამაღლი ლოზუნგები: **„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, „ძირს კოლონიალიზმი“, „პატრიოტებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდით“**, გავრცელდა ეროვნული სულიკვეთებით გაჟღენთილი პროკლამაციები და სხვ.

9 მარტის მოვლენები შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაციონალ-პოპულიზმის პირველი ნაბიჯები, „ეს იყო ე. წ. სახაზინო პატრიოტიზმით დაბანგული ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური სინდრომი, რომელსაც სამშობლოს ცნება ერთ პოროვნებაში ჰქონდა გააზრებული და სჯეროდა, რომ სტალინის საქმიანობის შეფასება უპირისპირდებოდა სოციალიზმის მონაპოვარს და ამასთან ერთად შეურაცხყოფდა მის ეროვნულ სიამაყეს“. [72.221]

ნაციონალურმა-პოპულიზმმა ახალი ძალით იფეთქა 1978 წელს, როდესაც რესპუბლიკაში ახალი კონსტიტუციის განხილვა დაიწყო. საბჭოთა ხალხის ერთიანობის ყალბი კონცეფციის მოშველიებით, საბჭოთა იდეოლოგები ცდილობდნენ

დაესაბუთებინათ ერების ენობრივი ბარიერის დრომოჭმულობა და კონსტიტუციურად დაეკანონებინათ რუსული ენის შემოღების მიზანშეწონილობა მთელს საბჭოთა ქვეყანაში, ეს კი ნიშნავდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის მუხლის ამოღებას და რუსული ენის გაბატონებას.

ამას მოჰყვა ჯერ სტუდენტების, შემდეგ კი მთელი ქართველი ერის ერთსულოვანი აღშფოთება. 1978 წლის 12 აპრილიდან არსებული უკმაყოფილება გრანდიოზულ დემონსტრაციებში გადაიზარდა, ხალხი მზად იყო სისხლის ფასად დაეცვა ეროვნული ენა. არსებული რთული სიტუაციის განსამუხტავად ხალხში თავად ცეკას პირველი მდივანი ე. შევარდნაძე გავიდა და ხალხს ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტას დაპირდა, მართლაც, მან მოახერხა ბრეჟნევისათვის გამოეძალა თანხმობა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნებაზე.

ასე, რომ ნაციონალური საკითხი ყოველთვის აქტუალურად იდგა ქართულ პოლიტიკაში. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის ტერორის და რეპრესიებისა, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ მაინც თავისი გაიტანა და გამოჩნდნენ ე. წ. „დისიდენტები“ (ანუ არაფორმალები). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ნელ-ნელა გაჩნდა პირველი არალეგალური (იატაქქვეშა) გამოცემები: **„ოქროს საწმისი“; „საქართველოს მოამბე“; „მატიანე“** და სხვ. მათში იბეჭდებოდა ეროვნული სუვერენიტეტის ის იდეები, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩაისახა საქართველოში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ პროცესებმა შემდგომში მოამწიფა პოლიტიკური ნიდაგი 80-იან წლებში ნაციონალური პოპულიზმის ასაღორძინებლად.

1988 წლიდან საქართველოში თავი იჩინა სტუდენტობისა და ინტელიგენციის დაინტერესებამ ეკოლოგიური პრობლემებით. Rეს იყო საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, ჰუდონჰესის მშენებლობა და სხვ. ასევე კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა და პირველ რიგში დავით გარე-

ჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენა – რაც შესაძლებელი იყო იმ რაიონიდან სამხედრო პოლიგონის გადატანით. ეკოლოგიური პრობლემა თანდათანობით გადაიზარდა უფრო ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამაც საფუძველი დაუდო ნაციონალური პოპულიზმის აღმავლობას.

ნაციონალური პოპულიზმი გამოიხატა ერთიან ლოზუნგში: **„დაე, ვიყოთ მშივრები – ოღონდ დამოუკიდებლები“**, ეს ლოზუნგი სსრკ-ს ყველა იმ ქვეყანაში გახდა აქტუალური, სადაც ფართოდ გაიშალა ნაციონალური პოპულიზმი.

ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში გაჩნდა და დამკვიდრდა ახალი პოლიტიკური ტერმინები:

- დემოკრატია;
- ეროვნული აღორძინება;
- ეროვნული დამოუკიდებლობა;
- სუვერენიტეტი;
- თვითგამორკვევა;
- სამართლიანობის აღდგენა;
- ეროვნული დროშა;
- ოკუპაცია;
- ანექსია.

80-იან წლებში აღორძინებადი, გააქტიურებული ქართულ ნაციონალ-პოპულიზმის ძირითად საკითხად იქცა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მიზნის მისაღწევად კი გამოყენებულ იქნა არაძალადობრივი ბრძოლის განდის მეთოდები: შიმშილობა, მიტინგები, სასწავლო პროცესის ჩაშლა, გახშირდა მოწოდებები სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ. მომიტინგეებს შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, ხშირად ჩნდებოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მხარდამჭერი ლოზუნგები – ქართველებო, თქვენთან ვართ! ამ პერიოდში გამოჩნდა მივიწყებული ეროვნული სიმბოლოები, რომელიც კომუნისტური რეჟიმის გამო ტაბუდადებული იყო,

მათ შორის ჩანდა 1918 წლის ეროვნული დროშა, გერბი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი გმირის ქ. ჩოლოყაშვილის სურათები, ი. ჭავჭავაძის პორტრეტები, ლოზუნგები, რომლებიც გაჯერებული იყო ეროვნული სულისკვეთებით, მაგ:

- გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!
- ძირს იმპერია!
- ჩვენთან არს ღმერთი!
- სიკვდილი ან თავისუფლება!
- ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!
- ენა, მამული, სარწმუნოება!
- ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!
- შეუერთდით საყოველთაო გაფიცვას!
- დიდება ერთობას ჩვენი ერისას!
- Красные окупанты вон из Грузии!

და სხვ.

80-იანი წლების ქართული ნაციონალ-პოპულიზმის ძირითადი პრინციპები იყო:

- ქართული ენის დაცვა დევნა-შევიწროებისგან;
- საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესება (საქ.-ს ისტორია ისწავლებოდა შეკვეცილი სახით, უახლესი ისტორია კი თითქმის სულ გაყალბებული იყო);
- ქრისტიანული რელიგიის აღორძინება და ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესება (ეროვნული მოძრაობა სწორედ ამ საკითხებით, კერძოდ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის პრობლემით დაიწყო, სადაც რუსული სამხედრო ძალების პოლიგონი იყო განლაგებული, რაც მეტად დიდ ზიანს აყენებდა ზემოთხსენებულ კულტურის ძეგლს);
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;
- ქართველი მოსახლეობის უფლებათა დაცვა;
- ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრა: სამხედრო-საჰაერო და საარტილერიო მანევრების შეწყვეტა; ჰიდროელექტრო სადგურების, ხელოვნური ზღვების შექმნა და ტრანსკავკა-

სიური რკინიგზის მშენებლობა კი ქვეყანას ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების წინაშე აყენებდა;

• მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

• კორუფციის აღმოფხვრა;

• ეროვნული სიმბოლიკების: დროშა, ჰიმნი, გერბის აღდგენა;

• თავისუფლება და დემოკრატია.

ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ე.წ. ყოფილი დისიდენტები, შემდგომში - არაფორმალები და ბოლოს, უკვე ეროვნული ბრძოლის გმირები და ლიდერები: **ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ.ჭანტურია, ი. წერეთელი, თ. ჩხეიძე, ი. შენგელაია** და სხვა. „ჩვენი ჯგუფი იბრძვის ყოველი ადამიანის კონკრეტული უფლებებისთვის, საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, 1990 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების შესრულებისთვის“ [73.] – აღნიშნავდა ზვიად გამსახურდია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო მეტად გამოკვეთილ ლიდერად იქცა.

ქართული ნაციონალური პოპულიზმი ძირითადად ეყრდნობოდა მასების ემოციებსა და გრძნობებს, რაც სავსებით გასაგებია თუ გავითვალისწინებთ კომუნისტურ-დიქტატორული რეჟიმის პირობებში არსებულ ყველანაირ აკრძალვებს და ამასთანავე ქართულ ექსცენტრიულ, ემოციურ ხასიათს. ხალხი თითქმის მოწყურებული იყო ეროვნული სიმბოლიკის აღდგენას, საკუთარი ისტორიის ობიექტურად გაშუქებას, ეკლესია-მონასტრებში თავისუფლად სიარულს და ა.შ.

ფართოდ გაიშალა ეროვნული იდეების პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციების საშუალებით, პრესაში დაბეჭდილ მასალათა უმრავლესობა არ მოიცავდა გაუთავებელი ყრილობებისა თუ პლენუმების ყბადაღებულ ანგარიშებს, სტატიები მიმოიხილავდა ნაციონალური რელიგიის, კულტურის, ისტორიის, ენის, ეკოლოგიურ პრობლემებს და სხვ. ამ პროცე-

სების პარალელურად საქართველოში აღორძინდა პოლიტიკურ პარტიათა შექმნა (რომელსაც XIX ს-ის დასასრულსა და XX საუკუნის I ნახევარში დიდი გამოცდილება ჰქონდა), მაგ. ეს იყო: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე: გ. ჭანტურია), ჰელსინკის კავშირი (თავმჯდომარე: ზ. გამსახურდია), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (თავმჯდომარე: თ. ჩხეიძე), სახალხო ფრონტი (თავმჯდომარე: ნ. ნათაძე) და ა.შ. თითქმის ყველა მათგანი იყო მემარცხენე რადიკალური მიმართულების (გარდა სახალხო ფრონტისა), თუმცა ყველას ერთი სტრატეგია ჰქონდა – ეროვნული დამოუკიდებლობა და დემოკრატია, იდეოლოგია კი შესაბამისად – ნაციონალური.

მსოფლიო ისტორიაში საკმაოდ ბევრი მაგალითი მოიძებნება იმ პოლიტიკოსთა მოღვაწეობისა, რომლებიც ნაციონალიზმის გამოყენების შედეგად იქცნენ ლიდერებად, ვინაიდან ეს მეთოდი ყოველთვის აქტუალურია და დიდ ეფექტს ახდენს მასების ფსიქოლოგიაზე, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: **მ. განდი, სუნ-იატ-სენი, ჟ. ვარგასი, პერონი, მ. ტეტჩერი** და ა.შ. ნაციონალური პოპულიზმის თემა თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერის სავიზიტო ბარათია, ამ კუთხით საქართველოში აღსანიშნავია **ზ. გამსახურდიასა** და **მ. სააკაშვილის** მოღვაწეობა:

ზ. გამსახურდიას ნაციონალ-პოპულიზმი ჭეშმარიტ ეროვნულ გრძნობებზე იყო აგებული. მან მოახერხა ეროვნული მოძრაობის გადაზრდა საერთო სახალხო მოძრაობად, რის გამოც საზოგადოების ნაწილმა ქარიზმატულ ლიდერად აღიარა. იგი ძირითად აქცენტს აკეთებდა ერის ერთიანობასა და სულიერებაზე: „საქართველოს გადარჩენისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ კარგი პოლიტიკური პროგრამების შექმნა, კარგი ლოზუნგების წამოყენება, კარგი მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობა... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანის სულია უპირველეს ყოვლისა მთავარი, არც ერთ ერს არ გაუმარჯვია, ვისაც სწორედ სულიერი აღორძინებით არ დაუწყია და ეროვნული სულის რესტავრაციაზე არ უფიქრია“

[74.] „საქართველოს ყველა ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს საბოლოო ჯამში ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გარდა არაფერი უშველის, ყველა ამ პრობლემის მოგვარება თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაშია“ [75]

გამსახურდიას ნაციონალ-პოპულიზმი ეროვნულ იდეოლოგიას ეყრდნობოდა და მის ძირითად მიზანს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა, ამის შემდეგ კი დღის წესრიგში დემოკრატიის დამყარების საკითხიც დადგებოდა: „ჩვენ მიზნად ვისახავთ კავკასიის ხალხების სოლიდარობას, ინფორმაციის გაცვლას... ეროვნებათაშორისი შუღლის აღმოფხვრას, რომელიც გავრცელებულია კავკასიაში“ [76.]. ზ. გამსახურდიას დიდი სურვილი ჰქონდა შეექმნა კავკასიის სეიმი, თუმცა ეს ვერ მოხერხდა და საეჭვოა როდესმე განხორციელდეს რეალურად, ვინაიდან 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმმა ერთხელ უკვე დაამტკიცა, რომ იგი ვერ იქნება სერიოზული და ძლიერი პოლიტიკური კავშირი.

ზ. გამსახურდია მუდამ აქცენტირებდა, რომ აუცილებელი იყო ეროვნული მოძრაობის საერთო-სახალხო მოძრაობად გადაქცევა, რაც განხორციელდა კიდეც, XXს-ს 80-იანი წლების დასასრულს.

ნაციონალ-პოპულიზმის ახალი ტალღა ისევ აგორდა 2003-2004 წლებში, თუმცა განსხვავებით 80-იანი წლებისა, დღის წესრიგში უკვე ახალი პრობლემები დადგა:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
- მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური დონის ამაღლება;
- კორუფციის აღმოფხვრა.

„დავიბრუნოთ საქართველო“ – ამ ლოზუნგის ქვეშ მ. საკაშვილმა მოახერხა მასების გაერთიანება. ისევ განახლდა აქციები და მიტინგები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, ოღონდ ამის მიზეზი იყო უკვე არა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება – რაც უკვე მიღწეულ იქნა 80-იან წლებში, არამედ არსებული ხელისუფლების სუსტი საშინაო პოლიტიკა, ცხოვრების დაბალი დონე, კლანური, კორუფცი-

ული მმართველობა და ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების გაყალბება მმართველ სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ. „საქართველო უნდა ვაქციოთ ერთიან, სტაბილურ, დამოუკიდებელ, თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოდ – წითელი ხიდიდან ფსოუმდე, სარფიდან – დარიალამდე...“ [77] – აღნიშნა მ. სააკაშვილმა თავის საპრეზიდენტო სიტყვაში. მან მოახერხა ნიჰილიზმში ჩაევარდნილი ერისათვის ქართული ნაციონალური სულისკვეთების დაბრუნება, ღირსების და თავმოყვარეობის აღდგენა. რაც შეეხება ნაციონალიზმს, სააკაშვილს იგი ამგვარად ესმის: „... რომ იძახიან სააკაშვილი ნაციონალისტიაო, ჩემთვის ყველა ერთია, – ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ყველა ჩვენი მოქალაქე, მაგრამ ნაციონალისტი კი არ ვარ, უბრალოდ, ყველამ დავინახეთ და მსოფლიომ დაინახა (და მერე აღარც ამბობდნენ ნაციონალისტიაო) რომ ქართველები, თურმე ყველაზე უკეთესები ვართ სხვა ერებთან მიმართებაში... საქართველოში ყველა ძმები ვიქნებით“ [78]

მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში მოღვაწე ყველა თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი მიიღტვოდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ნაციონალიზმისაკენ, თანამედროვე პოლიტიკაში პოპულიზმი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ნაციონალიზმთან ერთად, ვინაიდან ნაციონალური იდეა ყოველთვის ადვილად გასაგებია ფართო მასებისთვის. პოპულიზმის მკვლევარი, ინგლისელი მეცნიერი დ. მარკე აღნიშნავს, რომ – პოპულიზმი სულ უფრო და უფრო გვხვდება ნაციონალიზმთან ერთად რასაც პოლიტიკოსისათვის წარმატება მოაქვს.

ნაციონალიზმი არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური და ნაციონალური იდეები ან საკითხები მუდამ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ნაციონალური თეორიის მიმართ საზღვარგარეთის პოლიტიკაში ნეიტრალური დამოკიდებულება არსებობს (თუ რაღა თქმა უნდა, საქმე არ გვაქვს მის უკიდურეს ფორ-

მებთან) – მას არც უარყოფენ და არც ამართლებენ, ხოლო რაც შეეხება რუსულ პოლიტიკას, აქ იგი მკვეთრად უარყოფით ელფერს იძენს: „Оно употребляется в тех случаях, когда говорящий хочет выразит своё неодобрение, жестокости, исключителъности или каким либо ещё столъ женеприемлемым сторонам националистического чувства“ [79];

უარყოფითად აფასებდა მას სსრკ-ს ყოფილი ლიდერი მ. გორბაჩოვიც: „არავინ არ უნდა ურიგდებოდეს ნაციონალისტურ გამოვლინებებს, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდნენ ისინი – იქნება ეს კუთხური ნაციონალიზმი თუ შოვინიზმი. ისინი დამამცირებელია ყოველი ერისთვის, შეურაცხმყოფი და უხამსია ადამიანური ღირსების თვალსაზრისით“ [80] ან კიდევ: – საჭიროა მტკიცედ წინ აღუდგეთ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ამასთან ვიყოთ ყურადღებიანი ეროვნული ხასიათის ყველა კანონიერი მოთხოვნის მიმართ. შოვინიზმს, რაღა თქმა უნდა ჩვენ უარვყოფთ და ვეწინააღმდეგებით, მაგრამ თუკი მ. გორბაჩოვი უარყოფს ნაციონალურ იდეას, მაშინ როგორ შეიძლება იყოს „ყურადღებიანი ეროვნული ხასიათის ყველა კანონიერი მოთხოვნების მიმართ?!“ იქნებ ეს „ყურადღება“ 1989 წლის 9 აპრილის (და არა მარტო ამ დროს) ტრაგედიაში გამოიხატა?! რატომ არის საქართველოსთვის ნაციონალური იდეის აღორძინება და დამოუკიდებლობა მიუღებელი საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე, როდესაც რუსულ ენაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვები – Владикавказ, Владивосток და ბოლოს Владимир, ეს «Влади» სხვისი ტერიტორიის მიმართ კეთილგანწყობას ნიშნავს?!

როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალური იდეის აღორძინება მკვეთრად უკავშირდება ზ. გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდს, თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი, გამსახურდიას პოლიტიკას აფასებდა როგორც „დინების საწინააღმდეგოდ სვლას“, თუმცა დღესდღეობით ამერიკელი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მისი ჩამოგდება შეცდომა იყო, ვინაიდან სამხედრო გადატრიალების შემდ-

გომი პერიოდი გაცილებით მძიმე და საზიანო აღმოჩნდა საქართველოსათვის. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ გამსახურდია შეეარდნაძეზე უკეთესად მიაჩნიათ, უბრალოდ, ამით ისინი აფიქსირებენ იმ ფაქტს, რომ სამხედრო გადატრიალება და საქართველოში რუსული გავლენის გაძლიერება იყო ის დამანგრეველი ფაქტორი, რამაც არ შექმნა საჭირო საფუძვლები უფრო დემოკრატიული, სამართლებრივი და მშვიდობიანი პოლიტ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ნაციონალური-პოპულიზმი ეთნოკონფლიქტების პოტენციური მატარებელია, ამის მიზეზია ის, რომ პირველ რიგში პრიორიტეტი ენიჭება არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმრავლესობას, მის კულტურას, რელიგიას, ენას, ისტორიული ტერიტორიების აღდგენა-შემომტკიცებას და ა.შ. ამას ეროვნული უმცირესობა საკუთარი უფლებების შეზღუდვად აღიქვამს: ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი პოლიტიკოსი ხშირად აპელირებს ამ თემით, მაგ: ცნობილი დემაგოგივ. ჟირინოვსკი მუდამ აქცენტირებს სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემებზე, თუმცა ამის ფესვები არცთუ ისე შორეულ წარსულშია. თავის დროზესაბჭოთა იდეოლოგიამ მოკავშირე რესპუბლიკების ნაწილში მოახერხა შეექმნა მიძინებული ეთნოკონფლიქტების კერა, რომელსაც აამოქმედებდა მაშინ, როდესაც თავად ჩათვლიდა საჭიროდ, ასე მოხდა: ფერგანის, ყარაბახის, აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და სხვა მაგალითებზე, თუმცა კრემლისგან ნაციონალისტობაში ბრალდებული ქართული მოსახლეობა თავად იქცა ლტოლვილად საკუთარ ტერიტორიაზე, რომელსაც ვერავინ ასწავლის ტოლერანტობას, შემწყნარებლობას, სხვა ერებთან მეგობრულ ურთიერთობას, რაც ადვილად შეიძლება დავადასტუროთ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ტაძრების არსებობით, რაც შეეხება საბჭოთა ყბადაღებული „ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგს, იგი მხოლოდ დემაგოგიად დარჩა და ერთა შორის კონფლიქტის სამსახურში ჩადგა.

ნაციონალური საკითხი მწვავედ დადგა XX საუკუნის 80-

90-იანი წლების ქართულ პოლიტიკაში, ამ კუთხით საინტერესოა **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“** გამგეობის წევრის **ზ. ჭავჭავაძის** და ეროვნული მოძრაობის ლიდერის **– მ. კოსტავას** შეხედულებები: „ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დიფერენცირებული პოლიტიკის გატარებაა საჭირო – აღნიშნავს ზ. ჭავჭავაძე - დავიწყოთ აფხაზებით და ოსებით, ჩვენ ვთვლით, რომ აფხაზები ისეთივე მკვიდრი მოსახლეობაა რესპუბლიკაში, როგორიც ქართველები... ჩვენის აზრით აფხაზებს ხელშეუხებელი უფლება აქვთ სრულ კულტურულ ავტონომიაზე, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოსაგან გამოყოფის უფლებას... რაც შეეხებათ ოსებს, რომლებიც ისტორიული კატაკლიზმების შედეგად აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ ჰპოვეს მეორე სამშობლო, ჩვენ ამის მომხრენი ვართ, რომ ჰქონდეთ ფართო კულტურული ავტონომია... [81] გარდა ამისა, ზ. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ საქართველოში ცხოვრობს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების კიდევ ერთი ჯგუფი - უდინები, ქურთები, იეზიდები და სხვ. მოკლებულნი არიან თავიანთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, ამიტომ მათ უნდა შევუქმნათ ხელსაყრელი და უპირატესი პირობები თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. აი, რაც შეეხებათ რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და ა.შ. მეზობელი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, მათ ასეთი სასათბურე პირობები არ უნდა შევუქმნათ, ვინაიდან თავად შეუძლიათ თავის თავზე ზრუნვა და სურვილისამებრ სამშობლოში დაბრუნებაც, თუმცა ამ ეროვნებათა შორისაც არიან ისეთები, რომლებიც პატივისცემით ექცევიან ქართულ ენას, ტრადიციებს, არიან საქართველოს ნამდვილი პატრიოტები და არ შეიძლება მათი გაიგივება აგრესიულ ნაწილთან, რომელთაც მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს საქართველოს მიმართ და სძულს ყოველივე ქართული: „ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ასეთები დაბრუნდნენ სამშობლოში... თუმცა წინააღმდეგი ვართ მათი გადასახლები-

სა და მით უმეტეს სისხლისღვრისა, ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მომხრენი ვართ, სადაც ყველა მოქალაქე, ეროვნების მიუხედავად, ისარგებლებს ერთნაირი მოქალაქეობრივი უფლებებითა და თავისუფლებით" [81] – ასკვნის ბოლოს, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც ადგილი აქვს დიფერენციაციას ეროვნული ნიშნით, ძალაუნებურად ირღვევა ადამიანთა უფლებები.

ნაციონალიზმის შესახებ თავისებური შეხედულება აქვს ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს - მ. კოსტავას: „ნაციონალობა თუმცა არის ორგანული, მაგრამ არა უმაღლესი ფორმა ადამიანური გაერთიანებისა, რადგან იგი არა მარტო აერთიანებს, არამედ აცალკევებს კიდეც და ნაციონალური მესიანიზმი, ძალზე ადვილად გადადის ნაციონალურ განსაკუთრებულობაში, ე.ი. იმაში, რაც ჩვეულებისამებრ ნაციონალიზმად იწოდება" [82] მისი აზრით, მცირე ერები, მათ შორის ქართველები, მუდამ დგანან გაქრობის და სხვა ერებში გათქვეფის საშიშროების წინაშე, ამიტომ ერთ-ერთ გამოსავალ გზად მიაჩნია მყარი ქრისტიანული მსოფლმხედველობის აღორძინება და ჯანსაღი მორალური ოჯახი – რაც ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი ძლიერების საწინდარია, „მაგრამ ღვთის სიყვარული და მისგან გამომდინარე ინტერნაციონალიზმი როდი გულისხმობს როდესმე თავი ავარიდოთ ეროვნული უფლებებისათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას" [82.] იგი ეროვნული პოლიტიკის მამოძრავებელ ძალად ეროვნულ რელიგიას – ქრისტიანობას და ქართულ ენას მიიჩნევდა. ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია – აღნიშნავდა იგი, ქრისტიანობა, ჯერ ადამიანთმსახურებაა და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება. ნურავის ნუ გაუკვირდება, თუკი მეტ ქრისტიანად ჩაითვლება სხვა რელიგიის წარმომადგენელი, რომელიც ადამიანთმსახურებაში ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმდევრებზე მაღლა დგას, სხვათა სიყვარულში ჭეშმარიტ მორწმუნეებს ვერავინ შეედრება.

როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალ-პოპულიზმისათვის დამახასიათებელია ეროვნული რელიგიის პრიორიტეტი, **ზ. გამსახურდია** აღნიშნავდა, რომ – ჩვენი უმთავრესი მიზანი არის საქართველოს რელიგიური, ეროვნული და სარწმუნოებრივი აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ისტორიულად საქართველო მუდამ ამით იმარჯვებდა.

1990 წლის 22 ნოემბერს, უზენაესი საბჭოს დადგენილებით გაუქმდა ყველა ადრე არსებული უქმე დღეები და დაკანონდა ქრისტიანული დღესასწაულები: აღდგომა, ნათლისღება, მცხეთობა, ღვთისმშობლობა, გიორგობა, შობა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ კი აღდგა 26 მაისი.

1991 წელს მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენა, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამსახურდია აღნიშნავდა: **„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს, გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“**, [83] სიმბოლური იყო ასევე საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება 31 მარტს – ზ. გამსახურდიას დაბადების დღეს, „საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ყველაზე მეტად მიზანშეწონილად ვცანით სწორედ 26 მაისს, ვინაიდან 26 მაისი არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ამ დღისთვის უნდა ვემზადოთ, რათა ვაჩვენოთ უცხოელ სტუმრებს, თუ როგორ აღნიშნავს ქართველი ერი დამოუკიდებლობის დღეს. ჩვენი გზა საქართველოს აღორძინების გზაა, სარწმუნოების აღორძინების გზაა, ქრისტეს გზაა...“ [84] ნაციონალ-პოპულიზმის ერთ-ერთი საკითხია ეროვნული სიმბოლიკის დაკანონება. გამსახურდიამ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ აღადგინა 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სამფერი დროშა, ჰიმნი და გერბი.

ახალი დროშით დაიწყო თავისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა მ. სააკაშვილმაც, რომელიც ჯერ საკრებულოს

თავზე აფრიალდა, შემდეგ საპროტესტო აქციებზე გამოჩნდა და რევოლუციის დამთავრებისთანავე მისმა გიგანტურმა ზომებმა მთელი კანცელარიის შენობა დაფარა. მ. სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი შეიცვალა ეროვნული სიმბოლოები და დამკვიდრდა ახალი დროშა, ჰიმნი და გერბი. „სიმბოლურია, რომ პარლამენტში ჩვენ შევედით წმინდა მიხეილის ხსენების დღეს... რევოლუციის გამარჯვება მოხდა წმინდა გიორგის დღეს... ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ემთხვევა ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს“ [85] – განაცხადა მან.

<u>ნაციონალური</u> პოპულიზმი პოლიტიკური მოღვაწეობის სახესხვაობაა, რომელიც ექსპლუატაციას უწევს ადამიანების ნაციონალურ გრძნობებს და იყენებს პოპულისტურ მეთოდებს პოლიტიკური ბრძოლის დროს.

<u>ნაციონალისტური</u> პოპულიზმი არის უკიდურესად რადიკალური, აგრესიული ფორმა პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომელიც მანიპულირებს ხალხის ნაციონალური გრძნობებით, რაც ხდება საკუთარი ერის უპირატესობის, მისი აღმატებულობის შეგრძნების, სხვა ერთა შეურაცხყოფის, ეროვნებათა შორის კონფლიქტების, რასიზმის და ნაციზმის დამკვიდრების ხარჯზე.

მაგალითად, ა. ჰიტლერი, მოხერხებულად მანიპულირებდა გერმანელი ერის ნაციონალური გრძნობებით და ატარებდა ნაციონალისტურ-პოპულისტურ პოლიტიკას, იგი აღნიშნავდა: „მე, იმიტომ მოვახერხე მსოფლიოში ყველაზე უდიდესი ნაციონალური მოძრაობის შექმნა, რომ არასდროს არ მიუდიოდი მასების ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ, არასდროს ვაღიზიანებდი მათ გრძნობებს, მასებს ყოველთვის მარტივად მოაზროვნე და მგრძნობიარე აპარატი აქვთ, როდესაც მე მათ მივმართავ გონიერული არგუმენტებით მათ ჩემი არ ესმით, ხოლო როდესაც შევეხებით მათ გრძნობებს, ისინი მაშინვე აღიქვამენ იმ ლოზუნგს, რომელსაც მე წარმოვთქვამ“ [86.185]

„ენა, მამული, სარწმუნოება“, ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები

თავისუფლად გამოდგება ნაციონალური პოპულიზმის ლოზუნგად.

„დღეს ჩვენი უმთავრესი მიზანი არის საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინება, სარწმუნოებრივი აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა“ [87.] – აღნიშნავდა ზ. გამსახურდია. ისტორიული რეალობაა, რომ საქართველოში ადგილი არ ჰქონია დაპირისპირებას რელიგიურ ნიადაგზე, ეროვნული ტოლერანტობა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება ქართველი ერის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა, მსოფლიოს პოლიტიკურ პრაქტიკაში არსებობს საკმაოდ ბევრი კონფლიქტი და დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე. რელიგიას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოების არსებობის ისტორიაში, მაგალითად: მართლმადიდებლობამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის ისტორიაში; კათოლიციზმმა – ირლანდიელების, პოლონელების; პროტესტანტიზმმა – გერმანიის და ინგლისის; ლამაიზმმა – მონგოლებისა და ბურიატების ცხოვრებაში, ისლამმა – თურქების, არაბების, უზბეკების ან აზერბაიჯანელების ისტორიაში და ა.შ. საინტერესოა კათოლიციზმის ლიტველი იდეოლოგის – ა. მაცეინას მოსაზრება, იგი თვლის, რომ ადამიანის ნაციონალობას გარკვეულწილად განსაზღვრავს მისი რელიგია.

რელიგია ექვემდებარება ნაციონალიზმს იმ კუთხით, რომ მან შეიძლება გამოხატულება პოვოს მხოლოდ ნაციონალურ ფორმებში.

ნაცია რელიგიას აძლევს კონკრეტული სახით გამოვლინების საშუალებას, მაგალითად: ქართველებისათვის ქრისტიანული მართლმადიდებლობის ნაციონალური სპეციფიკა გამოიხატება წმინდა გიორგის კულტით, კათოლიკებში – წმ. მარიამის კულტით და ა.შ. საქართველოში ბევრი სხვადასხვა მიმართულების რელიგიური ჯგუფი არსებობს, ამიტომ მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის საჭიროა შემწყნარებლობა არა მხოლოდ ქართველთა მხრიდან, არამედ იმ ხალხთა

მხრიდანაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ვინაიდან რელიგიური ფანატიზმის გაცოცხლება უკიდურესი ჩამორჩენილობის საბუთია.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველო ეთნოკონფლიქტების წინაშე აღმოჩნდა. ამ პროცესებში რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ხელაღებით დადანაშაულება, ან პასუხისმგებლობის მოხსნა არ იქნება მართებული. (მხედველობაში გვაქვს ზ. გამსახურდიას როლი სამაჩაბლოს და ე. შევარდნაძის – აფხაზეთის კონფლიქტების პროცესებში.) მსგავსი კონფლიქტების ინსპირირება მოხდა როგორც სსრკ-ს ყოფილ ზოგიერთ რესპუბლიკებში, ისე – აღმოსავლეთ ევროპის საბჭოურ ქვეყნებში, მაგ: ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული **„ხავერდოვანი რევოლუციის“** შემდეგ მთავრობის სათავეში მოსულმა ვ. ჰაველმა აღნიშნა, რომ: „აღორძინებადი ნაციონალიზმი“ საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს კონფლიქტების აღმოცენების საქმეში“, [88.173] მართალია, ამ ქვეყანაში ჩეხეთი და სლოვაკია შედარებით უმტკივნეულოდ გაიყო, მაგრამ სამაგიეროდ იუგოსლავია ვერ გადაურჩა სისხლისმღვრელ ომს. იუგოსლავიის ლიდერი – ს. მილოშევიჩი მუდამ ღიად აქცენტირებდა, რომ იყო ნაციონალისტი და ღიად მანიპულირებდა სერბების ნაციონალური გრძნობებით. ამ ფაქტმა ბოსნიელი სერბების აგრესია და შოვინისტური დამოკიდებულება გამოიწვია ბალკანეთის დანარჩენი ეთნიკური ნაწილის მიმართ, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ომი და ქვეყნის დაქუცმაცება (სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, ბოსნია, ჰერცოგოვინა.) უნდა აღინიშნოს, რომ ომამდე, ხორვატებსა და ბოსნიაკებს (ბოსნიაკები – ჰერცოგოვინას მუსლიმანური მაცხოვრებლები.) მშვიდობიანი თანაცხოვრება ჰქონდათ, მათ შორის ხშირი იყო შერეული ქორწინებაც, რის გამოც სუფთა ეთნიკური სახით თითქმის არც-ერთი აღარ არსებობს. ამ კონფლიქტში დიდი როლი ითამაშა რელიგიურმა თემამაც, ისტორიულად ამ რეგიონში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხი ცხოვრობ-

და: კათოლიკეები – ხორვატები; მართლმადიდებლები – სერბები და მუსლიმანები. ბავშვობაში, ჩემი სახლის ფანჯრიდან ერთდროულად შეიძლებოდა კათოლიკური ტაძრის, მართლმადიდებლური ეკლესიის ჯვრის და მუსილმანური მეჩეთის მინარეთის დანახვა, თუმცა ომმა ყველაფერი ეს გაანადგურა – აღნიშნავს ბოსნიის პრემიერ-მინისტრი **ჰარის სილადჯიჩი.**

ქართული ნაციონალ-პოპულიზმი ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ეთნიკური კონფლიქტების საკითხს. პოლიტიკური ლიდერები, როგორც **ზ. გამსახურდია,** ისე **ე. შევარდნაძე** და **მ. სააკაშვილი** ყოველთვის ხელს უწყობდნენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, როგორც ავტონომიებში, ისე ზოგადად მთელს ქვეყანაში. ამ საკითხთან მიმართებაში ყოველთვის შემწყნარებელი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც, თავის ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავდა: „რუსებს, აფხაზებს, ოსებს, ებრაელებს, ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, ქურთებს და სხვათ. დანო და ძმანო ჩვენნო, მამულიშვილური სიყვარულით შეგახსენებთ, რომ თქვენც ჩვენი ისეთივე სულიერი შვილები ხართ, როგორც ქართველნი. საქართველოში არასოდეს ყოფილა ვინმეს შევიწროება ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით. თქვენ იყავით და კვლავაც იქნებით ჩვენი ძმები და ამ დამოკიდებულებას ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. ქართველთა ბედნიერება თქვენი ბედნიერებაცაა. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ, ჩვენი სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის“. [89] სახელმწიფოსა და ეკლესიის ასეთი დამოკიდებულება სხვა ეროვნებათა მიმართ, მაღალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს უკვე აშკარა გახდა, რომ სსრკ იშლებოდა ამიტომ მოსკოვმა დაიწყო სხვადასხვა სქემის შემუშავება, რათა როგორმე შეენარჩუნებინა თავისი გავლენა მოკავშირე რესპუბლიკებზე. მათ მიერ შემუშავებული მეთოდები ითვალისწინებდა ინტერფრონ-

ტების შექმნას – რომლის მიზანი იყო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან ან ავტონომიური წარმონაქმნების ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაპირისპირება – ე.წ. სეპარატიზმის გაღვივება. საქართველოში ვერ მოხერხდა ინტერფრონტების ამოქმედება (სამაგიეროდ, ამ ხერხმა კარგად იმუშავა ლატვიაში) და სამაგიეროდ ავტონომიური რესპუბლიკები და საქართველოში კონპაქტურად დასახლებული მცირე ერები დაუპირისპირეს ერთმანეთს. ამ მიზნით საქართველოში შეიქმნა სეპარატისტული პოლიტიკური გაერთიანებები: აფხაზეთში – „აიდგილარა", სამაჩაბლოში – „ადამონ ნიხასი", ქვემო ქართლში – „ჯავახკი". მოსკოვმა მოახერხა თბილისისგან შეექმნა მტრის ხატი, რომელიც ვითომდა ავიწროებდა საკუთარ ავტონომიებს, თუმცა სეპარატიზმი თავად ავტონომიებისგან წამოვიდა ცენტრის (თბილისის) მიმართ, არძინბას, ჩიბიროვის, კოკოითის შოვინისტური და ნაციონალისტური პოლიტიკის გამო ეთნოკონფლიქტები სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა, სადაც ლტოლვილად ქცეული და გენოციდის მსხვერპლი გახდა არა ზემოთ აღნიშნული ეროვნული უმცირესობანი, არამედ – თავად ადგილობრივი ქართული მოსახლეობა.

ასე, რომ როდესაც ნაციონალური პოპულიზმი ემსახურება ერთა შორის კონფლიქტების გაღვივებას, მას აღარაფერი აქვს საერთო ნაციონალიზმთან და ის ნაციონალისტური პოპულიზმის სახეა.

სსრკ-ს იდეოლოგების მიერ ინტერნაციონალური თეორიის ქადაგება სრული დემაგოგია აღმოჩნდა, ვინაიდან ეს იყო ძალადობასა და შიშზე აგებული ე.წ. „ხალხთა მეგობრობა". დაიწყო თუ არა აღმავლობა ნაციონალურმა პოპულიზმმა, მითი ინტერნაციონალიზმის შესახებ მყისვე დაიმსხვრა და თითქმის ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა ეთნოკონფლიქტებმა მოიცვა.

ნაციონალ-პოპულიზმის აფეთქება (ისევე, როგორც საერთოდ პოპულიზმის აღმავლობა) დროდადრო უკავშირდება სოციალურ ძვრებს საზოგადოებაში.

ის ეპოქა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა და ნაციონალური საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა, ხოლო თავად ნაცია პოლიტიკური მოვლენების წამყვანი ძალაა – თავისი სოციალური არსის მიხედვით ეს არის გარდამავალი ეპოქა.

ნაციონალიზმი ხშირად ანგრევს ძველ ნაციონალურ ურთიერთობებს ან ცვლის საზოგადოებათაშორის ურთიერთობებს.

გარდამავალი პერიოდი ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს პოპულიზმის აღმოსაცენებლად. ნაციონალური პოპულიზმის მიზანია ისეთი პოლიტიკური ლიდერის წარმოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე, რომელიც იტვირთებს ლიდერის, წინამძღოლის როლს და სათავეში ჩაუდგება ნაციონალურ მოძრაობას. ასეთი ტიპის ნაციონალური ლიდერისათვის დამახასიათებელია:

- სამოქმედო გეგმების, მიზნების ჩამოყალიბება;
- გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანების მცდელობა;
- საზოგადოებაში გაჩენილი აპათიისა და ანარქიის აღმოფხვრა;
- ნაციონალური ღირებულებების დაყენება დღის წესრიგში;
- ეროვნული წარსულის იდეალიზირება;
- ბრძოლა ბიუროკრატიის წინააღმდეგ;
- საბაზისო ნაციონალური ინტერესების, ქვეყნის ისტორიისა და ტრადიციების გაერთიანება;
- ახალი სახელმწიფოებრივი მოდელის და პოლიტიკური კულტურის შექმნა-გაკრცელება საზოგადოებაში;
- ოპტიმიზმის ჩანერგვა ხალხში ნათელი მომავლის იმედით;
- ერის გამოყვანა ნიჰილიზმიდან.

ნაციონალურ ლიდერს (ისევე, როგორც ქარიზმატულს) თავად ხალხი ირჩევს, ის არ ინიშნება არცერთი სტრუქტურის მიერ. სხვადასხვა პრეტენდენტებიდან ლიდერი ხდება ის, ვინც გამოირჩევა უფრო მეტი რადიკალიზმით, აქტიურობით, ხალხოსნობით, ერთი სიტყვით რეალური პოპულისტური მოღვაწეობით საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა

სიერცის ბევრ ქვეყანაში, ნაციონალური ლიდერები დისიდენტური მოღვაწეობის შედეგად გაჩნდნენ ხალხის რჩეულნი.

ლიდერი არის არა ის – ვისაც სურს რომ მართოს ხალხი, არამედ ის, ვისაც თავისი ნებით და სურვილით მიჰყვება ხალხი.

რაც უფრო მეტად ემთხვევა ერთმანეთს ლიდერისა და ხალხის ინტერესები, რაც უფრო მეტად ახმოვანებს იგი ხალხის ნებასა და მისწრაფებებს – მით უფრო მატულობს მისი რეიტინგი საზოგადოებაში და ადვილად ხდება ლეგიტიმური მმართველი.

ნაციონალური ეიფორიის ტალღაზე, მსოფლიო ისტორიაში მრავლად იშვა ასეთი ლიდერი და ეს პროცესები დღემდე გრძელდება. იმისათვის, რომ ხალხმა გიწოდოს „ერის მამა", წინამძღოლი, გარდა ნაციონალ-პოპულიზმის თეორიების გამოყენებისა, აუცილებელია თანდაყოლილი თვისებები – ე.წ. ქარიზმა. მაგ: XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ისტორიაში დიდი როლი ითამაშა ი. ჭავჭავაძის თაოსნობით წარმოებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ილიას მოღვაწეობა ეფუძნებოდა ესოდენ აქტუალურ ეროვნულ იდეოლოგიას. მან მიზნად დაისახა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი სამოქმედო პრინციპი იყო: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". მან თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით ნიადაგი მოუმზადა ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებას, რომლის ძირითადი პროგრამა იყო: სინდისის, პრესის, კრებების თავისუფლება, ქართული ენის დამკვიდრება, პიროვნების ხელშეუხებლობა, საყოველთაო განათლების დაწესება, ავტოკეფალიის აღდგენა, თანასწორობა, პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, რაც საბოლოოდ თავს იყრიდა ეროვნული ავტონომიის მოთხოვნაში. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები პირდაპირ ეხმაურება თანამედროვე დემოკრატიის თეორიას. ასე, რომ დემოკრატიულ აზროვნებას საქართველოს წარსულში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და

რომ არა ტოტალიტარიზმის რეჟიმი, დღეს სულ სხვა პოლიტიკური სურათი გვექნებოდა საქართველოში.

ილია ერთგვარი გამგრძელებელი იყო იმ ეროვნული იდეოლოგიისა, რომელიც ასე აქტუალურად იდგა ს. დოდაშვილის მოღვაწეობაში ეროვნული თუ სოციალური ჩაგვრის თვალსაზრისით. მისი ნაციონალური იდეა შეიძლება გავაერთიანოთ „საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიაში“, რომელიც მრავალფეროვან საკითხებს მოიცავდა, ეს იყო: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონცეფციების სისტემა, მთელი ერის საერთო მიზნის ქვეშ გაერთიანება – შედუღაბება. მან თავისი ეროვნული შეხედულებები პირველ რიგში ზნეობრივ და სულიერ გაწმენდას დაუკავშირა, „ზნეჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, გაწმენდა და განათლება უნდა“ [90.139] – აღნიშნავდა იგი. ილიამ მოახერხა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების აღზევება, პატრიოტიზმის მეორე სარწმუნოებად გადაქცევა, მან დღის წესრიგში დააყენა ნაციონალური პოპულიზმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი:

- საზოგადოებრივ ძალთა ერთიანობა;
- ეროვნული (ქრისტიანობის) რელიგიის აღორძინება, ავტოკეფალიის აღდგენა;
- ქართული ენის დაცვა;
- ერის წარსულის, მისი ისტორიის დაფასება;

ეროვნული მეცნიერების, ხელოვნების, განათლების აღორძინება და პოპულარიზაცია;

- ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ლიკვიდაცია;
- ემიგრაციის პრობლემა;
- მმართველობის ცენტრისტულ-ბიუროკრატიული სისტემის მოსპობა;
- თვითმმართველობის შემოღება;
- კერძო საკუთრების აუცილებლობა;

მემკვიდრეობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია;

• ქართული სოფლის აღორძინება, ქალაქისა და სოფელს შორის შრომის განაწილება.

თითქმის არ ყოფილა სფერო ქართული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრებისა, რომელსაც ილია არ გამოხმაურებია. „ჩვენ გვაქვს საქმე ევროპელ ქართველთან, რომელსაც უარ-უყვია, უკუ-უგდია აღმოსაყლეთის უსაქმობა და უმოძრაობა“ [91.87], აღნიშნავს ა. ჯორჯაძე, მან თავის პოლიტიკურ შეხედულებებში განავრცო ილიასეული „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია, რომლის ძირითად საკითხად მიიჩნია:

• ქართული ენის დაცვა;

• ქართული ეაჭრობა-მრეწველობის შექმნა;

• ქართული მეურნეობის, მიწა-წყლის ქართველთა ხელში შერჩენა;

• ინტელიგენციის სახალხო მოღვაწეობა;

ქალაქის თვითმმართველობაში ქართველთა ჩართვის საკითხი.

იგი მიიჩნევდა, რომ კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებას საქართველოში, თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიეღო.

როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალური საკითხი ყოველთვის უპირველესი იყო ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში, აი, რას წერდა ამის თაობაზე მიხ. წერეთელი: — ერი ყოველთვის იბრძვის თავისი ნაციონალურობის აღდგენისათვის სხვისი უსამართლო ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მას სურს აღიდგინოს თავისი უფლებანი, მისი ნაციონალიზმი სამართლიანია. „ნაციონალიზმი არის მისწრაფება, თავის ინდივიდუალურობის შენახვისათვის, კონკრეტული სოციალური ორგანიზმის სიკვდილისაგან დაცვისათვის... სიტყვა ნაციონალიზმის შიში არ უნდა გექონდეს... იგი არის სწავლა მთელს კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმის ცხოვრებისა“. [92.297]

1901-1903 წლებში საინტერესო წერილები გამოაქვეყნა ი. გოგებაშვილმა ნაციონალური საკითხის შესახებ სათაუ-

რით: „ბურჯი ეროვნებისა“ და „ქართული მიმართულება“, რომელშიც გადმოცემულია ქართული ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები. „ერის ბურჯი“, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, პირველ რიგში არის „დედა ენა“, შემდეგ ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო – რაც მისი აზრით არის ცოცხალი არსება, რომლის დაკარგვის შემთხვევაში ერი ვეღარ გაგრძელებს სიცოცხლეს, მესამე ბურჯია სკოლა, ანუ ეროვნული განათლება და ცნობიერება და ბოლოს სარწმუნოება – ქრისტიანობა მთელი თავისი სასულიერი ლიტერატურითა თუ ხუროთმოძღვრებით. ნაციონალ-პოპულიზმი, დამატებით კიდევ იყენებს სპეციფიკურ მეთოდებს, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ერის ეთნიკურ კუთვნილებასთან და კონკრეტულად ახასიათებს ამა თუ იმ ერს. ნაციონალ-პოპულიზმის მეთოდებია:

• ხალხის ნაციონალური გრძნობების მართვა;

• რელიგიის გამოყენება, რომელსაც აღიარებს მოცემული ერი;

• ერის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების გამოყენება;

• ერის წარსულისა და მისი ისტორიის განდიდება;

• ერის ტრადიციების, რელიქვიების, წეს-ჩვეულებების ქებადიდება;

• ნაციონალური სიმბოლოების – დროშის, გერბის, ჰიმნის, გმირების განდიდება;

• ეროვნული ენის სტატუსის განსაზღვრა სახელმწიფო ენად;

• ეკონომიკისა თუ მრეწველობის, ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულისა და სიმდიდრის ექსპლუატირება ეროვნული სახელმწიფოს მიერ;

• ერის ნაციონალური გრძნობებით მანიპულირება;

• ერის, ხალხის მტრების ძიება და იდეოლოგიური ბრძოლა მათ წინააღმდეგ;

• ილუზიის შექმნა, რომ ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა არის პანაცეა ყველა პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ნაციონალური ლიდერის სწრაფი პოლიტიკური აღზევება აიხსნება იმითაც, რომ ეროვნული თემა ყველასათვის ადვილად გასაგები, აქტუალური და მისაღებია.

საერთოდ, ყველა მოძრაობა, რომელიც ემსახურება თვითგამორკვევას, ერის უფლებებს უფრო მაღლა აყენებს – ვიდრე ზოგადად ადამიანთა უფლებებს. XX საუკუნის 80-იან წლებში, ქართულ პოლიტიკაში დომინირებდა ლოზუნგი – „ჯერ თავისუფლება, შემდეგ დემოკრატია". საინტერესოა ყოფილი დისიდენტის, შემდგომში კი პრეზიდენტის ვ. ჰაველის მოსაზრება: „პოპულიზმის, ნაციონალიზმის, ტერორიზმისა თუ კონსტიტუციური კრიზისის აფეთქება დაკავშირებულია საზოგადოების საერთო შოკურ მდგომარეობასთან, ეს არის შოკი თავისუფლების მოპოვებით გამოწვეული... მე სამოქალაქო პრინციპების და სამოქალაქო საზოგადოების მომხრე ვარ. ერთადერთი გამოსავალი ეთნიკური კულტის თავიდან ასაცილებლად არის, სამოქალაქო საზოგადოების პროპაგანდა". [88.200]

პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტეს ნაწილში, ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მეტად მტკივნეულად წარიმართა. სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა წამოაყენეს ტერიტორიული პრეტენზიები, საკუთარი კულტურის, ენის, ისტორიის პრიორიტეტი და ა.შ. ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ისტორიული წარსული იქცა ერთგვარ არგუმენტად თვითგამორკვევის საკითხში. მაგ: სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სეპარატისტული დაჯგუფებები ამტკიცებენ, რომ ის ტერიტორია, სადაც ამჟამად ცხოვრობდნენ, ისტორიულად მათი იყო, თუმცა იმის მტკიცებას აღარ დავიწყებთ, რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად საქართველოს კუთვნილებაა და ალბათ ქართველი ერის დანაშაულია ის, რომ მათ მიანიჭეს ფართო კულტურული, ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების შესაძლებლობები, უპირატესობა მიანიჭეს ეთნიკურ უმცირესობას ავტონომიის მმართველობის სათავეში რის შედეგად მივიღეთ სეპარატიზმი.

ნაციონალურ პოპულიზმთან მიმართებაში, არსებობს კიდევ ერთი პრობლემა: მსოფლიო გლობალიზაციის პოლიტიკის ფონზე, ბევრი ქვეყნისათვის ძნელი გასაგებია რას ნიშნავს ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა. მაგ: აშშ-ში მიუხედავად ნაციონალური და ეთნიკური მრავალფეროვნებისა, მისი ყველა მოქალაქე სიამაყით აღნიშნავს, რომ ამერიკელია და არ აქცენტირებს თავის ნაციონალურ კუთვნილებაზე და არც თავისი ნაციონალური უფლებებისათვის იბრძვის. დასავლურ კულტურაში „ეროვნული სახელმწიფოს“ ტრადიციული იდეალი შეცვალა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალმა. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშანი კი ხალხის კულტურული და იურიდიული თანასწორობაა ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

ნაციონალური სახელმწიფოს ძირითადი ნიშანია ხალხის კულტურული და იურიდიული თანასწორობა – განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა.

ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის დროს დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ ყველა ერის წარმომადგენელს მინიჭებოდა უფლება მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვაში. ეს თემა მოგვიანებით გაერომ განავრცო. ამ ორგანიზაციის დებულებაში აღნიშნულია, რომ ხალხის ნება არის გადამწყვეტი ნებისმიერი ხელისუფლებისთვის. ყველა ერმა თავად უნდა გადაწყვიტოს გაერთიანდეს თუ არა ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ.

ნაციონალიზმის აღმოცენების მიზეზია, ამა თუ იმ ერისა და სახელმწიფოს ერთიანი თანაცხოვრების მანძილზე მათ შორის წარმოშობილი განსხვავებული ინტერესები (მაგ: ასე მოხდა სსრკ-ში) ყველა ერი ცდილობს ჩამოაყალიბოს სახელმწიფო, რომელიც საშუალებას მისცემს მას განავითაროს თავისი პოტენციალი. თუმცა ხშირად ხდება ისიც, როდესაც სახელმწიფო თავისი ხასიათის გამო ცდილობს გასცდეს ვიწრო ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებს და გააფართოვოს იგი. სუფთა ნაციონალური სახით კი მხოლოდ მცირე

ერები რჩებიან. როდესაც ხდება იმპერიალისტური სახელმწიფოს შექმნა, იგი ხასიათდება ეროვნულ ჯგუფთა მრავალფეროვნებით, რაც სცილდება ნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებს და ხდება აქ დამკვიდრებული ეროვნული უმრავლესობის ნაციონალური პოლიტიკის გატარება და მმართველობა. იმპერია კი როგორც სახელმწიფოს ფორმა, ისტორიულად ცნობილია, რომ ეთნოკონფლიქტების კერაა. მაგ: სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ გამოვიდნენ იმპერიალისტური აზროვნებიდან, რის გამოც დღემდე არ შეუწყვეტიათ და ალბათ, კიდევ დიდ ხანს არ შეწყვეტენ მცდელობას შეინარჩუნონ თავისი გავლენა საქართველოზე. ფაქტია, რომ საქართველოში კონფლიქტების გამჩაღებელი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთია, რომელსაც სურს კიდევ დიდ ხანს შეინარჩუნოს „უფროსი ძმის“ სტატუსი.

აშშ-ს ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი და პოლიტოლოგი დ. კიზირია აღნიშნავს: „ამერიკის პოლიტოლოგიურ და აკადემიურ წრეებში განხილვის საგნად იქცა რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები თემაზე: ვინ არის რუსეთისთვის ყველაზე საშიში ძალა! – პასუხთა აბსოლუტური უმრავლესობა ასე განაწილდა: პირველი ყველაზე საშიში ძალა არის ამერიკა, მეორე – საქართველო!“ [93.]

ასეთ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს რუსეთის მოსახლეობასა და საზოგადოებაში თავად რუსეთის ხელისუფლება და მისგან მართული მასმედია ქმნის. ამერიკელ პოლიტოლოგთა ნაწილი თვლის, რომ ასეთი მოქმედება ერთ დროს უმძლავრესი და დღეს დაკნინებულ, დამცირებული რუსეთისაგან არ არის საწყენი და თანაგრძნობასაც კი იწვევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, საქართველოს მიერ თავისი ყოფილი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება ნაციონალიზმად ითვლება (რისაც ასე ძალიან ეშინია რუსეთს), და ამის გამო უხეშად ერევიან საქა-

რთველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავად რუსეთის ექსპრეზიდენტი – ვ. პუტინი ღიად აქცენტირებს რუსეთის ნაციონალურ ინტერესებზე: - დღეს რუსეთი უბრუნდება ცივილიზებულ ერთა ოჯახს და მას არაფერი სჭირდება გარდა იმისა, რომ რუსეთის პოზიცია შეისმინონ, მას ანგარიში გაუწიონ და რუსეთის ნაციონალური ინტერესებიც გაითვალისწინონ" [94] სამწუხაროდ, ამ ნაციონალურ ინტერესთა სფეროს საქართველოც წარმოადგენს, სადაც იწყება თუ არა ნაციონალური მოძრაობის აღმავლობა, მყისვე იძაბება პოლიტიკური ვითარება მის ავტონომიებში. ეს მოვლენები დაიწყო 1989 წლიდან და დროდადრო იყინება ან აქტიურდება რუსული პოლიტიკური კურსის სურვილისამებრ. 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია აღნიშნავდა, რომ აფხაზეთთან და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთთან" დიალოგი ბევრჯერ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მოსკოვი რომ არ მართავდეს და ასპონსორებდეს მათ.Rეს მოსკოვური იმპერიალიზმი განაპირობებს ნაციონალური პოპულიზმის თემის განუყოფელ პირველობას ქართულ პოლიტიკაში.

ნაციონალური პოპულიზმი პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ ეკონომიკას.

ეკონომიკური პოპულიზმი გამოიხატება ნაციონალური მრეწველობის განვითარებაში, ეროვნული შემოსავლების ზრდაში, მის გონივრულად განაწილებასა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის აღმავლობაში.

„დაე, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ წინაპართა სარწმუნოებრიცი და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის ვიბრძოდით და ვიბრძვით, რამეთუ უფალმა საქართველოს დიდი მისია დააკისრა... ქართველი ერის გზა არის გზა გულმოწყალებისა, გზა სიყვარულისა, გზა იესოსი... [95] „ქართველმა ერმა გამოამუღაჟნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება, ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ მზად არის თავისუფლებისათვის...", [96] ასეთი იყო ზ. გამსახურდიას ნაციონალ-პოპულიზმი.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ახალი ძალით დაიწყო ნაციონალური პოლიტიკის აღორძინება. მეოცე საუკუნის 90–იან წლებში დაკარგულმა ტერიტორიებმა ერში ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი დაამკვიდრა, ამას თან დაერთო მძიმე სოციალური ფონი, კორუფცია, დაიკარგა ის ეროვნული მუხტი, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში აღორძინდა და ამის გამო ქართველი ერი ნიჰილიზმმა მოიცვა.

ასეთ სიტუაციაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა მ. სააკაშვილი, რომელმაც ერს თანდათანობით დაუბრუნა შელახული თავმოყვარეობის გრძნობა, მისი მოწოდებები ხალხმა პანაცეად აღიქვა და ისევ დაიბრუნა მომავლის იმედი: „ქართველი ერი არის გონიერი. ჩვენი მთავარი სიმდიდრე არის არა ოქრო და ნავთობი, არამედ ჩვენი ნიჭიერება, ჩვენი ინტელექტი, ჩვენი უნარ-ჩვევები, ჩვენი განათლება," „საქართველო არის უნიკალური კულტურის ქვეყანა... საქართველო გაერთიანდება, საქართველო გაძლიერდება და საქართველო გამთლიანდება" [97] – აღნიშნავდა იგი.

ქართული ნაციონალ-პოპულიზმი ყველა დროში სხვა ერთა ურთიერთპატივისცემასა და ტოლერანტობაზე იყო დამყარებული, „საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ერთა ინტერესები ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის, ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა" [198.] – აღნიშნავდა ზ. გამსახურდია 1990 წელს, თუმცა რუსეთის ხელისუფლება მუდმივად აკრიტიკებდა მის ნაციონალურ პოლიტიკას.

ქართველები ყველაზე უკეთესები ვართ სხვა ერებთან მიმართებაში... საქართველოში ყველა ძმები ვიქნებით – ასეთია მ. სააკაშვილის ნაციონალური-პოპულიზმი, იგი თავის გამოსვლებში ხშირად მიმართავდა მშობლიურ ენაზე აფხაზებს, ოსებს, აზერბაიჯანელებსა ა.შ. ასე, რომ ქართული პოლიტიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი – ნა-

ციონალ-პოპულიზმი, სრულებითაც არ უშლის ხელს სხვა ერებთან მეგობრულ დამოკიდებულებას.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ზოგადად პოპულიზმისთვის დამახასიათებელია რევოლუციებისა თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი, არაძალადობრივი მეთოდებით. საყურადღებოა, რომ XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოში მომხდარი ორივე რევოლუცია განდის არაძალადობრივი მეთოდებით განხორციელდა.

1990 წელს მოსახლეობის უმეტესობამ კატეგორიულად მოითხოვა მრავალპარტიული საყოველთაო არჩევნების ჩატარება. კომუნისტური ხელისუფლება იძულებული შეიქმნა კომპრომისზე წასულიყო და 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა არჩევნები, სადაც გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

1990 წლის 14 ნოემბერს კი ახალი უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო კანონი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ზ. გამსახურდია. ასე, რომ მოხდა ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლა – „ჩვენში მშვიდობიანი დემოკრატიული რევოლუცია მოხდა, ხელისუფლება უსისხლოდ შეიცვალა. ფაქტობრივად შეიცვალა წყობილება, შეიცვალნენ კადრები“ [99]– აღნიშნავდა გამსახურდია. იგი მუდამ აქცენტირებდა, რომ მისი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები იყო განდისა და პოლონეთის გზით სიარული, მასების მობილიზება საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის და არა გარიბალდის გზა. ახალ დროში – როგორც ამას იმპერიულ რეჟიმებთან ბრძოლის გამოცხადებაც ცხადყოფს, გამსახურდიას აზრით, ე.წ. „მცოცავი“ რევოლუციები უფრო დიდ შედეგებს იძლევიან, მაგ: პოლონეთი და ინდოეთი, ხოლო უეცარ, ფეთქებად, ბლიც-კრიგის მსგავს რევოლუციებს კი დიდი მსხვერპლი მოაქვს, რასაც ადგილი ჰქონდა მაგალითად უნგრეთში.

1990 წელს უსენაესი საბჭოს პირველმა სესიამ გამოაცხადა ეგრეთ წოდებული „გარდამავალი პერიოდი“, ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო სოციალიზმისა და კაპიტალიზმის კონვერგენცია (შერწყმა), ხოლო პოპულიზმის თეორიის თანახმად პოპულიზმის აღმაფლობა და ნაციონალ-პოპულიზმის აღორძინება მუდამ ემთხვევა ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ ძერებს და გარდამავალ პერიოდს.

ნაციონალ-პოპულისტური მეთოდების გამოყენებით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ზ. გამსახურდიამ, არც შემდგომი მოღვაწეობისას უღალატა მის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს. მაგ: 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე ოფიციალურად მიმართა კრემლს გაემართათ მოლაპარაკება რუსეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობების შესახებ, თუმცა, კრემლი საპასუხოდ შინაგანი ჯარების ახალ-ახალი კონტინგენტის შემოყვანას და საოკუპაციო ჯარების გააქტიურებას ახორციელებდა.

ამის გამო „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციები სრულიად საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდნენ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ, ყოველგვარი საპროტესტო აქციებისა და გაფიცვების გაძლიერებისაკენ, აი, რას წერდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991 წლის აპრილში: „უკანასკნელ ხანს იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ხალხებმა გააძლიერეს საპროტესტო პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიული ხელისუფლების გაუქმებას და სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას... ამასთან დაკავშირებით, ე.წ. ცენტრის იმპერიალისტური პოლიტიკიდან გამომდინარე, მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს გაფიცვები სატრანსპორტო საშუალებებსა და საკავშირო დაქვემდებარებების საწარმოებისა“ [100]

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პუნქტები მოიცავ-

და: საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას; საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოების შექმნას, რომლებიც საგაფიცვო კომიტეტებთან ერთად სისტემატიურ ხასიათს მისცემდნენ დაუმორჩილებლობის მოძრაობას; სწორი და შემოწმებული ინფორმაციის გავრცელებას და საგაფიცვო ფონდის შექმნას – გაფიცულთა დასახმარებლად.

მეოცე საუკუნეში, 88/89 წლებში გამოყენებულ იქნა არაძალადობრივი ბრძოლის მრავალი მეთოდები – მჯდომარე აქციები, საპროტესტო მოძრაობები, შიმშილობა. იწერებოდა პეტიციები, რომლებიც იგზავნებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ამ პეტიციებში მოთხრობილი იყო საქართველოს მოკლე ისტორიული ექსკურსი, რუსეთის მიერ მისი ანექსია და ამჟამად არსებული პოლიტიკური ვითარება.

ნაციონალ-პოპულიზმის მეთოდები იქნა გამოყენებული მ. სააკაშვილის მიერ 2003 წლის ნოემბერში, რასაც შევარდნაძის მთავრობის „ხავერდოვანი რევოლუცია მოჰყვა". უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხალხის შეჭრისა პარლამენტის შენობაში მცირეოდენი დაზიანებაც კი არავის მიუღია და ეს რევოლუცია, რომელიც „ვარდების რევოლუციის" სახელით დარჩა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში – უსისხლოდ დამთავრდა. სხვათა შორის, ამ ფაქტმა მსოფლიოს დიდი დაინტერესება და აღფრთოვანება გამოიწვია, ვინაიდან როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავად „არაძალადობრივი რევოლუციის" თეორეტიკოსმა და ფუძემდებელმა მ. განდიმაც კი ვერ მოახერხა მსხვერპლის გარეშე განეხორციელებინა ინდოეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რაც შეეხება 1991-92 წლებში განვითარებულ მოვლენებს, მას ვერ მივაკუთვნებთ ვერც ნაციონალ-პოპულიზმს და ვერც „არაძალადობრივი ბრძოლის" მეთოდების კატეგორიას. ეს იყო ხელისუფლების შეცვლა სამხედრო გზით. მას სამხედრო გადატრიალება უწოდა თვით შევარდნაძის ხელისუფლებამაც კი.

რეალური პოპულიზმის მეთოდები გამორიცხავს სისხ-

ლისმღვრელ რევოლუციებს, ეს მეთოდები მემარჯვენე პოპულიზმის საკითხია.

მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორია საკმაოდ მდიდარია რევოლუციებით, ამის ფონზე უნებურად დ. სარაჯიშვილის სიტყვები გვახსენდება: „ქართველები რევოლუციის გვარდიად გახდნენ... მაგრამ რევოლუციით ხალხი ვერ იცხოვრებს. ცხოვრებისათვის შრომაა საჭირო. შრომა კი არ ვიცით“. [101]

ზოგიერთი პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ ნაციონალ-პოპულიზმზე დაფუძნებული სახელმწიფო პოპულიზმიდან – ავტორიტარიზმამდე მიდის, რასაც შეიძლება ორი უკიდურესობა მოჰყვეს: ან დემოკრატია, ან ტოტალიტარიზმი. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი მ. ოლბრაიტი აღნიშნავს, რომ – საქართველოში დემოკრატიის დამყარება საკმაოდ ძნელია; მართალია, ქართველი ერი ნაკლებად კანონმორჩილია, მაგრამ დემოკრატიული ფასეულობები, მაგ: ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, პოლიტიკური თუ პარტიული პლურალიზმი, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპები, მოქალაქეთა თანაბარი უფლებები და სხვა მეტ-ნაკლებად განვითარებულია ქართულ პოლიტიკაში,Cდემოკრატიის დამყარება, ოლბრაიტისა არ იყოს ძნელია, მაგრამ არა – შეუძლებელი. ერთიც უნდა შევნიშნოთ: დემოკრატიის დამყარება ყველგან ძნელია. ამიტომ „დიდი სტაჟის“ მქონე დემოკრატიულ ქვეყნებშიც დემოკრატია უფრო „პოზაა“, ვიდრე – სინამდვილე. Cდაბოლოს, დიდი პოლიტიკოსის უ. ჩერჩილის სიტყვებს თუ გავითვალისწინებთ – თვით დემოკრატია, მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენს, რომლებიც დროდადრო გადამოწმებას ექვემდებარება. ასე, რომ ქართულ პოლიტიკაში შესაძლებელია ცოტა ძნელად, მაგრამ მაინც აქტიურად მყარდება დემოკრატია.

პოლიტიკური ლიდერების პოპულიზმი

პოპულიზმის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქარიზმატულ ლიდერებს. ქარიზმა ქრისტიანულ თეოლოგიაში გამოხატავს სათნოებას, ღვთიურ ნიჭს, ზებუნებრივ ძალას.Rეს თვისება თავიდან გაიგივებული იყო, როგორც მაგიური ძალა, რომელიც ახასიათებდათ როგორც წინასწარმეტყველებს, ისე ბრძენ მკურნალებს, შამანებს, სამხედრო პირებსა და ბელადებს.

მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის გემანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა ეს ტერმინი დაამკვიდრა პოლიტიკის ისტორიაში, როგორც პოლიტიკური Zლიდერის დამახასიათებელი ნიშანი და მოღვაწეობის სტილი. მისი აზრით, ქარიზმა არის ბელადის ან პოლიტ.Zლიდერის თვისება, რომლის საშუალებითაც ხდება მასების მართვა და დამორჩილება, თუმცა ამ დამორჩილებასაც თავისი სპეციფიკა აქვს: მასა, ბრბო, თვითონ კი არ არჩევს ასეთ კუმირს, არამედ ბელადი თავად აყენებს მასას თავის სამსახურში.

ვებერი აღნიშნავს, რომ ქარიზმის მატარებელი ადამიანი მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან: იგი ფლობს უდიდეს ძალას, ენერგიას, შესაძლებლობებს, ზემოქმედებს მასების გაუცნობიერებელ ცნობიერებაზე, ახდენს მასზე ზეწოლას, მანიპულირებს მათი გრძნობებით ან მოლოდინით. ქარიზმა ფანატიკურ რწმენას ეყრდნობა და ხშირად საკუთარი განდიდების მიზნით მიმართავს ტყუილს, უფლებებისა და თავისუფლების ხელყოფას, ძალადობას, ხოლო უარეს შემთხვევაში იგი შესაძლებელია იქცეს დიქტატორად, ამის მაგალითია: ჰიტლერის, ლენინის, სტალინის, ჰუსეინის და ა. შ. პოლიტ. ლიდერთა ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასეთ შემთხვევაში ქარიზმატული ლიდერი ხალხს დემაგოგიის გამოყენებით იმორჩილებს და აკეთებინებს იმას, რაც თავად სურს. ამასთან ერთად იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ეკონომიკას, ვინაიდან მისი ავტორიტეტის შექმნისათ-

ვის სრულებითაც არ არის საჭირო ეკონომიკური წარმატებების მიღწევა. თუმცა ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, თითქოს ქარიზმა მხოლოდ ნეგატიური შინაარსის მატარებელია.

ყველა ქარიზმატული ლიდერი პოპულისტია. მათი მოღვაწეობის ძირითადი პრინციპია: ხალხში გასვლა, მათი გრძნობებით მანიპულირება და მართვა, ნდობის გამოყენება და თამაში მათ მოლოდინზე, დაპირებები უკეთესი მომავლის შესახებ, საკუთარი თავის უალტერნატივობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სხვ.

პოპულიზმი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ყველა პოლიტიკური ლიდერისათვის. ის შეიძლება იყოს მემარჯვენე, ან მემარცხენე ხასიათის, ტოლერანტული, ან არატოლერანტული, განსაკუთრებით ეფექტურია პოლიტიკოსის მოღვაწეობა მაშინ, როდესაც იგი პოპულიზმის თეორიის მეთოდების გარდა, შემოსილია ე.წ. ქარიზმით. **მაქს ვებერი** წერდა, რომ არსებობს პოლიტიკური ლიდერის სამი ტიპი:

- ტრადიციული;
- ქარიზმატული;
- რაციონალურ-ლეგალური.

ჩვენი კვლევის საფუძველზე, სამივე ტიპის ლიდერი აქტიურად იყენებს პოპულიზმს. ქარიზმატული ლიდერი და მისი ძალაუფლება პოლიტიკური თეორიის თვალსაზრისით უფრო ეფექტურია, ეფექტიანი კი მხოლოდ რაციონალური ან შერეული მმართველობაა, განსხვავება კი ამ ორი ტიპის ლიდერს შორის ასეთია:

რაციონალური ლიდერი: ძალაუფლების გადანაწილება, განსჯა, მეთოდურობა, დისციპლინა, მშვიდი და გაწონასწორებული მეტყველება, პროგნოზირებადი ურთიერთობები. სამართლიანი ბატონობა ხელისუფლებასა და მოქალაქეებზე, კანონის უზენაესობა, დემოკრატიის განვითარება. ასეთი ლიდერის გუნდი მუშაობს ერთიანად, ხელისუფლებაში მოდის არჩევნების გზით, განსაზღვრავს მიზანს და გადასაჭრელი საკითხების ნუსხას. რაციონალური ლიდერი შეკრულ

გუნდს ქმნის და ხელისუფლების მთავარ მეთოდოლოგიად სისტემატიზაციას ირჩევს.

ქარიზმატული ლიდერი: პოლიტიკური თეორიის თვალსაზრისით, ქარიზმული ლიდერი და მისი ძალაუფლება უფრო ეფექტურია, ეფექტიანი კი რაციონალური ლიდერისაგან მომდინარე შერეული მმართველობაა; ის ნაკლებად შთამბეჭდავია, მაგრამ – უფრო სასარგებლო და შედეგიანი. Tგანსხვავება რაციონალურ და ქარიზმულ ლიდერებს შორის ძალიან დიდია პოლიტიკურ გემოვნებაში, პოლიტიკური მეთოდების შერჩევაში. რაციონალური ლიდერი ხელისუფლების განაწილების მომხრეა; მას ახასიათებს დინჯი განსჯა და ვარიანტების აწონ-დაწონვა; უპირატესობას ანიჭებს სიფხიზლეს და თანდათანობითობას. მისი ქცევა ძირითადად პროგნოზირებულია; გამოირჩევა სტრატეგიული პრიციპის სიმტკიცით და ტაქტიკური არსენალის ფართო დიაპაზონით; მეტყველებს მშვიდად და გაწონასწორებულად; გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტობრივ და ლოგიკურ არგუმენტებს; ემხრობა კანონის უზენაესობას. ასეთი ლიდერის გუნდი მუშაობს ერთიანად, ხელისუფლებაში მოდის არჩევნების გზით, განსაზღვრავს მიზანს და გადასაჭრელი საკითხების ნუსხას. რაციონალური ლიდერი შეკრულ გუნდს ქმნის და ხელისუფლების მთავარ მეთოდოლოგიად სისტემატიზაციას ირჩევს. ყოველივე ამის საპირისპიროა ქარიზმული ლიდერი. მისთვის მთავარია არა საგანი, არამედ – თავისი დამოკიდებულება საგანთან; არა სინამდვილე, არამედ – სურვილი. მასში გონებას გრძნობა აღემატება.Rესე იგი, ქარიზმული ლიდერი ემოციური და გაუწონასწორებელია. მისი ქცევა მოცემულ მომენტში ენერგიულობით და დიდი სიმტკიცით გამოირჩევა; მაგრამ – სწორედ რომ მხოლოდ მოცემულ მომენტ'ში.Cდროის შედარებით დიდი მონაკვეთი გამოავლენს მის გუნებაცვალებადობას და წინააღმდეგობრიობას, რაც საბოლოო ანგარიშით, ძალიან უახლოვდება მერყეობას და საკუთარ თავში დაურწმუნებლობას. მას აღიზიანებს

გაჭიანურებული მსჯელობანი და საერთოდ, ლოგიკური ანალიზი. ამიტომ, ძირითადად ეყრდნობა თავის ინტუიციას. Rეს კი მოითხოვს ერთპიროვნულ ძალაუფლებას. ამიტომ, ქარიზმატულ ლიდერს მმართველობა მუდამ დიქტატურისაკენ მიჰყავს.. ის ვერ იტანს ძლიერ, კომპეტენტურ გუნდს. ამიტომ, მისი გუნდი ხშირად არაკომპეტენტური ადამიანებითაა დაკომპლექტებული.Rეს ფონი კი ხელს უწყობს მის გამორჩეულობას და ასაზრდოებს მასში ბელადის ამბიციებს. ქარიზმატული ლიდერი ხელისუფლების სათავეში მოდის ძალადობრივი ან არაძალადობრივი რევოლუციის გზით. ასეთი ტიპის ლიდერი ადვილად მართავს და იმორჩილებს ხალხს, იგი ასევე გამორჩეულია თავის გუნდში, სადაც ერთგვარი ბელადის როლს ასრულებს.

ჩვენ შეგნებულად არ განვიხილეთ ტრადიციული ლიდერობის ტიპი, რომელიც ემყარება: ტრადიციების სიწმინდეს, რწმენას, ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემას და ა.შ. ეს თვისებები ახასიათებს უხუცესებს, ბელადებს, მონარქებს და გვხვდება „წინაინდუსტრიულ საზოგადოებაში“, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ გამოვრიცხავთ პოპულიზმის მეთოდების გამოყენებას. რაციონალური და ქარიზმატული ლიდერები, თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობისას აქტიურად იყენებენ პოპულიზმის მეთოდებს, თუმცა ეს მეთოდები ერთმანეთისაგან განსხვავდება:

რაციონალური ლიდერი მემარცხენე პოპულიზმის მეთოდებს ეყრდნობა, რაც მოიცავს ხელისუფლების სათავეში მოსვლის მშვიდობიან მეთოდს, არაძალადობრივ რევოლუციას, ან თავისუფალ არჩევნებს და ამკვიდრებს დემოკრატიულ მმართველობას.

ქარიზმატული ლიდერი კი ხელისუფლების სათავეში მოსვლის მიზნით იყენებს მემარჯვენე პოპულიზმს, რაც გამოიხატება დემაგოგიაში, რევოლუციურ მეთოდებში, რევოლუციაში (შესაძლებელია ეს რევოლუცია არაძალადობრივიც იყოს), და ამყარებს ავტორიტარულ მმართველობას.

თუმცა პოპულიზმის მეთოდების გამოყენებისას ზემოთაღნიშნული ლიდერები ერთიანად იყენებენ როგორც რეალურ, ისე სპეკულაციურ პოპულიზმს. ქარიზმატული ლიდერი ნაციონალურ საკითხს ეროვნული აღორძინებისათვის იყენებს. ეკონომიკური პოპულიზმის გამოყენებით კი ცდილობს ქვეყნის გამოყვანას ეკონომიკური კრიზისიდან. საერთო ჯამში, ლიდერი, რომელიც შემკობილია ქარიზმატული თვისებებით, უფრო მეტად უყვარს ხალხს, ამასთან ერთად სრულებითაც არ არის აუცილებელი იგი იყოს ავტორიტარი.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკოსი ქარიზმატულ რიტორიკას იყენებს მასების ემოციონალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ასეთი ტიპის ლიდერი სრული ნდობით სარგებლობს მოსახლეობაში და ჩნდება ისტორიული კატაკლიზმების დროს, არასტაბილურ საზოგადოებაში ან გარდამავალ პერიოდში – როდესაც ხალხი თავად უბიძგებს ლიდერს ჩადგეს მათ სამსახურში. ქარიზმატული ლიდერის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში, ამ კუთხით შეიძლება განვიხილოთ: იულიუს კეისარი, ა. მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი, ზლენინი, მაო ძედუნი, კიმ ირ სენი, ჰოში მინი, ტიტო, მ. განდი, ფიდელ კასტრო და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, აქ შეიძლება გამოვყოთ დავით აღმაშენებელი, ზ. გამსახურდია და მ. სააკაშვილი.

აღსანიშნავია, რომ მ. ვებერი ქარიზმატულ ლიდერს განიხილავდა როგორც დემაგოგიის ანალოგს, რომელიც მასებს აკეთებინებს იმას, რაც თავად სურს. თუმცა, ჩვენ ბოლომდე ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას დემაგოგიის შესახებ, ვინაიდან ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, თუ რა სახის პოპულიზმის მეთოდებს იყენებს ლიდერი, მაგ: შეუძლებელია ერთ ჭრილში განვიხილოთ განდის და ჰიტლერის პოლიტიკური მოღვაწეობა მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქარიზმის მატარებელია.

„ზვიად გამსახურდია იყო ქარიზმატული ტიპის ლიდერი, რომლის ქარიზმის საიდუმლოება პირისუნულ თვისებებთან ერთად ერისუნული დამოუკიდებლობის იდეის ფანატიკურ ერთგულებაში გამოიხატებოდა“ [102.370] ქარიზმატული პოლიტიკოსის სტილის დამკვიდრებას ცდილობდა ე. შევარდნაძეც, რომელიც ხალხს შთააგონებდა საკუთარი პერსონის უალტერნატივობას პრეზიდენტის პოსტზე, – ვინ, თუ არა მე?, ამ მეთოდით მან დაამკვიდრა შევარდნაძის შეუცვლელობის მითი, თუმცა მსგავსი ტენდენციები ზ. გამსახურდიას მოღვაწეობაშიც შეინიშნებოდა. რაც შეეხება საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მ. სააკაშვილს, მანაც ასევე ქარიზმატული თვისებებიდან გამომდინარე მოახდინა ფართო მასების ორგანიზება „ხავერდოვანი რევოლუციის“ მოსაწყობად.

უნდა აღინიშნოს, რომ სრულებითაც არ არის აუცილებელი პილიტიკური ზლიდერი იყოს შემკობილი ქარიზმით, ქარიზმატული ბატონობა ხელისუფლების ფლობის გარეშეც შეიძლება. „თვისებათა თეორიის“ თანახმად, მხოლოდ ერთეულების ხვედრია ღვთის მიერ ბოძებული, თანდაყოლილი ნიჭი ლიდერობისა. რომელსაც ლიდერს არა აქვს ასეთი თანდაყოლილი ნიჭი, მაშინ ამის კომპენსაცია ნაწილობრივ შესაძლებელია პოპულიზმის მეთოდების გამოყენებით.

დღეისათვის სოციოლოგები ლიდერობისათვის აუცილებელ 100-250 თვისებას ასახელებენ. ამ თვისებათა გამოყენება კი ყველა პოლიტიკური ლიდერისათვის ინდივიდუალურია, ყოველ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და პოპულისტური მოღვაწეობის სტილი აქვს.

XX საუკუნის 50-60-იანი წლების ლათინური ამერიკის პოლიტიკა მკვეთრი პოპულიზმის აღმავლობით გამორჩევა, რასაც ხელი შეუწყვეს თავად ამ ქვეყნის პოლიტიკურმა ლიდერებმა, მაგ: არგენტინის პრეზიდენტის ხუან ანტონიო პერონის (1946-55;/1973-74წწ) პოპულიზმი გამოიხატა იმ კუთხით, რომ მან გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ნაციონალური ეკონომიკის ასაღორძინებლად. მოახდინა ერისუნული ბანკის

ნაციონალიზირება, ამერიკელებისაგან გამოისყიდა სატელეფონო ქსელები, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისაგან კი რკინიგზა. შექმნა ასევე სახელმწიფო მიწების კოლონიზაციის გეგმა.

1946 წელს, პერონმა პარლამენტს წარუდგინა 5 წლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა მსუბუქი მრეწველობის განვითარების საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას, ტრანსპორტის სფეროს განვითარებას, ხელფასების მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას. პერონმა შექმნა მძლავრი „პერონისტთა პარტია“, რომელიც ძირითადად მუშებს ეყრდნობოდა. იგი აკონტროლებდა პროფკავშირებსაც სადაც 3 მლნ. კაცი შედიოდა. პერონი მიილტვოდა შეექმნა ხუსტისიალისტური სახელმწიფო, რაც სიტყვასიტყვით სამართლიანობას ნიშნავს.

„პერონიზმი“ იყო პოპულისტური მოძრაობა, რომელიც წლების მანძილზე იკვლევდა, დღის წესრიგში აყენებდა ახლ-ახალ პრობლემებს და მუშების დიდი მხარდაჭერით გამოირჩეოდა.“ [103.436] 1939-45 წლებში მანძილზე მან მოახერხა სახელფასო მინიმუმის გაზრდა, შემოიღო შრომის კანონი, 8 სთ. სამუშაო დღე, შეებულება წელიწადში ერთხელ, სოციალური დაზღვევა და ა.შ. 1950 წლიდან კი საპრეზიდენტო პოსტზე მეორედ არჩევის შემდეგ ქვეყანაში ნაციონალ-ეკონომიკური პოპულისტური პოლიტიკის გატარება დაიწყო, კერძოდ, მან ქვეყნის ნავთობის საბადოზე სახელმწიფო მონოპოლია დააწესა, შექმნა სახელმწიფო ნავთობ-კომპანია, სადაც აიკრძალა საზღვარგარეთის კაპიტალის ჩადება, მას დიდი სურვილი ჰქონდა ასევე შეექმნა სახელმწიფო კომპანია, რომელიც ელექტროენერგიის წარმოებით იქნებოდა დაკავებული, გეგმაში ჰქონდა ასევე აგრარული რეფორმის გატარება (რაც პოპულიზმის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია), მაგრამ ამ რეფორმებს წინ აღუდგა აშშ-ი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ოლიგარქებმა, სამხედრო ელიტამ და მიწათმფლობელებმა, რასაც 1956 წელს ვარგა-

სის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეა, ამ ფაქტით აღშფოთებულმა ვარგასმა თავი მოიკლა. ამის შემდეგ ხალხმა მასზე სხვადასხვა ლეგენდები შექმნა, სადაც ვარგასს „ღატაკთა მამად“ მოიხსენიებდნენ, თავად ვარგასმა კი ასეთი ანდერძი დაუტოვა თანამემამულეთ: “მე მსურდა შემექმნა ფუნდამენტი ნაციონალური თავისუფლებისა, მსურდა ჩვენი სიმდიდრეების ექსპლუატირება ჩვენივე ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ უარყოფითად განწყობილი ძალები წინ აღუდგნენ ჩემს გეგმას. მოგიწოდებთ იბრძოლოთ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ჯგუფების წინააღმდეგ!“ [104.421]

პერონისა და ვარგასის პოლიტიკური მოღვაწეობის მაგალითზე, ჩვენ ვნახეთ თუ რა ნიშნები ახასიათებს ეკონომიკურ პოპულიზმს:

ეს არის ნაციონალ-პოპულიზმის მეთოდები, როდესაც სახელმწიფოს ნაციონალური ბუნებრივი რესურსები – სასარგებლო წიაღისეული თუ სხვა სტრატეგიული ობიექტები არ იყიდება უცხოელ ინვესტორებზე და რჩება სახელმწიფო კუთვნილებაში, სხვა სიტუაციაა საქართველოში, სადაც ქვეყნის ნაციონალურ-პოპულისტურ რეჟიმში არ შედის ეკონომიკური პოპულიზმი და ყველაფერი იყიდება სინდისის გარდა – როგორც ამას აღნიშნავდა ყოფილი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე.

1905 წელს ჩინეთის „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პოლიტიკური ლიდერის **სუნ იატსენის** (1866-1925წწ) პოპულისტური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეხედულებები სახელწოდებით: “სამი სახალხო პრინციპი“.

პირველი პრინციპი მოიცავდა ნაციონალიზმს, რაც გამოიხატა მანჯურიელთა დინასტიის ლიკვიდაციასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ჩვენ ინდივიდებს კი არ უნდა მიეცეთ თავისუფლება, არამედ უნდა ვიზრუნოთ ერის თავისუფლების მოსაპოვებლად – წერდა სუნ იატსენი;

მეორე პრინციპი იყო სახალხო მფლობელობა და ჩინეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა;

მესამე – აგრარული საკითხი, რომლის განხორციელების შემთხვევაში მიწის მფლობელობის საკითხში ყველა თანასწორუფლებიანი იქნებოდა.

სუნ იატსენი ესწრაფოდა ქვეყნის მმართველობის ტრადიციული ფორმების განახლებას და ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური ან დასავლური დემოკრატიული რეჟიმების პირდაპირ გადმოღებას. ასეთი გადაწყვეტილება საესებით მისაღებად მიგვაჩნია, ვინაიდან ყველა ერს აქვს მისთვის დამახასიათებლი ტრადიციული ნიშან-თვისებები, რაც ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა და თანაცხოვრების მანძილზე ყალიბდება, ამიტომ ყველა ერმა სხვა ერებისგან უნდა აითვისოს ის, რაც უფრო ახლოს დგას კონკრეტულად მოცემული ერის ფსიქოლოგიასთან, ტრადიციებთან და გარდაქმნას ისე, რომ ამით არ დაიკარგოს მისი თვითმყოფადობა, არ მოხდეს შეუთავსებლობა ახალ მეთოდებსა და ერის ფსიქოლოგიაში გამჯდარ ტრადიციებს შორის.

„ეროვნული მონობა – უმძიმესია ყველაზე, რადგანაც იგი მონობაა მთელი სოციალური პიროვნებისა“ [105.241] – აღნიშნავდა მ წერეთელი, ფაქტია, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან, მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში ყოველთვის ერთ-ერთი მთავარი იყო ნაციონალური საკითხი, რაც რაღა თქმა უნდა პოპულიზმის მეთოდების გარეშე არ არსებობს.

ნაციონალ-პოპულიზმი საკმაოდ ბევრი პოლიტიკური ლიდერის წარმატების საფუძველი გახდა, მათ შორისაა მაჰათმა განდი. განდიზმში თავმოყრილია აგრარული, პოლიტიკური, ნაციონალური, რელიგიური და ეკონომიკური პოპულიზმის ელემენტები. უფრო კონკრეტულად ეს არის იდეალისტური ფილოსოფიის, ეთნიკური ნორმების, სხვადასხვა რელიგიების – ინდუიზმის, ჯაინიზმის, ქრისტიანობის, ისლამის და ასევე ტოლსტოველობის (ტოლსტოველობა – ქრისტიანული ანარქიზმის მიმდინარეობა, რომლის მსოფლმხედველობას წარმოადგენს ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა. მისი მიმდევრები უარყოფენ ძალისმიერ რევო-

ლუციას. ხსნას პოულობენ პირიქნების ზნეობრივ თეითსრულყოფაში, „ქრიტიანულ თაეისუფლებაში“) ელემენტები. განდის პოლიტიკური პოპულიზმის მეთოდები იყო:

- არაძალმომრეობითი წინააღმდეგობა („სატიაგრახა“);
- ყოველგვარი საქმიანობის შეწყვეტა („ხარტალა“);
- მშვიდობიანი დემონსტრაციები;
- სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ტიტულებზე და თანამდებობებზე უარის თქმა;
- გადასახადების გადაუხდელობა;
- შიმშილობა;
- ძალდაუტანებელი სამოქალაქო ურჩობა ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმებით;
- ნაციონალური პოლიტიკისა და ეკონომიკის აღორძინება; კასტური დაყოფის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ტრადიციებისადმი ერთგულება;
- მშვიდობიანი, უსისხლო რეეოლუცია.

Tგანდი მჭიდროდ იყო დაახლოებული ხალხთან, იგი ცხოერობდა და იმოსებოდა ისე, როგორც თაეისი ხალხი, ეინაიდან თელიდა, რომ თუ იბრძეი ხალხის კეთილდღეობისათეის, თუ მათ გეერდზე აპირებ დგომას – მათ უნდა დაემსგაესო. მასებთან ორგანულმა კაეშირმა, ხალხში გასელამ, ხალხოსნურმა მოღეაწეობამ, უბრალოებამ, მისმა ასკეტიზმმა, ინდური ტრადიციებისადმი ერთგულებამ, კარიერისა და ქონება-სახელის მოხეეჭისადმი სიძულეილმა, მას უდიდესი ავტორიტეტი მოუპოეა ხალხში, სწორედ ამ თეისებათა გამო შეარქეა ხალხმა მას „მაჰათმა“ (დიადი სული) და „განდი ჯი“ (დიადი განდი). ასე, რომ როგორც მისი თანამედროეე, ნერუ აღნიშნაედა, განდი იქცა ნაციონალიზმისა და ინდოეთის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ.

Tგანდის პოპულიზმი სოციალურ პრობლემებსაც შეეხო, იგი გმობდა კასტურ დაყოფას, იბრძოდა „მიუკარებელთა“ კასტის სოციალური ემანსიპაციისათეის, ილაშქრებდა ოპიუმისა და სხეა ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ,

გმობდა ადრეულ ქორწინებას. იგი ცდილობდა ქვეყნის ნაციონალურ-ეკონომიკურ აღორძინებას (პოპულიზმის კიდევ ერთი მაგალითი).

1924 წელს ციხიდან გამოსულმა განდიმ რეფორმისტული საქმიანობა დაიწყო, მან მოსახლეობას მოუწოდა აღედგინათ ინდოეთში ძველად გავრცელებული ხელით რთვა და ქსოვა, რაც მილიონობით კაცს გამოუნახავდა სამუშაოს და შეამცირებდა მასობრივ უმუშევრობას. იგი კონგრესის წევრებსაც მოუწოდებდა ეტარებინათ შინამრეწველური წესით დამზადებული ქსოვილისაგან (ხადარი) შეკერილი ტანისამოსი, რის მაგალითსაც თავად იძლეოდა.

1930 წელს ინდოეთში ახალი ძალით იფეთქა სამოქალაქო ურჩობის კამპანიამ, რომლის იდეოლოგი და ორგანიზატორიც განდი იყო. მან მეფისნაცვალ ლორდ ირვინს 11 მოთხოვნა წაუყენა, მასში შედიოდა: ვალუტის კურსის შეცელა, მიწის გადასახადის 50%-ით შემცირება, მარილზე გადასახადის მოსპობა, სამხედრო ხარჯების შეკვეცა, პოლიტ. პატიმართა განთავისუფლება, ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვა და სხვ. კოლონიზატორებმა ეს მოთხოვნები უარყვეს, რასაც ახალი დაუმორჩილებლობის კამპანია მოჰყვა "მარილის ლაშქრობის" სახელწოდებით: განდი თავის მომხრეებთან ერთად სოფ. დანში სამი კვირის განმავლობაში აწარმოებდა მარილის თვითნებურად მოპოვებას. ამის შემდეგ მოხალისეთა მრავალრიცხოვანმა რაზმებმა დაიწყეს ინგლისური საქონლით მოვაჭრე მაღაზიების პიკეტირება, ინგლისური ქსოვილებისა და ტანისამოსის საჯაროდ დაწვა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ სატიაგრახა მოიცავდა მშვიდობიანი ბრძოლის მეთოდებს, განდიმ მაინც ვერ მოახერხა სამოქალაქო ურჩობის მშვიდობიან ფორმებში შენარჩუნება. რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკური მოტივებით იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ომებისა, მათ შორის II მსოფლიო ომისაც, მაგრამ სამწუხაროდ, რეალური პოლიტი-

კური მოღვაწეობის დროს, ხშირად არ ემთხვეოდა ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა, ალბათ ამის გამო მოხდა ის, რომ უდიდესი ჰუმანისტი და ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი განდი, თავად გახდა ძალადობის მსხვერპლი.

მეოცე საუკუნის ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში უ. ჩერჩილის შემდეგ, მ. ტეტჩერის მსგავსი პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა შეიძლება გამოვხატოთ ტერმინით „ტეტჩერიზმი". ცნობილი ინგლისელი მეცნიერები ს. ჰოლი და მ. ჯეიკსი აღნიშნავენ, რომ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ტეტჩერმა მარაჟალფეროვანი პოპულისტური მეთოდები გამოიყენა, ამის საყუძველზე მის მოღვაწეობას აფასებენ რიოგორც „ავტორიტარულ პოპულიზმს".

ტეტჩერი ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ ეკონომიკაზე, ოჯახის ფენომენზე, ტრადიციებზე, პიროვნების პირად ინტერესებზე, ინდივიდუალიზმზე, კონკურენციაზე და ა.შ. მას პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე საკმაოდ რთული პრობლემების გადაჭრა მოუხდა, ეს იყო: ბრძოლა ინფლაციის აღსაკვეთად, რასაც თან დაერთო ეკონომიკური სტაგნაცია და უმუშევრობა. ერთიბ დაძაბული იყო პოლიტიკური ვითარება საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზეც (ლათ. ამერიკის სამხედრო დიქტატორული რეჟიმის მხრიდან), ამასთან ერთად ინგლისში ადგილი ჰქონდა გრანდიოზულ საგაფიცეო მოძრაობას მეშახტეების მხრიდან – რამაც ბრიტანეთის ენერგეტიკული სფერო ნგრევის პირზე მიიყვანა.

1970 წელს ქვეყანაში გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი, რასაც თან დაერთო ინფლაცია. ამის გამო, ტეტჩერმა შემოიკრიბა ეკონომიკური გუნდი და შეიმუშავეს დოქტრინა სახელწოდებით „მონიტარიზმი", რაც ნიშნავდა კონტროლის დაწესებას ბიუჯეტზე, გამოშვებულ ფულზე და საკრედიტო პოლიტიკაზე. ამ ფაქტმა ტეტჩერის მძლავრი კრიტიკა გამოიწვია თუმცა არც ისე აკლდა ტეტჩერს ოპონენტები, თითქმის ყველა ცნობილი პიროვნება თუ ელიტის წარმო-

მადგენელი თავის მოვალეობად მიიჩნევდა მის კრიტიკას, მაგრამ ამ წინააღმდეგობებმა უფრო მეტი ბრძოლის ჟინი შესძინა პრემიერს: მან დაიქირავა სპეციალიტები და დაიწყო შესწავლა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო საზოგადოებაში, როგორ ემეტყველა, დიდ ყურადღებას უთმობდა დიქციას, ტექსტებს, რომლითაც უნდა წარდგენილიყო ხალხის წინაშე, განუწყვეტლივ ხვეწდა და დაჰყავდა იგი ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

ნებისმიერმა პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა იცოდეს თუ როგორ აღაფრთოვანოს ხალხი, წარმოაჩინოს მათი ეროვნული ღირსებები და ა.შ. ამ კუთხით ტეტჩერს ბადალი არ ჰყავდა, მან დაარღვია კარჩაკეტილი და მიუკარებელი ჩინოვნიკის სტერეოტიპი, ყველა თანამშრომელს გვარებითა და სახელებით იცნობდა, იყო გულისხმიერი მათთან ურთიერთობაში.

1984 წლისათვის ტეტჩერის პოპულიზმმა შედეგი გამოიღო: აიწია ეროვნული ვალუტის კურსმა, დაიწყო ეკონომიკური აღორძინება, წარმატებას მიაღწია ინგლისმა საერთაშორისო ასპარეზზეც: 1982 წ-ს, ფოლკლენდის კუნძულებზე არგენტინის არმიის შეჭრას, მან შესაბამისი სამხედრო ძალა დაუპირისპირა და 12000 კმ-ს დაშორებით ბრიტანეთის კუნძულებიდან, სამკვირიანი ბრძოლის შემდეგ მისი სრული განთავისუფლება მოახერხა.

ტეტჩერი სამჯერ იქნა არჩეული პრემიერის პოსტზე. მისი წარმატების მიზეზი ის იყო, რომ მან მოახარხა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, ხელი შეუწყო თავისუფალი ბაზრის განვითარებას, წამოიწყო ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, რის გამოც ყოველ მეხუთე ბრიტანელს მიეცა აქციების ფლობის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მ. ტეტჩერს მაინცდამაინც არ სწყალობდა მმართველი ელიტა, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალთან: `WOMAN ' S OWN" მან აღნიშნა: „ეფიქრობ წავიდა ის დრო, როდესაც ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მათი ყველა პრობლემები სახელმწიფომ

უნდა გადაჭრას: „არა მაქვს ფული – სახელმწიფო მომცემს სუბსიდიებს," „არა მაქვს სახლი – სახელმწიფო ვალდებულია მომცეს ბინა" და ა.შ. ისინი თავიანთი პრობლემების გადაწყვეტას საზოგადოებას ანდობენ, მე გეუბნებით, რომ არანაირი საზოგადოება არ არსებობს, არიან ქალები და კაცები, არიან ოჯახები. ჩვენი ვალია ვიზრუნოთ ჯერ ჩვენს თავზე, შემდეგ – მეზობელზე. ადამიანები ბევრს ფიქრობენ უფლებებზე და ამასობაში თავიანთი მოვალეობანი ავიწყდებათ" [106.366].

ამ ინტერვიუმ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა თავად ტეტჩერი დარწმუნებული იყო თავისი აზრის სისწორეში, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი სახელმწიფო უზრუნველყოფაზეა და ადგილი არა აქვს ქველმოქმედებას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობაც დაბალია.

ტეტჩერი დღემდე რჩება ნაციონალ-პოპულისტად. იგი ეწინააღმდეგება ევროკავშირში ინტეგრაციას, საერთო ევროპულ საგარეო პოლიტიკას, „ევრო ადრე თუ გვიან განწირულია ეკონომიკური თუ სოციალური კრახისათვის, უარის თქმა ფუნტზე – ევროს სასარგებლოდ, ბრიტანეთს დაუკარგავს უფლებას მართოს საკუთარი საქმეები, რაც გამოიწვევს დემოკრატიის დაღმავლობას – დიდმა' ბრიტანეთმა ამაზე ფიქრიც კი არ უნდა დაუშვას." [106.393]

მისი ნაციონალ-პოპულიზმი გამოიხატება იმითაც, რომ უარყოფს ევროკავშირს და მას უწოდებს „ბიუროკრატიულს – ბიუროკრატთათვის". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ევროპის გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდნენ: უ. ჩერჩილი, და დე გოლი, ორივე მათგანი მკვეთრი ნაციონალური პოპულიზმით გამოირჩეოდა, მაგ: უ. ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ: "ჩვენ [ბრიტანეთს] გვაქვს ჩვენი სურვილები და მიზნები. ჩვენ ვართ ევროპასთან, ჩვენ ვართ მასთან დაკავშირებული – ოღონდ არა მის შემადგენლობაში, ჩვენ ვართ მისით დაინტერესებული – ოღონდ არა მასში გაერთიანებული" [106.396] მსგავსი შეხედულება ჰქონდა დე გოლ-

საც, იგი მიიჩნეოდა, რომ ევროპის გაერთიანებით მიეღებთ უსულო, მატერიალიზებულ მასას, რომელსაც დაკარგული .ექნება თავისი ნაციონალური სახე, – ევროპული ქვეყნების ნაციონალური თვითმყოფადობა აუცილებლად უნდა იქნას შენარჩუნებული – აღნიშნავდა იგი.

ტეტჩერის პოლიტიკამ კრიზისიდან გამოიყვანა დიდი ბრიტანეთი, მისი ეკონომიკური-პოპულიზმი შეიძლება შეაფასოთ, როგორც „ეკონომიკური სასწაული“, რომლის შედეგაც შეჩერდა ინფლაცია, გაიზარდა დასაქმებულთა, კერძო სახლების მფლობელთა და აქციონერთა რიცხვი. ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის მექანიზმს საფუძვლად დაედო მონეტარიზმი. კერძო მფლობელთა ხელში გადავიდა ისეთი კომპანიები, როგორიცაა –“ბრიტიშ გეზი“, ბრიტიშ ტელეკომი“ და სხვა, კაპიტალდაბანდებამ საზღვარგარეთ 145 მილიარდს გადააჭარბა.R

Rეკონომიკურმა აღმავლობამ მკვეთრი გავლენა მოახდინა საგარეო პოლიტიკაზეც. ტეტჩერი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში „ფაინეშელ თაიმსთან“ აღნიშნავდა, რომ – ინგლისი დღესაც რჩება მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ, ჩვენი ჯარები მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში იმყოფებიან.

მან მოახერხა გამხდარიყო ერთგვარი დესპანი ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის. იგი ცნობილი იყო თავის მკაცრი პოლიტიკით და ამიტომ უწოდეს მას „რკინის ლედი“. ტეტჩერის პოლიტიკა შეიძლება შევაფასოთ, როგორც „ავტორიტარული პოპულიზმი“, თუმცა სიტყვა „ავტორიტატული“ სულაც არ არის მისი მოღვაწეობის ნეგატიურად ასახვის სურვილი.

მან ღირსეული ნაბიჯი გადადგა მაშინაც, როდესაც მიხვდა, რომ ამოწურა თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები და პოსტი დატოვა, რასაც რეიგანმა სპეციალური სტატიაც კი მიუძღვნა სახელწოდებით: “ჩემი გული მასთან არის“.

მ. ტეტჩერის „ავტორიტარული პოპულიზმის“ ძირითადი პრინციპები:

ეკონომიკური პოპულიზმი:

- **მონეტარიზმის პოლიტიკა;**
- **ინფლაციის შეჩერება;**
- **პრივატიზაცია;**
- **სახელმწიფოს კონტროლი ბიუჯეტზე;**
- **კერძო საკუთრების განვითარება.**

ნაციონალური პოპულიზმი:

ნაციონალური აღორძინება;

ქვეყნის საგარეო ინტერესების დაცვა;

- **საერთო სავალუტო სივრცის – ევროს უარყოფა;**
- **ეროვნული ვალუტის პრიორიტეტი;**
- **ტრადიციებისადმი ერთგულება;**
- **უარყოფითი დამოკიდებულება ევროკავშირში გაერთიანებაზე, რათა არ დაიკარგოს ეროვნული ტრადიციები.**

საბოლოო ჯამში, ტეტჩერის ავტორიტარულმა პოპულიზმმა დადებითი როლი შეასრულა დიდი ბრიტანეთის ნაციონალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღორძინების საქმეში. 1991 წლისათვის ინგლისი იქცა ძლიერ, მდიდარ და მწარმოებელ ქვეყანად – ასეთმა წარმატებამ თავად ბრიტანელებიც კი გააკვირვა. ასე, რომ ავტორიტარულ პოპულიზმსაც კი შეიძლება მიეცეს გამართლება, თუკი მის გამოყენებას ქვეყნისათვის კეთილდღეობა მოაქვს.

პოპულიზმი საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში

2007 წლის სექტემბერში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებმა შეაქეს საქართველო მისი საოცარი პროგრესისათვის, მათ ჩვენს ქვეყანას უწოდეს მაგალითი მთელი რეგიონის და სხვა ბევრი ქვეყნისათვის, თუმცა, საქართველოში მოგვიანებით საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა: 2007 წლის 2 ნოემბერს, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ მიტინგზე ათასობით ათასი პროტესტანტი მივიდა თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად, ისმოდა შეძახილები – "საქართველო პრეზიდენტის გარეშე", „გადადექი" (რაც ძალიან წააგავდა 1999 წლის სლოგანს: „არც შევარდნაძე, არც აბაშიძე" და 2002 წლის არჩევნების სლოგანს: "თბილისი შევარდნაძის გარეშე";) ისინი მოითხოვდნენ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს და პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის, ცხოვრების პირობების გაძვირების და სხვა სოციალური პრობლემების გამო. პროტესტანტები, პოლიციამ დაარბია, რასაც მოჰყვა ტელევიზიების **„იმედი"** და **„კავკასია"** ეთერიდან გათიშვა. ეს ფაქტი დასავლეთის მხრიდან მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა.

პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებული ფორსმაჟორის განსამუხტავად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გამოაცხადა, ამასთან ერთად ოპოზიციას შესთავაზა პლებისციტის ჩატარება საპარლამენტო არჩევნების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით.

არჩევნები ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯია დემოკრატიულ პროცესებში. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემების ლეგიტიმურობის ფუნდამენტური წინაპირობაა. თუმცა, არჩევნები არ უნდა ჩატარდეს მიტინგების, დემონ-

სტრაციებისა და საპროტესტო გამოსვლების თანხლებით – განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ **ნინო ბურჯანაძემ**, მისი აზრით, ხელისუფლებას მიტინგები არ უნდა სჭირდებოდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში კრიზისის განსამუხტავად არჩევნები ჩაატაროს. მან ჩათვალა, რომ ხელისუფლების მიერ ჩადენილმა შეცდომებმა მიიყვანა ხალხი 2 ნოემბრის აქციამდე – მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი საქმეც გაკეთდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბურჯანაძე არც 2003 წელს ყოფილა აქციების მომხრე, მაგრამ ეს მათ ხელისუფლებამ აიძულა, ამიტომ, სასურველია ხელისუფლებამ არ მიიყვანოს ხალხი აქციებამდე. 2008 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული რთული პოლიტიკური სიტუაციის განსამუხტავად კი მან განაცხადა, რომ: "გამოსავალია მედიის საჯაროობა, ხალხმა უნდა გაიგოს სიმართლე, მათ უნდა მიაწოდონ ობიექტური ინფორმაცია. ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს სასამართლოს გაკონტროლებასა და ბიზნესმენების დაშინებას. გამოსავალია ოპონენტებთან ლაპარაკი, თორემ ხვალ-ზეგ ხალხი დაინახავს, რომ ატყუებ და რეაქცია გაცილებით მწვავე იქნება" [107] 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მონაწილეობას იღებდა შვიდი კანდიდატი, შესაბამისად თითოეულ მათგანს თავისი სამოქმედო გეგმა ჰქონდა:

№ 1 ლევან გაჩეჩილაძე

წინასაარჩევნო მარათონის სიის სათავეში, №1 პრეზიდენტობის კანდიდატი, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე მოექცა. "ჩვენ ვიბრძვით ღირსების დასაბრუნებლად", „საქართველო პრეზიდენტის გარეშე"; – ეს იყო მისი ძირითადი გზავნილი. კითხვაზე, თუ რას ნიშნავს მოწოდება „საქართველო პრეზიდენტის გარეშე", მან განაცხადა: ეს გულისხმობს, ქვეყანას უზურპირებული ძალაუფლების მქონე, ძლიერი პრეზიდენტის გარეშე, ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის ხელში გადაეა, რომელიც მრა-

ვალპარტიული იქნება, საქართველოში უნდა დამთავრდეს „მოქალაქეთა კავშირის", „აღორძინების" და „ნაციონალ-.ური მოძრაობის" ტიპის უზურპაციული პარტიების ხანა... ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც საზოგადოების მონაწილეობით ქვეყნის მოწყობის რამდენიმე მოდელს განიხილავს" [108] რაც შეეხება წინასაარჩევნო დაპირებებს, გაჩეჩილაძე აღნიშნავდა, რომ – მე რასაც ვამბობ, იმას გავაკეთებო. მათ სამოქმედო პროგრამაში: „200 ნაბიჯი" (როგორ ჰგავს ეს „ახალი მემარჯვენეების" მიერ 2003 წლის არჩევნებში გამოყენებულ ლოზუნგს „დასაქმებისა და აღმშენებლობის 900 დღე") შედიოდა: დასაქმება, საკონსულტაციო ორგანიზაციის შექმნა, მცირე ბიზნესისათვის დაბალპროცენტიანი კრედიტი და ხელის შეწყობა; საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ლიბერალური საგადასახადო სისტემა, „ჩვენ ვიბრძვით ღირსების დასაბრუნებლად, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველოში ყველა ოჯახი იყოს გადამხდელუნარიანი, შეძლოს დენის, გაზის და სხვა გადასახადების გადახდა, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა და კომფორტზე ზრუნვაც კი" [108], ოპოზიციის ძირითადი მიზანი იყო, საპარლამენტო რესპუბლიკის დამყარება, ძირითადი მოთხოვნა – „დავამთავროთ ეს ხელისუფლება", „ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ". ასე, რომ ლ. გაჩეჩილაძემ თავის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი ადგილი დაუთმო სოციალურ და ეკონომიკურ პოპულიზმს.

№2 ბადრი პატარკაციშვილი

„მე გავუწევ დახმარებას საქართველოში არსებულ ყველა უმუშევარს" –ასეთი შთამბეჭდავი ლოზუნგით დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ბადრი პატარკაციშვილმა. მისი წინასაარჩევნო პროგრამის სამუშაო გეგმის ძირითადი ასპექტები იყო: "შეხიდება-გარღვევა-გაბრწყინებული ქვეყანა", რაც ძირითადად მოიცავდა

ძლიერი, აყვავებული სახელმწიფოს შექმნას. მართალია, დაპირება ბანალურია, თუმცაღა, თუ ჩაეულრმავდებით პროგრამას, ბევრ მომხიბვლელ და საინტერესო წინადადებებსაც წავაწყდებით, მაგ: „ჩვენი გუნდის მუშაობის პირველი 18 თვე იქნება ხალხის „შეხიდების“ დრო, მე ავანაზღაურებ საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახის ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მოხმარების აუცილებელ მინიმუმს, მანამდე, სანამ არ მოვაწესრიგებ ამ სფეროში დაგროვილ პრობლემებს... გამოვისყიდი მომავალი წლის ყურძნის და ციტრუსის მოსავალს... ჩვენ მოვდივართ შესახიდებლად – გარღვევისა და ქვეყნის გასაბრწყინებლად და არა შურისძიებისათვის.

მეორე ეტაპზე, რომელსაც ჩვენ „გარღვევის“ ეტაპს ვუწოდებთ, ჩვენ დავამარცხებთ უმუშევრობას, ყველა კომპანია, რომელიც, დასაქმებულთა რაოდენობას გაზრდის 20%-ით, განთავისუფლდება მოგების გადასახადებისგან... გარღვევის ეტაპი გაგრძელდება 24 თვეს..

მესამე ეტაპი არის **„გაბრწყინებული ქვეყანა“**, ჩვენ გავხდებით ჭეშმარიტად წარმატებული ევროპული ერი, საქართველო გახდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქვეყანა.. [108] წინასაარჩევნო დაპირებაში შედიოდა ასევე: მინიმალური ხელფასის გაზრდა 300 ლარამდე; პენსიების მომატება 120 ლარამდე, დევნილების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინებით; ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად ჩამოყალიბება და ა.შ. ხელისუფლების მიმართ, პატარკაციშვილის გუნდის ძირითადი გზავნილი იყო "გეყოს". რაც არ უნდა დაგპირდეთ ეს მმართველობა, რაც არ უნდა ფული შემოგთავაზონ ბიუჯეტის განვითარებისათვის, ჩემი შენატანი 2-ჯერ მეტი იქნება – მოუწოდებდა პრეზიდენტობის კანდიდატი, ბ. პატარკაციშვილი ამომრჩევლებს.

შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე პოლიტტექნოლოგიები ერთგვარი კანონზომიერებით ვითარდება, დაპირებებიც მრავალფეროვანია და ამომრჩეველთა გულის მოგებაც. თუ ადრე წინასაარჩევნოდ ხალხს

პროდუქტებს ურიგებდნენ, ლოკალურად უბნებში აგებდნენ ასფალტს, ფორმალურად ალამაზებდნენ სკვერებს, იქმნებოდა ამა თუ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი სახოტბო ჰიმნები და კლიპები, მოგვიანებით ეს ტექნოლოგიები დაიხვეწა და დღის წესრიგში დადგა ახალი დაპირებები.

2008 წლის არჩევნებში, თითქმის ყველა პარტიამ გამოიყენა სოციალური პოპულიზმი (დღის წესრიგში დააყენა ის სოციალური საკითხები, რაც ზოგადად აწუხებდა საქართველოს მოსახლეობას, ამ კუთხით კი ჯერაც საკმაოდ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი) აი რას წერდა ამის თაობაზე გაზეთი **„კვირის პალიტრა“**: „დღესაც მასობრივად იზრდება პენსიები, საქართველოს მასშტაბით არ ითხოვენ კომუნალური გადასახადების გადახდას, მოსახლეობას ურიგდება ქონების ფლობის დამადასტურებელი მოწმობები. მეორეს მხრივ ვრცელდება ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ პატარკაციშვილის გამარჯვების შემთხვევაში, მოსახლეობა განსაზღვრული ვადით სრულიად განთავისუფლდება კომუნალური გადასახადებისაგან. რამდენად წაადგება ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას ასეთი, პოპულისტურად გათვლილი ნაბიჯები და ხელოვნური დოტაციები?“ [109] კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არჩევნები პოპულიზმის გარეშე არ არსებობს, უბრალოდ თუ დაპირების შესრულებას არა აქვს ობიექტური საფუძველი, მაშინ ეს უბრალოდ დემაგოგიაა და სხვა არაფერი.

№3 დავით გამყრელიძე

„ჩვენ გვწამს ღმერთი და შეგვწევს ძალა“ – ასეთი სლოგანით დაიწყო კამპანია, პრეზიდენტობის კანდიდატმა დ. გამყრელიძემ. – მე ვიქნები ძალიან სამართლიანი პრეზიდენტი, რომლის დროსაც ქვეყანაში იქნება სამართლიანი სახელისუფლებო სისტემა, ავაღორძინებ ქართულ ეკონომიკას, ბიზნესს, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის – აღნიშნავდა იგი. მისი აზრით, მიუღებელია ხალხს არჩევნების წინ ეაუ-

ჩერები ჩამოურიგო და მომავალში გადასახადების დაწყარვას დაპირდე, ყველას უნდა შეეძლოს თავისი შრომით მიიღოს იმდენი შემოსავალი, რომ თავი ღირსეულ და გადამხდელუნარიან მოქალაქედ იგრძნოს. დ. გამყრელიძემ ყურადღება გაამახვილა ასევე დაკარგული ტერიტორიების საკითხზე და აღნიშნა, რომ კლიპებით და სარეკლამო რგოლებით არ ხდება ტერიტორიების დაბრუნება, და ამ საკითხის მოგვარებას ისინი რეალური ნაბიჯების გადადგმით შეძლებენ, თუმცა დაპირება ზოგადია, შეიცავს არსებული სიტუაციის კრიტიკას, მაგრამ გაუგებარია რა სახით მოხდება ამ პრობლემის მოგვარება მომავალში.

ხალხის ნაწილს მიაჩნია, რომ დ. გამყრელიძე ქუჩის მიტინგებს გაურბის, 2003 და 2007 წლების აქციების დროს ის ნაკლებად ჩანდა, თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით მას ასეთი მოსაზრება აქვს: "მე არ გავდივარ ქუჩის მიტინგებზე, რადგან ვეწინააღმდეგები რევოლუციას, გამოცდილებამ დაგვანახა, რომ 2003 წლის რევოლუციამ სიკეთე არ მოუტანა ქვეყანას... ხალხმრავალ მიტინგებზე ბევრად უფრო ადვილია პოპულისტური და კონფორმისტული პოზიციის დაკავება და თქმა, აი ხალხთან ვდგავარო, პოლიტიკოსმა უნდა გათვალოს, რა მოჰყვება ამა თუ იმ ნაბიჯს, რამდენად გამართლებული იქნება ქვეყნისთვის... არადა, რევოლუციური ტალღის აგორების შემთხვევაში, ისევ პოპულისტური იდეების მქონე ძალა მოვა ხელისუფლებაში" [110]. სხვათა შორის გამყრელიძე, 2003 წლის არჩევნებზეც უარყოფდა – ჩვენ პოპულისტები არ ვართ და პოპულისტურ განცხადებებს არ ვაკეთებთო. (თუმცა ლოზუნგი: „დასაქმების, აღმშენებლობის, განახლების 900 დღე" ნამდვილად არ არის მოკლებული პოპულიზმს და არც მთლად რეალურად გვეჩვენება, რომ 900 დღეში მოხდება მისი განხორციელება) ხელისუფლების შეცვლას გამუდმებული რევოლუციების მოწყობით არც ჩვენ ვეთანხმებით, მაგრამ თუ პოლიტიკოსი არ დგას ხალხთან, არ გამოხატავს თავის შეხედულებებს და საერთოთ, თუ არ

ხარ პოპულისტი, მაშინ რა გინდა პოლიტიკაში? სახალხო პოპულარობა სწორედ ხალხის სიყვარულით, მისი ჭირ-ვარამის გაზიარებით, მათ მიმართ სამართლიანი და გულწრფელი და დამოკიდებულებით მიიღწევა, დ. გამყრელიძე კი მუდმივად შიშობს – ოღონდ პოპულისტობა არ დამაბრალონო და ერიდება ხმაურიან კამპანიებს, თუმცა ამ დროს ადვილი შესაძლებელია მას უფრო რეალისტური წინადადებები ჰქონდეს, მაგრამ ხალხმა არჩევანი უფრო პოპულარულ პოლიტიკოსზე გააკეთოს – თუნდაც ის დემაგოგობდეს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი სახის მმართველობის ფორმაა მისთვის მისაღები, დ. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ: – საპარლამენტო მონარქიის მოდელში დევს ყველა პრობლემის გასაღები, თუმცა ამის თაობაზე ის მაინც რეფერენდუმის ჩატარებას მიიჩნევს საჭიროდ, რათა ხალხმა გადაწყვიტოს, თუ როგორ ქვეყნაში უნდა ცხოვრება. გამარჯვების შემთხვევაში, ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთობას, დ. გამყრელიძე კონკორდატის საფუძველზე ააგებს, მისი აზრით, ასეთი თანამშრომლობის პირობებში უფრო იოლი იქნება მაგ: ნარკომანიასთან ბრძოლა, მიუსაფარი ბავშვების თუ მოხუცების პრობლემების მოგვარება და სხვა.

№4 შალვა ნათელაშვილი

„საქართველოს ბედსა და ისტორიას ამ მძარცველებს არ დაეუთმობთ“, განაცხადა პრეზიდენტობის №4 კანდიდატმა, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა, რომლის საარჩევნო ლოზუნგი იყო: „დავამარცხოთ გაჭირვება“. იგი როგორც ყოველთვის, დარწმუნებული იყო, გამარჯვებაში და სჯეროდა, რომ ქართველი ხალხი მცდარ არჩევანს არ გააკეთებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბევრი ღირებულებების გადაფასება მოუწევდა. რაც შეეხება წინასაარჩევნო დაპირებებს, მასში შედიოდა: მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, უმუშევრობის მოსპობა; წერილი და საშუალო ბიზნესის განვითარება; „ერისა

და ბერის წინაშე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ქართველ ხალხთან ერთად ავაშენებ ჯეშმარიტად ეროვნულ-ინტერნაციონალურ, სამართლიან სახელმწიფოს, სადაც ხელისუფლება იქნება ხალხის მსახური და არა მოძალადე ბატონი... ეროვნული ქართული სახელმწიფოს საძირკველი გახდება „მამული, ენა სარწმუნოება“ [111].

ნათელაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა სასამართლო სისტემის რეფორმაზე, მასშტაბურ ამნისტიაზე (ვინაიდან იმ პერიოდში გამოტანილი ყველა განაჩენი არაობიექტურად მიიჩნია); პოლიტიკური ზეწოლისა და ცენზურის გაუქმებაზე მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მიმართ; სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულბაზე, ამასთან ერთად, ისევე როგორ ყველა კანდიდატმა, თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაცია და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

„ვალდებულებას ვიღებ, რომ ხალხს გამგებლობაში დაუბრუნდება ყველა გაყიდული სტრატეგიული სიმდიდრე, წყალი, ტყეები, ჭალები, წიაღისეული, ძირითადი ენერგეტიკული ობიექტები“ [112] აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური პოპულიზმი, დღის წესრიგში ყოველთვის აყენებს ნაციონალური სიმდიდრეების და სტრატეგიული ობიექტების ეროვნულ საკუთრებაში დატოვებას, ასე, რომ შ. ნათელაშვილმა, განსხვავებით სხვა კანდიდატებისგან ეკონომიკური პოპულიზმი გამოიყენა, ეს საკითხი მართლაც მწვავედ დგას ქართულ პოლიტიკაში.

დაპირებათა ნუსხაში ასევე შედიოდა ანაბრების ეტაპობრივად გაცემის საკითხი, ზღვრული ფასების დაწესება პირველდი მოთხოვნილების საქონელზე: კარაქზე, ყქვილზე, შაქარზე, მარილზე, ზეთზე; საშუალო, უმაღლესი და სამეცნიერო განათლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე; მასწავლებელთა ხელფასების გაზრდაზე და ა.შ. მე

დაპირებები არ გამიცია, ყიცი დაედე, მეტეხის ტაძართან ჩემი ხალხის წინაშე ვალდებულება და პასუხისმგებლობა ავიღე... მე მაქვს ჩემი ხალხის იმედი" – განაცხადა მან.

დაბოლოს, საინტერესოა მისი წინასაარჩევნო მოწოდება: – ამომრჩეველს კი არ ვთხოვ, არამედ კატეგორიულად მოვითხოვ, მე მომცენ ხმა, ვინაიდან, მე 15 წლიანი პოლიტიკური წარსული მაქვს და ეს მაძლევს უფლებას ვიყო ასეთი კატეგორიული!. – თუმცა დიდი წარსულის მიუხედავად, თუ რამდენად მისაღებია და მომგებიანია პოლიტიკაში კატეგორიული ტონით საუბარი ამომრჩეველთან, ეს არჩევნების შედეგებმაც გვიჩვენა.

№5 მიხეილ სააკაშვილი

ყველა სოციალურად დაუცველ ახალშობილზე 1000 ლარი; პენსიების გაზრდა (მინიმალური პენსია 100 დოლარს გაუტოლდება); ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ვაუჩერები; (საპრეზიდენტო სუბსიდია მიიღეს პედაგოგებმა, პენსიონერებმა და სოციალურად დაუცველმა მოქალაქეებმა) ახალი სამუშაო ადგილები; სიღარიბის აღმოყხერა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; საქართველო სიღარიბის გარეშე და ა.შ. დაისახა მიზნად №5 პრეზიდენტობის კანდიდატმა მ. სააკაშვილმა. კითხვაზე, თუ რამდენად რეალურად განხორციელდება ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე", მან განაცხადა: "დიახ, „საქართველო სიღარიბის გარეშე" რეალურად განხორციელდება. ეს იქნება ჩემი და ჩემი გუნდის უმთავრესი ამოცანა და გამოწვევა... ყოველი მოქალაქის და ოჯახის კეთილდღეობა მინიმუმ 3-ჯერ უნდა გაიზარდოს" [113] მის მიერ შემოთავაზებული სოციალური პოლიტიკა შემდეგ საკითხებს მოიცავადა:

• 2008 წლიდან მინიმალური პენსია 55 ლარიდან 76 ლარამდე გაიზრდება;

• მომდევნო ორი წლის განმავლობაში პენსიონერებს ექნებათ 100-დოლარიანი საპენსიო პაკეტი;

• ჯანდაცვის სრული უფასო პაკეტი 680000 ყველაზე ხელმოკლე მოქალაქისათვის;

• ოჯახური დახმარება 48000 ყველაზე ხელმოკლე მოქალაქისათვის;

• იაფი კრედიტები დასაქმებისთვის.

დაპირებათა სიაში შედიოდა სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი საწარმოების მშენებლობა, პროფესიული გადამზადება მინიმუმ 150000 მოქალაქისათვის, ეკონომიკის გასამაგება 5-წელიწადში, ხელფასების გაზრდა საჯარო სკოლების მასწავლებელთათვის, ცოდნის ქალაქის მშენებლობა საუკეთესო ბიბლიოთეკებით, აუდიტორიებით და ლაბორატორიებით, განსაკუთრებული შეღავათები მცირე მეწარმეებისათვის, ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება, სოფლის მექანიზაციის პროგრამა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა ფოთში, ტურიზმის განვითარება და ა. შ.

– „საქართველო სიღარიბის გარეშე!“, არის მთელი ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი, ეს სელა დავიწყე მაშინ, როდესაც ჩემი მოწოდება იყო „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ და „საქართველი კორუფციის გარეშე“, მე ვიბრძოდი საქართველოსთვის სიღარიბის გარეშე, როდესაც ვაგებდი გზებს, როდესაც ომი გამოეუცხადე ქაოსს, განუკითხაობასა და ქურდულ სამყაროს, როდესაც აღვადგენდით ენერგეტიკას და ა. შ. – წერდა თავის წინასაარჩევნო გეგმაშიC მ. სააკაშვილი.

მისი შეფასებით, 2008 წლისათვის ბევრი ოჯახი უფრო უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე 4 წლის წინ. საქართველო მთელს რეგიონში ყველაზე არაკორუმპირებული ქვეყანა გახდა, სადაც იყო თავისუფალი ბიზნესგარემო, ყველაზე დაბალი გადასახადები, ყველაზე კარგად განვითარებული საბანკო და საფინანსო სისტემა და ინფრასტრუქტურა.

მ. სააკაშვილმა 2008 წლის არჩევნები, ყველაზე კონკურენტულ და თავისუფალ გარემოში მიმდინარე არჩევნებად შეაფასა, რაც თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში

დემოკრატიული პოლიტიკური გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ: „რაც შეეხება კონკურენტებს, მე მიესალმები კონკურენციას, ჩვენ არ ვართ ისეთი ძალა, რომელსაც გამოწვევისა და კონკურენციის ეშინია". [113]

წინასაარჩევნო კამპანია გაჯერებული იყო მრავალფეროვანი ლოზუნგებით, რომელიც პირდაპირ ეხმაურებოდა მოსახლეობის სურვილებს, მაგ: „დასაქმება, ერთობა, კეთილდღეობა, გამარჯვება"; „საქართველო უმუშევრობის გარეშე"; „წინსელა დიდი გამარჯვებისკენ"; „გზა გამარჯვებისკენ"; „ჩემი პრეზიდენტობა თქვენ გეძღვნებათ"; „ გქონდეთ ჩემი იმედი და ირწმუნეთ, რომ მე გაგიყვანთ სამშვიდობოს"; „მინდა, რომ ყველას, ვისაც დაკარგული გაქვთ იმედი, ჩემი გეიმედებოდეთ" ა.შ. განსხვავებით პრეზიდენტობის კანდიდატის, შ. ნათელაშვილისაგან, რომელიც ამომრჩეველს კატეგორიულად მოუწოდებდა მხარდაჭერისკენ, მ. სააკაშვილმა, რომელიც საკმაოდ გონიერულად იყენებს პოპულიზმის მეთოდებს და შედეგიც სახეზეა, ასე მიმართა ელექტორატს: "მე მინდა პირველ რიგში ხმა მომცენ იმათ, ვისაც დღეს ჯერაც ძალიან უჭირს, ვისთვისაც ჯერაც არ დამდგარა სულის მოთქმის მომენტი, ვინც ჯერ კიდევ ელოდება იმ დღეს, როდესაც ექნება სამსახური და ღირსეული ცხოვრება, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრობს სიღარიბისაგან გასათავისუფლებელ საქართველოში... მე სწორედ თქვენნაირი ადამიანების მხარდაჭერა მჭირდება, რადგანაც ჩემი პრეზიდენტობა თქვენ გეძღვნებათ" [113]

ერთიანობაში, რომ გავიხილოთ მ. სააკაშვილმა მომავალ საპრეზიდენტო ვადაში სამი ძირითადი მიზანი დაისახა: საქართველოში ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება – სადაც სიღარიბეს ადგილი არა აქვს და ადამიანები აღარ დაიღუპებიან სამკურნალო თანხის უქონლობის გამო, საქრთველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

„ოთხი წლის წინ მე ქართველი ვიყავი, მაგრამ აღარ მახსოვდა გამარჯვებული საქართველოს იდეა... ოთხი წლის

წინ მე ვიყავი ქართველი, მაგრამ არასოდეს მიმღერია საქართველოს ჰიმნი... ოთხი წლის წინ მე ვიყავი ქართველი, მაგარამ არ მქონდა სახელმწიფო... დღეს ჩვენ გვყავს თანამედროვე ჯარი, და გვაქვს სახელმწიფო ინსტიტუტები... – წერდა თავის წინასაარჩევნო მიმართვაში ჟურნალ'ში: „გზა გამარჯვებისკენ" მ. სააკაშვილი, პასუხად კი ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე იქვე პასუხობდა: „ეს ყველაფერი ჩემი რჩეული მ. სააკაშვილის დამსახურებაა, მან დამიბრუნა საქართველოს გამარჯვების რწმენა, მან მათქმევინა „ჩემი ხატია სამშობლო", მან გამახსენა საქართველოს ისტორიული მისია, მან ჩაუყარა საფუძველი ძლიერ ჯარს და ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებს და ამიტომაც 5 იანვარს მე ხმას ვაძლევ თავისუფალ, ფრიადოსან საქართველოს" [114] – ესეც კანდიდატის და ამომრჩევლის ერთგვარი გასუბრება.

მ. სააკაშვილს პოლიტიკური მოღვაწეობის ყველასაგან გამორჩეული სტილი აქვს, რომელიც ზუსტად არის მორგებული ქართულ ეთნოფსიქოლოგიას და იოლად პოულობს გზას ამომრჩევლის გულისკენ, მართალია, ზოგიერთი ლოზუნგი, მაგ: „საქართველო სიღარიბის გარეშე!" – (საქართველოში მომავალში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები – ეს კი შეუარდანძისეული დაპირებაა 2003 წლის არჩევნების დროს), არარეალური პოპულიზმი უფროა, ვიდრე რეალურად განხორციელებადი, ვინაიდან თვით ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც კი ვერ დაიკვეხნიან, რომ სიღარიბე აღმოფხვრეს. ხოლო თუ რამდენად შესრულდება ასეთი დაპირებები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

№6 გია მაისაშვილი

„ჩვენ ხალხს თევზს კი არ ვურიგებთ, არამედ თევზის დაჭერის ტექნოლოგიას ვასწავლით. ამით განსხვავდება ჩვენი პროგრამა სხვა კანდიდატების ლოზუნგებისგან," [115] განაცხადა №6 პრეზიდენტობის კანდიდატმა გია მაისაშვილმა. მისი ეკონომიკური განვითარების პროგრამა განმარ-

ტავდა, თუ როგორ იქმნება ქვეყანაში სიმდიდრე და როგორ მონაწილეობს მის შექმნაში თითოეული მოქალაქე, ამისათვის კი საჭიროა მოგების გადასახადის გაუქმება, რაც ორგანიზაციებში მოგების რეინვესტირების შესაძლებლობას მოგვცემს, ამის შედეგად წარმოება გაფართოვდება და უფრო მეტი ხალხი დასაქმდება, — ჩემი მთავარი ამოცანა სწორედ დასაქმების პრობლემის მოხსნა იქნება, აღნიშნა გ. მაისაშვილმა. მან ხელისუფლება პირდაპირ დაადანაშაულა იმაში, რომ მათ არ იციან ეკონომიკის მართვა, სახელმწიფოს მშენებლობა, ადმინისტრირება, ამიტომ არ შეიძლება ისინი მართავდნენ ქვეყანას, ვინაიდან არ ძალუძთ უზრუნველყონ ქვეყნის სწორი განვითარება.

გ. მაისაშვილის წინასაარჩევნო პროგრამა ძირითადად ეკონომიკურ პოპულიზმზე იყო აგებული, იგი ამომრჩეველს სთავაზობდა ხელფასების გაზრდას, დღგ-სა და მოგების გადასახადის გაუქმებას და მის ჩანაცვლებას გაყიდვების გადასახადით; სოციალური ანარიცხების საკითხების მოგვარებას — რაც დამქირავებელს მისცემდა სტიმულს, რომ უფრო მეტი ადამიანი დაექირავებინა, — ჩემი პროგრამა დადებით შოკს მისცემს ბიზნესსისტემას და ეკონომიკურ ბუმს გამოიწვევს, ჩემთვის მთავარია ბუმის შექმნა, რადგან ამით გადაწყდება დასაქმების პრობლემა, — აღნიშნავდა იგი.

ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, გ. მაისაშვილმა დღის წესრიგში მსოფლიო კლასის განათლების სისტემის ჩამოყალიბება დაასახელა პრიორიტეტად, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად კი მან პროგრამაში შეიტანა ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლების სისტემა, გამოცდილი ადამიანებისათვის ვიწრო სპეციალიზაციით გადამზადება, სპეციალიზაციის მიხედვით მათთვის თანამედროვე უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც სპეციალურად მათთვის შექმნილ ერთთვიან და ექვსთვიან სკოლებში მოხდებოდა, „ეს არის ახალი სიტყვა ეკონომიკის განვითარებასა და სახელმწიფოს მშენებლობაში, ჩემს კონკურენტებს აქვთ

ორ-სამ გეერდიანი ლოზუნგების ჩამონათვალი. გაიძახიან, მე მინდა ქვეყანა გადავაქციო შეიცარიადო და ა.შ. ეს არ არის ლოზუნგი, ეს არის დაბალი დონის დოკუმენტი, სადაც დასაბუთებული არ არის მექანიზმი, როგორ უნდა გადააქციო დაპირება სინამდვილედ". [115.] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაისაშვილის პროგრამა ყართო მასებისათვის მაინც გაუგებარი დარჩა, ვინაიდან იგი მოკლებული იყო სოციალიზირებულ ენით საუბარს და ხალხთან კონტაქტს. „მაისაშვილის პროგრამა იოლად გასაგებია დასავლური საზოგადოებისათვის, მაგრამ საქართველოში, სადაც მოსახლეობა დამშეულია, მოკლევადიანი პროგრამები უფრო ხიბლავთ, ვიდრე სიღარიბიდან გამოსვლის გრძელვადიანი პროექტები" – აღნიშნა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა სატელეფონო გამოკითხვისას – წერს გაზეთი „კვირის პალიტრა." [116]

თავად გ. მაისაშვილმაც აღნიშნა, რომ მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო მზად მისი პროგრამის გასაგებად და ამიტომაც სურდა პრეზიდენტობა, ვინაიდან ამ გზით უფრო შეძლებდა ხალხის დახმარებას და თავისი პროგრამის რეალიზებას, – ჩემი ამოცანაა, განაცხადა მან, საზოგადოებას სტატიკური, აქამდე გამოუყენებელი პოტენცია გავუცოცხლო. ამისათვის მინდა პრეზიდენტობა და არა პოპულიზმისთვის, დაპირებებისთვის და პიარმანიპულაციებისთვის.

საქართველოში რომ ბევრ პოლიტიკოსს არასწორად ესმის პოპულიზმი, ჩვენ ამის შესახებ არაერთგზის აღვნიშნეთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გ. მაისაშვილი ალბათ კარგად იცნობს დასავლურ პოლიტტექნოლოგიებს, მისგან ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება პოპულიზმის მიმართ გაუგებარია. პოპულიზმის უგულებელყოფას რომ პოლიტიკოსი ფიასკომდე მიჰყავს, ეს არჩევნების შედეგებმაც არაერთგზის გვაჩვენა. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ იმასაც, რომ არც დემაგოგიაში გადასული პოპულიზმია წარმატების მომტანი, წარმატების გასაღები ზომიერების დაცვაში, ღია და გამჭვირვალე პოლიტიკურ მოღვაწეობაშია.

№7 ირინა სარიშვილი-ჭანტურია

საარჩევნო კამპანიაში მე-7 ნომრად, ერთადერთი ქალბატონი, პოლიტიკური გაერთიანება "იმედის" ლიდერი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია მონაწილეობდა. – მე ახლა ექსპერიმენტს ვატარებ, არჩევნებში ფულისა და პოლიტიკური ლობის გარეშე ვმონაწილეობ – განაცხადა მან. საინტერესო ექსპერიმენტია! ზოგს პოპულიზმის და პიარის ეშინია, ახლა კი აღმოჩნდა, რომ არჩევნებს არც ფული სჭირდება და არც პოლიტიკური ლობი და სახალხო პოპულარობა!

„ჩემი ექსპერიმენტის გზაზე ასეთი ტაქტიკა ავირჩიე – რასაც ეფიქრობ, ის ეთქვა. ჩემი საარჩევნო კლიპები "პახმელიის" გათვალისწინებით ხალისიანი იქნება. იმედიანად უნდა იყოთ, იმიტომ, რომ რაც ხდება დროებითია, 5 იანვარს ვისაც აირჩევეთ, ის მხოლოდ შემოდგომამდე იქნება პრეზიდენტი". [116] მართალია, ირინა სარიშვილი ხშირად აკეთებს პოლიტიკურ პროგნოზებს, მაგრამ ამჯერად, არჩევნებმა და მის შემდგომმა პოლიტიკურმა სიტუაციამ აჩვენა, რომ სარიშვილის პროგნოზმა არ გაამართლა. რაც შეეხება პოლიტიკურ გაერთიანება „იმედს", მათი ლიდერი აღნიშნავდა, რომ ეს ორგანიზაცია თავისი შემადგენლობით, ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანება იყო, მათი ერთ-ერთი სლოგანი: „სიმართლე ყველგან და ყოველთვის", ეროვნულ-დემოკრატების ცნობილი ლოზუნგი იყო, თუმცა ჰქონდათ ახალიც: – "კეთილდღეობა ყველა ოჯახს": „არა – მეხუთე ნომერს". რაც შეეხება სახელმწიფო წყობას, მან აღნიშნა, რომ – წინააღმდეგი ვარ საპრეზიდენტო წყობის გაუქმების, სანამ კონსტიტუციური მონარქია არ აღდგება. საპარლამენტო რესპუბლიკა კონსტიტუციური მონარქიის გარეშე კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია.

ირინა სარიშვილი აუცილებელ პირობად მიიჩნევდა საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას – ნეიტრალიტეტის გამოცხადებას და ურთიერთობების დარეგულირებას რუსეთთან; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას; ხალხის

დასაქმებას, მაგრამ საერთო ჯამში, მისი წინასაარჩევნო გეგმა, უფრო ხელისუფლების კრიტიკაზე იყო აგებული, ვიდრე სამომავლო პერსპექტივებზე, მაგ: "ეს პოპულიზმი, რომელიც ასე იფრქვევა, უსათუოდ ცუდად იჩენს თავს. ფული, რომელსაც სააკაშვილი არიგებს, ემისიის შედეგია, ამის შემდეგ ლარი უფრო გაუფასურდება და ძალზე მძიმე დღეში ჩაევარდებით[18]" იქვე. „არავისზე ნაკლები ბიოგრაფია მაქვს, არც სახელი და არც გვარი. ყველა ოპოზიციონერს ვურჩევ, თავიანთ კონკურენტად სააკაშვილი ჩათვალონ, დღეს ეს ბოროტებაა მოსაცილებელი" [116] საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არ გაამართლა სარიშვილის პასიური საარჩევნო კამპანიის ექსპერიმენტმა. სულ ტყუილად უარყოფენ პოლიტიკოსები, რომ არ იყენებენ პოპულიზმს და საარჩევნო პიარტექნოლოგიებს, ამის გარეშე არ ხდება პოლიტიკური მონაწილეობა, და თუ გვეშინია ზემოთაღნიშნული მეთოდების, სჯობს პოლიტიკოსობაზე ფიქრს თავი დავანებოთ.

ზოგიერთი დამკვირვებელი აღნიშნავდა, რომ 2004 წელთან შედარებით, როდესაც მ. სააკაშვილმა ხმათა 96% მიიღო, 2008 წელს, მოსახლეობის მიმართ მისდამი ნდობის კოეფიციენტი 53%-მდე დაეცა, თუმცა ექსპერტთა აზრით, მოსახლეობა არც ოპოზიციას ენდობა, რომელმაც მიუხედავად მრავალფეროვანი დაპირებებისა, მოსახლეობის ნდობა მაინც ვერ მოიპოვა. არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, მ. სააკაშვილმა „ალ-ჯაზირასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, თუმცა ამ ეტაპზე არც ისე წარმატებული ვიყავითო, რაც სავსებით ნორმალურად მიიჩნია, ვინაიდან ქვეყანაში ბევრი მტკივნეული რეფორმა ჩატარდა (რასაც შესაძლებელია საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვეს), სამაგიეროდ ქვეყანა კონკურენტუნარიანი გახდა. "ჩვენ დასაკარგი ქართველები არ გვყავს, ახალი დაპირისპირების დრო არ არის და ეს დღე არ არის ჩემთვის თვითკმაყოფილების და თავმოწონების ტრიუმფი" [117.] – აღნიშნა მან.

საინტერესოა რას ფიქრობენ ქართული პოლიტიკის თავისებურებებზე საერთაშორისო დამკვირვებლები: "დამოუკიდებლობის თერამეტი წლის განმავლობაში საქართველომ ააშენა მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ჯერაც არ არის კონსოლიდირებული. სისტემაში ყოველთვის დომინირებდა მმართველი პარტია. მმართველი პარტიის ლიდერები ყოველთვის ხმათა დიდ უმრავლესობას იღებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ ვითარებაში საქართველოს საზოგადოებას სწამდა, რომ სიტუაცია გამოსწორდებოდა ქარიზმატული ლიდერის არჩევით და მასზე ამყარებდა უკეთესი მომავლის იმედს" [118].

საქართველოში პოლიტიკური ლიდერები კარგად არ იცნობენ ხალხის განწყობას, ან შესაძლებელია მხოლოდ არჩევნების დროს ინტერესდებიან მათი პრობლემებით და იწყება გაუთავებელი დაპირებები, რომელთაგან ნახევარი მაინც არარეალურია. საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში გამოიყენება როგორც პოპულიზმის მემარჯვენე, ისე მემარცხენე მეთოდები, მემარჯვენე პოპულიზმის მეთოდებია: დაპირება „ეკონომიკური სასწაულების" მოხდენის შესახებ, მასების ცნობიერებით მანიპულირება, დემაგოგია; მემარცხენე პოპულიზმი: დასაქმების უზრუნველყოფა; მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა; ბრძოლა ბიუროკრატიის წინააღმდეგ და სხვა.

საერთო ჯამში, 2008 წლის არჩევნებში, გამოყენებული იყო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პოპულიზმი, შესაბამისად დაპირებებიც და ლოზუნგებიც აგებული იყო: სოციალურ საკითხებზე – დასაქმება, პენსიების და ხელფასების გაზრდა, სიღარიბის დაძლევა; ჯანდაცვის სრული უფასო პაკეტი 680000 ყველაზე ხელმოკლე მოქალაქისათვის და ა.შ.

ეკონომიკური: დღგ-სა და მოგების გადასახადის გაუქმება; ლიბერალური საგადასახადო სისტემა; ეკონომიკის გასამმაგება 5-წელიწადში; იაფი კრედიტები დასაქმებისთვის და სხვა.

პოლიტიკური: ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა (საპარლამენტო რესპუბლიკის დამყარება), სასამართლო სისტემის რეფორმა.

დაპირებები, როგორც ყველა არჩევნების დროს, ამ შემთხვევაშიც უამრავი იყო, პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატის პოლიტიკა ეფუძნებოდა შეჯიბრის თემას, თუ ვინ უფრო უტოპიურ სოციალიზმში ცხოვრებას დაჰპირდებოდა ამომრჩეველს, – აღნიშნავს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

საქართველოში ყველა პოლიტიკოსი უარყოფს, რომ არ არიან პოპულისტები, ვინაიდან პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ დემაგოგიასთან და უკიდურესად რადიკალურ და ნეგატიურ პოლიტიკურ ქმედებასთან ასოცირდება. როგორც ჩანს, ეს შიში არც თუ ისე უსაფუძვლოა, ვინაიდან პოლიტიკოსები ხშირად უფრო დემაგოგობენ და გამარჯვების მიზნით ათასგვარ არარეალურ დაპირებებს იძლევიან. თუმცა ხომ შესაძლებელია, დაპირება რეალური იყოს, მის განხორციელებას ობიექტური საფუძველი ჰქონდეს და რეალურადაც შესრულდეს? სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები კი ჯერ კიდევ ცოტაა ქართულ პოლიტიკაში.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

არჩევნების დროს, ყოველთვის პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს ხელისუფლებას, მისი ყველა ბერკეტი აქტიურად არის ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში, იყენებს, ბიუჯეტს, მსხვილ ბიზნესმენებს სთხოვს ხარჯების გაღებას, მონოპოლიას იღებს ტელევიზიაზეც, მაგ: „რუსთავი 2“, „მზე“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ დაბოლოს „იმედიც“, ზოგჯერ ტენდენციურად აშუქებდა წინასაარჩევნო ბატალიებს. არჩევნების დროს ხშირია ამომრჩევლის მოსყიდვა, გაუნებრივი იერიში მათზე, პოლიტიკოსების მხრიდან ერთმანეთის მამხილებელი კომპრომატების გამომზეურება და ა.შ. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს, პირველად ქართულ სატელევიზიო სივრცეში, პირდაპირ ეთერში გაიმართა მერობის კანდიდატთა დებატები, რაც უდაოდ მიუთითებს დემოკრატიის გარკვეულ განვითარებაზე.

ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოვრებისას, განსაკუთრებით კი არჩევნების დროს, ხალხის სიყვარულის და პოპულარობის მოსაპოვებლად, პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ პოპულიზმის მეთოდებს. „თუ გსურს ხალხს უყვარდე, მათ უნდა დაემსგავსო“– ამბობდა უდიდესი ჰუმანისტი მაჰათმა განდი. „თუ გსურს ზეგავლენა მოახდინო ერზე, იგივე უნდა სჭამო, რასაც მრეელი სჭამს, და ისევე ჩაიცვა, რაც მას აცვია“– ეს სიტყვები კი მელქისედეკ კათალიკოსს ეკუთვნის, კ. გამსახურდას უკვდავი ნაწარმოებიდან: „დიდოსტატის მარჯვენა“.

თუ რიგორი უნდა იყოს ხალხის წინამძღოლი, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში დაუვიწყარ წიგნში **„სიბრძნე-სიცრუისა“, სულხან-საბა ორბელიანი წერდა:“**... მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა,

მონათა, გლეხთა, მსახურთა, ა'ხნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს." [119.134] ერთი სიტყვით, ყველა დროის პოლიტიკური ლიდერი ხალხს უნდა იცნობდეს, მის პრობლემებს ი'სიარებდეს, უნდა დაიცვას და ემსახუროს მას, სხვანაირად შეუძლებელია ხალხის სიყვარულის მოპოვება. თუ რამდენად მიყვებიან ამ შეგონებას ქართველი პოლიტიკოსები, ამ კუთხით ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების მიმოხილვა:

თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები:

პარტიები:

1. **საქართველოს დემოკრატიული პარტია;**
2. პოლიტიკური პარტია **„მომავალი საქართველო";**
3. პოლიტიკური მოძრაობა **„სოლიდარობა";**
4. პოლიტიკური გაერთიანება **„სახალხო დემოკრატები";**
5. პოლიტიკური პარტია **„ჩვენი ქვეყანა";**
6. **„სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი";**
7. **სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია;**
8. პოლიტიკური მოძრაობა **„თავისუფლება";**
9. **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;**
10. **საქართველოს სპორტსმენთა კავშირი;**
11. პოლიტიკური მოძრაობაა; **„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".**

ბლოკები:

1. **ალიანსი საქართველოსათვის** (რესპუბლიკელები; ახალი მემარჯვენეები; ჩვენი საქართველო, თავისუფალი დემოკრატები; საქართველოს გზა);
2. **ეროვნული საბჭო** (კონსერვატორები; ხალხის პარტია

და მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის)

3. **გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია, – ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება** (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ჩვენ თვითონ; ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია);

ნაციონალური მოძრაობა

მერობისთვის სარეკლამო ბრძოლაში, უგულავას ყველაზე წარმატებული მესიჯები ჰქონდა, საკმაოდ კარგად იყო მოფიქრებული სლოგანი – **„მე მიყვარს თბილისი“**. მართალია, ის წინასაარჩევნო სლოგანად არ იყო გამოცხადებული, მაგრამ საკმაოდ ადრე გაუღერდა და წინასაარჩევნო კამპანიაშიც კარგად ჩაერთო. მედიაკომუნიკაციის სპეციალისტი, **თორნიკე გურული აღნიშნავს, რომ: „საარჩევნო კამპანიის წარმატებისათვის სლოგანში არა მარტო დაპირება, არამედ კონკრეტული ქმედებები უნდა ჩანდეს. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ეს კანდიდატი „ჩემია“ და ჩემი თავის ინტიფიცირება მაქვს, რასაც წარმატებით აკეთებდა უგულავა“. [120.]**

მართლაც, იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვა კანდიდატებისგან, კარგად იყენებდა ხალხში გასვლის მეთოდს, მუდამ ტოვებდა ხალხის მსგავს და უბრალო ადამიანის შთაბეჭდილებას – ეს ეხებოდა როგორც თავისუფალი, ხალხში პოპულარული და მოდური ჩაცმის სტილს, ისე სხვადასხვა პროფესიული საქმიანობით დაინტერესებას. წინასაარჩევნო მარათონის მსვლელობისას, მას ნახავდით ყველგან: მაღაზიაში – დახლთან, ბენზინგასამართ სადგურზე, თონეში – მცხობელად, ბაქტერიოფაგში–ლაბორანტად, მშენებლობაზე – კალატოზად, სასტუმროში და ა.შ. ერთი სიტყვით, იგი ყველგან იყო და ყველგან ერთნაირი ინტერესით ასრულებდა სამუშაოს.

უგულავა ხშირად ჩნდებოდა ხალხში, სკვერების, სათამაშო მოედნების, ახლადდაგებული ასფალტისა თუ ლიფტ-

ების პრეზენტაციაზე, ისმენდა მოსახლეობის პრობლემებს, აზრებს, იძლეოდა რჩევებს, აქცენტს აკეთებდა უკვე გაკეთებულ საქმეზე, მაგრამ აქვე დასძენდა გასაკეთებელზეც. – ჩემი მთავარი პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნა და თბილისელების დასაქმებაა, აღნიშნავდა წინასაარჩევნო კამპანიისას, **„დასაქმება კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო სოციალური პროგრამაა. მთავარია არსებობდეს დასაქმების რეალური გეგმა, ეს გეგმა არსებობს და ჩვენ შევძლებთ უკეთესი მომავალი შევთავაზოთ თბილისელებს“** [120] ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი თბილისის მერიამ **გ. უგულავას** ინიციატივით დასაქმების ახალი გეგმა შეიმუშავა – მიიღე ცოდნა შენი დასაქმებისთვის!, რაც მდგომარეობდა თბილისელებისათვის ინგლისური ენის და კომპიუტერის უფასოდ შესწავლაში, იმ პერსპექტივით, რომ კურსდამთავრებულები დაკმაყოფილდებოდნენ სამუშაო ადგილებით. თუმცა ამ კამპანიის ფონზე, რატომღაც ყველას დაავიწყდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კომპიუტერულ პროგრამებსაც კარგად ფლობდა, ინგლისურ ენასაც და სხვა რიგ სპეციალობებსაც, მაგარმ რაღაც მიზეზთა გამო სამსახურიდან დაითხოვეს. თუ როგორ გადაწყდება დასაქმების საკითხი ეს მომავლის საქმეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს, შრომისა და დასაქმების კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და აქ ყველა თანასწორია.

„დასაქმება კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო სოციალური პროგრამაა“ – აღნიშნავდა **გ. უგულავა** და სავსებით სამართლიანადაც, ეს გლობალური პრობლემაა, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოსაც შეეხო, თუმცა ქართველები როგორც ყოველთვის, იუმორის გრძნობას არ კარგავდნენ და ხუმრობდნენ: – ჩვენ ისედაც სულ კრიზისში არა ვართო? მართალია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოებების შეჩერება, გაკოტრება, ან ხალხის უმუშევრად დარჩენა გამოი-

წვია (დასაქმების პრობლემა საქრთველოში კარგა ხანია გადაუჭრელია), თუმცა თავისი დაღი მაინც დაასვა ქვეყნის ეკონომიკას, რამაც გამოიწვია ლარის კურსის გაუფასურება, მრავალფეროვანი ლატარიების, ლოტოების, ტოტალიზატორებისა თუ სამორინეების აღზევება. სატელევიზიო სივრცე კი უამრავი გათამაშებებით დაიტვირთა და მოსახლეობაც ფულის იაფად და ადვილად შოვნის იმედით, აქტიურად ჩაება ამ აფიორაში.

ქრისტიან-დემოკრატები

დასაქმება და დაბალი ტარიფების თემა იქცა წინასაარჩევნოდ **„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის"** მთავარ საკითხად. „ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას: გაზი-10 თეთრი; დენი-5თეთრი; წყალი—უფასო, პოპულისტური დაპირება უწოდეს ოპონენტებმა (კიდევ ერთი მაგალითი პოპულიზმის ნეგატიურ ასპექტში გამოყენების; წინასაარჩევნოდ პოპულიზმს ყველა იყენებს, აქ საკითხი უნდა დაისვას ისე, თუ სად გადის ზღვარი რეალურ და ცრუ პოპულიზმს შორის), მათი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა სულაც არ არის მერის პრეროგატივა და მას სხვა უწყებები არეგულირებენ, რაზეც **„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის"** მერობის კანდიდატმა ასე უპასუხა: **„მერი ამ ბრძოლაში მარტო ხომ არაა? ჩემს უკან „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაა"**, რომელიც საპარლამენტო პარტიაა და მათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ. ამ შემთხვევაში „ქრისტიან-დემოკრატები", მერობის ინიციატივას ავტომატურად დააყენებენ პარლამენტში". [121] ზემოთ აღნიშნული დაბალი ტარიფების ინიციატივა მოძრაობა „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა სოციალურ დემაგოგიად მონათლა, თუმცა აქვე საინტერესოა ექსპერტთა მოსაზრებები ამის თაობაზე: **„გია ჭანტურიას პროგრამა დეტალურად შევისწავლე და გეტყვით, რომ ეს პროგრამა საკმაოდ რეალურად მეჩვენება"** — აღნიშნავს ექსპერტი **სანდრო თვალჭრელიძე**; — ტარიფი შეიძლება იყოს

დაბალი, მე მისაუბრია სხვადასხვა ექსპერტებთანაც და ისინი ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავენ – **მამუკა არეშიძე.**

შესაძლებელია, დაბალი ტარიფების თემა (მიუხედავად იმის, რომ თეორიული გამოთვლებით რეალურია), სპეკულაციურ პოპულიზმად ჩაეთვალოთ, ვინაიდან ერთია თეორია, მეორე – პოლიტიკური რეალობა და მისი განხორციელების შესაძლებლობა, ამ დაპირების შესრულება კი საეჭვოა, მაგარმ ფაქტია, რომ ეს სლოგანი კარგად არის მოფიქრებული და გათელილი სოციალურ გარემოზე.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატის დაპირებაში ასეთ არარეალურ დაპირებას წავაწყდით: **„გამარჯვების შემთხვევაში, ვიძლევი პირობას, რომ მოვაწესრიგებ ცენტრალიზებული გათბობისა და ცხელი წყლის პრობლემას თითოეული მოსახლისათვის"**, მეორე კანდიდატი უფრო აკონკრეტებს ამ ინიციატივას: **„ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემა ითვალისწინებს საქვაბის დამონტაჟებას კონკრეტული საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე და წყლის ადგილზევე გაცხელებას,. ამის შემდეგ, გაცხელებული წყალი გაივლის სადარბაზოებში, იქიდან კი – სათითაო ბინაში,"** დაპირება მართლაც რომ შთამბეჭდავია, მაგრამ – ცრუ პოპულისტური.

„ქრისტიან-დემოკრატებს" კარგი დაფინანსებაც ეტყობოდათ და სლოგანებიც საკმაოდ ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და გათელილი ამომრჩეველზე, შესაძლებელია დაბალი ტარიფების თემა მეტ-ნაკლებად არ ეთანხმებოდა რეალობას, მაგრამ სოციალურ სივრცეზე ეს ნაკლებად მოქმედებს.

ეროვნული საბჭო

ნოღაიდელის **„ეროვნული საბჭო"** წინასაარჩევნოდ გლობალური პრობლემების გადაწყვეტით დაკავდა და პირობა მისცა მოსახლეობას, რომ მათი არჩევის შემთხვევაში, რუსეთთან ომი აღარ განმეორდებოდა. მათი კამპანია ძირითადად რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებასR და რუსულ

ბაზარზე დაბრუნებას შეეხო: – ჩვენ ეს გვჭირდება საქართველოს გასაერთიანებლად, რათა დავიბრუნოთ აფხაზი და ოსი ძმები, – განმარტა **„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“** ლიდერმა, მაგრამ ამომრჩევლისთვის ყველაზე ტკბილი დაპირება, მაინც ანაბრების დაბრუნების საკითხი აღმოჩნდა, რის შესახებაც ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველ წელს იგი ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებდა, ხოლო მეორე წლიდან კი თანხების გაცემა დაიწყებოდა და პირველ რიგში სოციალურად გაჭირვებულ მეანაბრეებს დააკმაყოფილებდა, თუმცა ეს დაპირება უკვე დიდი ხანია აღარ ეჩვენება რეალისტურად ქართულ ელექტორატს, ვინაიდან საკმაოდ ხშირად იყენებდნენ ამ საკითხს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ქართული პოლიტიკური პარტიები თუ ლიდერები, მაგრამ დაპირება ცრუ პოპულიზმად რჩება.

ალიანსი საქართველოსთვის

ალიანსის ძირითადი პრიორიტეტები იყო: დასაქმების პროგრამა, ოცი ათასი ახალი სამუშაო და მცირე საწარმო თბილისში; ბიზნესობუდსმენის ინსტიტუტის შექმნა; უფასო სამედიცინო დაზღვევა ყველა ოჯახს; უფასო მედიკამენტები 0-დან 65 წელს ზემოთ ასაკის ყველა თბილისელისათვის; უფასო მშობიარობა; დედაქალაქის სრული მეტროპოლიტენიზაცია [123] და სხვა.

„ჩვენ შევცვლით“ – ბარაკ ობამას სლოგანი, რომელიც ცვლილებებს გულისხმობს, საკმაოდ კარგი სლოგანია და ალასანიამ გადმოაქართულა, თუმცა ეს ქართულ საზოგადოებაზე ნაკლებად იყო მორგებული, მიზეზი კი ისაა, რომ ეს ლოზუნგი გლობალურ ცვლილებებს სთავაზობს საზოგადოებას და არა კონკრეტულს, საქართველოში კი უფრო კონკრეტულად ფორმულირებული მესიჯები მუშაობს, ჩვენთან უფრო კონკრეტული დაპირებები იზიდავთ, ვიდრე – გლობალური, ამიტომ ალასანიას სლოგანმა ნაკლებად და-

ტოვა ხალხის მსგავსი პოლიტიკოსის განცდა, რაც აუცილებელია საარჩევნო კამპანიაში.

ქართველ პოლიტოლოგთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ ალასანია ობამას პიარის სტრუქტურას ბევრ ელემენტში იმეორებდა, ეს ეხებოდა როგორც მის ჟესტებს, ისე ბილბორდებს (რაც უფრო ამერიკული სტილი იყო), მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ქართული მენტალობა განსხვავებულია ამერიკულისგან, ამიტომ პიარის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეთნოფსიქოლოგია და სოციო-კულტურული გარემო. თუ რაღაც მესიჯი საზღვარგარეთ კარგად იმუშავებს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთანაც ასევე წარმატებული იქნება.

რაც შეეხება **„ეროვნულ საბჭოს“**, მათი რეკლამა უფრო ბანალური და არაფრისმომცემი იყო, სამაგიეროდ მათ ამომრჩეველს სადაზღვეო პოლისი შესთავაზეს, სადაც მერობის კანდიდატი **ზვიად ძიძიგური** და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი **კობა დავითაშვილი,** გამარჯვების შემთხვევაში თბილისელ ნაკლებშემოსავლიან პენსიონერებს სამედიცინო მომსახურების 100%-იან დაფინანსებას სთავაზობდნენ, თუმცა ვერც ამ დაპირებით მოიხიბლა ამომრჩეველი.

გოგი თოფაძის დაპირებაც –**„მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს“** გლობალური ტიპის დაპირებაა და შედარებით ნაკლებ კონკრეტიკას მოიცავდა, თუმცა ეს დაპირება მის მოღვაწეობას და პოლიტიკურ იმიჯს (მეურნეს იმიჯი) სავსებით შეეფერება, ვინაიდან დასაქმებისა და სოციალური საკითხების თემა ყოველთვის დომინირებდა მრეწველების საარჩევნო პროგრამაში.

საერთოდ, – არჩევნები **„დაპირებათა დოღია“**, მთავარი აქ ისაა, რომელი დაპირება ჟღერს რეალისტურად და რომელი პოპულისტურად – აღნიშნავს პროფესორი **იაგო კაჭკაჭიშვილი.**

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ 2010

წლის 30 მაისის არჩევნების შესახებ გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც აღნიშნა, რომ: **„ეს არჩევნები გამოირჩეოდა აშკარა გაუმჯობესებით და ხელისუფლების მცდელობებით მოეგვარებინა პროცესის დროს წარმოშობილი პრობლემები. ახლა დროა არსებული ხარვეზები გამოსწორდეს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, რათა შემდეგიარჩევნებისათვის ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები დაიძლიოს“ [117].**

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში, უხვად იყო როგორც რეალური, ისე დემაგოგიური დაპირებები. თუმცა ის ფაქტი, რომ საქართველოში ფეხს იკიდებს პოპულისტური მეთოდების გამოყენება პოლიტიკური მოღვაწეობის დროს, უკვე ნიშანია დემოკრატიის გარკვეული განვითარების, ვინაიდან, პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, ჩნდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს გარკვეული დემოკრატიული ინსტიტუტები – საყოველთაო არჩევნების უფლება, მოქალაქეთა თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, სადაც ხალხის მასებს გააჩნიათ უფლება იყონ ამომრჩევლები და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პროცესების მართვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოპულიზმის დემაგოგიურ ასპექტში გამოყენება დასაგმობია, მაგრამ სამწუხაროდ, ამის მაგალითებიც მრავლად გვაქვს.Tგამოსავალი კი მდგომარეობს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის, ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებაში და დემოკრატიული ინსტიტუტების მუდმივ მზადყოფნაში – არ დაუშვან ხელისუფლების სათავეში დემაგოგი პოლიტიკოსების მოსვლა.

დასკვნა

1. პოპულიზმი შეიქმნა XIXს-ში, როგორც სახალხო მოძრაობა, იდეოლოგია და პოლიტიკური მოღვაწეობა. იგი დამკვიდრდა როგორც მასებზე ზემოქმედების პოლიტიკური მეთოდი, რომელიც აქტუალური ხდება სახელმწიფოს ცხოვრების გარდამტეხ ეტაპზე. იგი ითვლება დემოკრატიის ატრიბუტად, რომელსაც იყენებს ყველა პოლიტიკური ლიდერი ხელისუფლების მოსაპოვებლად და შემდგომში მის შესანარჩუნებლად.

2. მსოფლიო ისტორიის ძირითად მოვლენებს თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ პოპულიზმი ევოლუციური განვითარების და რეფორმების კურსს უფრო ემხრობა, ვიდრე რადიკალურ ცვლილებებსა და რევოლუციურ მოძრაობას. პოპულისტები მსოფლიოში არსებულ მრავალ გლობალურ პრობლემებს ეხმაურებიან, ეს არის – ეკოლოგიური საფრთხე, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, მოსალოდნელი თერმობირთვული კატასტროფა, შიმშილი „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, თვითმკვლელობის ზრდა რიგ ქვეყნებში, ნარკომანია, შიდსი, სულიერი დეგრადაცია, ინდივიდუალიზმი და სხვა.

3. პოპულიზმი საზოგადოების უკმაყოფილებას ხელისუფლებისაკენ მიმართავს, მაგრამ, მიუხედავად მისი დემოკრატიული ხასიათისა, პოპულიზმი სულაც არ არის უნივერსალური. მსოფლიო პოლიტიკური გამოცდილება მოწმობს, რომ, პოპულიზმი აქტუალური ხდება, რთული სოციალურ-ეკონომიკური ძვრების დროს, გარდამავალ პერიოდში და არჩევნების წინ. პოპულიზმი შეიძლება იყოს იდეოლოგია; სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა; სპეციფიკური პოლიტიკური ფსიქოლოგია; ეკონომიკური, აგრარული, ნაციონალური ან ნაციონალისტური. პოპულიზმისთვის დამახასიათებელია დღის წესრიგში დემოკრატიული და პროგრესული მოთხოვნების დაყენება. იგი შეიძლება იყოს რადიკალური იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს მას ლიდერი.

4. პოპულისტი ლიდერი დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩევა. იგი პირდაპირ გადის ხალხში, ხაზს უსვამს ხალხთან სისხლ-ხორცეულ მსგავსებას. პოპულიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის სტილი, რომლის ძირითადი მეთოდებია: „თამაში“ ხალხის გრძნობებზე, სოციალიზირებული ენით საუბარი მათთან; ხალხში გასვლა (აპელირება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ხალხის ფართო მასებთან); სახალხო დიპლომატია; მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაბედული, მტკიცე, შეუპოვარი და თვითდაჯერებული პოლიტიკოსის იმიჯის შექმნა; საკუთარი პროგრამის მოკლედ და გასაგებად გადმოცემის უნარი; მოჩვენებითი წარმოდგენის შექმნა – „მეც თქვენნაირი ვარ“; ხალხის ნაციონალური გრძნობების გამოყენება; თანადგომის დემონსტრირება ცნობილი პიროვნებების მხრიდან (ესტრადის, კინოს ვარსკვლავები, სხვა ცნობილი ელიტური სახეები) მრავალფეროვანი დაპირებები; მესიჯები და ლოზუნგები.

5. <u>რეალისტურია პოპულიზმი</u>, თუ დაპირებას აქვს, ერთი მხრივ, ობიექტური, ხოლო მეორეს მხრივ, სუბიექტური საფუძველი.Cდაპირებას ობიექტური საფუძველი აქვს, თუ დანაპირების შესრულება არ ეწინააღმდეგება ობიექტურ პირობებს, ობიექტური თავისთავად არსებულ ვითარებათა კანონზომიერებასა და ლოგიკას.Cდაპირებას სუბიექტური საფუძველი აქვს, თუ პოლიტიკურ სუბიექტს ჰყოფნის კომპეტენცია და შინაგანი მოწოდება, მიცემული დაპირებების შესასრულებლად.

<u>პოპულიზმი სპეკულაციურია</u>, თუ დაპირებას არა აქვს არც ობიექტური, არც სუბიექტური საფუძველი ან ერთერთი მაინც.Rესე, იგი დანაპირების შესრულება შეუძლებელია ობიექტური პირობების არარსებობის ან პოლიტიკური სუბიექტის არაკომპეტენტურობის გამო, ან ორივე მიზეზის ერთდროული არარსებობის გამო, რომდესაც პოლიტიკური სუბიექტი არაკომპეტენტურია და მხოლოდ ხელისუფლების

სათავეში მოსვლის მიზნით მოქმედებს. სპეკულაციური პოპულიზმი ადვილად ერცელდება და იკიდებს ფეხს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მოკლებულია პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას. ასეთ საზოგადოებას არ ძალუძს განასხვავოს დემაგოგია რეალური წინადადებებისაგან, ამიტომ ასეთ გარემოცვაში ადვილია მასების მართვა პოპულისტის მიერ.

6. პოპულისტური მეთოდების გამოყენება აქტუალური ხდება არჩევნების დროს, ამიტომ იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკურ (საარჩევნო) მარკეტინგად. პოლიტიკური მარკეტინგი, მასში შემავალი მეთოდების გამოყენებით, ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა. ამისათვის გამოიყენება იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების მეთოდები: დარწმუნება და მანიპულირება: დარწმუნება ტრადიციული მეთოდია.Rეს არის ადამიანების პატიოსანი, პირდაპირ მართვა, მათ შეგნებასა და კრიტიკულ აზროვნებასთან ღია ურთიერთობა სიტყვითა და საქმით. მანიპულირება კი ჩვენი დროის მონაპოვარია, ეს არის ადამიანთა ცნობიერებისა და ქცევის ფარული არაცნობიერი მართვა. ადამიანს ისე მიეწოდება ინფორმაცია, რომ უდუნდება ცნობიერება და ნებისყოფა. ის იწყებს მოქმედებას სხვისი სურვილებისა და საკუთარი ინტერესების საზიანოდ. ეს არის უხეში იძულება.

7. პოპულისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, ვინაიდან მსოფლიოს ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მართვას უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით, პოლიტიკური თუ სოციალ-პოლიტიკური მეთოდების მანიპულირებით და მანევრებით. პოლიტიკური მანიპულირება მდგომარეობს საზოგადოების აზროვნებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოქმედებაში, რომელშიც შედის: ბეჭდითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია და

ინტერნეტი, მათი მეშვეობით ხდება ნეგატიური, ან პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მმართველი ელიტის შესახებ, არჩევნების დროს, კი ჭარბი ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ პარტიისა და კანდიდატის შესახებ. სოციალ-პოლიტიკურ მანევრირებას საკმაოდ ფართო არეალი აქვს, ეს შეიძლება იყოს სეპარატისტული გარიგებები, დროებითი პოლიტიკური ბლოკების შექმნა, პოპულისტური განცხადებებისა და ლოზუნგების გაკეთება და სხვა.

8. პოპულიზმი გარკვეულწილად სოციალური და პოლიტიკური დემაგოგიის სფეროა, მაგრამ მარტო იმ შემთხვევაში, თუ იგი სპეკულაციურია და ეყრდნობა სიცრუეს და არარეალურ დაპირებებს, დანარჩენ სხვა შემთხვევაში (კერძოდ, რეალური პოპულიზმის დროს) დემაგოგია არ გამოიყენება. განვითარებული დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, დემაგოგია იბლოკება სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების თუ სამოქალაქო საზოგადოების მიერ, რომლებიც უმცირესობის უფლებებს იცავენ, მაგრამ რაც შეეხება „ახალბედა" დემოკრატიას, დემაგოგია მისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს. დემაგოგია პირველადია, პოპულიზმი კი იმდენად, რამდენადაც დემაგოგიისგან წარმოიშვა – მეორადი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მან გამოიყენოს დემაგოგიის მეთოდები, მაინც სხვა ასპექტში განიხილება. დემაგოგიის მეთოდებია: არარეალური დაპირებები; ფარისევლობა, პირფერობა და მლიქვნელობა ხალხის მასების მიმართ მათი ნდობის მოპოვების მიზნით; საზოგადოების ყურადღების გადატანა იმ საკითხებზე, რომელსაც დემაგოგი პოლიტიკოსი თავად თელის მომგებიანად; აპელირება სოც-ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობის ცნობიერებაზე; ფაქტების განგებ გაყალბება ან დამახინჯება (თავის სასარგებლოდ); საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების (კლასების) წაქეზება ერთმანეთის წინააღმდეგ პირადი ანგარების მიზნით; „განტევების ვაცად" და „დაჩაგრულ" ადამიანად თავის წარმოჩენა (ხალხის თანაგრძნო-

ბის მოპოვების მიზნით).. რეაქციული პოლიტიკა (უკიდურეს შემთხვევაში ნაციზმი ან ფაშიზმი); ხალხის გრძნობებით მანიპულირება პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად; დაბნეულობის შეტანა საზოგადოებაში და მათი მოტყუება; პოლიტიკური ფაქტების გაყალბება და დამახინჯება; ხალხის მოთმინების გამოყენება და ა.შ. დემაგოგია გარდა პოლიტიკისა, შესაძლებელია შეგეხვედეს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, თუმცა ორივე შემთხვევაში იგი ფასდება როგორც არასასურველი, ნეგატიური მოვლენა. მისი თავიდან აცილება კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება მისი მხილება და კრიტიკა, ხოლო პოლიტიკოსის მოღვაწეობა და დაპირება გახდება გამჭვირვალე, გულწრფელი და რეალური.

9. პოპულიზმი (მხედველობაში გვაქვს რეალური პოპულიზმი) ყოველთვის ეხმაურება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და დღის წესრიგში მისი გადაჭრის საკითხებსაც აყენებს, ხოლო იმისათვის, რომ არსებული პრობლემა უფრო გასაგები გახდეს ხალხისათვის, გამოიყენება მესიჯები და ლოზუნგები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ლოზუნგი პოპულისტურია, ვინაიდან იგი არის ემოციის ენაზე დაყვანილი იდეა, რომელიც ეხმაურება აქტუალურ საკითხებს, აღიქმება ცალსახად, არის ლაკონური, კეთილხმოვანი, იზიდავს ხალხის ყურადღებას, ადვილად დასამახსოვრებელია, მოქმედებს ამომრჩეველის ქვეცნობიერებასა და ქცევით დონეებზე.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს გამოყენებულ იქნა სოციალური და პოლიტიკური პოპულიზმი: სოციალური პოპულიზმის ძირითადი საკითხები იყო: დაპირებები პენსიების გაორმაგების შესახებ; დანამატები სტაჟისა და დამსახურების მიხედვით; მცირე ბიზნესის განთავისუფლება ორი წლის ვადით ყოველგვარი გადასახადებიდან; მიწის გადასახადის გაუქმება; მოპარული ანაბრების დაბრუნება; კორუფციის აღმოფხვრა; უკანონო ქონების ჩამორთმევა ჩინოვნიკებისათვის; ლიბერალური საგადასახადო კოდექსის

შექმნა; განათლების სისტემის რეფორმა; დაპირება სახელფასო მინიმუმის – საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ; დაპირება სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ. პოლიტიკური პოპულიზმის ძირითადი მიზეზები იყო: ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების გამო გამოწვეული უკმაყოფილება დაპირებების შეუსრულებლობა არსებული ხელისუფლების მხრიდან (ცრუ პოპულიზმი); საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ინტეგრაცია ევროკავშირთან და ნატოსთან; ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი მეთოდებით. 2003 წლის „ვარდების რევოლუცია" განხორციელდა მემარცხენე პოპულიზმის – არაძალადობრივი მეთოდით.

10. საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში პრეზიდენტები ზ. გამსახურდია და მ. სააკაშვილი ნაციონალ-პოპულისტური მეთოდების გამოყენებით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. კომუნისტური იდეოლოგიის კრიზისმა სსრკ-ში, 80-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში, გამოიწვია მორალური და იდეოლოგიური ვაკუუმი, რაც შეავსო ნაციონალიზმმა. ამ პროცესებმა შესაბამისი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ პოლიტიკაშიც. ნაციონალ-პოპულიზმის აღორძინების შედეგად შესაძლებელი გახდა ნაციონალური ინტერესების გამოხატვა საქართველოში. ნაციონალისტები პოლიტიკური თვალსაზრისით დღის წესრიგში აყენებენ: თვითგამორკვევას, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. Rეკონომიკური კუთხით კი ითხოვენ ქვეყნის ძირითადი რესურსების მხოლოდ ნაციონალურ სტრუქტურებში დარჩენას.

ხშირია ტერმინების – „ნაციონალური" და „ნაციონალისტური" ერთმანეთში არევა, თუმცა მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა, შესაბამისად განსხვავდება ერთმანეთისაგან ნაციონალური და ნაციონალისტური პოპულიზმიც. ნაციონალისტური პოპულიზმი ნაციონალური პოპულიზმის რადიკალური მიმართულებაა, რომლის ძირითადი

ნიშნებია: ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება საზოგადოებაში სხვა ერების ზეწოლისა და მათი შევიწროების ხარჯზე; მანიპულირება ეროვნული გრძნობებით; საკუთარი ეროვნული გრძნობების აღმატებული შეგრძნება; საკუთარი ერის რასობრივი, ეთნიკური და ისტორიული წარსულის უპირატესობა; სხვა ერების ისტორიული წარსულის შეურაცხყოფა; ეთნოკონფლიქტების გაღვივება; რასიზმი, შოვინიზმი და ქსენოფობია.

ნაციონალური-პოპულიზმი ეთნოკონფლიქტების პოტენციური მატარებელია, თუმცა ქართული ნაციონალ-პოპულიზმი ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ეთნიკური კონფლიქტების საკითხს. მისთვის დამახასიათებელია ეროვნული რელიგიის პრიორიტეტი და ეროვნული სიმბოლიკის დაკანონება. ნაციონალ-პოპულიზმის მეთოდებია, როდესაც სახელმწიფოს ნაციონალური ბუნებრივი რესურსები – სასარგებლო წიაღისეული თუ სხვა სტრატეგიული ობიექტები არ იყიდება უცხოელ ინვესტორებზე და რჩება სახელმწიფო კუთვნილებაში. ის ეპოქა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა და ნაციონალური საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა, ხოლო თავად ნაცია პოლიტიკური მოვლენების წამყვანი ძალაა – თავისი სოციალური არსის მიხედვით არის გარდამავალი ეპოქა.

11. <u>მემარჯვენე პოპულიზმის ძირითადი მიზნები</u>: წესრიგის დამყარება სამხედრო-პოლიციური გზით; დიქტატურა; ეკონომიკური ლიბერალიზმი, „ეკონომიკური სასწაულების“ მოხდენა; უკიდურესი ნაციონალიზმის ფორმები: ფაშიზმი, დემაგოგია, ქსენოფობია, რეაქციული პოლიტიკა; კონტროლი სახელმწიფო სტრუქტურებზე; მასების ცნობიერებით მანიპულირება; ძალისმიერი რევოლუცია.

<u>მემარცხენე პოპულიზმის ძირითადი მიზნები</u>: სამართლიანობის დამყარება; ეკოლოგიური პრობლემები; თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა; დემოკრატიის განვითარება; კონტროლი სახელმწიფო სტუქტურებზე; სოციალური წეს-

რიგის დამყარება; ეკონომიკური ლიბერალიზმი; სოციალური რეფორმების გატარება; შერეული ეკონომიკის განვითარება; დასაქმების უზრუნველყოფა; მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა; ნაციონალური პრობლემების პრიორიტეტი; არაძალადობრივი რევოლუცია; ბრძოლა ბიუროკრატიის წინააღმდეგ.

აგრარული პოპულიზმი: მესაქონლე ფერმერების მოძრაობა, აშშ-ში 1880წ-ს სახალხო – პოპულისტთა პარტიის რადიკალური ეკონომიკური პროგრამის მიხედვით. გლეხების მოძრაობა, (აღმ.Rევროპის მწვანეთა აჯანყება) ინტელექტუალების მოძრაობა; (რადიკალურ-აგრარული მოძრაობა „ნაროდნიკების“ სახით რუსეთში.

პოლიტიკური პოპულიზმი: პოპულისტური დემოკრატია (მეტი პოლიტიკური აქტივობა), პოლიტიკური პოპულიზმი, (ხალხის მართვა, ქარიზმატული ლიდერობა) რეაქციული პოპულიზმი: თეთრკანიანი რასისტების რეაქცია, შავკანიანთა ბრძოლაზე თავიანთი უფლებების დასაცავად) პოპულისტური დიქტატურა (ჰიტლერი, პერონი, ვარგასი და ა. შ.), მიუხედავად ზემოთ აღნიშნული განსხვავებისა, მემარჯვენე და მემარცხენე პოპულიზმს შორის არსებობს ბევრი საერთო საკითხები, მაგ: სოციალური წესრიგის დამყარება; სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლი; ეკონომიკური ლიბერალიზმი; პოლიტიკური პოპულიზმი და ერთიანი ლოზუნგი – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

12. ქარიზმა უმეტესად თანდაყოლილი ნიჭია ლიდერობისა, ხოლო როდესაც პოლიტიკოსს ეს ნიჭი არ გააჩნია მისი კომპენსაცია ადვილად შეიძლება პოპულიზმის მეთოდების გამოყენებით. ყველა ქარიზმატული ლიდერი პოპულისტია. მათი მოღვაწეობის ძირითადი პრინციპია: ხალხში გასვლა, მათი გრძნობებით მანიპულირება და მართვა, დაპირებები უკეთესი მომავლის შესახებ, საკუთარი თავის უალტერნატივობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სხვა. იგი ხელისუფლების სათავეში მოსვლის მიზნით იყენებს მემარჯვენე პოპულიზმს,

რაც გამოიხატება დემაგოგიაში, რევოლუციაში (შესაძლებელია ეს რევოლუცია არაძალადობრივიც იყოს), და ამყარებს ავტორიტარულ მმართველობას.

რაციონალური ლიდერი მემარცხენე პოპულიზმის მეთოდებს ეყრდნობა, რაც მოიცავს ხელისუფლების სათავეში მოსვლის მშვიდობიან მეთოდს, არაძალადობრივ რევოლუციას, ან თავისუფალ არჩევნებს და ამკვიდრებს დემოკრატიულ მმართველობას. თუმცა პოპულიზმის მეთოდების გამოყენებისას ზემოთაღნიშნული ლიდერები ერთიანად იყენებენ როგორც რეალურ, ისე სპეკულაციურ პოპულიზმს.

13. ქართულ პოლიტიკაში გამოიყენება როგორც პოპულიზმის მემარჯვენე, ისე მემარცხენე მეთოდები, მემარჯვენე პოპულიზმის მეთოდებია: დაპირება „ეკონომიკური სასწაულების" მოხდენის შესახებ, მასების ცნობიერებით მანიპულირება, დემაგოგია. მემარცხენე პოპულიზმი: დასაქმების უზრუნველყოფა; მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა; ბრძოლა ბიუროკრატიის წინააღმდეგ და სხვა. საერთო ჯამში, 2008 წლის არჩევნებში, გამოყენებული იყო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პოპულიზმი, შესაბამისად, დაპირებებიც და ლოზუნგებიც აგებული იყო: <u>სოციალურ საკითხებზე</u> – დასაქმება, პენსიების და ხელფასების გაზრდა, სიღარიბის დაძლევა; ჯანდაცვის სრული უფასო პაკეტი ყველაზე ხელმოკლე მოქალაქისათვის და სხვა. <u>ეკონომიკური:</u> დღგ-სა და მოგების გადასახადის გაუქმება; ლიბერალური საგადასახადო სისტემა; ეკონომიკის გასამმაგება 5-წელიწადში; იაფი კრედიტები დასაქმებისთვის და სხვა. <u>პოლიტიკური:</u> ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, სასამართლო სისტემის რეფორმა.

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში, უხვად იყო როგორც რეალური, ისე დემაგოგიური დაპირებები. თუმცა ის ფაქტი, რომ საქართველოში ფეხს იკიდებს პოპულისტური მეთოდების გამოყენება პოლიტიკური მოღვაწეობის დროს, უკვე ნიშანია დემოკრატიის განვითარების, ვინაიდან, პოპულიზმი,

როგორც პოლიტიკური მოვლენა, ჩნდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს გარკვეული დემოკრატიული ინსტიტუტები – საყოველთაო არჩევნების უფლება, მოქალაქეთა თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, სადაც ხალხის მასებს გააჩნიათ უფლება იყონ ამომრჩეველები და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პროცესების მართვაში.

14. საქართველოში ყველა პოლიტიკოსი ამბობს, რომ არ არიან პოპულისტები, ვინაიდან პოპულიზმი ჩვენთან ჯერ კიდევ დემაგოგიასთან, უკიდურესად რადიკალურ და ნეგატიურ პოლიტიკურ ქმედებასთან ასოცირდება. როგორც სჩანს, ეს შიში არც თუ ისე უსაფუძვლოა, ვინაიდან პოლიტიკოსები ხშირად უფრო დემაგოგობენ და გამარჯვების მიზნით ათასგვარ არარეალურ დაპირებებს იძლევიან. თუმცა ხომ შესაძლებელია დაპირება რეალური იყოს, მის განხორციელებას ობიექტური საფუძველი ჰქონდეს და რეალურადაც შესრულდეს? სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები კი ჯერ კიდევ ცოტაა ქართულ პოლიტიკაში. პოპულიზმის გამოყენებას აქვს ის კრიტიკული ზღვარი, რის შემდეგაც სახეზე ვიღებთ ნეგატიურ მოვლენებს: კერძოდ, როდესაც პოპულისტი პოლიტიკოსი აღწევს სასურველ მიზანს მოტყუებული ხალხის ხარჯზე, აუსრულებელი დაპირებები გროვდება საზოგადოებაში წლითი-წლობით და დგება მომენტი, როდესაც ამომრჩეველი გამოხატავს შესაბამის უარყოფით რეაქციას და აღარ უცხადებს ნდობას პოპულისტ ლიდერს მომავალ არჩევნებზე. გარდა ამისა, შესაძლებელია სახეზე მივიღოთ საზოგადოების მხრიდან სოციალური აფეთქება, ნიჰილიზმი, რადიკალური ქმედებები, დაუმორჩილებლობა და რევოლუცია.

პოპულიზმი არის დროის ერთგვარი ბარომეტრი, რომელიც ეხმაურება იმ პრობლემებს, რომელიც აქტუალურად დგას საზოგადოების წინაშე და გვისახავს მისი გადაჭრის გზებს, თუმცა არჩევნების შემდეგ დაპირებათა ნაწილი არ სრულდება ან ხელოვნურად ჭიანურდება. პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა საქართველოს პოლიტიკურ

ისტორიაში თანდათანობით შემოდის და მკვიდრდება, რასაც აუცილებლად სჭირდება ახსნა და განმარტება. ეს საზოგადოებას დაეხმარება გაარჩიოს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტი და დემაგოგი პოლიტიკოსები, რეალური და სპეკულაციური დაპირებები, რომ არ შეცდეს თავისი არჩევანის გაკეთებისას. უკიდურეს შემთხვევაში პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი საზოგადობა, სადაც შესაბამისად დაბალი პოლიტიკური კულტურა არსებობს, ვერასდროს შექმნის სტაბილურ და დემოკრატიულ სახელმწიფოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Политология, изд.Норма. Москва. 2003 г.

2. The Enciclopedia American International edition: compl.in 30 vol .W.Y. 1973 . V. 21 – 559.

3. **G. GoldmanE.F.** Rendervous with Destiny. A history of modern American Reform N.Y. 1956.

4. **M. Macrae D.** Populism as an Ideology - In : Populism: Tts Meanings and National Characteristics L. – 1969.

5. Политика толъковый словаръб Москва , 2001, стр. 641

6. **Conovan.** Populism. N. Y. 1981.

7. The Enciclopedia American International edition: compl.in 30 vol .W.Y. 1973 . V. 21 – 559.

8. Oxford Advansed Learner's Dictionary. Oxford University Press. 2001. P.59.

9. Webster's Desk Dictionary. Portland House. N.Y 1990 .P167

10. Политология, изд. Норма; М. 2003г. Ст-325.

11. ქ. ჯანდა, ჯ. ბერი, ჯ. გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ.1995, გვ: 20.

12. Enciclopedia Universal Sopena: Diccinario ilustrado de la lenqua espanola. T7 – Barselona: Sopena, 1980. p. 390.

13. Grand Dictionnare encyclopedia Larosse. T8. Paris Liberarie Larousse, 1984. p340.

14. Болъшая Советская энциклопедия, 1954г. Т29, стр: 137.

15. **К. Левин И. Б.** Размышления об Италъянском кризисе, Полис, 1995, № 2 стр:89.

16. ა ჰიტლერი Mein Kampf თბილისი , 1991, გვ 26.

17. გაზ. „ტრიბუნა", 9-15 ნოემბერი, 2003, № 309 (2882).

18. გაზ „ალია", 20-21 ნოემბერი, 2003, № 136 (1504).

19. მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური მარკეტინგი, თბ: 2003; გვ; 58.

20. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ 120.

21. **Марков С. А.** Политические професии, Полмтология 1999, №2. ст.10-11.

22. პოლიტოლოგია პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ. 2002, გვ 9.
23. Политика. Толковый словарь (Под ред. А.Маклина) М-2001, с. 698 Пол.
24. ილია ჭავჭავაძე თხზულებები V ტომად. პ. ინგოროყვას რედაქციით. „საბჭოთა საქართველო", 1962, ტ.V გვ. 84.
25. „ასავალ დასავალი" №3 (422) 2004, 26 იანვარი – 1 თებერვალი.
26. **Чичерин Б. И.** Курс государственной наки. Ч.3.-Мю 1898. с. 182.
27. **M. Conovan, Populism.** N.Y. 1981, p. 51.
28. ტრიბუნა, №256 (327) 15.01.2004.
29. ტრიბუნა №256 (327) 15.01.2004.
30. **M .Conovan Populism.** N.Y. 1981.128.
31. გაზ. „ტრიბუნა" 04.12.2003, № 236.
32. ჟურნ. „სარკე" 3 XXI-9XII, 2003, №49.
33. გაზ. „კვირის პალიტრა", 20-26 ოქტ. 2003, № 42.
34. გაზ. „ახალი ვერსია" 27-2 ოქტ. 2003, №43.
35. ჟურნ „სარკე" 15-22, აპრილი, 1998, №12.
36. გაზ. „კვირის პალიტრა" 3-9 ნოემბ. 2003.
37. გაზ. „კვირის პალიტრა" 3-9 ნოემბ. 2003.
38. ბუკლეტი „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ბათუმი 2003, 23 აგვისტო.Tგვ: 12.
39. ბუკლეტი „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ბათუმი 2003, 23 აგვისტო.Tგვ: 5.
40. ბუკლეტი „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ბათუმი 2003, 23 აგვისტო. გვ: 6.
41. ბუკლეტი „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ბათუმი 2003, 23 აგვისტო. Tგვ: 17.
42. ბუკლეტი „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ბათუმი 2003, 23 აგვისტო; გვ: 21.
43. გაზ. „კვირის პალიტრა", 3-9 ნოემბერი, 2003, №44.
44. წინასაარჩევნო ბუკლეტი, „საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" თბ. 2003. 15 ოქტომბერი.
45. წინასაარჩევნო ბუკლეტი, „საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" თბ. 2003. 15 ოქტომბერი.

46. გაზ. **„ახალი თაობა“**, 2003, 8 ნოემბერი. №308.
47. გაზ. **„ახალი თაობა“**, 2003, 8 ნოემბერი. №308.
48. გაზ. **„კვირის პალიტრა“** 1-7 დეკემბერი, 2003, №48.
49. გაზ. (სპეც გამოშვება) **„ბურჯანაძე- დემოკრატები“**, თბ. 2003. გვ: .8.
50. გაზ. (სპეც გამოშვება) **„ბურჯანაძე- დემოკრატები“**, თბ. 2003. გვ:.3.
51. გაზ. **„ასევალ-დასავალი“**. 24-30 ნოემბ. 2004. №47.
52. ჟურნ. **„სარკე“**, № 3; 26 /III IV 2003.
53. საარჩევნო ბუკლეტი **„ბურჯანაძე – დემოკრატები“** თბ: 2003. გვ: 4.
54. ჟურნ. **„სარკე“**, № 3; 26 /III IV -2003.
55. საარჩევნო ბუკლეტი **„ბურჯანაძე – დემოკრატები“** თბ: 2003. გვ: 3.
56. სპეც გამოშვება (საარჩევნო ბუკლეტი) **„ახალი მემარჯვენეები“** 29 ოქტ. თბ: 2003. გვ: 2.
57. სპეც გამოშვება (საარჩევნო ბუკლეტი) **„ახალი მემარჯვენეები“** 29 ოქტ. თბ: 2003 . გვ: 3.
58. **ლ. ბალცეროვიჩი,** სახელმწიფო გარადამავალ პერიოდში, თბ. 2002, გვ: 165.
59. გაზ. **„კვირის პალიტრა“** 27 ოქტ-2 ნოემბ. 2003 №43.
60. გაზ. **„კვირის პალიტრა“** 27 ოქტ-2 ნოემბ. 2003 №43.
61. გაზ. **„ასავალ-დასავალი“** 15-21 დეკემბერი, 2003, №50.
62. გაზ. (სპეც. გამოშვება) **სააკაშვილი საქართველოს მომავლისთვის,** 2003, 12 დეკემბერი.
63. გაზ. (სპეც. გამოშვება) **სააკაშვილი საქართველოს მომავლისთვის,** 2003, 12 დეკემბერი.
64. ჟურნ. „გზა“; 2004, № 1; 1 იანვარი.
65. ჟურნ. **„გზა“**; 2004, № 1; 1 იანვარი.
66. პოლიტ. გაერთიანება **„მძლეველი“**, წინასაარჩევნო პროგრამა, თბ 2003.
67. გაზ. **„კვირის პალიტრა“**, 17-23 ნოემბ, 2003, №46.
68. გაზ. **„კვირის პალიტრა“**, 17-23 ნოემბ, 2003, №46.

69. **Brzezinski Z.** Post-communist Nationalism.// Foreign Attars.V68 #5. winter, 1989/90. p.2.

70. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 109, 14 სექტემბერი. 1989.

71. **შ. ნოზაძე** 1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი. თბ: 1992. გვ 106.

72. **შ. ნოზაძე** 1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი. თბ: 1992. გვ 221.

73. გაზ. **„ახალგაზრდა კომუნისტი“**, № 109, 14 ოქტომბერი. 1989.

74. გაზ. **„შანსი“**, № 21, 25 მაისი, 1991.

75. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, № 124-125, 28 ივნისი. 1991.

76. გაზ. **„ახალგაზრდა კომუნისტი“**, № 109, 14 სექტემბერი. 1989.

77. გაზ. **„რაო-რაო?!** “, № 2, 26 იანვარი – 1 თებერვალი. 2004.

78. გაზ. „ასავალ-დასავალი“, № 50, 15-21 დეკემბერი. 2003.

79. **Политика, тольковый словарь.** М -2001 стр: 35.

80. გაზ. „კომუნისტი“, № 125, 2 ივლ, 1989.

81. გაზ. „თბილისი“ №12, 12-18 იანვარი 1989.

82. გაზ. **„თბილისი“** ,№ 143, 25 ივნისი, 1990.

83. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, №70, 10 აპრ. 1991.

84. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**. №84, 1 მაისი, 1991.

85. გაზ. „ასავალ-დასავალი“, № 49, 8-14 დეკემბერი. 2004.

86. **Желев. Ж.** Фашизм. Тоталитарное государство. М. 1991. С 185.

87. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, №70, 10 აპრილი, 1991.

88. **Госпожа госсекретарь. Мемуары Мадлен Олбрайт.** М-2004, с-173.

89. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, №5. 9 იანვარი. 1991.

90. **ი. ჭავჭავაძე.** თხზულებანი. სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.V საბჭოთა საქართველო, 1962, გვ: 139.

91. **ა. ჯორჯაძე,** წერილები. თბ.1989, გვ: 87.

92. **გ. შარაძე.** უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. II; თბ: 1993. გვ: 297.

93. გაზ.ჟ„კვირის პალიტრა“. №23, 3-9 ივლისი, 2002.

94. **„Комсомолская ПравДА“.** № 33\.8 20 Февраля. 2004.

95. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, № 39. 27 თებერვალი. 1991.

96. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, № 4. 16 ნოემბერი. 1990.

97. გაზ. **„ასავალ-დასავალი“**, № 4. 26 იანვარი-4 თებერვალი. №200435.

98. გაზ. **„ახალი საქართველო“**, № 2-3. 15 ნოემბერი. 1990.

99. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, № 39, 27 თებერვალი, 1991.

100. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“** ,№ 37. 16 აპრილი. 1991.

101. გაზ. **„მამული“**. № 15. აგვისტო, 1990.

102. **„პოლიტოლოგია“**. სახელმძღვანელო სტუდენტთათვის. თბ; 2004; გვ: 370.

103. **Политика. Талковый словаръ.** М. 2001; Стр: 436.

104. Новейшая история зарубежных стран. М. 1978. Стр: 421

105. **მ. წერეთელი.** ერი და კაცობრიობა. თბ: 1990; გვ: 241.

106. М. Тетчер. Искуство управления Государством. М. 2003. Стр: 386.

107. გაზ. **„კვირის პალიტრა“**; №44(714) 3-9 ნოემბერი, 2008წ.

108. გაზ: **„კვირის პალიტრა“** № 52(669) 24-30 დეკემბერი. 2008წ.

109. გაზ: **„კვირის პალიტრა“**; №52(6690) 24-30 დეკემბერი.. 2008წ.

110. გაზ: **„კვირის პალიტრა“**; №52(669) 24-30 დეკემბერი. 2008წ.

111. გაზ: **„კვირის პალიტრა“**; №52 (669), 24-30 დეკემბერი. 2008წ.

112. გაზ. **„კვირის პალიტრა“**; №52 (669), 24-30 დეკემბერი. 2008წ.

113. ჟურნ. **„გზა გამარჯვებისკენ“**. №5, ინვარი, 2008წ.

114. გაზ. **„კვირის პალიტრა“**; №52 (669), 24-30 დეკემბერი. 2008წ.

115. გაზ. **„კვირის პალიტრა“**; №52 (669), 24-30დეკემბერ. 2008წ.

116. გაზ. **„კვირის პალიტრა“ №3** (673) 21-27 იანვარი 2008.

117.საქართველო 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაგროვილი გამოცდილება. ეუთო/ თბ, 2009 წელი.

118. About Civil Georgia. Civil.Ge © 2001-2008, Daily News Online (უკანასკნელად გადამოწმებულია 2010 წ. დეკემბერში).

119. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. **სულხან-საბა ორბელიანი.** სიბრძნე-სიცრუისა. ტ.28 გამომც. „საბჭოთა საქართველო“. თბ; 1979. გვ: 234.

120. თბილის მერი **გიგი უგულავა** (წინასაარჩევნო ბუკლეტი 2010).

121. **„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“**. თბ;01.05.2010წ.(წინასაარჩევნო გაზეთი").

122. საარჩევნო ბლოკი **„ალიანსი საქართველოსთვის"** (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ჩერაბიშვილი) თბ: 12.05.2010.

123. About Civil Georgia. Civil.Ge © 2001-2008, Daily News Online **(უკანასკნელად გადამოწმებულია 2010 წ. ივლისში).**

124. ვ. **შუბითიძე**. რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს. თბ: 2000.

125. **ჯანდა, ბერი, გოლდმენი**. ამერიკული დემოკრატია. თბ: 1995.

126. **ვ. შუბითიძე**. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბ: 2008.

127. **ვ. შუბითიძე, ა. ბუცხრიკიძე**. იმიჯოლოგია. ქუთაისი: 2009.

128. **ქ. ჯიჯეიშვილი**. პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბ; სტუ: 2009.

129. **ქ. ჯიჯეიშვილი**. შტრიხები საქართველოს პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტებისათვის. თბ;"ცოდნა" 2009.

130. **ე. ჰეივუდი**. პოლიტიკური იდეოლოგიები.Zლოგოს პრესი: 2004.

131. **Almond G.** Political Theory and Political Science. Contemporary Political Science: Toward Empirical Theory.

132. **Godwin. L.** The Populist Moment: A Short Historyof the Agrarian Revolt in **America** – N. York, 1978-

133. **Hicks J.** D. The Populist Revolt: A. History of the Farmer's Alliance and the People's Party – Minneapolis, 1931.

134. **Lewin K.** Stimmen aus den Deutschen Urvalde. – N. York- London,

135. **Nugent W.T.K.** The Tolerant Populism – Chicago, 1963

136. Populism: Reaction or Reform? Ed. by Saloutos T.Huntington. – N York, 1978.

137. **„Аргументы и факты“**, 1990-1991г.г.- газета. МоскваПолитология. Под.ред. Професора В.И. Власова, Ростов-на-Дону. Изд: «Март», 2002.

138. Новейшая история зарубежных стран. М. 1978.

139. **Марков С. А.** Политические професии, Полмтология 1999, №2.

140. **Баранов Н. А.** Националъные аспекты популизма как метод политической боръбы, Санкт-Петербург – 1998.

141. **Абдулатипов Р. Г.** «Человек, нация, общество» - М. Политиздат, 1991.

142. **Бердяев Н.А.** Судьба Росии. Опыты по психологии войны и национальности. – М.1990.

143. **Желев Ж.** Тоталитарное Государство – Пер. с болг. – М: Изд-во «Новости». 1991.

144. **Кинг М.Л.** Есть у меня мечта... – М. Наука, 1970.

145. Популизм, как идеология и массовое движение. – М. ИНИОН АН СССР, 1980.

146. About Civil Georgia. Civil.Ge © 2001-2008, Daily News Online (უკანასკნელად გადამოწმებულია 2010 წ.ნოემბერში)

148. www. Politolog.Ru. (უკანასკნელად გადამოწმებულია 2010წ. ნოემბერში)

147. გაზ. **„განათლება“**. 20 ოქტომბერი. 1991. № 11.

148. გაზ. **„კომუნისტი“**. 2 მაისი. 1990. № 126.

149. გაზ. **„კომუნისტი“**. 29 ივნისი. 1998. № 151-152.

150. გაზ. **„ტრიბუნა“**. 02.12.2003. № 234.

153. გაზ. **„ალია“**. 25-26 მარტი. 2004. № 36.

152. გაზ. **„ტრიბუნა“**. 10.03.2004. № 289.

153. გაზ. **„The Georgian Times“**. 24-30.03.2005. № 001.

154. გაზ. **სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა. სპეც. გამოშვება**. 2003.

155. გაზ. **„მეგზური ამომრჩევლისთვის“**. სპეც. გამოშვება. 2003

156. გაზ. **„ქრონიკა“**. 12-22 აგვისტო. 2004. № 33.

157. გაზ. **„რეზონანსი“**. 28 ივლისი. 2004. № 202.




ალექსანდრე მაკედონელი



იულიუს კეისარი



ნაპოლეონ ბონაპარტი



ლენინი



სტალინი




ადოლფ ჰიტლერი




ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი



კიმ ირ სენი



მაო ძედუნი




ჩე გევარა და ფიდელ კასტრო




ჰუგო ჩავესი



მარტინ ლუთერ კინგი




ნელსონ მანდელა



ხუან ანტონიო პერენი და ევიტა




ფრანცისკო ფრანკო



მაჰათმა განდი



ინდირა განდი



ბენაზირ ბჰუტო




მარგარეტ ტეტჩერი



რონალდ რეიგანი




მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე




ვაცლავ ჰაველი



პრინცესა დიანა



ბარაკ ობამა, ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში უმცროსი




პილარი კლინტონი



ბორის ელცინი




ნიკოლა სარკოზი, დიმიტრი მედვედევი და სილვიო ბერლუსკონი




სადამ ჰუსეინი




მუამარ კადაფი



იულია ტიმოშენკო და ვიქტორ იუშჩენკო




ვლადიმერ პუტინი



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა



ედუარდ შევარდნაძე



ზურაბ ჟვანია



ნინო ბურჯანაძე



შალვა ნათელაშვილი

სარჩევი

წინათქმა ——— 3

პოპულიზმის თეორია და მეთოდოლოგიური საკითხები

პოპულიზმის არსი ---------- 7

პოპულიზმი: თეორია და პრაქტიკა ---------- 34

პოპულიზმი და დემაგოგია ---------- 45

პოპულიზმის დამკვიდრება ქართულ პოლიტიკაში ——— 57

2003 წლის საპარლამენტო არჩევნები ——— 62

ქართული პოლიტიკური პარტიების პოპულიზმი ——— 70

ნაციონალური პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში ——— 99

პოლიტიკური ლიდერების პოპულიზმი ——— 138

პოპულიზმი საქართველოს

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ——— 154

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 172

დასკვნა ——— 181

გამოყენებული ლიტერატურა ——— 192

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

ოპერატორები: სოფო ძილიფთარი
ნონა ჯღარძავა

კორექტორები: გვანცა შანავა
ძეთევან წახნაძია

მისამართი: თბილისი, ც. დადიანის ქ. №100
ტელ: 292-25-23.

Email: inovacia@caucasus.net